დაუსრულებელი საქმე

აჩქარების ცხრა კანონი

გარი ჭისი

დაუსრულებელი საქმე

გარი ქისი

Unfinished Business, Georgia
Copyright © 2024 by Gary Keesee

Originally published in English
Copyright © 2024 by Gary Keesee
ISBN : 978-1-945930-98-0
Gary Keesee Ministries,
P.O. Box 779, New Albany,
OH 43054, USA
GaryKeesee.com

This book is a FREE GIFT from Gary Keesee Ministries and is
NOT FOR SALE

დასრულებული საქმე, ქართულად
Copyright © 2024 by Gary Keesee

ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
Copyright © 2024 by Gary Keesee
ISBN : 978-1-945930-98-0
გარი ქისის მსახურება,
P.O. Box 779, New Albany,
OH 43054, USA
GaryKeesee.com

ეს წიგნი გარი ქისის მსახურების საჩუქარია და არ იყიდება.

შინაარსი

შესავალი.....5

თავი 1: სად გინდა წასვლა?.....9

თავი 2: მონეზი არ ოცნეზოზენ.....23

თავი 3: რამდენად დიდია თქვენი შესაძლეზლოზა?.....43

თავი 4: აზრაჰამის კურთხევა.....69

თავი 5: ზატონოზის კანონი.....79

თავი 6: მწარმოეზლუროზის კანონი.....89

თავი 7: დაუფლეზის კანონი.....105

თავი 8: ზეწოლის კანონი.....115

თავი 9: სტრატეგიის კანონი.....129

თავი 10: დაუყოვნეზლოზის კანონი.....155

თავი 11: მნიშვნელოზის კანონი.....169

თავი 12: ხელგაშლილოზის კანონი.....183

თავი 13: დღესასწაულის კანონი.....217

დასკვნა.....231

რწმენის დანართი.....233

შესავალი

„იქ რატომ არ ხარ?“ ეს სიტყვები გავიგონე უფლისგან, როცა გაყიდვების ყოველწლიურ კონფერენციას ვესწრებოდი და ამ საქმის 10 საუკეთესო ლიდერს ვაკვირდებოდი. მათ აღიარება და საკმაოდ მსხვილი 100,000-დოლარიანი ჩეკებიც მიიღეს ბონუსის სახით. უფლის სიტყვებმა გამაოგნა და ასე ვუთხარი:

– უფალო, შენ იცი, რატომაც არ ვარ მათ შორის! შენი მოწოდების თანახმად ეკლესია წამოვიწყე. ხომ იცი, რომ დაკავებული ვარ, ძალიან დაკავებული. იმ სცენაზე მდგომი ხალხი მთელი დღე გაყიდვებზე ფიქრობენ. ისინი მთელი წელი ამით იკვებებიან და ამით სუნთქავენ. მე კიდევ, სრული დროით დასაქმებული პასტორი ვარ და კომპანიაში მხოლოდ თავისუფალ დროს თუ წავიმუშავებ.

შემდეგ გავიგონე, როგორ მიპასუხა:

– მინდა, რომ იქ იყო! ეს ჩემი წარდგენის შესანიშნავი შესაძლებლობაა.

რა თქმა უნდა, მინდოდა მათ შორის ყოფნა. ვის არ მოუნდებოდა?! ამრიგად, უფალს ასე ვუპასუხე:

– იცი, უფალო, ჩემი დრო გავიდა, ამიტომ შენ უნდა მითხრა, რა უნდა გავაკეთო ამის განსახორციელებლად, რადგან ახლა აზრად არაფერი მომდის.

ცოტა რამ წარსულიდან გავიხსენოთ! ჩემი ცხოვრების ამ ეტაპისთვის ფინანსურ სფეროში ვმუშაობდი, დაზღვევას და ფასიან ქაღალდებს ვყიდდი, ასევე ადამიანებს ვალებისგან თავის დაღწევაში ვეხმარებოდი ბოლო 34 წლის მანძილზე. კონვენცია, რომელსაც მაშინ ვესწრებოდი, მრავალთაგან ერთ-ერთი მომწოდებლის მიერ იყო ორგანიზებული. ჩემი ფინანსური კომპანია მათ იყენებდა კლიენტების დასახმარებლად, რომ ფინანსური გეგმების განხორციელება შეძლებოდათ. ამ კონკრე-

ტულ მომწოდებელთან 14 წელია ვთანამშრომლობდი და იმდენ პროდუქტს კი ვყიდდი, რომ მის ყოველწლიურ ღონისძიებაზე მოწვევა დამემსახურებინა, თუმცა უმაღლეს დონეზე ასვლას არასოდეს შევჭიდებივარ.

ჩემი წარმადობა წელიწადში დაახლოებით 4 მილიონს შეადგენდა, რის გამოც 5,000 ოფისიდან საპატიო 200-ში ვხვდებოდი. ამიტომაც, დიდად არ მაღელვებდა ჩემი მუშაობის მოცულობა, მით უმეტეს, რომ საკმაოდ დაკავებული ვიყავი. ელიტარულ 10 ოფისში მოსახვედრად წელიწადში 10 მილიონზე მეტი უნდა გამომემუშავებინა და უკვე მარტი იდგა, როცა იმ კონვენციას ვეწრებოდი.

წარმოდგენა არ მქონდა, როგორ შევძლებდი წლის ბოლომდე 10 მილიონის გამომუშავებას. არ დაგავიწყდეთ, რომ ბოლო 14 წლის მანძილზე 4 მილიონისთვის არ გადამიჭარბებია!

მე და დრენდა ვფიქრობდით, რომ ეს შესაძლებელი უნდა გამხდარიყო, თუ უფალს ჩვენი იქ ხილვა სურდა. ამ მომენტისთვის კი, წარმოდგენა არ გვქონდა, ეს როგორ უნდა მომხდარიყო. უქმეებზე ოთხ მსახურებაზე ვქადაგებდი, წელიწადში 75 საღამოს კონფერენციებს ვატარებდი, ყოველდღიური სატელევიზიო ჩაწერები გვქონდა, 75 თანამშრომელს ვუძღვებოდი და ჩემს ფინანსურ კომპანიას ვმართავდი. დრენდასაც ჰქონდა თავისი ყოველდღიური ტელეტრანსლაცია. ამას დაუმატეთ ჩვენი ხუთი შვილი და შვილიშვილები და მიხვდებით, რომ საკმაოდ დატვირთული ცხოვრება გვქონდა. მე და დრენდამ ფინანსური თესლი დავთესეთ და ღმერთს ვთხოვეთ, ეჩვენებინა, რა უნდა გაგვეკეთებინა, რომ ეს შესაძლებელი გამხდარიყო.

გრძელი ამბის შესამოკლებლად ან უფრო სწორად, გრძელი ამბის წარსადგენად გეტყვით, რომ მომდევნო გაზაფხულზე იმ სცენაზე ვიდექით, რომელიც უმაღლეს დონედ იყო მიჩნეული. დიახ, 100,000 დოლარის ოდენობის ბონუსიც მივიღეთ და ბორა-ბორას საგზურიც! ეს საოცარი და განსაცვიფრებელი რამ გახლდათ. ერთი ნაბიჯით წინ წავიწიეთ და წარმოების ამ დონეს კიდევ ექვსი წელი ვინარჩუნებდით. ეს ყველაფერი ახალი მარკეტინგული გეგმის, თანამშრომლების, ზედნადები ხარჯების დამატებისა და პოტენციური კლიენტების მოზიდვის გარეშე განხორციელდა. ფაქტობრივად, არც რაიმე სახის რეკლამა ან მარკეტინგული ხერხი გამოგვიყენებია მთელი ექვსი წლის გან-

მავლობაში. მაშ ასე, როგორ შევძელი 14 წლის მანძილზე მხოლოდ 6 მილიონის გამომუშავებიდან 10 მილიონზე გადასვლა, სულ რაღაც, 10 თვეში და 12-დან 15 მილიონამდე წარმოების მომდევნო ხუთი წლით შენარჩუნება? ვიმეორებ, რომ ეს არ იყო გაყიდვების შეკრებაზე ან კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების შედეგი.

ცვლილება ერთ სიზმარს მოჰყვა, სადაც უფალმა გასაღები მომცა. ამან ჩემი ფინანსური ცხოვრება შეცვალა. ეს წიგნი მეორე სიზმრის შემდეგ დაიწერა, რის მითითებაც უფალმა მომცა. იმ სიზმარში წიგნის სათაური და თავები ისე ცხადად დავინახე, თითქოს ხელში მეჭირა. თქვენც ჩემსავით გსურთ გამარჯვება, ტერიტორიების დაპყრობა და უფლისთვის საშუალების მიცემა, რომ თავისი სიდიადის სურათად გამოგიყენოთ. თუ გულში ამის სურვილი გიდევთ, ეს წიგნი თქვენთვისაა. დროა, დააჩქაროთ წარმატება აჩქარების ამ ცხრა კანონის გამოყენებით. მოდით, ნუ მოვიტოვებთ უკან დაუსრულებელ საქმეს. როცა ზეცაში მივალ, მინდა ვიცოდე, რომ დავალება შევასრულე და ვაი-ვაგლახით კი არ გადავრჩი, არამედ მთელი ძალისხმევით ვიღწვოდი ღვთის მადლის შეწევნით.

მინდა, უფალი გაბრწყინდეს ჩემს ცხოვრებაში და ხალხმა დაინახოს, რომ შეუძლებელი ყოველთვის შესაძლებელია!

– გარი ქისი

თავი 1

სად გინდა წასვლა?

დედამიწა დიდია! ამ პლანეტაზე ბევრი ფანტასტიური ადგილია, რომლის ნახვაც ღირს. და მაინც, მრავალი ადამიანი ამ შესაძლებლობას მოკლებულია. ამას წინათ ჟურნალმა *ფორბსმა* გამოკითხვა გამოაქვეყნა:

- რესპოდენტთა თერთმეტ პროცენტს არასოდეს უმოგზაურია იმ შტატის ფარგლებს მიღმა, სადაც დაიბადა.
- თითქმის 13 პროცენტი არასოდეს მჯდარა თვითმფრინავში.
- გამოკითხულთა ორმოც პროცენტს ქვეყანა არასოდეს დაუტოვებია.
- ორმოც პროცენტს საერთოდ არ აქვს პასპორტი (გაიხსენეთ, რომ წლების განმავლობაში საჭირო არ იყო პასორტის ქონა კანადაში გასამგზავრებლად. ალბათ, ამით აიხსნება ასეთი დიდი რიცხვი.)[1]

ეს მონაცემები საინტერესო მეჩვენა, მაგრამ იგივე გამოკითხვის კიდევ ერთი ინფორმაცია ნამდვილად გასაოცარი იყო: რესპოდენტთა 85 პროცენტმა თქვა, რომ მოგზაურობის სურვილი აქვს, ხოლო 60 პროცენტზე მეტს იმ ადგილების ჩამონათვალიც შეუდგენია, რომელთაც სიამოვნებით მოინახულებს. კითხვაზე, თუ რატომ არ მიდიან სამოგზაუროდ, როცა ამის სურვილი ნამდვილად აქვთ, მარტივად უპასუხეს: არ აქვთ საჭირო თანხა. და იცით, რა ხდება შემდეგ? არაფერი! დამკვირვებელი და ცხოვრებაში განზე გამდგარი რჩებით. მეც სწორედ ასე გავიზარდე.

1. Lea Lane, “Percentage of Americans Who Never Traveled Beyond the State Where Tey Were Born? A Surprise,” https://www.forbes.com, May 5, 2019

ჩემი ოჯახი არასოდეს მოგზაურობდა, როცა ვიზრდებოდი. წესიერად მეზობელი ქალაქების სახელებიც არ ვიცოდი და კიდევ უფრო ნაკლები წარმოდგენა მქონდა მათ მდებარეობასა და მისასვლელ მარშრუტზე. მოგზაურობაში ჩემი უფუნქციობის წარმოსაჩენად ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც 14 წლის ასაკში გადამხდა.

ოჰაიოს შტატის შუაგულში, ერთ სოფელში გავიზარდე, რომელიც დასამუშავებელი მიწით იყო გარშემორტყმული. პაპაჩემი ფერმერი გახლდათ და ჩემმა მშობლებმა ფერმის რამდენიმე აკრზე სახლი ააშენეს, რომელიც ძალიან მიყვარდა, რადგან იქვე ახლოს დიდი ტბორი იყო. ამ ჩვენი ტბორიდან ნაკადული მოედინებოდა ტყის მიმართულებით, სადაც ხაფანგის დაგება და ნადირობა ვისწავლე. მრავალი დღე გავატარე თევზაობასა და ხეტიალში! ძალიან მომწონდა იქ ცხოვრება. იმის მიუხედავად, რომ ჩემი მშობლიური პატარა ქალაქი კოლუმბუს სითიდან რამდენიმე მილით იყო დაშორებული, მისი მონახულება არასოდეს მომსურვებია.

ამრიგად, იმ წლის ერთ მშვენიერ დღეს მე და ჩემმა მეგობარმა შვინის ველოსიპედების ყიდვა გადავწყვიტეთ. უბრალო, ძველი ველოსიპედი კი არა, 10-სიჩქარიანი გვინდოდა, რომელსაც ნამდვილი სპიდომეტრი ჰქონდა. მანქანის მართვისთვის ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, ამიტომ ველოსიპედს ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ფულს ვზოგავდი და მეგობართან ერთად სრულიად ახალი შვინის 10-სიჩქარიანი ველოსიპედი ვიყიდე. აღმა-დაღმა დავქროდით და ერთნახევარი მილით დაშორებულ სკოლაშიც ველოსიპედებით მივდიოდით.

ერთხელაც ჩვენი ახალი ტრანსპორტით უფრო შორს წასვლა, ნამდვილი მოგზაურობის მოწყობა გადავწყვიტეთ. რამდენიმე დოლარი ავიღეთ და გზაზე დავეშვით. სახლიდან ერთი მილის დაშორებით, პირველ გზაჯვარედინთან მივედით. თუ მარცხნივ გავუხვევდი, სკოლაში აღმოვჩნდებოდი, ხოლო მარჯვნივ, ამ ადგილიდან მილნახევარზე, ჩვენი ოლქის საზღვარი იყო. არ ვიცოდი, რა ხდებოდა საზღვარს იქით – მე ხომ იმ გზაზე არასოდეს გამივლია. არც ჩემმა მეგობარმა იცოდა, რა გველოდა საზღვარს იქით, ამიტომ *მარჯვენა მხარეს გახვევა გადავწყვიტეთ, რომ აღმოგვეჩინა, რა იყო იქ.* აი, როგორ მოვიქეცით: მარჯვნივ გავუხვიეთ და გეზი საზღვრისკენ ავიღეთ. ვფიქრობდით, რომ

გავიზარდეთ და საკმაო გაბედულება აღმოგვაჩნდა უცნობ ვითარებაში გადასაშვებად.

მცირე მანძილი გავიარეთ, ოლქის საზღვარი გადავკვეთეთ და გზა გავაგრძელეთ. მახსოვს, რა გავიფიქრე ამ დროს – *ოჰო, მართლაც წამოვიწყეთ ნამდვილი მოგზაურობა!* გზას მივუყვებოდით და წინ პატარა ქალაქი დავინახეთ. წარმოდგენა არ გვქონდა, რა ერქვა. როცა მივუახლოვდით, პატარა მაღაზია შევნიშნეთ. ცხელი დღე იყო და ძალიან მოგვწყურდა, ამიტომ შიგნით შესვლა და სასმელის ყიდვა გადავწყვიტეთ. ორივენი შევედით და ჩვენთვის სასურველი სასმელი ავირჩიეთ. ჩემი ცხოვრების იმ მომენტისთვის ეს იყო *Mountain Dew.* სხვათა შორის, თუ ახალგაზრდა მკითხველი ხართ, გეტყვით, რომ ეს იყო ბოთლი და არა თუნუქის ქილა, რომელშიც სიმინდის სიროფისგან კი არა, ნამდვილი შაქრისგან დამზადებული სასმელი ესხა. ის საუკთესო გახლდათ!

როცა გადახდა დავაპირეთ, მოლარე ქალს ველოსიპედით მოგზაურობის შესახებ ყველაფერი ვუამბეთ და ქალაქის სახელი ვკითხეთ. მან გვითხრა, მაგრამ არც ერთს არ გაგვეგონა. შემდეგ დავინტერესდით, რამდენად შორს ვიყავით ნიუ ალბანის გზაჯვარედინიდან. მახსოვს ჩემი გაოგნებული გამომეტყველება, როცა ქალმა ხუთი მილი დაასახელა. ხუთი მილი? სულ ეს იყო? მხოლოდ ხუთი მილი გავიარეთ? ისეთი გრძნობა გვქონდა, რომ 50 მაინც უნდა ეთქვა! გავიაზრეთ, რომ მაინცდამაინც ბევრი არ გაგვივლია. ერთი დღისთვის ამ მანძილის გავლა საკმარისად მივიჩნიეთ და სახლში დასაბრუნებლად უკან მოტოვებული გზაჯვარედინისკენ მიმავალ გზას დავადექით. ეს ჩემთვის დიდი მოგზაურობა გახლდათ. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რომ მშობლიური სახლიდან ხუთი მილით დაშორებული ქალაქის სახელიც კი არ ვიცოდით? ერთი სიტყვით, ბევრს ნამდვილად არ ვმოგზაურობდით.

ახლაც მახსოვს, 19 წლის ვიყავი, როცა მეგობართან ერთად მდინარე ოჰაიოზე სათევზაოდ გავემართეთ. მცირე ხნის შემდეგ შტორმმა დაიწყო და სახლში დაბრუნება გადავწყვიტეთ. მახსოვს, მეგობარს რომ ვთხოვე, თუ წინააღმდეგი არ იყო, მდინარე ოჰაიოს ხიდზე გადავსულიყავით და ისევ უკან დავბრუნებულიყავით. ამ შემთხვევაში შემეძლო მეთქვა, რომ ოჰაიოს შტატის ფარგლებს გავცდი. იმ დღეს პირველად

აღმოვჩნდი კენტუკიში. ოჰ, როგორი დაცული ცხოვრება მქონდა! ბევრი რამ მართლაც საოცარი იყო, მაგრამ ვერც კი ვაცნობიერებდი, რამდენ საქმეში მაბრკოლებდა.

ალბათ, მიხვდით, რომ გარეთ ყოფნა ძალიან მიყვარდა. მოზარდობისას იმაზე მეტ სასჯელს ვერ დამაკისრებდით, ვიდრე სახლში ჯდომა იყო. მე გარეთ ვცხოვრობდი! მეექვსე კლასში ვიყავი, ნადირობა რომ დავიწყე. იმიტომ არა, რომ მამაჩემიც ნადირობდა. პაპა რომ გარდაიცვალა, მის სარდაფში დავბორიალობდი და იქ 65-წლიანი ძველი თოფის ნაწილებით სავსე მუყაოს ყუთი აღმოვაჩინე. მამას მისი აღების ნებართვა ვთხოვე. ისე დამთანხმდა, რომ არც უფიქრია იმ ნაწილებისგან თოფის აწყობას თუ შევძლებდი, მაგრამ შევძელი. ვფიქრობ, ცოტა არ იყოს, გაოგნებული დარჩა, როცა ერთ დღესაც იარაღი წარვუდგინე, ვაჩვენე, რომ შევაკეთე და ვარგისიანობის შესამოწმებლად გასროლა ვთხოვე. გაოცებული დავრჩი – ვიმეორებ, რომ შოკირებული ვიყავი, როცა მისი თანხმობა გავიგონე. ეს ამბავი გუშინდელ დღესავით ნათლად მახსოვს.

მან 12-კალიბრიანი ძველი მასრები იპოვა. წარმოდგენა არ მქონდა, რაში სჭირდებოდა მათი შენახვა - იარაღი ხომ არ ჰქონდა! მაშინ მასრებს ქაღალდისგან ამზადებდნენ ახლანდელი პლასტმასის ტყვიებისგან განსხვავებით. სახლის უკან გავედით. მამამ ჯოხზე ქილა წამოაცვა, 40 იარდით დაიხია და გაისროლა. რამდენიმე გასროლის შემდეგ დამიძახა და მითხრა, რომ თოფი ჩემი იყო, რახან მისი აწყობა მოვახერხე. თუმცა გამოყენება არ შემეძლო, სანამ ნებას არ დამრთავდა. მაშინ გავიფიქრე, რომ მამა გაბედული კაცი იყო, სასხლეტს თითი რომ გამოკრა. ის თოფი დღემდე მაქვს.

თოფის მიღებით ჩემ წინ ახალი სამყარო გადაიშალა. შემოდგომა იდგა და ნადირობის სეზონი ახალი გახსნილი იყო. ჩემი რამდენიმე კლასელი კურდღლებზე ნადირობას აპირებდა და ვინაიდან თოფი უკვე მქონდა, მეც მინდოდა მეცადა. მამამ იმ შემოდგომას კიდევ უფრო გამაკვირვა. მასთან საუბარი წამოვიწყე, რომ კურდღლის მონადირება მაინტერესებდა და მაშინვე დამთანხმდა. გაოგნებული დავრჩი!

სოფელში ვცხოვრობდით და იმ დროს ჩვენ ირგვლივ მეზობლები არ იყვნენ. მამამ მითხრა, რომ შემეძლო ჩემით წავსულიყავი სახლის უკან პაპას ფერმაში! ამიხსნა, რომ

კურდღდლებს მესერის რიგებში დამალვა უყვართ. ისიც გავიგე, რომ მწყერის სეზონი ყოფილა და მათაც იქვე ახლოს ვიპოვიდი. იმ შუადღეს ერთი კურდღელი და ერთი მწყერი მოვინადირე. იქიდან მოყოლებული ნადირობამ გამიტაცა!

ყველა სამონადირეო ჟურნალი გამოვიწერე, რაც კი შესაძლებელი იყო. მქონდა *Outdoor Life, Sports Afeld, Field & Stream, Fur-Fish-Game* და კიდევ რამდენიმე სხვა. ყველა მონათხრობს აღტაცებით ვკითხულობდი. მაშინ *Cabela*-ს სპორტული ნივთების მაღაზია ან Walmart არ არსებობდა, მაგრამ გვქონდა *Herter*-ის კატალოგი, რომელიც *კაბელა*-ს ეკვივალენტური გახლდათ და იქ წარმოდგენილი საუცხოო საგნები ჩემს წარმოსახვას აღაგზნებდა. ჩემი ეგზემპლიარი სკოლაში მიმქონდა და იქ დარბაზში ვათვალიერებდი.

ამ ისტორიას ერთი სუსტი მხარეც აქვს. მინდა ამას ხაზი გავუსვა! ხსენებული ჟურნალები ყოველთვიურად მომდიოდა სკოლის საშუალო საფეხურზე სწავლის განმავლობაში, შემდეგ კიდევ ოთხი წელი – უფროს კლასებში სწავლისას, როცა ჯერ კიდევ სახლში ვცხოვრობდი და მამას ვეხმარებოდი. ერთხელაც არ მიფიქრია, რომ იქ ნანახ ადგილებში წავიდოდი და ამას თუ იმას გავაკეთებდი. ერთხელაც არა! ასეთი აზრი თავში არ მიჭაჭანებდა. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიებს უდიდესი აღფრთოვანებით და გატაცებით ვკითხულობდი, მას შემდეგაც კი, რაც საკუთარი მანქანა ვიყიდე და საკუთარი ფული გამიჩნდა, არც კი მიფიქრია წაკითხულის ნაწილი გავმხდარიყავი.

შესაძლოა, იფიქროთ, რომ *ეს უცნაურია*. როცა უკან ვიხედები, გეთანხმებით, რომ ეს მართლაც უცნაურია. რატომ არასდროს მინატრია იმ საქმეების კეთება, რომლებზეც ვკითხულობდი ან რატომ არ უნდა წავსულიყავი კლდოვან მთებში? ბოლოს და ბოლოს, იქ მოხვედრა ხომ ადვილი იყო? შტატებშორისი გზა № 70 კოლუმბუსის გავლით და შემდეგ პირდაპირ დენვერისკენ. და მაინც, ერთხელაც არ მომსვლია აზრად იქ წასვლა. რატომ? ამ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს.

არ ვიცოდი, რომ შემეძლო.

არ მითქვამს, რომ ეს შეუძლებელი იყო. ვთქვი, რომ არ ვიცოდი, თუ შემეძლო. ვიცი, რაც ახლა გაიფიქრეთ: *ეს კაცი ჭკუაზე ვერ არის და მგონი, ფული ტყუილად გადავყარე ამ წიგნის შესაძენად.* ნება მომეცით, განვმარტო! ჩემი

აზრით, არასოდეს დამისახია საკუთარი თავი იმ ამბებისა და სურათების პერსონაჟად, რომელთაც ვკითხულობდი. ჩემი მშობლები არ მოგზაურობდნენ და მოზარდობისას ფინანსების დაზოგვა გვიხდებოდა, ამიტომ „ჰო“-ზე მეტად „არა“-ს თქმა ვისწავლე. *არაში განსწავლულობა* იმდენად მყარი გამოდგა, რომ საწინააღმდეგო მოსაზრება თავში არ მომდიოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, სადმე წასვლის შესაძლებლობაზე უარს ვამბობდი, როგორც ჩემი ვითარებისთვის მიუღებელს და რაიმე ნაბიჯის გადადგმა აზრადაც არ მომდიოდა. სრულიად მესმის იმ ადამიანების, რომლებიც თავის დასაწყისში ვახსენე. ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავიმეორო გამოკითხვის შედეგები!

„რესპოდენტთა 85 პროცენტმა თქვა, რომ მოგზაურობის სურვილი აქვს, ხოლო 60 პროცენტზე მეტს იმ ადგილების ჩამონათვალიც შეუდგენია, რომელთაც სიამოვნებით მოინახულებდა.“

შეჩერდით! ოთხმოცდახუთ პროცენტს მოგზაურობა სურდა და სამოც პროცენტს უკვე შერჩეული და ჩამოწერილი ჰქონდა სასურველი ადგილები? მაშ რატომ არ წავიდნენ? აჰ, გამახსენდა, რომ გამოკითხვის თანახმად მიზეზი ფინანსურ ხელმოკლეობაში იყო. იცით, ასე ვიტყოდი, რომ ეს გასამართლებელი მიზეზი გახლდათ; ფულის ნაკლებობა სულაც არ არის მთავარი“.

ეს სრულიად ახალი შვინის 10-სიჩქარიანი ველოსიპედის ყიდვას ჰგავს. მინდოდა ის და გზაც ვიპოვე საყიდლად საჭირო ფულის გამოსამუშავებლად. ყოველთვის, როცა იმ ველოსიპედზე ვფიქრობდი, წარმოვიდგენდი, როგორ ვზივარ მასზე და რა დიდებული იქნებოდა მისი ქონა. იმ გამოკითხვის რესპოდენტებსაც ჩემნაირად ახარებდათ ჟურნალებში ნანახი ადგილები და განცდები, მაგრამ თავი ვერ წარმოიდგინეს იქ. დიდი სურვილი რომ ჰქონოდათ, ყოველ ღონეს იხმარდნენ იქ წასასვლელად.

მოდით, თვალი გავუსწოროთ რეალობას: მყავდა ავტომობილი, მქონდა ფული და თუ ეს იყო პრობლემა, შემეძლო შტატის პარკში 5 დოლარად გამეთია ღამე. სამწუხაროდ, 40 წლის ვიყავი, როცა პირველად ვნახე კლდოვანი მთები. იმის თქმა, რომ აღფრთოვანებული დავრჩი, არაფრის თქმის ტოლფასია. ის კი მახსოვს, როგორ ვფიქრობდი იქ ყოფნისას: *ადრე რატომ არ მოვედი ამ მთების სანახავად?*

წინამდებარე წიგნს *დაუსრულებელი საქმე* ვუწოდე. ლაპარაკია, ისეთი ადგილის მონახულებაზე, რომელიც უკვე ნანახი უნდა გქონდეთ, მაგრამ იგივე მიზეზებით, რომელთა გამოც მთებამდე ვერ მივაღწიე, თქვენც ყოყმანობთ. *არაში* წვრთნამ გითხრათ, რომ თავს ამის უფლება არ უნდა მისცეთ ან არ იცით, როგორ მოახერხოთ ან ბევრი სხვა მიზეზი რიგითი, საშუალო სტატისტიკური ადამიანის ჩარჩოებში დარჩენას გირჩევთ. შესავლიდან მინდა შეგახსენოთ, რა მითხრა უფალმა: „მინდა, რომ ტოპ-ათეულში იყო; მინდა, რომ 100 000-იანი ბონუსი მიიღო; მინდა რომ ადამიანები ჩემს სიდიადეს ხედავდნენ შენში!“

ჩემი სათქმელი ასეთია: „თქვენ რატომ არა?“

ვფიქრობ, არსებითი მნიშვნელობა აქვს შეჩერებას და ერთი კითხვის დასმას საკუთარი თავის მიმართ, სანამ ამ წიგნში წინ წავიწევდეთ და რჩევებს მოგცემდეთ თქვენი ცხოვრების ან მიზნების ასაჩქარებლად:

„სად მინდა წასვლა?“

სანამ პასუხს *არაში წვრთნის* ფილტრში გაატარებთ, რომელიც უფრო *უარს* გათქმევინებთ, ვიდრე *კის*, ერთი საკითხი განვმარტოთ. არ გეკითხებით, როგორ განახორციელებთ ამ ამბავს ან როგორ გადაიხდით. უბრალოდ, კითხვას გისვამთ: „რის გაკეთება გსურთ?“ ვიცი, რომ აქამდე ჩვენი მსჯელობა მეტად მარტივი ჩანდა, მაგრამ ეს გარკვეულ პოზიციას ქმნის იმ ყველაფრისთვის, რაც შემდეგში მოხდება და მომდევნო კითხვისთვის გვამზადებს: „რამდენად სწრაფად გინდათ იქ მოხვედრა?“

1800-იან წლებში ადამიანებს მოგზაურობის ბევრი ვარიანტი არ ჰქონდათ - მხოლოდ ცხენი. თუ ვინმეს მდინარე მისურიდან კალიფორნიის საკრამენტომდე მიღწევა სურდა, 4-დან 6 თვემდე დასჭირდებოდა. მაშინ უსაფრთხოებისა და მეგობრობის მიზნით ჯგუფურად მოგზაურობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეს ე. წ. დახურული ფორნით ხდებოდა. ფორნების მწკრივი დღეში 12-დან 15 მილამდე მანძილს ფარავდა, ამიტომ მოგზაურობა ხანგრძლივი და სახიფათო გახლდათ. გზაზე მჩქეფარე მდინარეები და მაღალი მთები ხვდებოდათ. ასევე იყვნენ ინდიელები, რომლებსაც უნდა დაპირისპირებოდნენ. 1835 წლიდან 1855 წლამდე ასეთ ხანგრძლივ მგზავრობებში 10 000

ადამიანი დაიღუპა არა ინდიელთა თავდასხმის, ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის შედეგად, თუმცა ინდიელებმაც იმსხვერპლეს 4 პროცენტი.[2]

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ ბოლო საფორნე მატარებლის სარეკლამო ბროშურა თვალისმომჭრელი ფოტოებით და წარწერით – „ბოლო 20 წელიწადში მხოლოდ 10,000 ადამიანი დავკარგეთ და ვამაყობთ, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ინდიელთა თავდასხმებმა, სულ რაღაც, 4 პროცენტი იმსხვერპლა“? რამდენი თქვენგანი მოისურვებდა გამგზავრებას? ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ ასეთი სტატისტიკის გაცნობის შემდეგ ჭკუათმყოფელი ადამიანი სახლიდან ფეხს არ გაადგამდა. ასობით ათასი მიემგზავრებოდა. ყველანი ვთანხმდებით, რომ მოგზაურობა მართლაც სახიფათო იყო. მაშ, რატომ მიდიოდნენ ასეთ რისკზე? მარტივი პასუხია უკეთესი ცხოვრების ძიება, ახალი მომავლის შექმნა. ისინი თქვენგან არაფრით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ცვლილებების დიდი სურვილი ამოძრავებდათ და ეს ყველა იმ პრობლემას აღემატებოდა, რასაც გზაზე გადააწყდებოდნენ. მოგზაურობის მეორე და უკეთესი გზა გემით მგზავრობა გახლდათ. ალბათ, მაშინდელი მკვიდრები მას საუკეთესოდ მიიჩნევდნენ კომფორტის თვალსაზრისით. ვგულისხმობ პანამის გავლით მოგზაურობას. არა პანამის არხით, არამედ პანამის გავლით. გემში უნდა ჩამჯდარიყავით შეერთებული შტატებისა და ცენტრალური ამერიკის აღმოსავლეთით და ქვემოთ დაშვებულიყავით, სანამ პანამას არ მიაღწევდით. შემდეგ თქვენს ბარგს გადმოალაგებდით და პანამის ვიწრო ნაწილზე ფეხით გადაიტანდით წყნარ ოკეანემდე, სადაც მეორე გემზე ახვიდოდით, რომელიც კალიფორნიამდე მიგიყვანდათ. მგზავრობას ოთხი თვე სჭირდებოდა.

თუ რაიმე მიზეზის გამო შხამიან გველებს ვერ იტანდით ან მალარიის და სხვა მომაკვდინებელი დაავადებების გეშინოდათ, სამხრეთ ამერიკისთვის უნდა შემოგევლოთ. თუმცა ამ მიმართულებით გამგზავრებული გემების უმეტესობა დანიშნულების პუნქტამდე საშინელი ქარიშხლების გამო ვერ მივიდა, რომელიც კეიპ ჰორნის შემოგარენს ახასიათებს.

სულ ეს არის! ჩემ მიერ ჩამოთვლილი მგზავრობის ხერხები 1800-იანი წლების მწირ არჩევანს შეადგენდა, სანამ რკინიგზა არ

2. “What Is the California Trail?” https://lisbdnet.com, February 6, 2022

გაიყვანეს. შემდეგ შესაძლებელი გახდა ტრანსკონტინენტური სარკინიგზო ქსელით სარგებლობა. ამან თამაშის წესები დიდად შეცვალა. მისურიდან კალიფორნიამდე ოთხთვიანი მგზავრობის ნაცვლად ადამიანს მხოლოდ ერთი კვირა სჭირდებოდა! მოდით, შევჩერდეთ და დავფიქრდეთ! ოთხი თვე თუ ერთი კვირა? რომელს აირჩევდით? ვფიქრობ, ყველაფერი ცხადია.

რასაკვირველია, საავტომობილო გზები და თანამედროვე ავტობანები ამ დროს 42 საათამდე ამცირებს და მთელი ქვეყნის გადასერვას ახერხებთ. თანამედროვე რეაქტიული თვითმფრინავებით იგივე მანძილს 4-5 საათში დაფარავთ. მაშ, რომელი გზით გსურს მგზავრობა? ავიაფრენების სისწრაფის მიუხედავად, ამერიკელთა 50-60 % წელიწადში ერთხელაც კი არ ყიდულობს თვითმფრინავის ბილეთს. საშუალო ამერიკელი წელიწადში 1.5-ჯერ დაფრინავს.[3]

დიახ, ამერიკის გადასერვა რომ მომესურვებინა, ველოსიპედის გამოყენება შემეძლო, რაც რიგითი ადამიანისთვის 65-დღიანი მგზავრობის ტოლფასი იქნებოდა. თუმცა ამას გადაადგილების საშუალებას კი არა თავგადასავალს ვუწოდებდი საკუთარი არჩევნით. ნება მიბოძეთ, ჩემი აზრი გამოვთქვა: ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი წელიწადში ერთხელაც კი არ დაფრინავს! ისინი ისევ 1800-იან წლებში ჩარჩნენ და ავტომობილით, გემით და ველოსიპედით მოგზაურობენ. ამას კიდევ არა უშავს, თუ დრო გაქვთ. ჩანს, მათ მართლაც აქვთ დრო!

ამასწინანდელი გამოკითხვის თანახმად, ამერიკელების 50 % ხუთიდან ექვს საათამდე დროს ტელეფონზე საუბარში ატარებს და ამაში საქმესთან დაკავშირებული ზარები არ შედის. კიდევ 22 % სატელეფონო ლაპარაკს სამიდან ოთხ საათამდე დროს უთმობს.[4]

ისმის კითხვა: ეს დროის სიჭარბის ბრალია თუ მიზეზი ხედვის უქონლობაა?

მცირე ხნით დროზე მინდა ვისაუბრო. მოყვანილი სტატისტიკა გვაჩვენებს, თუ რამდენ დროს ვკარგავთ ყოველდღურად. რაღაც მიზეზით ვფიქრობთ, რომ ქვეყნიერების მთელი დრო ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ ასე არ გახლავთ. ამ პლანეტაზე ჩვენი საქმის

3. Douglas Adolph, "How Many Times Does the Average American Fly in a Year?" https://www.quora.com, January 6, 2018

4. L. Ceci, "Average Time Spent Daily on a Smartphone in the United States 2021," https://www.statista.com/statistics/1224510, February 25, 2022

შესასრულებლად ძალზე შეზღუდული დრო გვაქვს მოცემული. ყველას გამოგვიყვეს ცხოვრების დასაწყისი და დასასრული. ამ ორ მარკერს შორის განვითარებული მოვლენები განსაზღვრავს, ნამდვილად ვიცხოვრეთ თუ არა სწორი პრიორიტეტებით და შევასრულეთ თუ არა ღვთისგან მოცემული დავალებები.

ახლა, როცა ამ წიგნის ფურცლებს კითხულობთ, მოძრაობთ. დედამიწა საათში 1 042 მილის სიჩქარით ბრუნავს, ხოლო მზის გარშემო საათში 67,000 მილს გადის. თავად მზის სისტემა ირმის ნახტომის გალაქტიკასთან ერთად ტრიალებს საათში 483,000 მილის სიჩქარით, თუმცა ისეთი შეგრძნება გაქვთ, რომ ადგილიდან არ იძვრით.[5] [6] [7]

ხედავთ? დრო არ არსებობს სტაციონარული საყრდენი წერტილის გარეშე. როცა ავიალაინერით 36,000 ფუტის სიმაღლეზე დაფრინავთ, ქვემოთ მდორედ ცვალებადი ლანდშაფტების ცქერისას ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს სწრაფად საერთოდ არ მოძრაობთ. როცა დაბლა ეშვებით და აეროპორტს უახლოვდებით, გეჩვენებათ, რომ სიჩქარეს უმატებთ და მიწა უფრო სწრაფად მიქრის. თუმცა თვითმფრინავი იგივე სიჩქარით მოძრაობს. უბრალოდ, ახალი პერსპექტივა გაჩნდა, რომლის მიხედვითაც სიჩქარე შეაფასეთ. როცა თვითმფრინავი დასაშვებ ზოლს მიუახლოვდება და მასზე გაექანება, მაშინ მიხვდებით, რამდენად სწრაფად მოძრაობდით.

ჩვენს ცხოვრებაშიც იგივე ხდება. მიზნების, დანიშნულების გარეშე ვერ შევაფასებთ ჩვენს წინსვლას. მოდი, ასე ვიტყვი:

მიზნის გარეშე დაუყოვნებლობის განცდაც არ არსებობს!

მიზანი სავალ ბილიკს საზღვრავს და დანიშნულების პუნქტამდე მისვლის დაჟინებას წარმოშობს.

1400 მილით დაშორებულ პუნქტამდე ავტომობილით გამგზავრება ნაკლებად ხელსაყრელი ჩანს, როცა მიზანი სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვს, მაგალითად, თვითმფრინავით გადაფრენას. ეს წიგნი აჩქარებაზეა, მაგრამ არაფერში გამოგადგებათ, თუ არ გექნებათ სისწრაფის მოთხოვნილების განმსაზღვრელი ორიენტირი, რომელიც წინსვლას დააფიქსირებს.

---

5. Ethan Siegal, “How Fast Does the Earth Move?” www.bigthink.com, March 16, 2022
6. “How Fast Is the Earth Moving Around the Sun?” www.wtwshow.com
7. Andrew Fraknoi, “How Fast Are You Moving When You Are Sitting Still?” Foothill College & the Astronomical Society of the Pacifc, https://nightsky.jpl.nasa.gov, spring 2007

მიზანი სავალ ბილიკს საზღვრავს და დანიშნულების პუნქტამდე მისვლის დაჭინებას წარმოშობს.

სტატისტიკა, რომელიც ტელეფონთან დაკავშირებით მოგაწოდეთ, მაჩვენებს, რომ ადამიანთა უმრავლესობას არსად ეჩქარება, მიზანი არ გააჩნია და არც ცხოვრების აჩქარება სურს დიდი მომავლის მისაღწევად. გარკვეული მიზეზების გამო, ისინი ცხოვრების სუპერთასების გათამაშებას მაყურებლების რანგში ესწრებიან ან ეკრანების წინ სხედან და გულისგამგმირავ რომანტიკულ სცენას უყურებენ ისე, რომ ერთხელაც არ ერთვებიან თამაშში და არც ნამდვილი კოცნის გემო აინტერესებთ.

თქვენი სურვილის სიჯანსაღის ნამდვილი ნიშანია საკუთარი თავისთვის კითხვის დასმა, თუ რას აკეთებთ პრაქტიკულად. ნება მომეცით, სათქმელი სხვაგვარად გადმოგცეთ: თქვენი პრაქტიკული ნაბიჯები მაჩვენებს, საით მიდიხართ. თუ დიდი პიანისტი უნდა გახდეთ, ტელეფონზე საუბარში არ დაკარგავთ დღეში 5-6 საათს. აღმოვაჩინე, რომ ადამიანთა უმრავლესობას არ აქვს ეს დაუყოვნებელი მოქმედების განცდა და ბევრ შესაძლებლობას ხელიდან უშვებს, რომელთაც მათ ცხოვრებაში რეალური ცვლილების მოტანა შეუძლია. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ამ შესაძლებლობებს ვერ ხედავენ.

ოდესმე ჰამბურგერი მოგიმზადებიათ? დარწმუნებული ვარ, რომ კი. ამის გაკეთება საკმაოდ ადვილია. მაშ ასე, მაკდონალდსმა აიღო ეს უმარტივესი კონცეპცია და მთელ იმპერიად აქცია. ოდესმე მოგიმზადებიათ მაკდონალდსის პროდუქტზე უკეთესი ჰამბურგერი? ამაშიც დარწმუნებული ვარ. და მაინც, ისინი უკვე მსოფლიოს 120 ქვეყანასა თუ ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ და ყოველდღიურად 68 მილიონ მომხმარებელს ემსახურებიან! მსოფლიოს მასშტაბით 36 899 რესტორანი აქვთ და 375 000 ადამიანს ასაქმებენ.[8]

რას იტყვით საბვეიზე? ყველას შეუძლია მათნაირი სენდვიჩის გაკეთება, მაგრამ მათ 42431 მაღაზია აქვთ 108 ქვეყანაში.[9]

უბერი 2009 წელს დაარსდა, სულ რაღაც 13 წლის წინ და 2021 წელს უკვე 86 მილიარდი ღირდა. კომპანია ორი მამაკა-

8. "How many McDonald's Locations Are There in the WWorld?", https://www.worldatlass.com
9. "SWOT Analysis of Subway | Subway Strengths and Weakness, Opportunities and Treat," https://biznewske.com, February 25, 2022

ციდან დაიწყო და არა იმიტომ, რომ პირადი მგზავრობა გაეადვილებინათ. არა, მათ უბერი იმ განზრახვით დაიწყეს, რომ მოგზაურობის საკითხში გადატრიალება მოეხდინათ. ისინი 12 წელიწადში უკვე 80 ქვეყანაში შევიდნენ![10]

როგორ ახერხებენ ამას კომპანიები? მარტივად რომ ვთქვათ, ისინი მიზნად არ ისახავენ ერთი ჰამბურგერის მომზადებას. რატომ ვახსენე ისინი? ცხადია, რომ მათ კარგად იცოდნენ დროისა და დაუყოვნებელი მოქმედების ფასი. მათ გეგმა ჰქონდათ.

დღეს ნებისმიერ ახალგაზრდას შეუძლია მაკდონალდსში ნაწილობრივი სამუშაოს შოვნა და ფულის გამომუშავება. ეს საწყისი ნაბიჯია სხვა საფეხურზე ასასვლელად, მაგრამ იქ ყოფნისას ყოველთვის უკვირთ და სწავლობენ, როგორ მოახერხა მაკდონალდსმა გამხდარიყო ის, რასაც დღეს წარმოადგენს? ისინი შენიშვნებს უნდა იწერდნენ, თუ როგორ აკეთებენ, რას აკეთებენ და რატომ აკეთებენ. ეს უფრო გამოადგებათ, ვიდრე კოლეჯის განათლება.

ზუსტად ეს შეემთხვა კორდია ჰარინგტონს, სამი ბიჭის მარტოხელა დედას, რომელიც უძრავი ქონების სფეროში მუშაობდა და უფრო სტაბილურ საქმეს ეძებდა. მისი აზრით, მაკდონალდსის ფრანშიზას შესყიდვა დროს გამოუთავისუფლებდა, რომ ბავშვებისთვის მეტად მიექცია ყურადღება. საბოლოოდ, ის სამი საწარმოს მფლობელი გახდა. იმ დროისთვის მაკდლონალდსი კიდევ ერთი საცხობის გახსნას გეგმავდა და კორდია ფუნთუშების კომისიაში ჩასვეს. მისი დავალება იყო ფუნთუშებზე ინფორმაციის მიწოდება, რომლებითაც მაკდონალდსი მილიონობით ადამიანს ემსახურებოდა – როგორი გემო ჰქონდა და როგორ მზადდებოდა. ის ბევრ ჩანაწერს აკეთებდა.

მართალია, ქალი მაკდონალდსის დასახმარებლად მუშაობდა ფუნთუშების პროექტში, მაგრამ თავისთვისაც ბევრ შენიშვნას იწერდა. ის გრძნობდა, რომ კომპანიის მიერ შეთვალიერებულზე უკეთესი საცხობის გახსნა შეეძლო. მან მაკდონალდსს თავისი გეგმები წარუდგინა, რომელმაც ისინი უარყო. თუმცა ოთხი თვისა და 32 ინტერვიუს შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ფუნთუშებს მისგან იყიდიდნენ. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მას საცხობი

10. Dan Blystone, “Te Story of Uber,” https://www.investopedia.com/articles/perso al-fnance/111015/story-uber.asp, updated September 19, 2021

ჯერ არ ჰქონდა და თანხის სესხება მოუწია ერთის ასაგებად, რომელმაც მისი სიტყვებით, მთლიანად თავის კონტროლქვეშ მოაქცია. გრძელი ამბავი რომ შევამოკლოთ, ფუნთუშები, რომელთაც დღეს *მადლონალდსში*, *ჩილიში*, *რაბი თიუსდეიში*, *კეიეფსი*-სა და *პეპერიჯ ფარმში* მიირთმევთ, მის საცხობში, *ტენესი ბან კომპანიშია* გამომცხვარი. კომპანია ცნობილია, როგორც მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ავტომატიზირებული საცხობი, რომელიც ყოველდღიურად 9 მილიონ პურფუნთუშეულ პროდუქციას აწვდის 1500 მომხმარებელს. დიახ, სწორად წაიკითხეთ![11]

ასეთი ისტორიები თავისთავად არ ხდება, როგორც იცით. ამას ბევჯითი შრომა და წარმატებისთვის საჭირო ხედვა სჭირდება. ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ამ ქალს დაჟინებაც ჰქონდა და ოცნების განხორციელებისთვის საჭირო დაუყოვნებლობის განცდაც. ის არ აპირებდა დროის ფლანგვას. მოდით, იმ მიზეზს დავუბრუნდეთ, რის გამოც ეს წიგნი ხელში აიღეთ. დავუბრუნდეთ პირველ კითხვას.

სად გინდათ, წახვიდეთ?

ამ კითხვაზე წრფელი პასუხი შეიძლება ერთი სიტყვით გამოიხატოს – ნდომა. სად „გინდათ“ წასვლა? წარსულში *კიზე* მეტად *არას* თქმის ჩვევა არსებობისთვის ბრძოლასა და უფერულ ცხოვრებაში გამწყვდევდათ. ახლა არჩევანი გაქვთ. მოდით, ავიღოთ *Outdoor Life*-ის ჟურნალები და ხელახლა გადავიკითხოთ მისი ისტორიები, მაგრამ ამჯერად გაიაზრეთ, რომ ამის გაკეთება შეგიძლიათ, იქ წასვლა შეგიძლიათ. თქვენი თავი იმ ადგილას წარმოიდგინეთ. საკუთარ თავს ოცნების უფლება მიეცით!

11. Tatiana Morales, “How She Became ‘Te Bun Lady,’” cbsnews.com, May 18, 2005

თავი 2

მონები არ ოცნებობენ

დარწმუნებული ვარ, უფრო მეტად დაფიქრდით ჩემს ნათქვამზე პირველ თავში, თუ სად გინდათ წასვლა. ჩანს, რომ ადამიანები წრეზე ტრიალებენ და დღის ბოლოს ბორბალში მოტრიალე ზაზუნას მსგავსად ჩერდებიან სირბილისგან დაღლილები. შემდეგ მოიხედავენ და აღმოაჩენენ, რომ არსად უმოგზაურიათ. ეს წიგნი აჩქარებაზეა და მთელი ამ პროცესის დასაწყისი მდგომარეობს სასტარტო მიმართულების დადგენაში. რასაკვირველია, ვაცნობიერებ, რომ ხშირად არც კი ვიცით, სად გვინდა წასვლა! კიდევ ვიმეორებ, რომ ამის მიზეზი *კიზე* მეტად *არას* თქმის ჩვევაა. საკუთარ თავს ოცნების ანუ როგორც ადრე ვთქვი, იმ მოელვარე ფოტოს გარემოში აღმოჩენის, ჩვენი მომავლის წარმოდგენის უფლებას არ ვაძლევთ.

როცა მე და დრენდა ვალებში ვიხრჩობოდით, ხოლო მე ანტიდეპრესანტებზე ვიჯექი და პანიკური შეტევები მქონდა, დიდად არ მიფიქრია, სად მინდოდა წასვლა. ეს არ მადარდებდა. ვცდილობდი კიდევ ერთი კვირით გადავრჩენილიყავი. ჩემი მიზანი სახლის ქირის გადასახადის კიდევ ერთხელ დაფარვა, სურსათის შეძენა და კომუნალურების გადახდა იყო, რომ დენი არ ჩაეჭრათ. ასეთია სტრესული ვითარება, რომელშიც მრავალი ადამიანი ცხოვრობს. მათ უსახლკარობას ერთი ქვითარი აშორებთ. ისინი დაუცველები არიან. ბიბლია ამაზე იგავთა წიგნში ლაპარაკობს.

> *მდიდარი ღარიბზე ბატონობს, მსესხებელი კი გამსესხებელს ემონება.*
>
> – იგავები 22:7

მონები არ ოცნებობენ. მათი ოცნება არის შეჩერება და არა წასვლა. მონებს არჩევანიც არ აქვთ. მათ საკეთებელი საქმე მისცეს. დარწმუნებული ვარ, რომ მოგისმენიათ თანამედროვე მონის წუწუნი: „სამსახურში უნდა წავიდე!“ გამიგონია, რომ ამერიკელების 80 %-ს თავისი სამუშაო არ მოსწონს, ხოლო 33 %-ს რეალურად ეზიზღება ის.[12] მიზეზი? ისინი მრგვალ ღერძს გვანან ოთხკუთხა ხვრელში; სათანადოდ ვერ ერგებიან. ისინი სამუშაოს გატაცების მიხედვით არ ირჩევენ. მუშაობენ ანაზღაურების მისაღებად გადარჩენის აზროვნებით. ამის გამო ემოციურად ავად არიან.

ოდესმე გაგიგონიათ ასეთი ნათქვამი: „ფუ, დღეს სათევზაოდ წასვლა მიწევს“? ნაკლებ სავარაუდოა! მათ მოსწონთ სათევზაოდ წასვლა. რა საოცარი იქნებოდა, ისევე ძლიერ რომ გყვარებოდათ თქვენი სამუშაო, როგორც რომელიმე ჰობი და ასე გეთქვათ: „ერთი სული მაქვს, როდის მოვა ორშაბათი!“ ვიმეორებ, რომ ადამიანთა უმრავლესობისთვის რეალური ცხოვრება სხვანაირია. თუმცა ღმერთმა სწორედ ამგვარად ფუნქციონირებისთვის შეგქმნათ. მან თქვენში უნიკალური ტალანტები და უნარები ჩადო, რომ გატაცებებსა და მიზნებში წარმატებისთვის მიგეღწიათ. ადამიანთა უმეტესი ნაწილისთვის ხედვა გადასახადების გადახდის შესაძლებლობამ ჩაანაცვლა. ახლა მონობა ამერიკული ცხოვრების სტილია. ვალები ჩვენს თავისუფლებას იპყრობენ და ოცნებებზე უარის თქმას გვაიძულებენ.

თუ ჩემი ისტორია თქვენთვის ნაცნობია სხვა წიგნებიდან, გეხსომებათ, რომ ასე ვიარსებე ცხრა წელი – ფინანსური ჯოჯოხეთის ცხრა წელი. ისე ვცხოვრობდი, თითქოს უსახლკარო ობოლი ვყოფილიყავი. დაცულობა არსად იყო. ანგარიშების გროვები იზრდებოდა და ტელეფონის ზარი არ წყდებოდა, რომ ჩემგან ის მიეღოთ, რაც არ მქონდა. ფულს ვსესხულობდი მშობლებისგან, ცოლის მშობლებისგან, ლომბარდებიდან და ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო. გადასახდელი მქონდა 10 საკრედიტო ბარათის დავალიანება, საშემოსავლოს ყადაღა, ფინანსური კომპანიებიდან გამოტანილი სესხები, მანქანის გადასახადი და ვადაგადაცილებული ქირა. საქმე ისე ცუდად მიდიოდა, რომ შიშმა შემიპყრო. სახლიდან გამოსვლაც კი

12. Ken Keis, Ph.D., “Why Do People Hate Their Jobs?” Linkedin.com, October 6, 2014

მაფრთხობდა. უნდა ვაღიარო, რომ აზრზე მოსვლამდე ბევრჯერ დავსვი კითხვა: „ღმერთო, სად ხარ?“

როცა ადამიანები ჩემს ამბავს ისმენენ, ხშირად ასე ამბობენ: „კარგია, რომ ამ ყველაფრის გავლამ ქრისტესთან მოგიყვანა“. ბევრმა არც იცის, რომ მე და დრენდა უკვე ქრისტიანები ვიყავით, როცა ასეთ უბედურ დღეში ჩავვარდით. ძველი აღთქმის ღვთისმეტყველების ბაკალავრი ვიყავი და ჩემს ანგარიშზე ბიბლიის კოლეჯის ერთი წელიც იყო. დიდ ეკლესიაში დავდიოდით, სადაც ყოველ კვირას ვისმენდით ღვთის აღთქმების შესახებ, მაგრამ რაღაც არ გამოდიოდა და რიგზე ვერ იყო. იმ დროს ძველ, 1853 წელს აშენებულ ფერმაში ვცხოვრობდით. ყველაფერი დამტვრეული გახლდათ. გზაზე ვიპოვეთ ბიჭების ოთახში დასაგები ხალიჩა. მათი საწოლების მატრასები მოხუცთა თავშესაფრის ნაგავსაყრელზე ავიღეთ. ჩვენი საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20 წლის წინანდელი იყო. ავტომობილები ძლივს მოძრაობდნენ.

ყოველ ახალ დღეს ფინანსური სტრესი და ზეწოლა მოჰქონდა. გაყიდვების პოზიციაზე ბევრს ვშრომობდი, მაგრამ მხოლოდ იმას ვახერხებდი, რომ თავი გამეტანა, სანამ მთლად ფსკერზე არ დავეშვი. ვერაფერს ვხდებოდი, რადგან ოჯახის დახმარების იმედი და ლომბარდის სესხები ამოვწურე. ასაღები კრედიტი აღარ იყო. ადვოკატთან სატელეფონო საუბარი მქონდა, რომელიც სასამართლოთი დამემუქრა და პირველად გავიაზრე, რომ ყველაფერი დასრულდა. თავის დაღწევის არანაირი საშუალება აღარ არსებობდა.

ცრემლისღვრით ავედი კიბეზე, საწოლზე დავეგდე და ღმერთს დახმარებისთვის შევღაღადე. წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა გამეკეთებინა. ვიცი, რაც გაიფიქრეთ: *ნუთუ ცხრა წელი იყო საჭირო, რომ ღვთისთვის შემწეობა გეთხოვა?* რა თქმა უნდა, არა. ამჯერად, სრულიად გამოცარიელებული გახლდით. გარი ქისი აღარ დარჩა, რომ კიდევ რაღაც გამოსავალი მოეფიქრებინა. მთელი ცხრა წლის განმავლობაში ამქვეყნიურ სისტემას ვეყრდნობოდი, რომ გარღვევა მოსულიყო. ახლა უკვე აღარაფერი დამრჩა. საწოლზე ცრემლმორეული რომ ვიწექი და დახმარებას ვთხოვდი, მთელი გულით ვევედრებოდი. მისგან უნდა მომესმინა. ის ჩემი ერთადერთი იმედი იყო. აი, ასე გავიგონე მისი ხმა. არაფერი მომისმენია, მაგრამ ისეთი განცდა

მქონდა, თითქოს გავიგონე. მან მითხრა, რომ ასეთ არეულობაში თავი ერთი მიზეზის გამო ამოვყავი: არასოდეს გამომიყვია დრო იმის გასარკვევად, თუ როგორ მუშაობს ღვთის სამეფო.

უნდა ვაღიარო, რომ წარმოდგენა არ მქონდა, რას გულისხმობდა. როგორც გითხარით, ხუთი წელი გავატარე იმის შესწავლაში, თუ როგორ მუშაობს ცათა სამეფო. ასე არ არის? თუმცა სიტყვა *სამეფო* მომეწება. რას გულისხმობდა უფალი? ამ სიტყვას ხშირად როდი ვიყენებდი. ერთი რამ ცხადი იყო: იმ დღეს უნდა გამერკვია, რის თქმა სურდა მას. დაბლა დრენდასთან ჩავედი. ხელები ჩავკიდეთ და ლოცვა დავიწყეთ, რომ ღმერთს ეჩვენებინა, რას გულისხმობდა წელანდელ ნათქვამში. მოვინანიეთ, რომ ჩვენი ფინანსები ქაოსურ მდგომარეობამდე მივიყვანეთ. მოკლედ, მან გვასწავლა, რასაც გულისხმობდა და ამან სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრება.

მის მიერ ნაჩვენები პრაქტიკაში გამოვიყენეთ და ვალებისგან სრულად გავთავისუფლდით ორნახევარი წლის განმავლობაში. მან გვაჩვენა, როგორ დაგვეწყო რამდენიმე ახალი კომპანია და ისეთ წარმატებას მივაღწიეთ, რაც ადრე შეუძლებელი გვეჩვენებოდა. ჩვენი ოცნების სახლის აშენება გადავწყვიტეთ 55-ზე მეტი აკრის ფართობზე. მშვენიერი უჟანგავი ფოლადის მოწყობილობები შევიძინეთ, იატაკები ნამდვილი ხით დავაგეთ, ჭერის კარნიზები გავაკეთეთ და 7 000 კვადრატული ფუტზე მეტი სივრცე შევქმენით ჩვენი ოჯახისა და ოფისისთვის, საიდანაც ჩემს ბიზნესს წარვმართავდი. სიტყვით ვერ აგიწერთ, რა სიხარული მოგვიტანა სამეფოს პრინციპების ჩვენს ცხოვრებაში ამოქმედებამ. ავტომობილებისთვის და ყველა სხვა საჭიროებისთვის ნაღდი ფული გადავიხადეთ. გავთავისუფლდით! ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება უხვად გაღების შესაძლებლობა იყო და ჩვენც მისი წინამძღოლობით ვწირავდით ღვთის სამეფოს მხარდასაჭერად. შესაწირზე რომ ვფიქრობდით, უკვე რამდენიმე ასეული დოლარი კი აღარ მოგვდიოდა თავში, არამედ ასეული ათასები.

რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ეჭვგარეშეა, რომ ჩვენს მიერ დანახული ერთ-ერთი თუ ყველაზე დიდი ცვლილება არა, გახლდათ ოცნების უნარი. ვგულისხმობ, არა მარტო მომდევნო თვის იპოთეკური კრედიტის გადახდას, არამედ მთელი ჩვენი ცხოვრების ოცნებას. გვინდოდა

ადამიანებისთვის გაგვეზიარებინა ის, რაც გავიგეთ და რამაც გაგვათავისუფლა.

სხვათა შორის, თუ ჩვენი ამბის სრული ვერსია და ცათა სამეფოზე ღვთის ნასწავლები გაინტერესებთ, დაწერილი მაქვს ხუთი წიგნისგან შემდგარი სერია - „თქვენი ფინანსური რევოლუცია“. დაბეჯითებით გთხოვთ, რომ ხუთივე შეიძინოთ. გაიხსენეთ, რომ ვალებსა და უიმედობაში ცხრა გრძელი წელი გავატარე, მაგრამ დღეს მილიონერი ვარ. ეს თავისთავად არ მომხდარა; არც ისეთი კარგები ვართ. უნდა ნახოთ, როგორ განვითარდა მოვლენები და ყველაფერი ის, რაც ღმერთმა მე და დრენდას გვაჩვენა. მაშ ასე, მოიპოვეთ ამ წიგნების ეგზემპლიარები. მათი მეშვეობით ისწავლით ღვთის სამეფოს სამოქმედო კანონებსა და პრინციპებს, რომლებიც უნდა იცოდეთ. მიიღეთ ისინი რომელიმე ადამიანისგან, ვინც იქ იყო, მაისური და სურვილები მიიღო, მაგრამ პრაქტიკაში არ გამოუყენებია. კარგი ამბავი ის არის, რომ არც თქვენ გჭირდებათ იქ წასვლა. შესაძლებელია მთელი ნაკრების მიღება ვებგვერდზე: garykeesee.com

საკმარისია ჩემს წიგნებზე ლაპარაკი. ნება მომეცით, იმ მიზეზს დავუბრუნდე, რის გამოც კურდღლის კვალსაც კი მივყევი. ამ თავის დასაწყისში ვთქვი, რომ მე და დრენდა სერიოზულ ვალებში ვიყავით და არც მიფიქრია, საით მივექანებოდი. მეტისმეტად დაკავებული ვიყავით ყველაფერზე *არას* თქმით ისე, რომ *კისთვის* ადგილი აღარ გვრჩებოდა! ამრიგად, კარგად მესმის ახლა თქვენი, როცა არ გაგაჩნიათ ახლანდელი ან სამომავლო მიზანი, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ამ მიმართულების პოვნა გინდათ – და გჭირდებათ კიდეც. ნება მომეცით, ერთი უბრალო განცხადება გაგიზიაროთ, რომელსაც მე და დრენდა წლებია, რაც ვიმეორებთ:

ვერასოდეს აღმოაჩენთ, ვინ ხართ სინამდვილეში და რისთვის ხართ შექმნილი, სანამ ფულის საკითხს არ გადაწყვეტთ.

„ვერასოდეს აღმოაჩენთ, ვინ ხართ სინამდვილეში და რისთვის ხართ შექმნილი, სანამ ფულის საკითხს არ გადაწყვეტთ“.

სანამ ამ საკითხს არ მოაგვარებთ, არსებობისთვის გადარჩენის მონა იქნებით. როგორც ადრე ვთქვი, მონებს დიდი ოცნებები არ აქვთ. ისინი სხვა ადამიანის წისქვილზე ფქვავენ. მათი

ოცნება დასვენებაა და არა წინსვლა. ხედვა უზრუნველყოფას მოითხოვს; უზრუნველყოფა გათვალისწინებაა. ვიცი, რომ სიტყვებით თამაში გამომდის. იფიქრეთ ამაზე! უზრუნველყოფა განჭვრეტაა. მონები ვერ განჭვრეტენ. ისინი იმას აკეთებენ, რასაც სხვები უბრძანებენ. სანამ დანიშნულების პუნქტის აღმოჩენას შეუდეგბოდეთ, საუკეთესო დასაწყისი იქნება ფინანსების მოწესრიგება და ვალებიდან ამოსვლა.

მას შემდეგ რაც, მე და დრენდა ვალებიდან გავთავი-სუფლდით, ათასნაირი იდეა მოგვივიდა, რა შეგვეძლო და რის კეთება გვსურდა. დავიწყეთ ეკლესია, ყოველდღიური ტელე-მაუწყებლობა, ავაგეთ მრავალმილიონიანი შენობა-ნაგებობები და დავაფუძნეთ სკოლები. დავწერეთ წიგნები და უამრავ ენაზე ვთარგმნეთ, რომ ღვთის სამეფოს სახარება ადამიანებამდე მიგვეტანა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იდეები არასოდეს გამოგვლევია. თქვენც ასე იქნებით, როცა ღვთის სამეფოს მოქმედების პრინციპებს ისწავლით, ოცნებას დაიწყებთ და ცხოვრებაზე უბრალო დამკვირვებლად ყოფნას შეწყვეტთ. დაინახეთ თქვენი თავი წარმოსახულ სურათში.

როგორც შესავალში მოგახსენეთ, ეს წიგნი სიზმრიდან მოვიდა, რომელიც 2016 წელს ვნახე. მასში დავინახე წიგნი, მისი თავები და სახელწოდება. ღმერთმა მითხრა, რომ დამეწერა აჩქარების ცხრა კანონის შესახებ, რომლებიც თავად მასწავლა. სიზმარში მივხვდი, რომ წიგნის დაწერა მის ბიზნესში ჩართული ადამიანების დასახმარებლად სურდა. მათ ის უნდა აეთვისებინათ, რისთვისაც მოწოდებული იყვნენ. ახლა, არასწორად არ გამიგოთ! ეს წიგნი ყველას და თითოეული თქვენგანისთვისაა. სიზმარში ვიგრძენი, რომ ღმერთმა მის ხალხს იდეები და ბიზნესისთვის საჭირო ხედვა კი მიაწოდა, მაგრამ ისინი საქმეში არსებულ სრულ პოტენციალს ვერ იყენებდნენ, რაც უფალმა მათთვის განიზრახა. მისი ნათქვამით, ბიზნესმენები ხვდებოდნენ, რომ უკეთესად უნდა ემოქმედათ და იმედგაცრუებული რჩებოდნენ, თუ ასე არ ხდებოდა. მათ იცოდნენ, რომ უმჯობესი გზები არსებობდა, თუმცა ვერ გაერკვიათ, იქამდე როგორ მისულიყვნენ და ეს წიგნი სწორედ ამ მიზნის მიღწევას უნდა მომსახურებოდა. შესაძლოა, თქვათ: „სიზმარი 2016 წელს ნახე და ახლა უკვე 2022-ია. ამდენი დრო რატომ დასჭირდა?“ კარგი კითხვაა. 2016 წლიდან მოყოლებული ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ არასოდეს მქონია სულიწმიდის შინაგანი ბიძგი, რომ წერა დამეწყო. ამის

ნაცვლად ვგრძნობდი, რომ ჯერ ფინანსური რევილუციის სერიის წიგნები უნდა დამესრულებინა, ამიტომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაოდენ დიდებული გახლდათ აჩქარების ცხრა კანონი. ჯერ სამეფოს მოქმედების პრინციპი უნდა გაითავისოთ, რომ ხსენებული კანონების სრული სარგებელი მიიღოთ.

წინამდებარე წიგნის კონცეპციები და გამოცხადება 2009 წლის 9 სექტემბრის დილის ლოცვიდან დაიწყო. წინა საღამოს ალაბამას ერთ ეკლესიაში ვასწავლიდი, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა. კარგი შეკრება იყო, მაგრამ შინაგანი არეულობა მქონდა. ფინანსური კრახი 2008 წელს განვიცადე და ეს 2009 წლამდე გაგრძელდა. კიდევ რამდენიმე მსხვილი პრობლემაც მქონდა. ჩვენი კამპუსი, რომელსაც *Now Center* ვუწოდეთ და თავდაპირველად, 5.2 მილიონი დოლარის პროექტს წარმოადგენდა, ჩვენი ბანკისგან აღებული სესხით და 2.5 მილიონი ნაღდი ფულით ვიყიდეთ, რომელიც დაზოგილი გვქონდა. მშენებელი ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო, რომელმაც ჩვენი საცხოვრებელი სახლის კარკასი შეკრა რამდენიმე წლის წინ. ალბათ, გახსოვთ, რომ ნედლეულზე ფასი დიდი სისწრაფით ავარდა 2008 და 2009 წლებში. ჩვენი ცენტრისთვის საჭირო ლითონის ფასი 300 პროცენტით გაიზარდა. ასფალტი იმდენად გაძვირდა, რომ ცემენტის გამოყენება სჯობდა. ერთ ბარელი ნავთობი 140 დოლარი ღირდა და ასე შემდეგ.

გაზრდილმა ფასებმა ჩვენს ბიუჯეტზეც იმოქმედა და დამატებით 1 მილიონი მოითხოვა. ვინაიდან პროექტის ნახევარი გაკეთებული გვქონდა და დამთავრებას ბევრი არაფერი აკლდა, ბანკმა გვითხრა, რომ კიდევ ერთი მილიონის გამოყოფა პრობლემა არ იქნებოდა. მათ საკრედიტო ზღვარი დაგვიწესეს იმ დამატებული მილიონი დოლარისთვის.

ალბათ, გახსოვთ, როგორ გაიზარდა თანხების ამოღებასთან დაკავშირებული პრობლემები და ბანკები სერიოზული განსაცდელის წინაშე დადგნენ. ფაქტობრივად, საბანკო სისტემა დაინგრა. ჩვენი ბანკისგან არანაირი ინფორმაცია არ მიმიღია არსებულ კრიზისთან დაკავშირებით და ვფიქრობდი, რომ ასაღელვებელი არაფერი გვქონდა, რახან გადახდებს დაუგვიანებლად ვაწარმოებდით.

იმ დღეს, როცა ადგილობრივი გაზეთის პირველ გვერდზე ამოვიკითხე, რომ ჩვენმა ბანკმა 550 ადამიანი დაითხოვა და სესხების გაცემა შეწყვიტა, ადრინდელივით დარწმუნებული

აღარ ვიყავი. რა თქმა უნდა, მათ დამირეკეს და მითხრეს, რომ საკრედიტო ლიმიტს აუქმებდნენ.

რეალური პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენმა მეგობარმა მშენებელმა უკვე დახარჯა მილიონი დოლარი და იმედი ჰქონდა, რომ ამაზე საკრედიტო ლიმიტი იზრუნებდა. მახსოვს ის დღე, როცა ეს ადამიანი თავისი მილიონის წასაღებად მოვიდა. ვუთხარით, რომ ბანკმა ლიმიტი გაგვიუქმა და არ შეგვეძლო იმ თანხის მიცემა. მშენებელს ელდა ეცა და აღელდა, რადგან მას ჯერ კიდევ გადასახდელი ჰქონდა რამდენიმე მომწოდებლის და საკუთარი თანამშრომლების ვალი. ეს ადამიანი მორწმუნე გახლდათ და იცოდა, რომ ორივეს უნდა გველოცა ღვთისგან პასუხის მისაღებად. ამრიგად, ალაბამაში საღამოს შეკრების მომდევნო დილას გავიღვიძე და ისევ ლოცვა დავიწყე ამ ვითარების მოსაგვარებლად.

დაახლოებით იგივე პერიოდში მითხრა ღმერთმა, რომ მისი სამეფოს შესახებ სატელევიზიო სწავლება დამეწყო. იცით, მაშინ ტელევიზიის მუშაობის შესახებ არაფერი ვიცოდი გარდა იმისა, რომ ძვირი ჯდებოდა და წარმოდგენა არ მქონდა, როგორ მეშოვა ამისთვის საჭირო 300 000 დოლარი ყველა იმ ხარჯის გარდა, რომლებიც გადასახდელი მქონდა. როცა ღმერთმა ტელემსახურების დაწყებაზე მიმითითა, ნათლად მითხრა, რომ საჭირო ფონდებსაც უზრუნველყოფდა. მისი სიტყვა მქონდა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ დრო და დრო ძნელი იყო მის ნათქვამზე ფიკუსირება, როცა თანხების შემოსვლის არანაირი ხილული ნიშანი არ ჩანდა. გამუდმებით ვუმეორებდი საკუთარ თავს ღვთის დანაპირებს, თუმცა იყო დღეები, როცა ჩემი გონება ხმამაღლა ითხოვდა პასუხებს.

ამრიგად, იმ დილით გაღვიძებისას თავში ბევრი რამ მიტრიალებდა. რამდენი პასუხისა და მიმართულებისთვის ვლოცულობდი და ვიცოდი, რომ სახლში დაბრუნებისთანავე მომიწევდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება და მოქმედების გეგმა მჭირდებოდა. იმ დილას ლოცვისას ღმერთმა მოულოდნელად მითხრა:

– წაიკითხე ებრ. 11:32-33!

გავიფიქრე: „ეს ადგილი კარგად ვიცი“. თუმცა მორჩილების გამო ჩემი ბიბლია გადავშალე და ორი მუხლი წავიკითხე.

კიდევ რა გითხრათ? დრო არ მეყოფა, რომ გედეონზე, ბარაკზე, სამსონზე, იფთახზე, დავითზე, სამუელსა და წინასწარმეტყველებზე ვილაპარაკო, რომლებიც რწმენით ამარცხებდნენ სამეფოებს, იქმოდნენ სიმართლეს, აღწევდნენ აღთქმებს.

– ებრაელთა 11:32-33ა

წერილს ჩავჩერებოდი და მოულოდნელად დავინახე ის. იცით, ებრაელთა მე-11 თავი დიდების დარბაზს წარმოადგენს, სადაც ღვთის ძალით დიდი საქმეების ჩამდენი რწმენის გმირებია ჩამოთვლილი. ებრაელთა წერილის ავტორი დასასრულისკენ ამბობს: „დრო არ მეყოფა, სხვა ადამიანების ჩამოსათვლელად, რომლებსაც ასევე დიდებული ამბები აქვთ, მაგრამ იმას კი გეტყვით, როგორც ახერხებდნენ“ (ჩემი პარაფრაზი). ამ ბოლო წინადადებამ, 33-ე მუხლმა მიიპყრო ჩემი ყურადღება.

რომლებიც რწმენით ამარცხებდნენ სამეფოებს, იქმოდნენ სიმართლეს, აღწევდნენ აღთქმებს.

აქ მოცემული იყო ძალზე შემჭიდროებული და მარტივი ფორმულა, თუ როგორ უნდა მივიღოთ ღვთის აღთქმები. როცა ამ ადგილს მივაჩერდი, მივხვდი, რომ ღმერთმა ჩემს ლოცვას უპასუხა. ამრიგად, კიდევ ერთხელ გადავხედოთ წინადადებას და ვიპოვოთ, კონკრეტულად რის თქმა სურდა ჩემთვის.

თავდაპირველად, ებრაელთა წერილის ავტორი ახსენებს „რწმენას“. ალბათ, ყოველი მკითხველი იტყვის: „*გასაგებია, რწმენა მაქვს. რა პრობლემაა?!*“ დიახ, მეც ვფიქრობდი, რომ ვიცოდი, რა იყო რწმენა. თუმცა განსაცდელები მომეძალა და მივხვდი, რომ რეალური რწმენის აზრზეც არ ვიყავი და არც ის ვიცოდი, როგორ მომეპოვებინა ან რატომ იყო აუცილებელი მისი ქონა დედამიწის საქმიანობაში ღვთის ჩარევისთვის. რამდენად მნიშვნელოვანია რწმენა? მაშ ასე, ეს გახლდათ ნომერი პირველი ებრაელთა 11:33-ის ჩამონათვალში, ამიტომ აღთქმულის დასამკვიდრებლად უმჯობესია, გაარკვიოთ, რა არის რწმენა და როგორ უნდა მიხვდეთ, რომ რწმენაში ხართ.

აღთქმულის დასამკვიდრებლად უმჯობესია, გაარკვიოთ, რა არის რწმენა და როგორ უნდა მიხვდეთ, რომ რწმენაში ხართ.

ამ საკითხის გააზრებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ წიგნის ბოლოს განსახილველად სპეციალური დანართი მოვიყვანე. თუ არასოდეს წაგიკითხავთ ჩემი რომელიმე წიგნი რწმენის თაობაზე, გირჩევთ, დანართზე გადახვიდეთ და ისწავლოთ მისი რაობა, მოპოვების გზები, რწმენაში ყოფნის დასადგენი საშუალებები და რა უნდა მოიმოქმედოთ თუ აღმოაჩენთ, რომ რწმენა არ გაქვთ.

ახლა, სანამ აქ ხელის მოწერით დაიფიცებდეთ, რომ იცით, რა არის რწმენა, და რომ რწმენაში ხართ, გეტყვით შემდეგს: ღმერთს მოუხდა ჩემთვის პასუხების ჩვენება, რადგან თქვენსავით მეც ვფიქრობდი, რომ რწმენის შესახებ ყველაფერი ვიცოდი. ამიტომ, გთხოვთ, დანართი წაიკითხოთ, თუნდაც მისი მხოლოდ გადახედვა გჭირდებოდეთ.

მოკლედ რომ ვთქვათ, რწმენა არის გულში სრული დაჯერების ქონა და ზეცის ნათქვამზე თანხმობა. ეს თანხმობა, რომელსაც რწმენა ჰქვია, ზეცას კანონიერად მოქმედების უფლებას აძლევს, რომ ჩვენი, მორწმუნეების მეშვეობით ამქვეყნიური სამეფოს პროცესებში ჩაერიოს.

რწმენის მეშვეობით ზეცის იურისდიქციას და ძალაუფლებას ვახორციელებთ. რწმენით გამოვდივართ სატანის სამეფოს წინააღმდეგ, ვიპყრობთ ტერიტორიებს და მათ ღვთის სამეფოს ვუმორჩილებთ. რწმენაზე ბევრი რამ გავიგე, როცა ღმერთმა ებრაელთა 11:32-33 წამაკითხა. თუმცა ეს წინადადების შუა ნაწილი იყო, რომლის დანახვებაც სურდა და რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო.

> რწმენით ამარცხებდნენ სამეფოებს, ***იქმოდნენ სიმართლეს,*** აღწევდნენ აღთქმებს.
>
> – ებრაელთა 11:33ა

როცა 2009 წლის იმ დილას ვიჯექი და წერილს დავჩერებოდი, ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რის თქმა სურდა ღმერთს. ნება მომეცით, მარტივად აგიხსნათ, რის გადმოცემა უნდოდა! ამას შემდეგი ანალოგიის მეშვეობით გავაკეთებ.

დავუშვათ, 20 აკრის ფართობის მიწის კარგი ნაკვეთი იყიდეთ. დიდი იმედი დაამყარეთ უხვი მოსავლის მიღებაზე. თუმცა მიწა უმოქმედო დარჩა მრავალი წლის განმავლობაში და სარეველებით დაიფარა. პირველი, რაც უნდა გააკეთოთ, ამ სარეველების ამოძირკვაა. ისინი უნდა მოაშოროთ. ბალახები მოთიბეთ და მიწა გადახანით. ებრაელთა მე-11 თავის ენის შესატყვისად ვთქვათ, რომ სარეველები დავამარცხეთ. ვაშა! ეს დიდი გამარჯვება და შრომატევადი საქმე იყო. თუმცა იმაშიც დარწმუნებული ხართ, რომ ამით საქმე არ დასრულებულა.

აცნობიერებთ, რომ მიწა თქვენთვის უსარგებლო იქნება, თუ მასზე რამეს არ დარგავთ მიუხედავად იმისა, რომ მისი მფლობელი ხართ. მაშ ასე, ჩვენი წერილის ტერმინების გამოყენებით, თუ ნიადაგში საჭირო თესლს არ შეიტანთ, მოსავალს ვერასოდეს მიიღებთ. იქ იჯდებით მოლოდინში, მაგრამ არაფერ მოვა. მოდით, ასე ვიტყვი – როგორც კი დაამარცხებთ, მაშინვე უნდა დაიკავოთ. დასაკავებლად აუცილებელია მართოთ, რის გაკეთება გინდათ იქ. თუ არ იქმთ იმას, რის გაკეთებაც გინდათ, უბრალოდ, სარეველებისგან გაწმენდილი და უნაყოფო მინდორი გექნებათ, მაგრამ აღთქმის მოსავალს ვერ მიიღებთ, რაც ასე ძალიან გჭირდებათ. ჩაიწერეთ ეს ძალზე მნიშვნელოვანი კონცეპცია.

ვერასოდეს დაიპყრობთ ტერიტორიას,
რომელსაც არ განკარგავთ!

ნება მომეცით, კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანო. როცა ღმერთმა ისრაელი ეგვიპტიდან გამოიყვანა, ეს ძლიერი ხელით მოახდინა. ფარაონმა აზრი შეიცვალა და მათ დაედევნა. იფიქრა, რომ ზღვასთან იქნებოდნენ მომწყვდეულები. სინამდვილეში უნდა ვხვდებოდეთ, რომ სწორედ ღმერთმა მიიყვანა ისინი ზღვასთან. ხედავთ? ღმერთმა ისრაელიანები ისეთ ადგილას მოამწყვდია, სადაც წინ ზღვა ექნებოდათ, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ – მთები. როცა ღმერთმა მოსეს უთხრა, საით უნდა წაეყვანა ისინი, კარგად იცოდა, რომ ფარაონი გზას დაადგა მათ დასაბრუნებლად.

როცა ეს უკანასკნელი ბანაკს მიუახლოვდა, ისრაელი მიხვდა, რა დღეშიც ჩავარდა – ცუდ ადგილას აღმოჩნდნენ, საიდანაც გასაქცევი არ იყო. თუმცა ღმერთს გეგმა ჰქონდა და ეს გეგმა ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთდა ეგვიპტის

პრეტენზიებს ისრაელიანთა დასაკუთრებაზე. თქვენთვის ცნობილია, როგორ განვითარდა მოვლენები: მეწამული ზღვა გაიპო და ისინი ხმელეთით გადავიდნენ! როცა ფარაონმა და მისმა არმიამ იგივე მოინდომეს, ზღვა მოულოდნელად შეიკრა და ყველანი დაიხრჩვნენ. ეს იყო დიადი ხსნა! იმის შესაძლებლობა მოისპო, რომ ფარაონი უკან დაბრუნებულიყო და სხვა გზა მოეძებნა ისრაელის ხელში ჩასაგდებად. არა, ისინი სრულიად განადგურდნენ. და მაინც, რაც არ უნდა დიდი ყოფილიყო ხსნა, მათი სრული ისტორიის მხოლოდ ერთ პაწაწინა ნაწილს წარმოადგენდა. იცით, ამ ხსნამ მხოლოდ გზა გაუკვალა დიდ ისტორიას, მათ ხვედრს და ადგილს, რისთვისაც შეიქმნენ და რის დასაპყრობადაც იყვნენ მოწოდებული.

მოდით, კარგად გავარკვიოთ ამ მნიშვნელოვანი პრინციპის რაობა! მათ ეგვიპტის მონობისგან ხსნა მიიღეს, რომ წასულიყვნენ სხვაგან – მათი დანიშნულების ადგილას. ფარაონი უბრალო დაბრკოლება იყო ამ გზაზე. იგივე ხდება თქვენს ცხოვრებაშიც. თქვენი პრობლემა ხელს გიშლით მომავლის დამკვიდრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ხსნა თქვენი ისტორიის ნაწილია, რეალური ამბავი ის არის, სადაც მიდიხართ და რის დასაპყრობადაც ხართ მოწოდებული! უნდა ვთქვათ, რომ ეკლესიას უყვარს ღვთიური გადარჩენის ზეიმით აღნიშვნა, მაგრამ ხშირად ვერ აცნობიერებს ხსნის მიზანს, რაც არის დევნისგან თავის დაღწევა, რის შემდეგაც დასამკვიდრებელ ადგილზე უნდა მივიდეს. ვხედავთ, რომ ეგვიპტის ხელიდან ისრაელის მძლავრი გამოხსნა მხოლოდ დასაწყისი იყო და არა დასასრული. მართალია, მონობისგან გათავისუფლდნენ, მაგრამ წინ გრძელი გზა ედოთ, სანამ რეალურად დაიპყრობდნენ და აღთქმას დაიმკვიდრებდნენ. წლები გავიდა და ახალი თაობა გაიზარდა. ბოლოს, მათ გადალახეს უდაბნო და მდინარე იორდანეს მიადგნენ. მეორე ნაპირზე აღთქმული მიწა იყო, რის შესახებაც მთელი ცხოვრება ესმოდათ. ამაზე ოცნებობდნენ იმ დროიდან მოყოლებული, რაც მოსემ მათი მშობლები ეგვიპტიდან გამოიყვანა. გახსოვდეთ, რომ წინა თაობა ამბოხების გამო უდაბნოში დაიმარხა იეშუა ნავეს ძისა და ხალების გარდა, რომლებიც ღმერთს ერწმუნენ.

ისტორიის ამ ეტაპზე მოსე გარდაიცვალა და ახლა იეშუა ნავეს ძე მიუძღვის მომდევნო თაობას ამ დიდებულ აღთქმულ მიწაზე. როცა მდინარე იორდანესთან მივიდნენ, დაინახეს, რომ

ადიდებული იყო და საკმაოდ სწრაფ და ძლიერ ნაკადს ქმნიდა. მისი გადალახვა უსაფრთხო არ იქნებოდა. ისევე როგორც მოსეს შემთხვევაში, ღმერთმა მათ გზა გადაუღობა, იეშუა ნავეს ძეს წინ წასვლა და მდინარეზე გადასვლა უბრძანა, მაგრამ ჯერ მღვდლები უნდა წასულიყვნენ. ხალხი რიგებად დაეწყო, რომ მღვდლებს უკან მიჰყოლოდნენ, როგორც ღმერთმა უბრძანათ და აი, დადგა დრო, როცა მათი ტერფები წყალს შეეხო და მან ჩქეფა შეწყვიტა. მეწამულ ზღვაზე გადასვლის მსგავსად, რის შესახებაც მთელი ცხოვრება ესმოდათ, მათ მდინარის მშრალი კალაპოტი გადალახეს. მათი მშობლების შემთხვევისგან განსხვავებით, რომლებმაც ფარაონს თავი დააღწიეს, ეს გადასვლა ხალხის სახსნელად როდი იყო – აქ თავად ღმერთი მიუძღვებოდათ მომავლისკენ. დიახ, მდინარე დაბრკოლებას ქმნიდა, ისევე როგორც, მეწამული ზღვა იქცა წინაღობად ეგვიპტიდან გამოსული მამებისთვის. თუმცა მასზე გადასვლა ღვთის ძალისა და აღთქმაში მათი შეყვანის უნარის მოწმობა გახლდათ, როცა გალავნებიანი ქალაქებისა და გოლიათების წინაშე აღმოჩნდნენ. ეს ამბავი ყოველთვის შეახსენებდათ, რომ ღმერთი ქმნის გზას იქ, სადაც გზა არ ჩანს და რომ მათთან იქნება და თავის აღთქმულს შეასრულებს.

ვიმეორებ, რაც არ უნდა დიდებული ყოფილიყო მდინარის გადალახვა, ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მისული დანიშნულების პუნქტამდე. მათ სიმართლე უნდა ექმნათ იმ ადგილას, სანამ აღთქმულს „მოიპოვებდნენ“. ნება მომეცით, კიდევ ერთი საკითხი განვმარტო! სიმართლის ქმნა ანუ მართლმსჯულება იურიდიული ტერმინია, რაც კანონიერების ქმნას ნიშნავს. ამ ვითარებაში ისრაელიანებს ღვთის მითითებების, მისი კანონის შესრულება სჭირდებოდათ, სანამ ამ მიწას დაიმკვიდრებდნენ და აღთქმულით დატკბებოდნენ. მართალია, ღმერთმა ეს ხალხი საოცარი ძალთაქმედებების გამოვლინებით მოიყვანა აქამდე, მაგრამ ჯერ კიდევ არაფერი დაეპყროთ. მათ უნდა ექმნათ სიმართლე ანუ მოქმედებაში მოეყვანათ ღვთის ნათქვამი, რაც იმ მიწის აღებას და დაპყრობას ნიშნავდა.

იცით, მათმა მშობლებმა შეცდომა დაუშვეს, რასაც მრავალი ქრისტიანი სჩადის დღეს. მათ ღვთის ძალა იხილეს; დიდებული მიწის შესახებ დაპირება მოისმინეს, რომლის დასაპყრობადაც მიემართებოდნენ, მაგრამ ჩათვალეს, რომ ეგვიპტიდან დახსნა

იყო ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ, ხოლო დანარჩენს ღმერთი გააკეთებდა და ისინი მარტივად შეაბიჯებდნენ აღთქმულ მიწაზე, აიღებდნენ თავიანთ ყინულიან ჩაის და შვებას მიეცემოდნენ. არა, ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ აღთქმულის მისაღებად ჯერ სიმართლე უნდა ექმნათ. როცა გაიაზრეს, რომ იმ გალავნებიანი ქალაქებისა და გოლიათების წინააღმდეგ ბრძოლა მოუწევდათ, მათი გულები შიშისგან გაილია.

სწორედ ამის ჩვენება სურდა ღმერთს ჩემთვის.

– გარი, იქ უნდა შეხვიდე და იმ ვითარებაში გაერკვე. ის უნდა ქმნა, ის გაკეთებაც იმ ადგილას მინდა.

შესაძლოა, კითხვა დასვათ: „გეშინოდათ?“ დიახ, მომიხდა შიშთან გამკლავება. ჩემი ტელეგადაცემის სახელია „ფულის ამბის მოგვარება“ და მეგობარს ამისთვის მილიონი დოლარი ვესესხე, რაც მასაც სჭირდებოდა არა მარტო თანამშრომლების ანაზღაურებისთვის, არამედ მომწოდებელთათვის გადასახდელადაც, რომელთაც ოჯახებზე უნდა ეზრუნათ. მე კი წარმოდგენა არ მქონდა, საიდან უნდა მომეტანა ის ერთი მილიონი.

იმ შეხვედრიდან სახლში ვბრუნდებოდი და აეროპორტის გავლით მომავალს ღმერთი ისევ დამელაპარაკა. მკაფიოდ გავიგონე მისი ნათქვამი:

– აღმართე შენი კვერთხი!

ვიცოდი, რომ მხედველობაში ჰქონდა ის, რაც მოსემ მეწამულ ზღვასთან გააკეთა. მან კვერთხი აღმართა და წყალი გაიპო. ისიც ვიცოდი, რომ კვერთხი მოსეს, როგორც ერზე დაყენებული წინამძღოლის ძალაუფლებას ნიშნავდა. მაშინ მივხვდი, რომ ღმერთი ჩემი ძალაუფლების გამოყენებას მთხოვდა. მე მსახურების თავი ვიყავი. იმ ვითარებაში ღვთის ძალაუფლებისა და სიბრძნის ქმნა მომიწევდა, თუ ოდესმე პრობლემისგან თავის დაღწევას ვაპირებდი. ახალი კამპუსის დაპირება მქონდა, მაგრამ სანამ პასუხისმგებლობას არ ავიღებდი და სიმართლეს არ განვახორციელებდი, მისი ფლობიდან დიდი ხეირი არ მექნებოდა. ვიღაც უნდა შესულიყო იქ და ღვთის შემწეობით იმ ფინანსური ქაოსიდან გამოსავალი უნდა მოეძებნა. და ის ვიღაც მე ვიყავი – მსახურების ხელმძღვანელი!

რაც შეეხება მშენებლის მილიონ დოლარს, ღმერთმა დრენდას გეგმა გააცნო. ვიცოდით, რომ ფინანსური კრიზისის დროს ჩვენს

ქალაქში კრედიტის გამცემი ბანკები არ არსებობდა. მე თვითონ წავედი ჩემს ბანკში და საკუთარი სახლის ფასად 100 000 დოლარის სესხი მოვითხოვე. რაღაც ფონდები მჭირდებოდა – ძალიან ბევრი ადამიანი იყო დამოკიდებული ჩვენ მიერ თანხის გადახდაზე. სახლი იმ თანხაზე ბევრად მეტი ღირდა, რაც ვითხოვე. კარგი საკრედიტო ისტორია და თანხების სტაბილური შემოდინება მქონდა, მაგრამ დამირეკეს და მაცნობეს, რომ უარს მეუბნებოდნენ. ვერ ვიჯერებდი, თუმცა იმ დროს მოვლენები სწორედ ასე განვითარდა.

ღმერთმა დრენდას უთხრა, რომ ჩვენი მშენებლების ბანკში წავსულიყავით და ეკლესიისთვის სესხად მთელი ერთი მილიონი მოგვეთხოვა. ამ ბანკში არასოდეს ვყოფილვართ და მის შესახებ არც არაფერი ვიცოდით, მაგრამ ნათქვამისამებრ მოვიქეცით. ვფიქრობდით, რომ თუ ჩვენი მშენებელი თავის მილიონს ვერ მიიღებდა, ალბათ, გაკოტრება არ აცდებოდა. მას საკრედიტო ლიმიტზე მეტი თანხა ჰქონდა დახარჯული და ამას გარდა, ათასობით დოლარი მომწოდებლებისაც ემართა. ვივარაუდეთ, რომ მისი ბანკი ცუდ მდგომარეობაში იყო ამ თანხის დიდი ნაწილის გამო და გვინდოდა, მისი ვალი ჩვენზე დაეწერათ. კრედიტს თუ დაგვიმტკიცებდნენ, მშენებელს ვალს გადავუხდიდით და მასაც გაუჩნდებოდა როგორც ბანკისთვის დასაბრუნებელი, ისე მომწოდებლებისა და თანამშრომლებისთვის გადასახდელი თანხა. პასუხისმგებლობა ჩვენ დაგვეკისრებოდა, ხოლო მშენებელი გათავისუფლდებოდა. გახსოვდეთ, რომ ამ ბანკმა არაფერი იცოდა ჩვენს შესახებ.

ამრიგად, მოვამზადეთ პრეზენტაცია, თუ ვინ ვიყავით, რა ისტორია გვქონდა, რა დონის ზრდა იყო მოსალოდნელი და რა მიზეზების გამო უნდა გამოეჩინათ ჩვენს მიმართ ნდობა, რომ ნასესხებ მილიონს აუცილებლად გადავიხდიდით. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ბანკში ადრე არასოდეს ვყოფილვართ და მანამდე არც საკრედიტო ოფიცერს შევხვედრივართ. პრეზენტაცია იმ დღესვე მოვამზადეთ და ავუხსენით, რატომ უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული ჩვენთვის სესხის დამტკიცებით. როცა ჩვენი წინადადება გავაცანით, ოფიცერმა თქვა:

– უფლება მაქვს, გამოგიწეროთ 500,000 დოლარის ჩეკი ყოველგვარი გარანტიის გარეშე.

მან ჩეკის წიგნაკი ამოიღო და იქვე გამოწერა თანხა ჩვენი ეკლესიის სახელზე. შემდეგ დაამატა:

– დარჩენილ 500,000 დოლარს მომდევნო კვირას მიიღებთ მას შემდეგ, რაც თქვენს საკითხს განვიხილავთ.

მართლა ასე მოხდა! გარანტიისა და განცხადების შევსების გარეშე ადგილზე მივიღეთ 500,000 დოლარის ჩეკი. მე და დრენდა გაოგნებული ვისხედით, როცა თანხა გადმოგვცეს. გთხოვთ, კარგად მომისმინოთ! ასე არასდროს მოხდებოდა, ამ პროცესის მართვა რომ არ დაგვეწყო. მეორე, ბანკირს სწორედ ჩვენ უნდა შევხვედროდით. რატომ? იმიტომ, რომ კვერთხი, ძალაუფლება და მსახურების ცხებულება ჩვენზე იყო. ამ საქმის მოსაგვარებლად არ შემეძლო ჩემი რომელიმე თანამშრომლის გაგზავნა. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი ჩეკით ხელში არ გამოვიდოდნენ. კვერთხი ანუ ჩემი ძალაუფლება მე უნდა აღმემართა ღვთის გეგმის შესაბამისად, რომ საქმე გამოსულიყო.

ნება მომეცით, გავაგრძელო! საიდან მოვიდა ტელევიზიის ამუშავებისთვის საჭირო 300,000 დოლარი? ეს თავისთავად გრძელი ისტორიაა, მაგრამ ვეცდები, მოკლედ გადმოგცეთ. ვიღაცამ ატლანტაში მიიღო ერთი პატარა ბუკლეტის ასლი, რომელიც რამდენიმე წლის წინ დავწერე ვალიდან გათავისუფლების თაობაზე. იმ დროისთვის არც ტელევიზია გვქონდა და არც რადიო. შესაბამისად, ატლანტაში არ არსებობდა ჩვენი ოფისი და არც პარტნიორები გვყავდა იმ ქალაქიდან. ჩვენი ოჰაიოს ოფისის ერთი თანამშრომელი ატლანტის აეროპორტის გავლით მოგზაურობდა და თვითმფრინავში წასაკითხად ჩემი წიგნი წაიღო. სანამ რეისს ელოდებოდა, კითხვა დაიწყო. ვიღაც კაცმა წიგნი შენიშნა და მის შესახებ ჰკითხა. თანამშრომელმა ის-ის იყო დაასრულა მისი წაკითხვა და უთხრა, რომ აჩუქებდა.

კვერთხი ანუ ჩემი ძალაუფლება მე უნდა აღმემართა ღვთის გეგმის შესაბამისად, რომ საქმე გამოსულიყო.

წიგნმა იმ ადამიანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ამიტომ დამირეკა და მითხრა, თუ როგორ მოეწონა. იმდენად აღფრთოვანებული დარჩა, რომ ეროვნული ტელევიზიის გადაცემაში მასზე სასაუბროდ შეხვედრა შეათანხმა. შოუს პროდიუსერებს მაყურებლისთვის ჩვენი მასალის მიწოდება სურდათ და გვკითხეს, შეგვეძლო თუ არა აუცილებელი პრო-

დუქტის მიწოდება. რასაკვირველია, თანხმობით ვუპასუხეთ. საოცარია, რომ იმ შოუზე გაყიდულმა პროდუქციამ და მხოლოდ ერთი გადაცემიდან მიღებულმა მოგებამ ჩვენი სატელევიზიო მაუწყებლობის დაწყებისთვის საჭირო თანხის მესამედი შეადგინა.

მეორე, ერთ კვირა დილის მსახურებაზე ეკლესიიდან ერთი კაცი მოვიდა ჩემთან და 120,000 დოლარის ღირებულების ტელევიზორი გადმომცა. ეს მართლაც საკვირველი იყო! ზემოხსენებული მორწმუნე ჩვენს ეკლესიაში სრულიად განადგურებული გამოჩნდა და რამდენიმე წლის წინ ბინიდან გასახლებაც ემუქრებოდა. როცა ცათა სამეფოზე ჩემი სწავლების შესახებ შეიტყო, მისი ცხოვრება შეიცვალა. მან რამდენიმე საქმიანობა წამოიწყო და რეალური წარმატება მოიპოვა.

ისევ ვიმეორებ, რომ მთელი ამბის პროცესი ადვილი დასანახია. უბრალოდ არ მივსულვარ საფოსტო ყუთთან და არ ამომიღია კონვერტიდან ჩეკი, რომელიც მთელ ჩემს ხარჯებს დაფარავდა. სატელევიზიო მაუწყებლობის დაწყებისთვის დეტალებისა და პროცესების მართვა დამჭირდა, რომ ეს ფონდები დამეჭირა. გადაფრენა მომიხდა და შემდეგ ნამდვილი ჩანაწერის გაკეთება. ამ ისტორიაში ჩემი წილი როლი უნდა შემესრულებინა.

ღმერთი ჩემს დახმარებას ცდილობდა იმ დილის ლოცვაში, რომ ებრ. 11:33-დან დამენახა რწმენის საჭიროება, მაგრამ ეს ყველაფერი როდი იყო. ჩვენი წილიც უნდა შევასრულოთ აღთქმების დამკვიდრების საქმეში.

ღმერთს თევზის მოყვანა შეუძლია, მაგრამ მისი დაჭერა ჩვენი საქმეა!

მოდით, ნაწილ-ნაწილ განვიხილოთ! დამკვიდრება ნიშნავს რამე საგნისა თუ ტერიტორიის დაპყრობას, მასზე თქვენი იურიდიული უფლების წაყენებას და მის შენარჩუნებას. დაპყრობა ყოველთვის კონფლიქტს ან ძალის გამოყენებას არ გულისხმობს, თუმცა შეიძლება ასეც მოხდეს. მაგალითად, მიწის ნაკვეთის შეძენა თქვენს კანონიერ საკუთრებაში მის გადმოსვლას ნიშნავს. და მაინც, თუ იმ მიწაზე თქვენს ნებას არ განახორციელებთ, უმოქმედო და უსარგებლო დარჩება. მაშ, რაში მდგომარეობს მისი განკარგვა? ლექსიკონის თანახმად, ეს გახლავთ სასურველი მიზნის მისაღწევად რაიმეს მართვის პროცესი ან აქტი.

ებრაელთა მე-11 თავის ტექსტში ლაპარაკია, რომ ღვთის დანაპირებით გახარებისთვის აუცილებელია სიმართლის ქმნა. ეს მარტივად ნიშნავს, რომ ვესწრაფოთ იმის მიღწევას, რაც ღმერთს კონკრეტულ ვითარებაში სურს, რასაც მისი სიტყვა, მისი კანონი ამბობს. რაც შეეხება ჩვენს მიწის ნაკვეთს, ეს შეიძლება იყოს ძალისხმევის გამოჩენა ამ მიწისთვის დასახული მიზნის განსახორციელებლად.

თქვენს ბიზნესში ან ცხოვრებაში ამ პრინციპის გამოყენება სასურველი მიზნის მისაღწევად პროცესის წარმართვას ნიშნავს იმ სფეროში, რომელზეც კანონიერი უფლება გაგაჩნიათ.

როგორც წესი, ადამიანები ამ ნაწილს ყურადღებას არ აქცევენ. ისინი ვერ ხვდებიან, რომ აღთქმის დამკვიდრებაში მათი მონაწილეობაც არის საჭირო. დაიმახსოვრეთ, რომ ვერასდროს დაიმკვიდრებთ იმ სფეროს, რასაც არ განკარგავთ. ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ რწმენისკენ იხრება იმ იმედით, რომ დანარჩენს ღმერთი გააკეთებს. თუმცა ასე არ ხდება. მე და დრენდას შესანიშნავი სახლი გვაქვს, რომლის საერთო ფართობი 7000 კვადრატული ფუტია და 55 აკრის მიწის ნაკვეთზე დგას. ის 25 წლის წინ ავაშენეთ. იმ დროს ვალებიდან გათავისუფლებას და სამეფოს პრინციპების შესწავლას ვცდილობდით, ამიტომ სამუშაოს დიდი ნაწილის შესრულება თავად ვიტვირთეთ. კონტრაქტორი დავიქირავეთ სახლის კარკასის დასადგმელად და მის გამოსაშრობად. ამის შემდეგ თავად ვაპირებდით ყველაფრის გაკეთებას ანუ ზოგადი კონტრაქტის დადებას. უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ სამშენებლო საქმის ბევრი არაფერი გაგვეგებოდა და არაფერი მართლა არაფერს ნიშნავს. ამრიგად, შევიძინეთ წიგნი, თუ როგორ უნდა აგვეგო საკუთარი სახლი და დავიწყეთ. მართლა ასე მიამიტები ვიყავით თუ რა ხდებოდა? მოკლედ, ასე მოვიქეცით. სახლის მთელი ელექტრობა მე გავიყვანე, თუმცა მაშინ 12:2-ზე კაბელის შესახებ არაფერი ვიცოდი. და საერთოდაც, ელექტრობა არ მესმოდა. ერთი მეგობარი სანტექნიკოსი გვეხმარებოდა. ასევე დავაგეთ იატაკის ფილები (ეს დრენდამ მოახერხა), დავთხარეთ კედლები, დავაყენეთ ჩამრთველები, შევღებეთ მთელი სახლი და კიდევ ბევრი სხვა რამ გავაკეთეთ.

ვერ დაეუფლებით იმას, რასაც არ განკარგავთ!

ერთ საღამოს გადაქანცული ვიყავი. მაშინ ეკლესიას ვმწყემსავდით, ყველა საღამოს ბიზნესთან დაკავშირებული გაყიდვების ზარებს ვპასუხობდი, სამუშაოზე გვიანობამდე ვრჩებოდი და სახლში ყოველდღე ვაგვიანებდი. ერთი სიტყვით, გადავიქანცე. ერთხელაც ამაზე უფალს შევჩივლე და მან ასე მიპასუხა:

– მაშ, როგორ ფიქრობდი, რომ ეს სახლი შენამდე მოვიდოდა?

დიახ, ნამდვილად ვითხოვდი ამ სახლს. და ისიც აქ იყო. მისი აგების მეთოდის გამო თავისი თავი ამოიღო. უამრავი ფული დავზოგეთ. გარდა ამისა, შვილებიც დაგვეხმარნენ და ის ყველა ჩვენგანისთვის განსაკუთრებულ ადგილად იქცა.

ღმერთი თავის წილს გააკეთებს, მაგრამ ჩვენ მისი აღთქმებით გახარებაში ჩვენი წილი საქმე უნდა ვაკეთოთ.

ღმერთმა მითხრა, რომ სიმართლის ქმნა აჩქარების მთავარი გასაღებია! დიახ, შესაძლოა, ეს დაპყრობის უფრო მოსაწყენი ნაწილია, მაგრამ აუცილებლად უნდა გაკეთდეს. სახლის მესაკუთრე ვარ და მისით რომ ვისიამოვნო, მმართველობა აუცილებელია. მის ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭიროა გადასახადების გადახდა, მოვლა და შეკეთება.

რატომ არის განკარგვა ასე მნიშვნელოვანი აჩქარებისთვის? მოდით, ასეთ მაგალითს მოვიყვან! ოდესმე მანქანა ან კარტინგი გიტარებიათ? მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად აჭერთ ფეხს აქსელერატორს, ის უფრო ჩქარა მაინც არ მიდის. იცით, კარბურატორი ისეა აგებული, რომ ძრავში საწვავი გარკვეული სიჩქარით გადადის და რაც არ უნდა სწრაფად გსურდეთ წასვლა, ვერაფერს გახდებით. **სანამ საწვავის მიწოდების რეჟიმს არ შეცვლით, შეზღუდული იქნებით**.

სწორედ აქ იჭედებიან ადამიანები. უფრო სწრაფად სიარული უნდათ, მაგრამ განკარგვის საკითხებში ბრკოლდებიან.

ჩემი მოსაზრების დასამტკიცებლად ერთ კითხვას დაგისვამთ: რატომ დააყენა ფარაონმა იოსები ეგვიპტის ქვეყნის განმგებლად? ვიცი, რომ ადამიანთა უმრავლესობა ასეთ პასუხს გამცემს: „იმიტომ, რომ იოსებმა ფარაონის სიზმრების განმარტება შეძლო“. ეს მცდარი აზრია. ნება მომეცით, გაჩვენოთ!

*ეს ისაა, რაც უკვე ვუთხარი ფარაონს - რის გაკეთებასაც აპირებს ღმერთი, სიზმრად აჩვენა მან ფარაონს. აჰა, მოდის შვიდი უხვმოსავლიანი წელი ეგვიპტის ქვეყანაში. მას შემდეგ შიმშილობის შვიდი წელიწადი დადგება და დავიწყებული იქნება სიუხვე ეგვიპტეში და შიმშილი დააუძლურებს ქვეყანას. ვეღარავინ გაიხსენებს სიუხვეს იმ შიმშილობის გამო, რომელიც დადგება, რადგან მეტისმეტად მძიმე იქნება იგი. და რაკი ორჯერ გამეორდა ფარაონის სიზმარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ღვთისაგანაა ეს საქმე და აღარ დააყოვნებს ღმერთი მის აღსრულებას. ახლა გამოძებნოს ფარაონმა და დააყენოს ეგვიპტის ქვეყნის განმგებლად გონიერი და ბრძენი კაცი. ბრძანოს ფარაონმა და ზედამხედველნი განაწესოს ქვეყანაზე, რომ მეხუთედი ახდევინოს ეგვიპტის ქვეყანას სიუხვის წლებში. დააგროვონ მომავალი კარგი წლების მთელი საზრდო, ფარაონის განმგებლობაში მყოფ ქალაქებში დაახვავონ საზრდოდ ხორბალი და შეინახონ. ხოლო შვიდწლიანი შიმშილობის დროს, რომელიც დადგება ეგვიპტის ქვეყანაში, ეს მარაგი საზრდო იქნება ქვეყნისათვის და არ დაიღუპება შიმშილისაგან". მოეწონა ფარაონს და მის ყველა მსახურს **ეს სიტყვა**.*

– დაბ. 41:28-37

ამრიგად, ეს არ მომხდარა იმის გამო, რომ იოსებმა ფარაონის სიზმრის განმარტება შეძლო. ამან იოსებს ფარაონის თვალში სანდოობა შესძინა და მის პირისპირ წარდგომის უფლება მიიღო, თუმცა ეგვიპტის მმართველის ყურადღება იოსების დეტალურმა გეგმამ მიიპყრო და მისი აღსრულება დაავალა. ამ ფაქტს შემდეგი წინადადებით ჩამოვაყალიბებ:

სწორად განკარგვამ ეგვიპტე გადაარჩინა! განკარგვა თქვენც გადაგარჩენთ.

თავი 3

რამდენად დიდია თქვენი შესაძლებლობა?

2009 წლის იმ დღეს, როცა ღმერთმა ებრაელთა 11:32-33 მაჩვენა და განკარგვის მნიშვნელობაზე დამელაპარაკა, ესაიას 54-ე თავზეც მიმითითა. აქ მან აჩქარების ამბავი დამანახა, რის გაგებაც აუცილებელი იყო განკარგვასთან ერთად. რეალურად, სწორედ განკარგვა გახლდათ არსებითი ნაწილი იქიდან, რის ჩვენებაც იმ დღეს ესაიას 54-ე თავიდან სურდა, მაგრამ სხვა დეტალებიც იყო ხაზგასასმელი. იმ დროს ოთხი რამ დავინახე, რაც საჭირო იყო გასაზრდელად და მეტი ტერიტორიის დასაპყრობად. განკარგვა ოთხიდან ერთი გახლდათ. მის მიერ ნაჩვენებ ოთხ ნაბიჯს აჩქარების ოთხი კანონი ვუწოდე. მათ შესახებ რამდენჯერმე ვასწავლიდი წლების მანძილზე და ამ წიგნშია ჩართული, როგორც ოთხი სრული ცხრა კანონიდან, რომლებზეც დროთა განმავლობაში შევიტყვე.

2015-ში 60 წელი შემისრულდა და დაბადების დღეს ღმერთმა ძილში ჩემი ცხოვრების მომდევნო 10 წელზე მელაპარაკა. გამახსენა 2006 წელს ალბანეთში მოცემული მითითება, რომ ერებისთვის ფინანსური კურთხევის აღთქმის სასწავლებლად მომიწოდებდა. მითხრა, რომ უფრო მეტ მსახურებას 60-დან 70 წლამდე ასაკში გავწევდი, ვიდრე ერთად აღებულ ყველა განვლილ წელს მიკეთებია. ოჰო! მახსოვს, როგორ აღვფრთოვანდი ამის გაგონებაზე. რა თქმა უნდა, უკვე მიძღვნილი ვიყავი და ამ მისიას ერთგულად ვემსახურებოდი, მაგრამ მაინც ძალიან გავმხნევდი.

აქამდე მე და დრენდამ რამდენიმე საოცარი მომენტი ვნახეთ ჩვენს ცხოვრებაში. მთელ მსოფლიოში ვმოგზაურობდით, ვქადაგებდით და ვასწავლიდით. ყოველდღიური სატელევიზიო პროგრამები გვქონდა, რომლებიც მსოფლიოს ყველა დროით სარტყელში გადაიცემოდა. ჩვენი ეკლესიის წევრების რიცხვი ათასებს ითვლიდა და უამრავი შეცვლილი ცხოვრების მოწმენი გავხდით. ვიხილეთ ადამიანები, რომელთაც ექიმებმა ოთხი საათის სიცოცხლე მისცეს, მაგრამ განიკურნენ და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. გვინახავს საავადმყოფოებში მკვდრად გამოცხადებული ადამიანები, რომლებიც გაცოცხლდნენ და დღესაც ჯანმრთელად გრძნობენ თავს. ვიხილეთ, როგორ გაქრა სიმსივნეები და პარალიზებული ადამიანები წამოდგნენ, რომ მეორე დღეს სამუშაოზე წასულიყვნენ. რასაკვირველია, ყველაზე საოცარი ათასობით ადამიანის ხილვა იყო, რომლებმაც ღვთის სამეფოს სიდიადე აღმოაჩინეს, გულები უფალს მიუძღვნეს და სრულიად გარდაქმნილი ცხოვრების მოწმენი გახდნენ. ეს წარმოუდგენელი პრივილეგია იყო! ამიტომაც გავიხარე, როცა გავიგე, რომ მომდევნო 10 წელი იმაზე დიდებული იქნებოდა, ვიდრე აქამდე მინახავს!

და მაინც, 2016 წლის ოქტომბერში რაღაც უჩვეულო მოხდა. უფალი კიდევ დამელაპარაკა მართვასა და ოთხ კანონზე, რომლებიც ადრე მაჩვენა. ერთხელ დილით ჩემს საძინებელში ანგელოზი შემოვიდა და მოკლე სიტყვა მითხრა: „მისია გაქვს!“ ის არ დამინახავს, მაგრამ ლაპარაკის ხმა მესმოდა. როცა სულიწმიდას ვკითხე, მისი ხმა ხომ არ იყო, ასე მითხრა:

– არა, ეს შენი ანგელოზი იყო.

საოცარი გახლდათ, მაგრამ იმ დროს შევცბი, რადგან მისიის შესახებ უკვე ვიცოდი და მის შესასრულებლად გულმოდგინედ ვშრომობდი. ამრიგად, დავიწყე ფიქრი, რა მითხრა ანგელოზმა და რატომ მითხრა. გამახსენდა, რომ ანგელოზის ლაპარაკისას დავიწყე დეტალების გარკვევა, რაც მინიშნებას მომცემდა. მის ხმაში დაუყოვნებლობა და ძალაუფლება იგრძნობოდა. ვიგრძენი, რომ ალბანეთში ღვთისგან მიღებული დავალება უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო და დრო არ ითმენდა. ვფიქრობ, მისი სიტყვებში საქმეზე მეტად კონცენტრირებისა და მტკიცე გადაწყვეტილების ქონის მოთხოვნა ისმოდა.

ამის შემდეგ ლოცვა დავიწყე, თუ როგორ მევლო უფრო

სწრაფად და რა უნდა გამეკეთებინა იმაში დასარწმუნებლად, რომ მისია შევასრულე. ანგელოზის გამოჩენიდან რამდენიმე თვის შემდეგ სიზმარი ვნახე წინამდებარე წიგნის შესახებ, რაზეც წინა თავში გიამბეთ. სიზმარში ეს წიგნი ვიხილე, მისი სახელწოდება და თავების სათაურები დავინახე. სიზმარში ვიგრძენი, როგორ მეუბნებოდა უფალი, რომ ეს იყო აჩქარების ცხრა კანონი, რომლებიც უნდა შემესწავლა და ამეთვისებინა იმ სარბიელის დასასრულებლად, რაც მან გულში ჩამიდო. არ ვამტკიცებ, რომ ეს კანონები აჩქარების მარეგულიერებელი ერთადერთი კანონებია, მაგრამ მან მითხრა, რომ ისინი უნდა შემეთვისებინა და ამ წიგნში გადმომეცა.

სიზმარში ის ცხრა სფერო დაასახელა, რომელთა შესწავლაც მომიხდებოდა „აჩქარების ცხრა კანონისთვის“. ჯერ პირველი ოთხი კანონის შესახებ გავიგე და მათ წლების მანძილზე ვსწავლობდი. და მართლაც, წიგნის თავების შესაბამისად, ეს ოთხი კანონი სწორედ პირველ რიგში უნდა განმეხილა. ამ სიზმრის შემდეგ დარჩენილი ხუთი კანონის შესწავლა და შენიშვნების ჩაწერა დავიწყე. ამ კვლევისას დავინახე, რომ ჩემი პირადი ცხოვრებისა და მსახურების ბევრი სფერო გარკვეულ რეგულირებას მოითხოვდა. ამ პირველი სიზმრის შემდეგ ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ წიგნი დავწერე. ვფიქრობდი, რომ ასეთი დრამატული და ცხადი სიზმრის შემდეგ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მემოქმედა. თუმცა ისიც ვიცოდი, რომ მზად არ ვიყავი და სანამ ამას შევძლებდი, კიდევ ბევრი რამის შესწავლა მომიხდებოდა. ამრიგად, ექვსი წელი გავიდა, რაც სიზმარი ვნახე და ახლა ვწერ წიგნს. აღფრთოვანებული ვარ იმის დანახვით, რომ სიზმარში ნანახი ასრულდა. სანამ უშუალოდ აჩქარების ცხრა კანონზე გადავიდოდეთ, გარკვეული საფუძველი უნდა ჩავყარო და ესაიას 54-ე თავთან მიგიყვანოთ, საიდანაც ღმერთმა პირველი ოთხი კანონი დამანახა.

სიხარულით შემოსძახე, ბერწო, ჯერ რომ არ გიშვია! სიხარულით აყიჟინდი და ხმამაღლა შესძახე, ჯერ რომ ტკივილები არ განგიცდია! რადგან მიტოვებულს მეტი შვილები ეყოლება, ვიდრე გათხოვილს, ამბობს უფალი.

გააფართოვე შენი კარვის ადგილი და შენი საცხოვრებლის ფარდები დაჭიმე, ნუ დაინანებ, დააგრძელე შენი საბელები და შენი პალოები გაამაგრე, რადგან მარჯვნივ და მარცხნივ განივრცობი, შენი შთამომავლობა ერებს დაიპყრობს და უკაცრიელ ქალაქებს დაასახლებს.

– ესაია 54:1-3

აქ ვხედავთ წინასწარმეტყველებას ბერწ და უქმრო ქალზე, რომელსაც გათხოვილზე მეტი შვილი ჰყავს და ეს ყველაფერი – მშობიარობის გარეშე ხდება. ვფიქრობ, ამან თქვენი ყურადღება უნდა მიიქციოს. პირველი აზრი ასეთი იქნება: *ეს როგორ იქნება?* ჩემი აზრით, ამ კითხვაზე პასუხის გაცნობიერებას ესაიას 53-ე თავის გადახედვით დავიწყებთ. 53-ე თავი გახლავთ წინასწარმეტყველება იესოზე, თუ რის გასაკეთებლად მოვიდა და რა ფასი გადაიხადა ჩვენი ცოდვებისთვის.

ნება მომეცით, ხსენებული თავის პატარა მონაკვეთი გაჩვენოთ და ნახეთ, თუ ეთანხმებით.

მაგრამ მან იტვირთა ჩვენი სნეულებანი და აზიდა ჩვენი ტკივილები; ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ ღმერთის მიერ იყო ნაგვემი, გატანჯული და დამცირებული. ის კი ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი ურჯულოებისთვის იყო შემუსვრილი; ჩვენი სასჯელი იყო მასზე და მისი ჭრილობებით ჩვენ განვიკურნეთ. ყველას გზა აგვებნა ცხვრებივით, თითოეული ჩვენგანი თავის გზას დაადგა. უფალმა კი მას დააკისრა ყველა ჩვენგანის ცოდვა.

– ესაია 53:4-6

თავის ბოლო წინადადება, მე-12 მუხლი ამბობს:

მრავალთა ცოდვა იტვირთა და ურჩთათვის შუამდგომლობდა.

ვფიქრობ, თქვენც ეთანხმებით, რომ ესაიას 53-ე თავი ნამდვილად იესოს შესახებ ლაპარაკობს. ამის გათვალისწინებით პირდაპირ 54-ე თავის 1-ლ მუხლზე გადავიდეთ.

> *სიხარულით შემოსძახე, ბერწო, ჯერ რომ არ გიშვია! სიხარულით აყიჟინდი და ხმამაღლა შესძახე, ჯერ რომ ტკივილები არ განგიცდია! რადგან მიტოვებულს მეტი შვილები ეყოლება, ვიდრე გათხოვილს.*

ისევ შეიძლება დავსვათ კითხვა: „როგორ შეიძლება ქალს შვილი ეყოლოს მშობიარობის გარეშე?“ ახლა პასუხი უკვე გაქვთ. ცხადია, ესაიას 54-ე თავი ხელახლა შობასა და იმ შვილების რაოდენობაზე ლაპარაკობს, რომელთა დათვლა სიმრავლის გამო შეუძლებელია. ისინი სულით იშვნენ და არა ხორცით. ესაია თქვენზე, ჩემზე და ეკლესიაზე ლაპარაკობს. თუმცა უფრო მეტად ხაზგასმულია ზეციდან შობა და სრულიად ახალი აღთქმა. პავლე ესაიას 54-ე თავს გალატელთა 4:21-31-ში განმარტავს.

> *მითხარით, ვისაც რჯულის ქვეშ ყოფნა გსურთ, განა არ უსმენთ რჯულს? ვინაიდან დაწერილია, რომ ორი ძე ჰყავდა აბრაჰამს, ერთი მხევლისგან, მეორე კი - თავისუფლისგან. მაგრამ მხევლისგან გამოსული ხორციელად იყო შობილი, ხოლო თავისუფლისგან გამოსული - აღთქმის მიხედვით.*
>
> *ამაში არის ქარაგმა. ეს არის ორი აღთქმა: ერთი სინაის მთიდან, რომელიც მონობისთვის შობს; და ეს აგარია. ვინაიდან აგარი არის სინაის მთა არაბეთში და ამჟამინდელ იერუსალიმს შეესაბამება, ვინაიდან ის მონობაშია თავის შვილებთან ერთად. ხოლო ზენა იერუსალიმი თავისუფალია - ის ყველა ჩვენგანის დედაა.*

– გალ. 4:21-26

პავლე ორი ქალის რაობას 24-ე მუხლში გადმოგვცემს და ორ აღთქმას უკავშირებს. ერთი ქალი მონობაშია; ის ძველ აღთქმასა და რჯულს წარმოადგენს. მეორე ქალი ახალ აღთქმაზე

მიანიშნებს, რომელიც რჯულთან არ არის დაკავშირებული და იესოს ღვაწლს ეფუძნება. ეს რწმენით მოიპოვება. თუმცა აქ არის რაღაც უდიდესი მნიშვნელობის მქონე, რაც დაკვირვებით უნდა გავიაზროთ! კარგად დააკვირდით 30-ე მუხლს.

> თუმცა, აი, რას ამბობს წერილი: „განდევნე მხევალი და მისი ძე, ვინაიდან მხევლის ძე ***ვერ გახდება მემკვიდრე*** თავისუფლის ძესთან ერთად!“
>
> – გალატელთა 4:30

ოდესმე მიგიღიათ მემკვიდრეობა? იცით, ერთადერთი არ ხართ. *Credit.com*-მა მონაცემთა ბაზა შეისწავლა და აღმოაჩინა, რომ 2016 წლის ოქტომბერსა და დეკემბერს შორის გარდაცვლილთა 73 %-ს დაუფარავი ვალი დარჩა. საშუალო თანხის რაოდენობა, რომლითაც მათ შეეძლოთ ესარგებლათ, 61 554,13 დოლარს შეადგენდა.[13] თუმცა ეს ის მემკვიდრეობა როდია, რომელიც თქვენ გერგოთ. არა, მემეკვიდრეობა, რომელზეც ვლაპარაკობ, გაცილებით აღემატება თქვენ მიერ ოდესმე გაგონილს.

პავლე ამბობს, რომ მემკვიდრეობა გაქვთ, მაგრამ ცხადია, მისი გამოყენება შეუძლებელია გამომუშავებით, საკუთარი ძალისხმევის შედეგად ღვთის თვალში ამაღლებით. მას მხოლოდ შვილად აყვანის მეშვეობით იღებთ, როცა იესოს ქრისტეს მიერ ღვთის ოჯახს უერთდებით, რასაც ხელახლა შობა ქვია. როცა ხელახლა იშვებით, ღვთის ოჯახის ნაწილი ხდებით – ამ სახლის ძე ან ასული. გახსოვდეთ, რომ ამ მემკვიდრეობის მისაღებად შრომა არ გჭირდებათ; ის უსასყიდლოდ მოგეცათ, როგორც მრავალშვილიან ქალს ჰყავდა ბევრი შვილი მშობიარობის გარეშე. მას უბრალოდ უნდა მიეღო ისინი. როცა ამ საოცარ მემკვიდრეობაზე ვსაუბრობ, მინდა ყურადღება ამ ერთ განცხადებაზე გაამახვილოთ: მას უბრალოდ უნდა მიეღო ისინი.

გახსოვდეთ, რომ ამ მემკვიდრეობის მისაღებად შრომა არ გჭირდებათ; ის უსასყიდლოდ მოგეცათ ...

13. Bill Fay, “What Happens When People Die with Debt: Who Pays?” www.debt. org, May 20, 2021

ის ბერწი გახლდათ, რაც იმ დროს სირცხვილად ითვლებოდა. თუმცა მოგვიანებით აურაცხელი შვილი გაუჩნდა ისე, რომ მშობიარობაც არ დასჭირვებია. მან უბრალოდ, მიიღო ისინი, რაც ახალ აღთქმაზე მიანიშნებს, რომელზეც დღეს თქვენ დგახართ. ახლა მის ყველა სარგებელს იღებთ.

თქვენი შესაძლებლობების სპექტრი რადიკალურად შეიცვალა!

მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ ხართ ან რა უნარები გაქვთ. ახლა ყველაფერს ღმერთი განსაზღვრავს, რომელიც მამკვიდრებელია. განა საოცრება არ არის? მაშ, ახლა უფრო მეტად დავაკვირდეთ თქვენს მემკვიდრეობას. ოჰო?! ალბათ, იტყვით, რომ ოფიციალური წერილი არ მიგიღიათ მემკვიდრეობის გადმოცემის თაობაზე. ვფიქრობ, მიღებული გაქვთ!

ალბათ, გსმენიათ მომაკვდავის უკანასკნელი სურვილისა და ანდერძის შესახებ. მხედველობაში აქვთ გარდაცვლილის წერილობითი ნება, რომელიც აღწერს მისი სიკვდილის შემდეგ ქონების განაწილებას მემკვიდრეებს შორის. სიტყვა *ანდერძი* ნიშნავს ოფიციალურ მითითებებს, გარდაცვლილის ნებას მისი ქონების განკარგვის შესახებ.[14]

ბიბლიას, რომელსაც ვკითხულობთ, აქვს ახალ აღთქმად წოდებული ნაწილი. ეს ღვთის ოფიციალური წერილობითი მითითება გახლავთ, სადაც აღწერილია, რა მოგვეცა მისგან. დიახ, თქვენ მიიღეთ შეტყობინება მემკვიდრეობის შესახებ, მაგრამ წაიკითხეთ იგი? ოფიციალური წერილი რომ მიგეღოთ, რომელიც უფროსი ბიძისგან მემკვიდრეობის დატოვებას გაცნობებდათ, არ გახსნიდით? რასაკვირველია, გახსნიდით და წაიკითხავდით.

მაშ, რატომ არ კითხულობს ადამიანთა დიდი ნაწილი ზეციური მემკვიდრეობის შეტყობინებას – ბიბლიას? იმიტომ, რომ უპირველეს ყოვლისა, მათ არასოდეს სმენიათ თავიანთი მემკვიდრეობის შესახებ. მეორე, ღმერთზე მხოლოდ ის იციან, რომ ის სასტიკი ბატონია. ისინი ფიქრობენ, რომ ღმერთი მათზე განრისხებულია და *შეიძლება/არ შეიძლება* მითითებების სრული სია მზად აქვს. მათ იციან, რომ ამ ჩამონათვალის შესრულებას ვერასოდეს შეძლებენ. მაშ, რატომ მოუნდებათ მისი წაკითხვა? გარდა ამისა, ისინი თვლიან, რომ ღმერთი უსამართლო და არასანდოა, ამიტომ არც კი ცდილობენ მასზე და მის სიტყვაზე მინდობას.

14. www.dictionary.com

მაგალითად, სტატია წავიკითხე შვიდი წლის ბავშვის შესახებ, რომელიც ტონზილექტომიის დროს საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა. ეს ძალზე გავრცელებული და როგორც წესი, უსაფრთხო ოპერაციაა. მოულოდნელად, მისი გულისცემა შეწყდა და ეს სამწუხარო შედეგი დადგა. ვფიქრობ, მომხდარის გაგებისას ყველას გული დაწყდა. რაც არ უნდა საშინელი ყოფილიყო მისი სიკვდილი, არსებობდა ამ ამბის მეორე ტრაგიკული მხარე, რომელიც მის ოჯახს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებოდა. ნება მომეცით, რეპორტიორებთან მამამისის ნათქვამი მოვიყვანო:

> „ვერ ხვდები, რატომ ხდება ასეთი შემთხვევები, მაგრამ ვიცით, რომ ღვთის გეგმა ასეთია. მხოლოდ იმის ცოდნით შევძლებთ ყველაფრის გადატანას, რომ ეს ღვთისგან იყო“.[15]
>
> ნება მომეცით *გრინ ბეი პეკერსის* ქუორთერბექის, აარონ როჯერსის ნათქვამიც მოვიშველიო, რომელიც ჟურნალში *People* გამოჩნდა 2020 წლის 22 იანვარს.

„როჯერსმა განმარტა, რომ ბავშვობაში რელიგიის მართებულობაში ეჭვი ეპარებოდა და იქედან მოყოლებული ასაკის მატებასთან ერთად „სხვა ტიპის სულიერობას“ დაუკავშირდა. „ჩემი ნაცნობების უმრავლესობა ეკლესიაში მხოლოდ იმიტომ დადიოდა, რომ ... უბრალოდ, უნდა ევლო. არ ვიცი, როგორ უნდა ირწმუნო ღვთის, რომელიც პლანეტის მოსახლეობის დიდ ნაწილს სასტიკი ჯოჯოხეთისთვის იმეტებს. რა ტიპის მოსიყვარულე, მგრძნობიარე, ყველგანმყოფელ, ყოვლისშემძლე პიროვნებას სურს, საბოლოოდ, თავისი მშვენიერი ქმნილების ცეცხლით ანთებულ ჯოჯოხეთში ჩაგდება?“

გიჟური კომენტარებია! თუ მათ ასეთი შეხედულება აქვთ ღმერთზე, თქვენც იგივე აზრი გექნებათ – ვინმე მოინდომებს იმ უფლის ნდობას, რომელიც ადამიანებს შვიდი წლის გოგონას ართმევს? არავინ! ან ვინ მოისურვებს იმ ღმერთის მსახურებას, რომელსაც პლანეტის დიდი ნაწილის ჯოჯოხეთში „გაგზავნა“ სურს? არავინ! და მაინც, ქრისტიანთა უმრავლესობა სწორედ ასე ფიქრობს. ცხოვრებაში არაერთხელ გაგიგონიათ: „ღმერთმა

15. New York Post, February 26, 2020

დაუშვა“, „ღმერთმა ეს გააკეთა“, „ასეთი იყო ღვთის გეგმა“, „მათი წასვლის დრო იყო“ და სხვა მსგავსი განცხადებები. სანაძლეოს დავდებ, რომ თქვენც ასე ფიქრობთ, ამიტომ თავს მოვისულელებ და ასე ვიტყვი: თუ მართლა გჯერათ, რომ ღმერთს შეუძლია შვიდი წლის გოგონა სასიკვდილოდ გაწიროს ან ვინმეს სიმსივნე გამოუგზავნოს, სერიოზული საუბარი დაგვჭირდება. ნება მომეცით, სათქმელი შემდეგნარიად გამოვხატო:

ვერასოდეს ერწმუნები პიროვნებას, რომელსაც არ ენდობი და მისგან ე. წ. მემკვიდრეობის მიღების შესახებ რაიმეს წაკითხვით ნამდვილად არ დაინტერესდები.

სწორედ ამიტომ ვხარჯავ დიდ დროს ადამიანებისთვის იმის ახსნაში, თუ როგორია ღმერთი. არა მარტო ველაპარაკები, არამედ ვაჩვენებ კიდეც. მიზეზი, რის გამოც დროს ვუთმობ თქვენი მემკვიდრეობის განმარტებას, გახლავთ თქვენი შეზღუდული პოტენციალი. ასეთ შემთხვევაში ვერ შევძლებ თქვენს დახმარებას და ვერ დაგანახებთ, სინამდვილეში, რა შეგიძლიათ. დიდი სარგებელს ვერ მიიღებთ, როცა აჩქარების ცხრა კანონის შესახებ საუბარს დავიწყებთ. თუ სწორ წარმოდგენას შევიქმნით, ვინ ვართ სინამდვილეში და რა დიდებულია ჩვენი ღმერთი, რომელიც ჩვენს მხარეს არის, ვფიქრობ, ეს დაგვეხმარება სამომავლო მიზნების განსაზღვრაში. ამის საფუძველი, რასაკვირველია, ის იქნება, რომ ღმერთი კარგია და შეგვიძლია მის დაპირებებს ვენდოთ.

ნება მომეცით, ერთი მაგალითი მოვიყვანო და ამას წინათ, ჩემი ეკლესიის ერთი ახალგაზრდა ქალბატონისგან მოსმენილი ამბავი გაგიზიაროთ. ემი ორი მშვენიერი ბიჭის დედაა და მისი ცხოვრების ყველაზე დიდი სიხარული დედობაა. ეს მისი ოცნება იყო გათხოვების დღიდან, მაგრამ ქორწინების პირველ სამ წელს ვერ დაორსულდა. ამის ნაცვლად ნაადრევად შეწყვეტილი ორსულობებით და დარდით იტანჯებოდა. ერთხელაც საოცარი ამბავი გაიგო. მის ერთ მეგობარს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს და მხოლოდ ოთხი დღის სიცოცხლის იმედი მისცეს, თუმცა ღვთის ძალით განიკურნა. სწორედ ამ მეგობარმა გააცნო ემის ჩემი სწავლება ღვთის სამეფოზე.

ერთხელაც, როცა ქალი განკურნებული კაცის ცოლს ესაუბრებოდა, ამ უკანასკნელმა ჰკითხა, ხომ არ სურდა ბავშვის ყოლა. მან უპასუხა:

– კი, მინდა.

შემდეგ ცოლმა უთხრა:

– ღვთის ნებაა, რომ ბავშვი გყავდეს და შენი გამარჯვება ახლოვდება.

ამის გაგონებაზე ემი ატირდა, რადგან სულ ახლახანს მოეშალა მუცელი. მართალია, სანუგეშო სიტყვები მოისმინა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, რაში სჭირდებოდა ამ ქალს მსგავსი რამის თქმა. მას ყოველთვის ასწავლიდნენ, რომ ღმერთმა უკეთ იცის და თუ არ დაორსულდა, ესე იგი, მას უკეთესი გეგმა აქვს. და მაინც, ქალის სიტყვები ღვთის ნებაში ისეთი დარწმუნებით ჟღერდა, რომ გულზე მოხვდა. მას მეტის გაგება სურდა. სიტყვის შესწავლა დაიწყო და წმიდა წერილის ერთ ადგილს წააწყდა.

> რომელი თქვენგანი იქნება ისეთი მამა, რომ შვილმა თევზი სთხოვოს და მან თევზის ნაცვლად გველი მისცეს?
> – ლუკა 11:11

მოულოდნელად, ქალი მიხვდა, რომ ღმერთი სწორედ ბავშვს მისცემდა, თუ ითხოვდა და არა მუცლის მოშლას ან უნაყოფობას. მან ეს მონაკვეთი გულში ჩაიბეჭდა და რამდენიმე თვეში ბიჭზე დაფეხმძიმდა. ორსულობა კარგად მიმდინარეობდა. მოგვიანებით, მან ბავშვის სქესის გამორკვევა მოინდომა. საავადმყოფოდან დაბრუნების შემდეგ, იმავე დღეს ტელეფონმა დარეკა. ექთანმა ჰკითხა, ხომ ვერ შეძლებდა სასწრაფოდ მისვლას, რადგან ექიმმა რაღაც ისეთი აღმოაჩინა, რაც დაუყოვნებელ ყურადღებას მოითხოვდა. ემი საავადმყოფოში დაბრუნდა. ექიმმა უთხრა და აჩვენა, რომ ბავშვს გულში ხვრელი ჰქონდა და ჯანმრთელობის სხვა სერიოზული პრობლემებიც აწუხებდა. მან ქალს ურჩია, რომ სასწრაფოდ სპეციალისტისთვის მიემართა.

ემიმ სპეციალისტთან შეხვედრა დანიშნა, რაც სამი დღის შემდეგ უნდა ყოფილიყო. ამ ხნის მანძილზე ის და მისი ქმარი ლოცულობდნენ და ბავშვთან დაკავშირებით ღვთის სიტყვას ეჭიდებოდნენ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ ის არ უნდა დაეკარგათ. სპეციალისტს რამდენიმე საათი დასჭირდა სურათების გადაღებისა და გამოკვლევისთვის. შემდეგ ემისთან მოვიდა და უთხრა, რომ ასეთი რამ ადრე არასოდეს ენახა.

ხვრელი, რომელიც სამი დღის წინანდელ სურათებზე ჩანდა, გამქრალიყო და მის ადგილას უმნიშვნელო კვალი შეინიშნებოდა. ბავშვი სრულიად ჯანმრთელი აღმოჩნდა. ემი აღტაცებული დარჩა!

ახლა ის ორი შვილის დედაა და ზუსტად იცის, რომ ღმერთი კარგია! ეს გახლავთ შესანიშნავი ამბავი და ერთ-ერთია ათასი სხვა ისტორიიდან, რომლებიც ამ წლების განმავლობაში მომისმენია.

ღმერთი კარგია და თუ ის მართლა ასეთია, რა სახის მემკვიდრეობას უნდა ელოდოთ მისგან?

გალატელთა მიმართ წერილის მე-4 თავში პავლე ებრაელ მორწმუნეებს წერს. მათ ჯერ კიდევ აწუხებდათ ამ ახალ კონცეპციასთან დაკავშირებული შინაგანი ჭიდილი, რომ რჯულის დაცვა საჭირო აღარ იყო. პავლე ასწავლის და შესწორებები შეაქვს მათ ძველი ცხოვრების წესში, რომელიც მონობასთან იგივდება.

> *ვამბობ: მემკვიდრე-მეთქი, მაგრამ ვიდრე ის ჩვილია, არაფრით განირჩევა მონისგან, თუმცა* ***ყოვლის მფლობელია****. არამედ აღმზრდელთა და მოურავთა ხელქვეით იმყოფება იგი მამამისის მიერ დანიშნულ ვადამდე. ასევე ჩვენც, ვიდრე ყრმანი ვიყავით, წუთისოფლის წესებს ვემონებოდით. და როცა მოვიდა სისრულე დროისა, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც ქალისგან იშვა და დაემორჩილა რჯულს. რჯულის ქვეშ მყოფთა გამოსასყიდად, რათა* ***შვილობა*** *მიგვეღო და რაკიღა თქვენ ძენი ხართ, ღმერთმა მოავლინა თქვენს გულებში თავისი ძის სული, რომელიც შესძახის: „აბბა, მამაო!“ ამიტომ, უკვე აღარ ხარ მონა, არამედ ძე, ხოლო თუ ძე,* ***მემკვიდრეც ხარ ღვთის მიერ****.*

– გალატელთა 4:1-7

აქ პავლე მიუთითებს, რომ ქრისტეს მოსვლის შემდეგ ღვთის ძე ან ასული გახდით და რჯულის მეურვეობისგან გათავისუფლდით. რჯული შიშზე დაფუძნებულ სიმართლეს წარმოადგენდა, რომლის მიღწევაც არავის შეეძლო. ამრიგად,

საჭირო იყო ყოველწლიური მსხვერპლშეწირვა, თუმცა ადამიანები ცოდვისგან მაინც ვერ თავისუფლდებოდნენ. ახლა ბიბლია ამბობს, რომ ქრისტეს მეშვეობით ახალ ქმნილებად ვიქეცით.

> *მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ახალი ქმნილებაა; ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია.*

– 2 კორინთელთა 5:17

ახლა ღვთის სული ცხოვრობს ჩვენში და ცოდვის ბორკილები დამსხვრეულია. ახლა ღვთის წინაშე უმწიკვლოდ დგახართ, როგორც მისი ძე ან ასული. არა იმიტომ, რაც გაგიკეთებიათ ან არ გაგიკეთებიათ, არამედ იმის გამო, თუ რას წარმოადგენთ. ახლა მემკვიდრეობაზე უფლებაც მიიღეთ, როგორც პავლე ამბობს გალატელთა 4:7-ში. რა არის მემკვიდრეობა? რას ამბობს მეოთხე მუხლი?

მთელი ქონება!

ოჰო! ეს ფრიად შთამბეჭდავი მემკვიდრეობაა, მაგრამ ვფიქრობ, დამოკიდებულია, თუ ვის ქონებაზე ვსაუბრობთ. ზოგიერთი ადამიანის ქონება საერთოდ არ დამაინტერესებდა. მაშ, ვის ქონებაზე ლაპარაკობს პავლე მოციქული?

> *რადგან, ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ისინი არიან ღვთის შვილები. ვინაიდან არ მიგიღიათ მონობის სული, რათა კვლავ შიშში იყოთ, არამედ მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: „აბბა, მამაო!“ სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები ვართ. ხოლო თუ შვილები - მემკვიდრენიც, **ღვთის მემკვიდრენი, და ქრისტეს თანამემკვიდრენი** თუ მასთან ერთად ვიტანჯებით, რათა მასთან ერთად კიდეც ვიდიდოთ.*

– რომაელთა 8:14-17

თქვენ იურიდიული უფლება გაქვთ ღვთის მთელ საკუთრებაზე, რადგან მისი ძე ან ასული ხართ.

პავლე ამბობს, რომ ჩვენ ღვთის მემკვიდრენი ვართ! ეს ნიშნავს, რომ დავიმკვიდრეთ ყველაფერი, რაც ღმერთს ეკუთვნის! მოდით, ერთი წუთით ჩავუფიქრდეთ! თქვენ იურიდიული უფლება გაქვთ ღვთის მთელ საკუთრებაზე, რადგან მისი ძე ან ასული ხართ. ერთი წუთით მოითმინეთ! პავლე ამით არ ამთავრებს. ის განაგრძობს, რომ ჩვენ ქრისტეს თანამემკვიდრეები ვართ. თანამემკვიდრე სხვაგვარ განკარგვას გულისხმობს, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობას წარმოუდგენია, როცა მემკვიდრეობაზე ფიქრობს.

როგორც წესი, გვგონია, რომ დატოვებული ქონება ყველა მემკვიდრეზე ნაწილდება. ამ შემთხვევაში **<u>თანამემკვიდრეობა საერთო ქონებაში მონაწილეობას ნიშნავს.</u>** ყველა მემკვიდრე თანაბრად ფლობს საკუთრებას. ყველა მისი მფლობელია. მაგალითად, თუ ცოლ-ქმარი სახლს იყიდის, ორივეს სახელზე დარეგისტრირდება. ისინი თანამფლობელები არიან. თუ ერთი გარდაიცვლება და ანდერძი არ არსებობს, ცოცხალი მეუღლე იქნება მფლობელი. ანდერძი გახლავთ იურიდიული მტკიცებულება, რომ პიროვნებას ქონებაზე უფლება აქვს. როცა ქონება საერთო მფლობელობაშია, ორივე მესაკუთრეა და ერთის გარდაცვალების შემთხვევაში არაფერი იცვლება.

აქ არ არის არეულობა, ბრძოლა დასაკუთრებისთვის და იურიდიული ხასიათის პრობლემებიც არ არსებობს. დარჩენილი მეუღლე უკვე ფლობს ქონებას.

დაფიქრდით ახლახანს ნათქვამზე! თქვენ ღვთის მემკვიდრე და ქრისტეს თანამემკვიდრე ხართ. რაც იესოს ეკუთვნის, თქვენიცაა. გახსოვდეთ, რომ მის მთელ ქონებაზე იურიდიული უფლება გაქვთ! შეწყვიტეთ მათხოვრობა, ღნავილი, ტირილი და სევდიანი ლოცვები ღვთის ყურადღების მიპყრობის მიზნით! შეწყვიტეთ!

თქვენ იურიდიული უფლება გაქვთ მთელ ქონებაზე! ობლებივით არ უნდა ვითხოვდეთ! ჩვენ მამის სუფრასთან ვზივართ და თამამად შეგვიძლია, ვითხოვოთ:

– მომაწოდეთ ორცხობილა!

იესომ მარკოზის 7:27-ში თქვა, რომ განკურნება მისი შვილების

პურია, ამიტომ გადაეცით განკურნება. სინამდვილეში, ბიბლია 7 000 დაპირებას მოიცავს და ყველა მათგანი არის *ჰო* და *ამინი*. ამრიგად, დატკბით ამ ყველაფრით! ვფიქრობ, პავლემ საკმაოდ კარგი დასკვნა გადმოგვცა ფილიპელთა 4:6-7-ში. **ამაზე ღელვა არ გჭირდებათ!**

> *არაფერზე იდარდოთ, არამედ ყოველგვარ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს, და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიცავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში.*
>
> – ფილიპელთა 4:6-7

არაფერზე იდარდოთ! რატომ? იმიტომ, რომ არ გჭირდებათ ღელვა, თუ პასუხთან მისადგომელი გაქვთ. პავლე ამბობს: „*ნებისმიერ ვითარებაში* ...“ (ინგ. ვერსიით) გაქვთ პასუხი. ვფიქრობ, აქ ნებისმიერი პრობლემა ან საჭიროება იგულისხმება, რომელიც შეიძლება ცხოვრებაში შეგხვდეთ. „*ყოველგვარ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს*“. ჩემი აზრით, ადამიანთა უპრავლესობა კარგად ართმევს თავს ლოცვის ნაწილს. ამაზე მალე გავამახვილებ ყურადღებას, მაგრამ ვფიქრობ, ადამიანთა დიდი ნაწილი ხვდება, რომ ლოცვა ღმერთთან საუბარია.

ყოველგვარ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს.

ქრისტიანების უმეტესობას პრობლემა სწორედ მეორე ნაწილთან აქვს და მათი უმრავლესობა ვერც კი ხვდება, რაზე ლაპარაკობს პავლე მოციქული. მხედველობაში მაქვს სიტყვა *ვედრება*. სიტყვა ვედრების, იგივე პეტიციის მნიშვნელობა ასეთია: ეს გახლავთ ოფიციალური წერილობითი დოკუმენტი, სადაც ძალაუფლების წარმომადგენელი პიროვნების ან ჯგუფისგან უფლების ან გარკვეული სარგებლის მინიჭებას ითხოვენ ან ეს არის წერილობითი განცხადება მათ საქმეში სასამართლოს ჩარევაზე.[16] უფლების ან სარგებლის მოთხოვნა? ეს ნიშნავს, რომ ვედრება განსაკუთრებული თხოვნა უნდა იყოს,

16 *The American Heritage Dictionary of the English Language.*

რომელიც ოფიციალურ პოზიციას ან ურთიერთობას ეფუძნება. წარმოგიდგენიათ, რომ სასამართლოში თქვენი საქმის მოსმენაა და მოსამართლე გეკითხებათ, თუ რატომ ხართ იქ? თქვენ პასუხობთ:

– იცით, რაღაც საგნები მჭირდება.

– კარგი, – ამბობს მოსამართლე, – რა გჭირდებათ და რატომ გგონიათ, რომ ამ სასამართლომ თქვენი მოთხოვნა უნდა მოისმინოს?

თქვენ პასუხობთ:

– უბრალოდ, რაღაც საგნები მჭირდება. სულ ეს არის.

– თქვენ რა, ხუმრობთ? სასამართლოს წინაშე დგომას ვერ შეძლებთ, თუ აქ ყოფნის ოფიციალურ უფლებას ვერ წარმოადგენთ და ზუსტად არ გვეტყვით, რატომ მოხვედით.

მოსამართლე იქიდან გაგაგდებდათ; ეს სახალისო ამბავი იქნებოდა.

თუმცა თქვენ, რა თქმა უნდა, გაქვთ ზეციურ სასამართლოზე ოფიციალურად დგომის უფლება. რატომ? იმიტომ, რომ ამ დიდებული სამეფოს მოქალაქე ხართ და უკვე გაქვთ მოთხოვნის იურიდიული საფუძველი. მოდით, ისევ სიტყვა ვედრებას დავუბრუნდეთ. ვაცნობიერებთ, რომ ლოცვა გვჭირდება, მაგრამ რაში მდგომარეობს ჩვენი ვედრება? როგორი იქნება თქვენი პასუხი ამ სიტყვის ზემომოყვანილი განსაზღვრების ფონზე? რა სახე ექნება თქვენს ოფიციალურ წერილობით პეტიციას? როგორ დაწერთ ოფიციალურ განცხადებას საქმეში სასამართლოს ჩარევის და მოქმედების შესახებ? ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ეს დოკუმენტი დაწვრილებით უნდა აღწერდეს ვითარებას.

გეტყვით, როგორ ლოცულობს ადამიანთა უმრავლესობა – ძალზე ბუნდოვნად და „იყოს შენი ნება“ ფრაზის დამატებით. მათ წარმოდგენა არ აქვთ იურიდიულ პოზიციაზე და არ იციან, რა ეკუთვნით. თუ ადამიანი ამ ორ საკითხს ვერ აცნობიერებს, როცა ლოცვისთვის დგება, მაშინ მხოლოდ თხოვნა დარჩენია. ნება მომეცით, დაგეხმაროთ: **შეწყვიტეთ!** სასამართლომდე ვერასოდეს მიაღწევთ ძალზე დეტალური თხოვნის წარდგენის გარეშე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს თხოვნის იურიდიული და სამართლებრივი უფლების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები.

ამრიგად, ბევრ ქრისტიანს წარმოდგენა არ აქვს, რა არის მისი იურიდიული პოზიცია; არ იცის, როგორ წარადგინოს პეტიცია ზეციურ სასამართლოში იურიდიული პოზიციის საფუძველზე ან საერთოდ, რა ეკუთვნის ცათა სამეფოში. ბევრი განაწყენებული რჩება, როცა ამ პრინციპებზე ვლაპარაკობ და ვასწავლი. ისინი მეუბნებიან, ღვთისგან რაიმეს მოთხოვნა უპატივცემულობის გამოხატულებაა. ჩვენ არაფერს ვითხოვთ ღვთისგან. უბრალოდ ვამბობთ: „გადმომაწოდეთ ბისკვიტი“. თქვენ უკვე ფლობთ ამ ბისკვიტებს. ღმერთმა უკვე მოგცათ. ის მაშინ რჩება შეურაცხყოფილი, როცა არ ვიღებთ, რასაც გვაძლევს.

თუ ბანკის ანგარიშზე მოზრდილი თანხა მიდევს და მის გამოსატანად მივედი, მაგრამ მეუბნებიან, რომ არავითარი ფული არ მაქვს, რას გავაკეთებ? ვეტყვი: „ოჰ, მაპატიეთ, გეთაყვა, რომ შეგაწუხეთ. რა სისულელეა ჩემგან ფულის მოთხოვნა ასეთი პრესტიჟული ბანკისგან“?! ასე მოვიქცევი? არა! ჩემს ფულს მოვითხოვ. ის მე მეკუთვნის. როცა ბანკში მივალ, ძალზე საფუძვლიანად გამოვიტან თანხას. არ ვიტყვი: „ჰეი, მეგობრებო, თქვენ უკეთ იცით, რა არის კარგი. უბრალოდ, ცოტა ფული მომეცით! თქვენ გადაწყვიტეთ, რამდენი!“

პეტიცია დეტალურია, მაგრამ ასეთი ვერ იქნება, თუ არ იცით, რა გეკუთვნით.

ნება მომეცით, მაგალითი მოვიყვანო, როგორია სპეციფიური მოთხოვნა. წლების წინ, როცა ჯერ კიდევ ვსწავლობდით სამეფოს მოქმედების პრინციპებს, მოტოციკლის ყიდვა მომინდა. იმ დროს ისევ ძველ ფერმაში ვცხოვრობდით და გარაჟი არ გვქონდა. ამრიგად, თესლი დავთესე ახალი *Honda ST 1100*-თვის, რომელსაც ერთხელ თვალი მოვკარი და ვიფიქრე, რომ ამის ყოლა კარგი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ჩეკზე წავაწერე, რომ არ მინდოდა მოტოციკლი მანამ გამოჩენილიყო ჩემს ცხოვრებაში, სანამ მის შესანახად კარგი გარაჟი არ მექნებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ნებისმიერ ამინდში გარეთ დასადებად არ მემეტებოდა. იმ დროისთვის ჩემს პასტორს ძალიან უყვარდა მოტოციკლის ტარება. ყოველ წელს ვუწერდი 300 დოლარის ჩეკს და მასზე ვაწერდი: „თქვენი საწვავის ხარჯი და ჩემი *ST 1100*-ის თესლი“. ასევე სხვა პასტორებსა და მეგობრებს ვუყიდე მეორადი მოტოციკლები და თან ვამბობდი, რომ ჩემი *ST 1100*-თვის ვთესავდი.

სახლის აშენების შემდეგ მშვენიერი გარაჟიც გაგვიჩნდა. ერთხელაც, სახლში ერთი წყვილი მესტუმრა და დაბადების დღისთვის სრულიად ახალი *ST 1300* მაჩუქა. ჰონდამ სულ ცოტა ხნის წინ განაახლა *ST 1100* და უფრო ახალი და ძლიერი ძრავი ჩაუდგა. ამ ვერსიას *Honda ST 1300* უწოდეს. ზუსტად ისეთი იყო, როგორზეც ვოცნებობდი. ამ შესანიშნავ მოტოკილს 14 წელი ვატარებდი. მას შემდეგ ის სხვა მოტოციკლით, Harley Ultra Limited-ით შევცვალე, რომელსაც მოგზაურობისთვის ვიყენებდი. ეს მაგალითი იმისთვის მოვიყვანე, რომ გცოდნოდათ, რამდენად დეტალური იყო ჩემი თხოვნა და ზუსტად ისეთი მივიღე, როგორიც მინდოდა. ყოველთვის ისეთი ჩნდება, როგორიც გინდა.

ბევრი ამბის მოყოლა შემიძლია, თუ რაოდენ კონკრეტულია ცათა სამეფო და რამდენად დეტალური უნდა იყოს თქვენი ვედრება. რამდენიმე წლის წინ ეკლესიამ ესკალადები იქირავა კონფერენციისთვის, რომელსაც ჩვენ ვმასპინძლობდით. ამ მანქანებით სტუმრებს ვემსახურებოდით და გვინდოდა მათთვის კარგი ავტომობილები შეგვერჩია. ეს პირველი შემთხვევა არ იყო. ყოველთვის ასე ვიქცეოდით. თუმცა პირველად მომიხდა ერთ-ერთი მათგანის მართვა, რომელიც ღონისძიების მოლოდინში მისთვის განკუთვნილ სადგომზე იდგა. აღარ მახსოვს, რატომ დაგვჭირდა ის მანქანა იმ კონკრეტულ ღონისძიებაზე, მაგრამ სახლამდე კი მივედით. და იცით რა? შემიყვარდა. მე და დრენდას ძალიან მოგვეწონა მისი სიარულის მანერა და გარეგნული მხარე.

იმ დროისთვის მშვენიერი ჰონდა პილოტი გვყავდა, მაგრამ ესკალადა ერთი თავით მაღლა იდგა. ეს იყო პლატინის ელფერის მქონე მარგალიტისფერი ავტომობილის მოკლე ვერსია. თუ ესკალადების ამბავში გარკვეული ხართ, გეცოდინებათ, რომ ორი ვერსია არსებობს – გრძელი და მოკლე. მოკლე ვარიანტი უფრო მოგვეწონა, რადგან მოქნილი მანევრირება შეეძლო. როცა ესკალადას დრენდასთან ერთად ვატარებდი, მან თქვა:

– იცი, მომწონს ეს ავტომობილი. ვფიქრობ, ერთი ასეთი უნდა ვიყოლიოთ.

მეც დავეთანხმე:

– ზუსტად ასეთი უნდა ვიყიდოთ, მოკლე და მარგალიტისფერი თეთრი.

ორივენი შევთანხმდით.

ჩვენი საუბრის შესახებ არავისთვის გვითქვამს, მაგრამ ერთი თვის თავზე, როცა სახლიდან გასული ვიყავი რაღაც ქაღალდისთვის, ჩემმა მობილურმა დარეკა. მეორე ხაზის ბოლოდან ვიცანი ერთი ადამიანის ხმა, რომელიც ჩვენს ეკლესიაში დადიოდა. ის მომესალმა და მითხრა, რომ ჩემთვის ესკალადის ყიდვა სურდა. გაკვირვებისგან უკან დავიხიე, მაგრამ შემდეგ ვუთხარი: „დიდებულია!“ მან მკითხა, რა ფერის მერჩივნა. ვუთხარი, რომ მარგალიტისფერი თეთრი კარგი იქნებოდა. ის შემპირდა:

– დაგირეკავ, როცა მანქანას ვიშოვი.

მას არ უკითხავს, რომელიც ვერსია მინდოდა, გრძელი თუ მოკლე.

ერთი თვე გავიდა და ვიფიქრე, რომ იმ ადამიანს მანქანის ამბავი გადაავიწყდა, მაგრამ დამირეკა და მითხრა, რომ ერთი ავტომობილი მზად ჰქონდა. როცა მას შევხვდით, იქვე მშვენიერი მარგალიტისფერი თეთრი ესკალადის მოკლე ვერსია დავინახეთ. ყოველმხრივ სრულყოფილი იყო, რაიმე ნაკაწრის გარეშე, პირდაპირ, სრულყოფილი. ვუთხარით, რომ ძალიან მოგვეწონა. მან ბოდიში მოგვიხადა და გვითხრა, რომ ამდენი ხნის დაგვიანების გამო წუხდა. აღმოჩნდა, რომ გრძელი ვერსიის პოვნას ცდილობდა, მაგრამ მხოლოდ ეს მოკლე ვარიანტი იპოვა. გაგვეცინა და ვუთხარით:

– ჩვენ სწორედ მოკლე ვერსია გვინდოდა.

ის მანქანა სახლში მოგვყავდა და ვფიქრობდით, რომ მთელ პლანეტაზე უმდიდრესი ადამიანები ვიყავით, რაკი მას ვმართავდით.

ვიმეორებ, რომ მთელი წიგნის გავსება შემიძლია თვალსაჩინო მაგალითებით, თუ რა კონკრეტულია ცათა სამეფო. ამრიგად, როცა ფილიპელთა მიმართ წერილი ვედრებაზე ანუ პეტიციაზე ლაპარაკობს, ზუსტად იმას გულისხმობს, რასაც ამბობს. კიდევ ვიმეორებ, რომ კი არ ითხოვთ, არამედ განაცხადს აკეთებთ. ეს არაფრით განსხვავდება ჩემი შვილის ნათქვამისგან: „მამა, ერთი ნაჭერი ნამცხვარი გადმომაწოდე“. ისინი არ მეხვეწებიან იმ საჭმლის გამო, რომელსაც ჭამენ, ისე იქცევიან, თითქოს მათი საკუთრებაა და ასეც არის.

მომწონს, როგორ გვასწავლის ლოცვას „მამაო ჩვენო“. ვფიქრობ, ეს ლოცვისას ჩვენი პოზიციის კიდევ ერთი დიდებული

მაგალითია. იქ მარტივად არის ნათქვამი: „*პური ჩვენი არსობისა მოგვეცი ჩვენ დღეს*“. საკმაოდ პირდაპირია, არა? ფაქტობრივად, იესო რელიგიურ ხალხს საყვედურობს, რადგან ისინი იხვეწებოდნენ და გრძელ ლოცვებს წარმოთქვამდნენ იმ იმედით, რომ ღმერთი მათთვის რაიმეს გააკეთებდა.

ლოცვის დროს კი ნუ მოჰყვებით ამაო სიტყვების გამეორებას, როგორც წარმართები იქცევიან, რადგან ჰგონიათ, რომ მრავალსიტყვაობის გამო იქნებიან შესმენილნი. ნუ იქნებით მათი მსგავსები, რადგან თქვენმა მამამ მანამდე იცის, რა გჭირდებათ, ვიდრე თხოვდეთ.

თქვენ კი ასე ილოცეთ:

„მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი; მოვიდეს მეფობა შენი, და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“.

– მათე 6:7-11

ვიცი, რომ ეს ლოცვა იმაზე გრძელია, ვიდრე აქ მოვიყვანე, მაგრამ სათქმელის ხაზგასასმელად საკმარისია. ისინი ფიქრობდნენ, რომ ღმერთი მრავალსიტყვაობის გამო მოუსმენდა. ეს რას გეუბნებათ? მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ იურიდიულად გამართლებულ დგომაზე ზეცის წინაშე და სამწუხაროა, რომ მრავალი ადამიანი დღესაც ასეა. როცა იესო ამბობს, რომ მათ ჰგონიათ, თითქოს მრავალსიტყვაობის გამო შესმენილი იქნებიანო, გამოყენებულ ზმნას *შესმენილი* შემდეგი მნიშვნელობა აქვს: ღმერთი ისმენს ისე, როგორც მოსამართლე ისმენს საქმეს, განიხილავს მას და განეჩინი გამოაქვს. იმის გამო, რომ არ იცოდნენ, რა პოზიცია ეჭირათ ზეციურ სამსჯავროზე, მხოლოდ გრძელი ლოცვების ანაბარა იყვნენ დარჩენილნი. იმედოვნებდნენ, რომ ღმერთი იქიდან რაღაცას მაინც შეასრულებდა.და რას ამბობს იესო ამის შესახებ? **შეწყვიტეთ** ასე ლოცვა!

გახსოვდეთ, რომ საუფლო ლოცვა სწავლების ნიმუშია. უმეტეს შემთხვევაში ადამიანები სიტყვასიტყვით იმეორებენ.

არა, მასში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა ილოცოთ. პირველ ხაზზე ნაჩვენებია თქვენი იურიდიული პოზიცია: „მამაო ჩვენო“. ის თქვენი მამაა, რაც ნიშნავს, რომ მისგან მიღების იურიდიული პრეტენზია და უფლება გაქვთ. შემდეგ ლოცვა გრძელდება და მიგვითითებს, თუ როგორ წარვადგინოთ ჩვენი პეტიცია მის წინაშე. აქ უკვე ითხოვთ იმას, რაც ზეცამ მოგაკუთვნათ. თქვენი მოთხოვნა ამ იურიდიულ პრეტენზიას ზეციდან დედამიწის სამეფოში განახორციელებს. როცა თხოვნით მიმართავთ, ეს არ გახლავთ შეწყალების თხოვნა, არამედ „მომეცი ჩემი დღევანდელი წილი პური“. ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ განაცხადში მათხოვრობა არ იგრძნობა. ეს არის უბრალო და საქმიანი ნათქვამი: „გთხოვთ, ბისკვიტი გადმომაწოდოთ!“ ამ სტრიქონში შეიძლება ითხოვოთ ყველაფერი, რაც გჭირდებათ. ვიმეორებ, რომ ეს არის ლოცვის ნიმუში და მხოლოდ პურის თხოვნით არ უნდა შემოიფარგლოთ. ის მარტივად ამბობს:

პური ჩვენი არსობისა მოგვეცი ჩვენ დღეს.

თქვენი მოთხოვნა ზეციურს დედამიწაზე ჩამოიტანს. ეს სრულად ეთანხმება იესოს სწავლებას:

> *ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც დედამიწაზე შეკრავთ, ზეცაშიც შეკრული იქნება. ხოლო* ***<u>რასაც გახსნით დედამიწაზე</u>****, გახსნილი იქნება ზეცაშიც.*
>
> – მათე 18:18

ნება მომეცით, რომ ახლახანს წაკითხულის პარაფრაზირება მოვახდინო. ზეციდან დედამიწაზე არაფერი გამოჩნდება თქვენს ცხოვრებაში, თუ მას ოფიციალურად არ მოითხოვთ! რატომ? იმიტომ, რომ მათ იურიდიული უფლება არ აქვთ, სანამ თქვენ არ მოითხოვთ.

რამდენიმე წლის წინ ჩემს ეკლესიაში ერთი ახალგაზრდა ქალი დადიოდა, რომელსაც შიშის სული აწუხებდა. ერთხელ მასთან საუბრისას ვცდილობდი დამედგინა ფესვი, ის კარი, რომლითაც სატანა შემოდიოდა მის გასატანჯვად. ქალმა მითხრა, რომ მდიდარ ოჯახში გაიზარდა და მშვენიერი საძინებელი ჰქონდა. მას ლამაზი ბალიშები და საოცარი თეთრეული ამშვენებდა. მან მითხრა:

– თეთრეულზე შთამბეჭდავი თოჯინები იყო დახატული.

ზეციდან დედამიწაზე არაფერი გამოჩნდება თქვენს ცხოვრებაში, თუ მას ოფიციალურად არ მოითხოვთ!

მიუხედავად იმისა, რომ ქალს თავისი საწოლი ოთახი ჰქონდა, შიგ არასოდეს სძინებია. მას სარდაფში ეძინა, რომ საძინებელი არ არეულიყო. დედა დილაობით სახლიდან აგდებდა და საღამომდე მოსვლის უფლებას არ აძლევდა. მაშინაც უნდა დარწმუნებულიყო, რომ გოგონამ ფეხსაცმელები გაიხადა და მის ტანსაცმელზე ბალახის ნამცეცი არსად იყო. ამრიგად, მას მდიდარი მშობლები ჰყავდა და მშვენიერი საგნებით გაწყობილი სახლი ჰქონდა, მაგრამ ვერ ხარობდა. მას ობოლივით ცხოვრებას აიძულებდნენ. რა სამწუხაროა! გასაკვირი არ არის, რომ ამ ახალგზარდა ქალს უჭირდა ღვთისგან მიღება და შიშსა და დეპრესიასაც ებრძოდა. მადლობა ღმერთს, რომ გონების გამუდმებული წვრთნის შედეგად თავი დააღწია შიშის საპატიმროს და ეს თქვენც შეგიძლიათ. რელიგიური სულის ტყუილებისგან გათავისუფლებისთვის, თქვენი პიროვნული რაობისა და კუთვნილის სრულად გაცნობიერებისთვის გონების გადაპროგრამება დაგჭირდებათ.

> *ამიტომ, გევედრებით ძმებო, ღვთიური თანაგრძნობის მეშვეობით წარუდგინეთ თქვენი სხეულები ცოცხალ და წმიდა, ღვთისათვის სასურველ მსხვერპლად, ანუ თქვენი გონივრული მსახურება და ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ გარდაისახენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება – კეთილი, სასურველი და სრულყოფილი.*

– რომაელთა 12:1-2

ერთი წუთით ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ აქ ძალზე პირდაპირი უნდა ვიყო. ღვთის მემკვიდრეობას ვერასოდეს მიიღებთ, სანამ გონებას იმის მიხედვით არ გადააპროგრამებთ, რასაც ცათა სამეფოში წარმოადგენთ. პავლემ ეს კარგად იცოდა, როცა ეფესელთა ეკლესიას წერდა:

ამიტომ მეც, როცა შევიტყვე თქვენი რწმენა უფალ იესოში და თქვენი სიყვარული ყველა წმიდანის მიმართ, არ ვწყვეტ ღვთისადმი მადლიერებას თქვენთვის, გიხსენებთ რა ჩემს ლოცვებში, რათა მოგცეთ თქვენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად, და გაანათლოს თქვენი გონების თვალნი, რათა იცოდეთ, რა არის მისი მოწოდების იმედი და როგორია მისი დიდებული მემკვიდრეობის სიმდიდრე წმიდათათვის; და რა განუზომელია მისი ძალის სიდიადე ჩვენში, რომელთაც გვწამს მისი ყოვლისმპყრობელი ძალის მოქმედებით, რომლითაც იმოქმედა ქრისტეში, მკვდრეთით აღადგინა და დასვა თავის მარჯვნივ ზეცაში; ყველა მთავრობაზე, ხელმწიფებაზე, ძალაზე, უფლებაზე და ყოველგვარ სახელზე მაღლა, რაც კი წოდებულა არა მარტო ამ წუთისოფელში, არამედ მომავალშიც.

– ეფესელთა 1:15-21

პავლე ამბობს: „*გიხსენებთ რა ჩემს ლოცვებში, რათა ... ღმერთმა ... გაანათლოს თქვენი გონების თვალნი, რათა იცოდეთ, რა არის მისი მოწოდების იმედი* და ***როგორია მისი დიდებული მემკვიდრეობის სიმდიდრე წმიდათათვის***.“ განათლება ნიშნავს გონების განათებას. ის ლოცულობს, რომ სულიწმიდა დაგეხმაროთ იმის დანახვაში, თუ რა დიდი მემკვიდრეობა გაქვთ ქრისტეში. ის მას დიდებულს უწოდებს! რასაკვირველია, ქრისტეში სულიერი მემკვიდრეობა გვერგება, მაგრამ ქვეყნიერ სამეფოში ფიზიკური მემკვიდრეობაც გვაქვს.

ვიფიქრე, რომ თქვენი მემკვიდრეობის პატარა ნაწილს შევხებოდი, რასაც ქრისტიანთა მცირე ნაწილი თუ ხვდება. ეს არის აბრაჰამის კურთხევა. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ძველი აღთქმის ყველა სარგებელი გაუქმებულია ჩვენთვის, რახან ახალი აღთქმის მორწმუნეები ვართ. ეს მცდარი აზრია.

ქრისტემ გამოგვისყიდა რჯულის წყევლისგან და ჩვენს ნაცვლად გახდა წყეული, ვინაიდან დაწერილია: „წყეულია ყველა, ვინც ძელზეა დაკიდებული“. იმისთვის,

> რომ ***აბრაჰამის კურთხევა ქრისტე იესოს მიერ იყოს წარმართებზე***, რათა რწმენის მეშვეობით მივიღოთ სულის აღთქმა.
>
> – გალატელთა 3:13-14

მაშ, რას წარმოადგენს აბრაჰამის კურთხევა? ვფიქრობ, უნდა იცოდეთ ამის შესახებ, რადგან თქვენ გეკუთვნით.

იმ დროს, როცა დედამიწა შეიქმნა, ღმერთმა ადამი და ევა მის სამართავად დაადგინა ცათა სამეფოს სახელით. სატანა უკვე გადმოგდებული იყო დედამიწაზე და გული ეთქმოდა იმ ძალაუფლებისთვის, რომელიც ადამიანს მიეცა. მაშინ მან გეგმა დასახა ადამისა და ევას მოსატყუებლად და თავის მიმდევრებად აქცია. ღვთის ბუნებაზე ტყუილები შეთხზა და ადამიანებს უკეთეს ცხოვრებას დაპირდა. მათაც სატანის მიყოლა არჩიეს და ღმერთი მიატოვეს. უფალს მათთვის აბსოლუტური ძალაუფლება ჰქონდა მინიჭებული და ვერ შეაჩერებდა (ებრ. 2:7-8). შედეგი? ამას დაბ. 3:17ბ-19-ში ვხედავთ.

> *წყეულიმც იყოს მიწა შენგამო! ტანჯვით ჭამდე მის ნაყოფს მთელი შენი სიცოცხლე! ეკალსა და ძეძვს აღმოგიცენებს და მინდვრის ბალახს შეჭამ. შენი პირის ოფლით შეჭამ პურს, სანამ მიწას დაუბრუნდები, რომლისგანაც ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვერს დაუბრუნდები.*

მიწა დაიწყევლა, რაც ნიშნავს, რომ მან ღვთის კურთხევა დაკარგა. ყურადღება მიაქციეთ, რომ ღმერთმა ამაში ადამი დაადანაშაულა. მას კი არ დაუწყევლია მიწა, არამედ ადამის გამო დაიწყევლა. ნება მომეცით, ეს სხვა სიტყვებით გამოვხატო: ადამმა ღმერთი გააძევა თავისი ცხოვრებიდან! ერთ დროს ასე მსუყე და მწვანე დედამიწა ახლა ძეძვსა და ეკალს აღმოაცენებდა. ადამი და ევა ადვილად იკვებებოდნენ ღვთის ბაღიდან, მაგრამ ახლა გადარჩენისთვის ბრძოლაში ჩაებნენ და ოფლის ღვრით და დიდი გარჯით ჭამდნენ პურს. ღმერთმა კაცობრიობაზე ზეგავლენა დაკარგა, რადგან ამ ქვეყნიერების ღვთაება სატანა გახდა.

ურწმუნოთათვის, რომლებსაც ამ წუთისოფლის ღმერთმა დაუბრმავა გონება, რათა არ ებრწყინა მათთვის სახარების ნათელს ქრისტეს დიდებაზე, რომელიც ღვთის ხატია.

– 2 კორინთელთა 4:4

ადამის ამბოხების ყველაზე ცუდი შედეგი ის გახლდათ, რომ კაცობრიობა, მისი შთამომავლობა ღმერთს დაშორდა და სატანის იურისდიქციაში მოექცა. თუმცა მთელ ამ ცდუნებაში ერთი პატარა დეტალი არსებობს. მას განაჩენი გამოუტანეს და ჯოჯოხეთად წოდებული ადგილი მიუჩინეს. ამის შემდეგ ადამიანიც იქ მოხვდება, რადგან სატანის სამეფოს ნაწილი გახდა და მისი სულიერი მმართველობის ქვეშ იმყოფება. ეს არ იყო ღვთის გადაწყვეტილება. ასე ადამმა გადაწყვიტა. ჯოჯოხეთი კაცობრიობისთვის არასოდეს შექმნილა.

– მათე 25:41ბ

ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ზეცასა თუ ჯოჯოხეთში მოხვედრა მათ საქმეებზეა დამოკიდებული და თუ საკმარისად კარგები აღმოჩნდებიან, მარადისობას ზეცაში გაატარებენ. ნება მომეცით, ეს საკითხი ნათლად განვმარტო:

ზეცასა თუ ჯოჯოხეთში მოხვედრა არ უკავშირდება იმას, რამდენად კარგი ან ცუდი ხართ.

როცა ადამი ღმერთს აუჯანყდა, მთელი კაცობრიობა ჯოჯოხეთში გაიყოლა. სულაც არ მინდა მეტისმეტი პირდაპირობა, მაგრამ იძულებული ვარ. ისედაც ყველა ჯოჯოხეთისთვის არის განწირული ადამის გამო და აქედან თავის დაღწევის ერთადერთი გზა არსებობს. ამ სასჯელისგან ერთადერთი ხსნა გახლავთ თქვენი სახელის ჩაწერა კრავის სიცოცხლის წიგნში, რომელიც ზეცაშია. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ერწმუნებით იესოს, როგორადაც თავი წარმოგვიდგინა და მის სახელს მოუხმობთ გადასარჩენად.

ყოველი, ვინც მოუხმობს უფლის სახელს, გადარჩება.

– საქმეები 2:21

იესომ ამას ხელახლა შობა უწოდა. თუ აქამდე არ მოგიხმიათ იესოს სახელი, მოგიწოდებთ, რომ ახლავე გააკეთოთ. იცით, იესო იყო ღვთის გეგმა, რომლითაც მისი დაკარგული ქმნილება უკან უნდა დაებრუნებინა ცათა სამეფოში. თავიდანვე ზეცა განისაზღვრა ადამიანის საცხოვრებლად. იმის გამო, რომ ყოველ ადამიანს, ქალსა თუ ბავშვს თავისუფალი ნება აქვს მინიჭებული და საკუთარი ცხოვრების

მართვის უფლება მიეცა, ღმერთი მარადიული სიცოცხლის უსასყიდლო ნიჭს თავს ვერავის მოახვევს.

მან გვიხსნა სიბნელის ხელმწიფებისგან და შეგვიყვანა თავისი საყვარელი ძის სამეფოში.

– კოლოსელთა 1:13

როცა ადამი და ევა ცოდვით დაეცნენ, ღმერთმა დაკარგა წარმომადგენელი დედამიწაზე. მას სხვა ადამიანი უნდა ეპოვა, რომელიც დედამიწის საქმეებში ჩარევის უფლებას მისცემდა. ამით ის გადარჩენის გეგმას სისრულეში მოიყვანდა. ასეთი კაცი აბრამი აღმოჩნდა, რომელსაც მოგვიანებით აბრაჰამი ეწოდა. აბრაჰამი და სარა ხანდაზმულები იყვნენ. სარამ უკვე გადააბიჯა შვილოსნობის ასაკს. და მაინც, ღმერთი გამოეცხადათ და დაპირება მისცა, რომ ძე ეყოლებოდათ. აბრაჰამი ერწმუნა მას. ღმერთმა ოფიციალური ხელშეკრულება, აღთქმა დაუდო და დაუფიცა კიდეც, რომ ეს აუცილებლად მოხდებოდა.

აღთქმა ღმერთს კიდევ ერთხელ მისცემდა კაცობრიობის კურთხევის შესაძლებლობას აბრაჰამისა და მისი მემკვიდრეების მეშვეობით, რადგან შეთანხმება ღმერთსა და აბრაჰამს შორის მოხდა მისი შთამომავლობის ჩათვლით. სწორედ ამ აღთქმისა და მისი თესლის მეშვეობით მოევლინა იესო ქვეყნიერებას. ადამიანთა უმეტესობისთვის მათეს სახარების პირველი თავი შობათა მოსაწყენ ჩამონათვალს წარმოადგენს, მაგრამ მასში

დეტალურად არის ასახული აბრაჰამის გენეალოგია იესო ქრისტეს დაბადების ჩათვლით. ეს თავი არც ისე მოსაწყენია, როგორც გგონიათ, რადგან მისი მეშვეობით მტკიცდება, რომ იესო აბრაჰამისეული აღთქმის მეშვეობით მოვიდა. ეს ჩანაწერი მოწმობაა ცისა და მიწის წინაშე, ყველას დასანახად, რომ იესო კანონიერად გამოჩნდა ამქვეყნიურ სამეფოში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სატანისთვის, ქვეყნიერების ღმერთისთვის, რომელიც აუცილებლად გააპროტესტებდა იესოს მოვლინების კანონიერებას, თუმცა დასტური აქ არის, ყველას თვალწინ.

კარგი! ახლა, ვიცით, ვინ იყო აბრაჰამი, ამიტომ დავუბრუნდეთ წინათ წამოწყებულ საუბარს მისმიერი კურთხევის შესახებ და ვნახოთ, რა გავლენა აქვს ახალი აღთქმის მორწმუნეებზე. როცა ღმერთმა აღთქმა დადო აბრაჰამთან, რამდენიმე დაპირებაც მისცა. ღმერთმა უთხრა, რომ დიდ ერად აქცევდა და მისი მეშვეობით იკურთებოდა დედამიწის ყველა ერი. რასაკვირველია, ეს ეხებოდა აბრაჰამის შთამომავლობაში იესოს დაბადების ფაქტს. ღმერთმა თქვა, რომ თავად აკურთხებდა პატრიარქს. სწორედ ამ დაპირებებს ეწოდება აბრაჰამის კურთხევა.

უნდა გვახსოვდეს, რომ აბრაჰამი ხელახლა შობილი არ იყო, რადგან იესოს ჯერ არ გადაეხადა ცოდვის საფასური, ამიტომ აბრაჰამს არ შეეძლო ღვთის თანდასწრებაში შესვლა. თუმცა მან მიიღო დაპირება, რომ მისი თესლიდან მოვიდოდა მესია და ხსნის გამოსასყიდს გადაიხდიდა. იქამდე ღმერთმა აბრაჰამს დაპირებები აღუთქვა, რომლებიც ამქვეყნიურ სამეფოს ეხებოდა, განაცხადა, როგორ აპირებდა მის კურთხევას და დიდი გავლენის მინიჭებას მთელ დედამიწაზე.

ამ დრომდე სატანა ადამიანს მონობასა და სიღატაკეში ამყოფებდა ადამის ცოდვის გამო. აბრაჰამისთვის მიცემული დაპირებების მეშვეობით ღმერთმა შეძლო დედამიწის წყევლის დაძლევა და აბრაჰამის კურთხევა. იმის ნაცვლად, რომ აბრაჰამი მუხლჩაუხრელი შრომით და ოფლისღვრით დაკმაყოფილებულიყო, ღმერთმა სიდიადით და სიმდიდრით აკურთხა.

გალატელებში ვკითხულობთ, რომ ეს აღთქმები დღესაც მოქმედია და მას აბრაჰამის კურთხევა ეწოდება.

თავი 4

აბრაჰამის კურთხევა

წინა თავში მოგახსენეთ, რომ ხელახლა შობის სულიერი მემკვიდრეობა გერგებათ როგორც ახალი აღთქმის მორწმუნეს და ამასთან ერთად, აბრაჰამის კურთხევაც თქვენია. ვიმეორებ, რომ ამ კურთხევაში იგულისხმება აბრაჰამისთვის მიცემული დაპირებები, სადაც აღიწერებოდა, რას წარმოადგენდა და როგორი იქნებოდა მისი მომავალი და აურაცხელი სიმდიდრე, რომელსაც ერთხელაც დააგროვებდა. ჩვენი მსჯელობისთვის ფონის შესაქმნელად ისევ დაბ. 3:17-19 მონაკვეთს მივუბრუნდეთ, სადაც ადამიანის დაცემა არის აღწერილი.

> *წყეულიმც იყოს მიწა შენ გამო! ტანჯვით ჭამდე მის ნაყოფს მთელი შენი სიცოცხლე!“* ***ეკალსა და ძეძვს აღმოგიცენებს და მინდვრის ბალახს შეჭამ. შენი პირის ოფლით შეჭამ პურს,*** *სანამ მიწას დაუბრუნდები, რომლისგანაც ხარ აღებული რადგან მტვერი ხარ და მტვერს დაუბრუნდები“.*
>
> – დაბადება 3:17ბ-19

მიწის დაწყევლა მტანჯველ შრომასა და ოფლისღვრით პურის მოპოვებაში მდგომარეობს, რითაც ცხოვრება უნდა გავიტანოთ. არსებითად, ამ სისტემაში თქვენი პოტენციალი საკუთრივ თქვენი მტანჯველი შრომა იქნება. რასაკვირველია, ყველანი თვითგადარჩენის სისტემაში დავიბადეთ და წარმატების მიღწევის შანსების ამ ფილტრის მეშვეობით შეფასებას მივეჩვიეთ – რა

ძალისხმევაა ამისთვის საჭირო? თუმცა დაბადების მე-12 თავში ღვთის მიერ აბრაჰამისთვის მიცემულმა აღთქმამ ყველაფერი შეცვალა.

> *უთხრა უფალმა აბრამს: „წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც გაჩვენებ. დიდ ერად გაქცევ, გაკურთხებ, განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები. ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს; და იკურთხება შენში დედამიწის ყველა ტომი“.*
>
> – დაბადება 12:1-3

ხედავთ განსხვავებას?

აქ ღმერთი მოქმედებს.

იფიქრეთ ამაზე. ღმერთი აბრაჰამს დაპირებებს აძლევს. ის უკვე აღარ არის მომავლის ტყვე, რომელიც თავად უნდა შექმნას ან მოიტანოს მტანჯველი შრომით და ოფლისღვრით. ღმერთი ეუბნება, რომ ის მოახდენს ამ ყველაფერს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფალს კანონიერი კარი გაეხსნა აბრაჰამის საკურთხებლად, მისივე რწმენის მეშვეობით. ღმერთი პატრიარქს შეპირდა, რომ აკურთხებდა, მის სახელს განადიდებდა და მისგან დიდ ერს შექმნიდა. ისიც უთხრა, რომ მისი მეშვეობით დედამიწის ყველა ერი იკურთხებოდა. ეს აბრაჰამის შთამომავლობაში იესოს მოსვლის ფაქტზე მიუთითებდა. როგორც ვთქვი, ღვთის დაპირებებს აბრაჰამის კურთხევა ეწოდება. ღმერთს სურდა დარწმუნებულიყო, რომ აბრაჰამმა კარგად გააცნობიერა მისი აღთქმების სიდიადე, ამიტომ რამდენიმე სურათიც აჩვენა, თუ რის გაკეთება სურდა მისი მეშვეობით.

> *ამ ამბების შემდეგ იყო, რომ აბრამმა ხილვაში ისმინა უფლის სიტყვა: „ნუ გეშინია, აბრამ, მე ვარ ფარი შენი. ფრიად დიდი იქნება შენი საზღაური!“ უთხრა აბრამმა: „უფალო ღმერთო! რა უნდა მომცე? უშვილოდ გადავდივარ*

და დამასკოელი ელიაზარია ჩემი სახლის განმგებელი". თქვა აბრამმა: „შთამომავალი არ მომეცი და ჩემს სახლში შობილი მსახური გამიხდება მემკვიდრე". და იყო აბრამის მიმართ უფლის სიტყვა: „არ გახდება იგი შენი მემკვიდრე; არამედ შენგან გამოსული იქნება შენიმემკვიდრე". გაიყვანა გარეთ და უთხრა: ***„ახედე ზეცას და დაითვალე ვარსკვლავები,*** *თუ შეგიძლია მათი დათვლა". მერე უთხრა: „შენი შთამომავლობაც ამდენი იქნება". და ერწმუნა იგი უფალს და ეს ჩაეთვალა მას სიმართლედ. კვლავ უთხრა: „მე ვარ უფალი, რომელმაც გამოგიყვანე ქალდეველთა ურიდან, რათა* ***დასამკვიდრებლად მოგცე ეს ქვეყანა****".*

– დაბადება 15:1-7

აქ ღმერთი აბრაჰამის დასახმარებლად ორ სურათს იყენებს მისი დაპირებების სიდიადის სრული სპექტრის წარმოსადგენად. პირველი, ის ამბობს: „დაითვალე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი დათვლა. შენი შთამომავლობაც ამდენი იქნება". რა თქმა უნდა, ამ საუბრის მომენტისთვის აბრაჰამს საერთოდ არ ჰყავდა შვილი. მეორე, ღმერთი მთელი სამკვიდრებელი მიწის საზღვრებს აწესებს, რაც 35 მილიონ აკრს აღემატებოდა.

ეს იმაზე მეტი იყო, რის შემოვლასაც აბრაჰამს შეძლებდა. მარტივად რომ ვთქვათ, აბრაჰამის მემკვიდრეობის სიდიადე იმაზე მეტი გახლდათ, ვიდრე დათვლა შეეძლო!

უფლისმიერმა კურთხევამ, რომელიც აბრაჰამზე იყო, მეყსეული შედეგი გამოიღო. ღვთისგან აღთქმის მიღებიდან, სულ რაღაც, ერთი თავის შემდეგ უზარმაზარ ცვლილებას ვხედავთ.

ძალზედ მდიდარი იყო აბრამი ჯოგებითა და ოქრო-ვერცხლით.

– დაბადება 13:2

როგორც ვხედავთ, ნამდვილად დააღწია თავი მტანჯველი შრომისა და ოფლისღვრის ამქვეყნიურ დაწყევლილ სისტემას.

ახლა დროში წინ წავიწიოთ და მივადგეთ ისრაელიანებს, რომლებიც ეგვიპტეს ტოვებენ აღთქმული მიწის დასამკვიდრებლად. სანამ იქ შევლენ, ღმერთს სურს, მიახვედროს, თუ რა დიდია მათი მემკვიდრეობა. ამრიგად, უფალი ასე ამბობს მოსეს მეშვეობით 2 რჯ. 6:10-12-ში.

> *როცა მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომელიც შეჰფიცა შენს მამებს - აბრაჰამს, ისაკსა და იაკობს, რათა მოგცეს დიდი და კარგი ქალაქები, რომლებიც შენ არ აგიშენებია; და ყოველგვარი სიკეთით სავსე სახლები, რომლებიც შენ არ აგივსია და ამოკვეთილი ჭები, რომლებიც შენ არ ამოგიკვეთავს, ბაღ-ვენახები და ზეთისხილის ხეები, რომლებიც არ დაგირგავს; და, როცა შეჭამ და გაძღები, გაფრთხილდი, არ დაივიწყო შენი უფალი, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან.*

– 2 რჯული 6:10-12

ვფიქრობ, სათქმელს მიხვდით. ისინი ამ ყველაფერს მტანჯველი შრომის გარეშე დაიმკვიდრებდნენ! გავიხსენოთ, რომ ისრაელის მიერ იმ მიწის დაპყრობა ქანაანელი ერებისთვის სასჯელს მოასწავებდა მათი უკიდურესი ბოროტების გამო.

> *და როცა განდევნის მათ შენგან უფალი, შენი ღმერთი, ნუ იტყვი გულში: ჩემი სიმართლის გამო მომიყვანაო უფალმა ამ ქვეყნის დასამკვიდრებლად! რადგან ამ ხალხთა ბოროტების გამო დევნის მათ უფალი შენგან. შენი სიმართლისა და გულწრფელობის გამო კი არ მიდიხარ მათი ქვეყნის დასამკვიდრებლად; არამედ მათი სიბოროტის გამო დევნის უფალი, შენი ღმერთი, ამ ხალხებს, შენგან, რათა შეასრულოს სიტყვა, რომელიც შეჰფიცა უფალმა შენს მამებს, აბრაჰამს, ისაკსა და იაკობს. იცოდე, რომ შენი სიმართლის გამო არ გაძლევს უფალი, შენი ღმერთი, ამ ბარაქიან ქვეყანას დასამკვიდრებლად, რადგან ქედმაგარი ხალხი ხარ.*

– 2 რჯული 9:4-6

თუმცა მე 2 რჯ. 6:10 მონაკვეთის პირველი წინადადების ხაზგასმა მინდა: *„როცა მიგიყვანს უფალი, შენი ღმერთი, იმ ქვეყანაში, რომელიც შეჰფიცა ... აბრაჰამს.“*

ღმერთი მიგიყვანს იმ ქვეყანაში.

მათ ბრძოლა საკუთარი ძალის იმედად კი არ უნდა გაემართათ, არამედ თავად ღმერთს შეჰყავდა ისინი აღთქმულ მიწაზე.

ამას მე გავაკეთებ შენთვის!

ალბათ, ბიბლიის საუკეთესო ადგილი, რომელიც აბრაჰამის კურთხევას თვალსაჩინოდ აჩვენებს, 2 რჯ. 28-ე თავია. როცა ამას ჩავიკითხავთ, ტექსტში საკუთარი სახელი ჩასვით, რადგან ეს დაპირებები ახლა თქვენიცაა, როგორც მაშინ მათთვის იყო განსაზღვრული.

> *„და თუ გულდასმით მოუსმენ უფლის, შენი ღმერთის ხმას, რათა დაიცვა და აღასრულო მისი ყველა მცნება, რომელსაც გამცნებ დღეს, მაშინ დაგაყენებს უფალი, შენი ღმერთი, დედამიწის ყველა ერზე მაღლა. გადმოვა შენზე ყველა ეს კურთხევა და მოგეწევა, თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის ხმას. კურთხეული იქნები ქალაქში და კურთხეული იქნები მინდორში. კურთხეული იქნება შენი მუცლის, მიწისა და საქონლის ნაყოფი, შენი ნახირის მონაგები და შენი ფარის ნამატი. კურთხეული იქნება შენი კალათა და გობი; კურთხეული იქნები შესვლისას და კურთხეული იქნები გამოსვლისას. და დასცემს უფალი შენ წინაშე შენს მტრებს, რომლებიც ამბოხდებიან შენს წინააღმდეგ; ერთი გზით გამოვლენ შენს წინააღმდეგ და შვიდი გზით გაიქცევიან შენგან. კურთხევას ბრძანებს შენთვის უფალი შენს ბეღლებსა და შენს ყოველ საქმეზე; და გაკურთხებს იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი. დაგადგენს უფალი თავის წმიდა ხალხად, როგორც შეგფიცა, თუ დაიცავ უფლის, შენი ღმერთის მცნებებს და ივლი მისი გზებით. იხილავს ყოველი ხალხი, რომ უფლის სახელით ხარ წოდებული და შეეშინდება შენი. სიუხვეს მოგცემს უფალი ყველა სიკეთეში, შენი მუცლის, საქონლისა და მინდვრის ნაყოფებში, იმ მიწაზე, რომლის მიცემაც შეჰფიცა შენს მამებს უფალმა. გაგიხსნის უფალი თავის საგანძურს, ზეცას, რათა თავის დროზე მისცეს*

წვიმა შენს მიწას და აკურთხოს ყოველი საქმე შენს ხელში; მრავალ ერს ასესხებ შენ და თავად კი არ ისესხებ. თავად გაქცევს უფალი და არა კუდად, მაღლა იქნები და არა ქვემოთ, თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის მცნებებს, რომელთაც გამცნებ დღეს რომ დაიცვა და აღასრულო. ნუ გადაუხვევ ნურცერთ სიტყვას, რომელსაც გამცნებ დღეს, რათა არ გაჰყვე სხვა ღმერთების კვალს სამსახურებლად.

– 2 რჯული 28:1-14

დიახ, ეს თქვენ გეკუთვნით! ვიმედოვნებ, ახლა ხვდებით, რატომ მინდოდა, რომ წაგეკითხათ. აქ საერთოდ არ ჩანს თვითგადარჩენის აზროვნება. რასაც თქვენი ხელი შეეხება, წარმატებული იქნება!

„დაგადგენს უფალი თავის წმიდა ხალხად“. დაგადგენს? ადამიანთა უმრავლესობა არ არის დადგენილი ანუ დაფუძნებული. 100-წლიანი მუხის ხე დაფუძნებულია; მას ვერავინ შეარყევს! თუმცა ადამიანთა უმრავლესობისთვის ეს კონცეპცია უცხოა. მათი ცხოვრება სავსეა სტრესით და მხოლოდ იმას-ღა ცდილობენ, რომ გარემომცველი დაუცველობის შეგრძნების ზემოთ დარჩნენ. ისინი ვერაფერს იმკვიდრებენ! ყველაფერი ფულით იყიდება და თუ დროზე არ იქნა გადახდილი, კანონიერი მეპატრონე მოვა და უკან წაიღებს. დადგენა ნიშნავს, რომ თქვენი შერყევა შეუძლებელია, კარგი დროება იქნება თუ ცუდი.

ღმერთი ისრაელს ეუბნება, რომ მათ ვერავინ დაძრავს აღთქმული მიწიდან და ხაზგასმულია სიტყვა ფლობა. დადგენა ნიშნავს, რომ თქვენი ფლობთ მას! არანაირი ვალი, ის თქვენია. ტექსტი გრძელდება და ასე გვეუბნება: *„იხილავს ყოველი ხალხი, რომ უფლის სახელით ხარ წოდებული და შეეშინდება შენი. სიუხვეს მოგცემს უფალი ყველა სიკეთეში“.* ღვთის სიტყვის თანახმად, დაფუძნების შემდეგ ხალხი დაინახავდა, რომ უფლის სახელით იყვნენ წოდებულნი. როგორ? ღმერთი უხილავია. მაშ, როგორ დაინახავენ უღმერთოები? მე-11 მუხლი ამბობს: *„სიუხვეს მოგცემს უფალი!“* ისინი თქვენს სიმდიდრეს დაინახავენ და ცნობენ ღვთიურ კურთხევას. ეს ჯერ კიდევ არ

არანაირი ვალი! ეს შენი მემკვიდრეობის ნაწილია.

არის ყველაფერი. ტექსტი გრძელდება: *მრავალ ერს ასესხებ შენ და თავად კი არ ისესხებ. თავად გაქცევს უფალი და არა კუდად“.* იმდენა კურთხეული იქნები, რომ თავად გაასესხებ და არ ისესხებ. თავი იქნები და არა კუდი.

ახლა, რაღაც მინდა გკითხოთ. თუ ახლახანს წაკითხული სიმართლეა და ნამდვილად ასეა, და თუ დაგიმტკიცეთ, რომ თქვენ, ახალი აღთქმის მორწმუნეს იგივე აღთქმები გაქვთ, რამე შეიცვლება თქვენს ცხოვრებაში? თუ დღეს მემკვიდრეობით ერთი მილიარდი მიიღეთ მდიდარი ბიძისგან, შეიცვლება თქვენი ცხოვრება ხვალ? ვფიქრობ, კი.

> *სიხარულით შემოსძახე, ბერწო, ჯერ რომ არ გიშვია! სიხარულით აყიჟინდი და ხმამაღლა შესძახე, ჯერ რომ ტკივილები არ განგიცდია! რადგან მიტოვებულს მეტი შვილები ეყოლება, ვიდრე გათხოვილს, ამბობს უფალი. გააფართოვე შენი კარვის ადგილი და შენი საცხოვრებლის ფარდები დაჭიმე, ნუ დაინანებ, დააგრძელე შენი საბელები და შენი პალოები გაამაგრე.*
>
> – ესაია 54:1-2

უკვე ვისაუბრეთ, როგორ არის შესაძლებელი, რომ ქალს შვილები შეეძინოს შობის გარეშე. ახლა ვიცით, რომ ესაია სულიერ შობაზე ლაპარაკობდა, როცა ადამიანი ხელახლა იშვება ღვთის სულის მიერ. ისიც აღმოვაჩინეთ, რომ ორი ქალი ორ აღთქმას წარმოადგენს – მონობაში არსებულ ძველ აღთქმას, რომელიც ჩვეული გზით მიმდინარეობს და ახალი აღთქმის ხელახლა შობას, როცა სულიწმიდის ძალით გარდავიქმნებით. ახალი აღთქმის ზეგავლენა აშკარაა ესაიას მიერ მოყვანილ მაგალითში. ერთი ქალი ორსულდება და ბავშვს შობს ჩვეული ცხრათვიანი ფეხმძიმობის მეშვეობით. მეორე აღთქმა ხორცით არ იფარგლება, დაპირებით ისახება და სულიწმიდის ძალით იბადება. აქ გვაქვს შეუზღუდავი გზა და არა რამეთი დასაზღვრული. უკვე არ ვბრკოლდებით საკუთარი გამოცდილებებით ან უნარებით. გაიხსენეთ, რომ ღმერთმა შექმნა აბრაჰამი. მას აღარ შეეძლო შვილების ყოლა, მაგრამ მაინც ეყოლა.

გაიხსენეთ ჩემი ამბავი. ცხრა წელი ვწვალობდი, რომ საკუთარი ბიზნესი ამემუშავებინა, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ეს მხოლოდ ღმერთთან ერთად მოხერხდა და ახლა მილიონერი ვარ. ვფიქრობდი, რომ მომწოდებელთა ელიტარულ ათეულში შესვლას ვერ შევძლებდი ჩემი გრაფიკიდან გამომდინარე. მათთვის 4 მილიონის ღირებულების პროდუქციას ვაწარმოებდი 14 წლის მანძილზე და ერთხელაც არ მიფიქრია პირველ ათეულში აღმოჩენაზე. და მაინც, შევედი ათეულში, მივიღე 100,000-დოლარიანი ბონუსი, რომელსაც ახლა ათეულის წევრები ყოველწლიურად იღებენ.

ჩემს გოგონას, ემის 13-ფუნტიანი სიმსივნე ჰქონდა მუცლის ღრუში და ოპერაციული ჩარევის თავიდან აცილება შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ არ დასჭირდა. ერთ ღამეს, ძილში სიმსივნე გაქრა. მან 13 ფუნტი (6 კგ-მდე) დაიკლო, წელის ზომა 9 ინჩით (22 სმ) დაუპატარავდა და დაგრეხილი ხერხემალი სრულიად გაუსწორდა.

ჩემს რძალს ოთხი თვის სიცოცხლე მისცეს, რადგან თეძოს არეში უზარმაზარი სიმსივნე ჰქონდა, მაგრამ არ მოკვდა. სიმსივნე ერთ ღამეში გაუქრა ძილში.

ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ სათქმელს, ალბათ, მიმიხვდით. თქვენი მომავალი შეზღუდული აღარ არის. ღმერთმა თქვა, რომ ამას გააკეთებს შენში. ესაია ამბობს, რომ ამ წარმოუდგენელი გარდაქმნის გამო ზრდისთვის უნდა მოემზადო. გაიხსენეთ, რომ აბრაჰამის მემკვიდრეობა იმაზე მეტი უნდა ყოფილიყო ვიდრე დათვლას შეძლებდა. იცით რა? ღმერთი თქვენთვისაც იგივეს აცხადებს.

> *ხოლო მას ... ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ.*

– ეფესელთა 3:20

ღმერთს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ!!!

მას შემდეგ, რაც ესაია 54:1-ში აცხადებს, რომ ახალი აღთქმა ზებუნებრივ ზრდას მოიტანს, მომდევნო მუხლებში განმარტავს კიდეც, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ ამ მკისთვის. შემდეგ ოთხ მუხლში მოცემულია მითითებები, თუ რის გაკეთება გვჭირდება ზრდის მისაღებად. ესენია აჩქარების პირველი ოთხი კანონი!

ნება მომეცით, კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანო მისი მუშაობის აღსაწერად. გასულ წელს, 2021-ში ჩვენი პროდუქცია კოვიდის გამო ცოტათი შეფერხდა. თესვას ვაგრძელებდი და ღმერთს ვთხოვდი, რომ 2021 წელი ჩემი ბიზნესის საუკეთესო წელი ყოფილიყო. შემოდგომა იდგა და საქმე წინ არცთუ სწრაფი ტემპით მიიწევდა, მაგრამ არც დიდი უკანდახევა გვქონდა – უბრალოდ მდგომარეობას ვინარჩუნებდით. თუმცა მე შენარჩუნებისთვის არ დამითესია. დავთესე, რომ საუკეთესო წელი მიმეღო.

ნოემბრის დასაწყისში სიზმარი ვნახე. სიზმარში ჩემი გახსნილი საფულე დავინახე, რომელიც ფულით იყო სავსე. უფალი სიზმარში დამელაპარაკა და მითხრა:

– წლის დასრულებამდეც მაინც შემიძლია რაღაც დიდი გავაკეთო.

ოჰო, რა გამხნევება იყო!

რამდენიმე კვირის შემდეგ ერთმა კაცმა დამირეკა და მითხრა, რომ ჩვენი ინვესტიციების შესახებ გასაუბრება სურდა, რომლებზეც ბევრი რამ სმენოდა. მან გაიგო, რომ უკანასკნელ 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენს არც ერთ კლიენტს არ დაუკარგავს თანხა ბაზრის ცვალებადობის გამო. ხედავდა რა შეერთებულ შტატებში მღელვარების ზრდას, გაკვირვებული იყო. ამრიგად, მას შევხვდი და ავუხსენი ჩვენი ინვესტირების სტრატეგია, რაც ძალიან მოეწონა. მოკლედ რომ ვთქვათ, მან დიდი ინვესტიცია განახორციელა. კლიენტების რიცხვში მისი შემომატებით და რამდენიმე, უკანასკნელ წამს გამოჩენილი „დამირეკეს“ ტიპის კლიენტებთან ერთად წელი ისეთი წარმატებით დავასრულე, როგორიც ადრე არასოდეს მქონია.

მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ სამეფოს კანონებმა და წარმატების ცხებულებამ ფინანსები მოიტანა. თუმცა ხაზი უნდა გავუსვა, რომ თანხები თავისით არ ჩნდება. მე ვიყავი ის, ვინც პეტიცია ანუ ვედრება აღავლინა და ჩემამდე თესვის კვალობაზე მოვიდა. წარმოუდგენელია!

თავი 5

ბატონობის კანონი

როგორც მე-4 თავში გითხარით, ახალი აღთქმიდან გამომდინარე ბევრი რამ იცვლება. მოდით, ასე ვიტყვი: ყველაფერი შეიცვლება! მას შემდეგ, რაც ესაიამ ახალ აღთქმასა და ღვთის სამეფოში ხელახლა შობაზე იწინასწარმეტყველა, ისიც გვითხრა, თუ როგორ შეიცვლებოდა ჩვენი ცხოვრების წესი. ხელახლა შობა ღვთის მთელ ქონებასთან მისადგომელს გვაძლევს როგორც მისი ოჯახის წევრებს. აბრაჰამის მსგავსად ჩვენც გავექეცით დედამიწის წყევლის სიტემას და პირდაპირი მნიშვნელობით, სამეფო შევიცვალეთ. როგორც ადრე ვთქვი, მე-2 მუხლში მოცემულია აჩქარების პირველი ოთხი კანონი. ეს ოთხი კანონი ღმერთმა მაშინ მაჩვენა, როცა *Now Center*-თან დაკავშირებულ ფინანსურ არეულობაში ვიყავით. ისინი უკიდურესად ძალმოსილი კონცეფციებია, რომლებიც ბიზნესის აჩქარებაში ან ნებისმიერი რამის წინ სწრაფად წაწევაში დაგეხმარებათ. მოდით, ცხრიდან პირველი კანონით – **ბატონობის კანონით** – დავიწყოთ.

გააფართოვე შენი კარვის ადგილი და შენი საცხოვრებლის ფარდები დაჭიმე, ნუ დაინანებ, დააგრძელე შენი საბელები და შენი პალოები გაამაგრე.

– ესაია 54:2

<u>გააფართოვე შენი კარვის ადგილი.</u>

აი, პირველი მითითება ღვთისგან: გააფართოვე შენი კარვის ადგილი – არა თავად კარავი, არამედ კარვის ადგილი. კარავი შენს სიცოცხლეს წარმოადგენს, ხოლო ადგილი შენი ხედვაა საკუთარ ცხოვრებაზე. იმის ნაცვლად, რომ რამდენიმე აკრი მიწის ნაკვეთის შესაბამისი აზროვნებით იცხოვროთ, ესაია გეუბნებათ, რომ გაცილებით მეტი ადგილი დაგჭირდებათ, უფრო დიდი სივრცე, რომ მიიღოთ ყველაფერი, რაც თქვენი მემკვიდრეობითაა გათვალისწინებული. კანონი გეუბნებათ, რომ გააფართოვოთ თქვენი საცხოვრებელი, თქვენი ტერიტორია, თქვენი ბატონობა. გახსოვდეთ, ღმერთს მხოლოდ იმის კურთხევა შეუძლია, რაც კანონიერად დაიმკვიდრეთ.

ეს თქვენი არჩევანია!

2 რჯ. 28:8 ამბობს:

კურთხევას ბრძანებს შენთვის უფალი შენს ბეღლებსა და <u>შენს ყოველ საქმეზე;</u> და გაკურთხებს იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი.

კურთხევა გაქვთ, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: თუ რამ არ შედის თქვენს იურისდიქციაში, ღმერთს არ აქვს მასზე ზემოქმედების კანონიერი საფუძველი. ახლა ისმის კითხვა: 3 ცალი პამიდვრის ნერგის კურთხევა გსურთ თუ 50 000-ის? თუ იცით, რომ სიუხვის ცხებულებაში მოყვება, რასაც მის ქვეშ დადებთ, რამდენს გაიღებდით? დიდია ამ საკითხში ჩვენს ძველ აზროვნებასთან დაბრუნების ცდუნება. სწორედ აქ წამოყოფს თავს „არა“-ს თქმის ჩვევა, სანამ „კი“-ს შესაძლებლობაზე დავფიქრდებოდეთ. თუმცა ამ გადაწყვეტილებაში მარტო არ ხართ. ბიბლია ამბობს, რომ შეგიძლიათ ღვთიური დახმარება ითხოვოთ.

> *თუ რომელიმე თქვენგანს აკლია **სიბრძნე**, დაე, სთხოვოს ღმერთს, ყველასთვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს, და მიეცემა.*

– იაკობი 1:5

ადამიანთა უმრავლესობა აქამდე არც კი მიდის, რადგან არა-ს თქმის ჩვევა ყოველგვარ კარს კეტავს მათი წინაშე ისე, რომ არც კი იაზრებენ, რის მოტანას ცდილობს ღმერთი მათ გონებამდე. ვიცი! მეც მრავალგზის ვყოფილვარ იგივე მდგომარეობაში და ამან ათასები დამაკარგვინა.

მაგალითად, გაგიზიარებთ, დაახლოებით, ერთი წლის წინანდელ გამოცდილებას, რაც ნათლად წარმოაჩენს ჩვენში ჩანერგილ ამ მცდარ პარამეტრებს. უნდა მახსოვდეს, რა სწრაფად იცის ამოხტომა. ახლაც კი, ამდენი წლის შემდეგ თუ არ ვიფხიზლე, უცებ მიიღებს გადაწყვეტილებას მაშინ, როცა სულ არ არის საჭირო.

ერთ დღეს თავში 2 კორინთელთა 9:10-11 მუხლები დამიტრიალდა და ვერაფრით მოვიშორე. მივხვდი, რომ უფალს რაღაცის სწავლება სურდა და ხსენებულ მონაკვეთზე დავფიქრდი. ამასთან ერთად, სულიწმიდას ჩემს გულთან ლაპარაკის ნება მივეცი. განსაკუთრებით ტექსტის ერთი ნაწილი იყო ხაზგასმული: *„ვინც აძლევს თესლს მთესველს და პურს – საჭმელად“*.

> *ხოლო ის, **<u>ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად</u>**, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს, რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს.*
>
> – 2 კორინთელთა 9:10-11

ამ მონაკვეთზე ვფიქრობდი, როცა სულიწმიდამ თითქოს გაადიდა ტექსტი და გაანათა – *პურს საჭმელად*. ეს სიტყვები მუხლებიდან ამოხტა. გავიაზრე, რამდენ ადამიანს იპყრობს შიში, როცა გაღება სურთ, რადგან ამ ფრაზის მნიშვნელობა მათთვის გაუგებარია. უმრავლესობას ჰგონია, რომ გაღებისას ისეთ რამეს გასცემენ, რაც ძვირი დაუჯდებათ. თუმცა ღმერთმა შემახსენა, რომ ის არა მარტო თესლს იძლევა დასათესად, არამედ საჭმელ პურსაც უზრუნველყოფს, რაც ადამიანს პირადად სჭირდება. რასაკვირველია, ეს უკვე ვიცოდი, მაგრამ ვიგრძენი ერთი რამ: მას სურდა ადამიანებისთვისაც მეთქვა, იმის მისახვედრად, რომ იგი ორივეს იძლევა და გაღების არ უნდა ეშინოდეთ.

ის არა მარტო თესლს იძლევა დასათესად, არამედ საჭმელ პურსაც უზრუნველყოფს, რაც ადამიანს პირადად სჭირდება.

იმ კონკრეტულ საღამომდე რამდენიმე კვირის წინ 15 000 დოლარი გავიღეთ ერთი მსახურებისთვის, რომელსაც მხარს ვუჭერდით. შუქის გამორთვას და დაძინებას ვაპირებდი, როცა მოულოდნელი აზრი მომივიდა. საფონდო ბაზარზე რამდენიმე აქციის შემოწმება გადავწყვიტე. როცა ჩემი პროფილი გავხსენი, დავინახე, რომ მართლაც იყო გარკვეული ზრდა. ის-ის იყო ტელეფონის დადებას ვაპირებდი, რომ ჩემი მზერა ერთმა კონკრეტულმა აქციამ მიიპყრო, რომელიც შეძენილი არ მქონდა. ადრეც მენახა. ერთხელ კიდეც დავაკვირდი და დავფიქრდი, ხომ არ მეყიდა. როცა მისი ადრინდელი მდგომარეობა შევისწავლე, დავინახე, რომ წინა 12 თვის მანძილზე სტაბილურად ერთ ადგილზე იდგა, ამიტომ შეძენა გადავიფიქრე. რაღაც მანქანებით, იმ საღამოს ეს აქცია თვალში მეცა. უცნაური შეგრძნება დამეუფლა, რომ ცოტაოდენი უნდა მეყიდა. ასეთი რამ საერთოდ არ მახასიათებდა. ამრიგად, საქმეს შევუდექი და 1500 დოლარის აქცია შევიძინე. ამის შემდეგ ტელეფონი დავდე.

მე და დრენდამ ცოტა ხანი ვისაუბრეთ და ვუამბე აქციის ყიდვის თაობაზე. გადავწყვიტე ტელეფონში მეჩვენებინა. როცა დავხედე, ელდა მეცა. ერთი საათის განმავლობაში 100 პროცენტზე მეტით გაზრდილიყო. აღარ დაგვიძინია. ერთმანეთს ვესაუბრებოდით და აქციის ფასის ზრდას ვაკვირდებოდით. მომდევნო სამ საათში აქციის ღირებულებამ 17,000 დოლარს მიაღწია და გასწორდა. დრენდას ვუთხარი: „აი, ჩვენი 15,000 დოლარი!“ სასწრაფოდ გავყიდე აქციები და მოგება მივითვალე. ვიცოდი, რომ 15,000 დოლარი უკან დამიბრუნდა, რომელიც რამდენიმე კვირის წინ დავთესე. დილისთვის აქციის ფასი ისევ ქვევით ჩამოვიდა და მაშინდელი ნიშნულისთვის თვეების შემდეგაც კი არ მიუღწევია. ეს ყველაზე უცნაური ამბავი იყო, რომელიც კი ოდესმე მინახავს. ვიცი, რომ სულიწმიდამ მიმაქცევინა ყურადღება იმ აქციაზე. დრენდას კიდევაც ვუთხარი, რომ ღმერთმა თესლი დაგვიბრუნა. იგი აძლევს თესლს მთესველს და პურს საჭმელად! იცით, არ მანაღვლებს, როგორ ხდება ეს, მაგრამ ღმერთი ყოველთვის ასე აკეთებს. ეს ამბავი მაინც საინტერესო იყო.

მას შემდეგ, რაც ის აქცია გავყიდე და თანხა ჩემს ანგარიშზე აღმოჩნდა, ვიფიქრე: *ბიჭოს! რომ მცოდნოდა, ასე მაღლა აიწევდა, გაცილებით მეტ თანხას ჩავდებდი.* ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე ჩნდება. დიახ, *შემეძლო $10,000 ჩამედო* ან თქვენი გონება უცებ გაქანდება და ფიქრობს, *რა მოხდებოდა $100,000 რომ ჩამედო? რამხელა თანხას გამოვიმუშავებდი ამ დაბანდებიდან!* თუმცა მე არც $100,000 და არც $10,000 არ ჩავდე. $5,000-იც კი არ გამიმეტებია, არამედ მხოლოდ $1500. ჩემი მოგება შეზღუდული იყო. $1500 გადავიხადე და მართალია, მეტი სარგებლის მიღებას ვისურვებდი, მაგრამ ეს არ მოხდებოდა, რადგან მხოლოდ $1500 ჩავდე. მაშ, რაში იყო საქმე? სანახევროდ სწორად ვიმოქმედე. მივხვდი, რომ ამ აქციების ნაწილი უნდა მეყიდა, მაგრამ უფალს არ დავეკითხე, რამდენი მეყიდა. ჩემი გონების ჩვეულ პარამეტრებს მივეცი გადაწყვეტილების მიღების უფლება და ამ შესაძლებლობაზე არც კი დავფიქრებულვარ. დიახ, ჩემი 15,000 დოლარი – თავდაპირველი თესლი უკან დავიბრუნე, მაგრამ აღთქმის მეორე ნაწილი ვერ მივიღე.

> ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად, მოგცემთ და ***გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს***.
>
> – 2 კორინთელთა 9:10

ზრდა და მეტი მოსავალი ვერ მივიღე, რომელიც ჩემი უნდა ყოფილიყო. ღმერთს იმ საღამოს გაცილებით მეტი ჰქონდა ჩემთვის გამიზნული და არა მარტო თესლის დაბრუნება, თუმცა არც ეს იყო ურიგო საქმე. ღვთისთვის არ მიკითხავს, რამდენი უნდა ჩამედო და დავკარგე ზრდა, რომელიც ჩემი იქნებოდა, ხსენებული საკითხით რომ დავინტერესებულიყავი. რატომ არ ვკითხე ღმერთს? დაკავებული ვიყავი და ამაზე დიდად არ მიფიქრია, სანამ აქციებმა ზრდა არ დაიწყო რაკეტის სისწრაფით. გონებაში ადრიდანვე ჩაბეჭდილი სისტემა მარტივად ერთვება საქმეში, მაგრამ მისი გამორთვა შეგვიძლია, რომ განსჯისას მეტისმეტად არ ავჩქარდეთ. ასეთ ვითარებაში ღმერთს სიბრძნე სთხოვეთ და დიდ შედეგებს დაინახავთ.

აი, რა მითხრა ერთხელ უფალმა: „პატარა გეგმებს ნუ დასახავ!“

უფრო მეტიც არსებობს!

ბევრი ადამიანი კარგავს უამრავ შესაძლებლობას, რომელთაც ღმერთი მათ წინ დებს. ისინი პომიდორის სამ ნერგს რგავენ და როცა დამწიფდება, მერე ამბობენ: „უფრო მეტი უნდა დამერგო!“ როგორც გაჩვენეთ, ამის გაკეთება ადვილია.

მოდით, აბრაჰამთან დაკავშირებულ რამდენიმე მუხლს გადავხედოთ დაბადების წიგნიდან.

> *და უთხრა უფალმა აბრამს ლოტთან გაყრის შემდეგ: „აღაპყრე თვალები და გაიხედე ჩრდილოეთისა და სამხრეთისკენ, აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ. რადგან, მთელ ამ ქვეყანას, რასაც ხედავ, შენ და შენს შთამომავლობას მოგცემთ უკუნისამდე. მიწის მტვერივით გავამრავლებ შენს შთამომავლობას და თუ ვინმე შეძლებს ქვიშის დათვლას, შენი შთამომავლობაც დაითვლება. ადექი და მოიარე ეს ქვეყანა კიდით კიდემდე, რადგან შენ გაძლევ მას“.*
>
> – დაბადება 13:14-17

ყურადღება მიაქციეთ ღვთის ნათქვამს *„გაიხედე ... რადგან, მთელ ამ ქვეყანას, რასაც ხედავ, შენ და შენს შთამომავლობას მოგცემთ უკუნისამდე.“* შემდეგ მე-17 მუხლში იგი ამბობს: *„მოიარე ეს ქვეყანა კიდით კიდემდე, რადგან შენ გაძლევ მას“.*

აქ ღმერთმა აბრაჰამს სამი მნიშვნელოვანი ნაბიჯი აჩვენა. პირველია, *გაიხედე*. დიახ, ირგვლივ მიმოიხედეთ! შეიძლება თქვათ: „ბევრი არაფერი მაქვს.“ მას არ უთქვამს, რომ ქონებას დააკვირდეთ, არამედ მიმოიხედეთ იქიდან, სადაც უმყოფებით. ყველაფერს, რასაც დაინახავთ, თქვენ მოგცემთ. ყველაზე ხშირად სწორედ აქ ვუშვებთ შეცდომას. ნამდვილად გვჭირდება ყურადღების მიქცევა იმაზე, რომ ღმერთს ჩვენი თვალთახედვის გაფართოების საშუალება მივცეთ მეტის დასანახად.

ნამდვილად გვჭირდება ყურადღების მიქცევა იმაზე, რომ ღმერთს ჩვენი თვალთახედვის გაფართოების საშუალება მივცეთ მეტის დასანახად.

ჩვენი **ადგილსამყოფელიდან** დანახვა წარმოსახვის ჩართვას ითხოვს, სხვაგვარად, იქ დავრჩებით, **სადაც** ვართ.

ამრიგად, პირველი კანონი, რომლის დაუფლებაც გვმართებს, ბატონობის კანონია. ის გახლავთ პირველი აჩქარების ცხრა კანონიდან. იმაზე წინ ვერ წახვალთ, ვიდრე დანახვა შეგიძლიათ. ახლა შევჩერდეთ და პასუხი გავცეთ კითხვას: რას ხედავთ? იმ მიმართულებით ვერასდროს წახვალთ, რაც არ დაგინახავთ. ვერასოდეს!

ღმერთი აბრაჰამს ეუბნებოდა: „შეხედე და ყველაფერს მოგცემ“. ყურადღება მიაქციეთ ნათქვამს, „მთელ ამ ქვეყანას ... მოგცემ“. არ უთქვამს „მთელი ეს ქვეყანა ... მოგეცი.“ ყველაფერი მისთვის იყო, მაგრამ აბრაჰამს თავისი წილი საქმე უნდა შეესრულებინა და ნაბიჯი პირველს გადაედგა. სანამ ყველაფერს არ მოივლიდა, ღმერთს არ ჰქონდა კანონიერი უფლება იმ მიწაზე. მხოლოდ იმ ტერიტორიის მიცემა შეეძლო, რომელზეც ფეხს დაადგამდა. რატომ? იმიტომ, რომ აბრაჰამზე იყო კურთხევა, ცხებულება და იურისდიქცია დედამიწაზე, რათა აღთქმული მიწა ზეცას დაქვემდებარებოდა.

და ამ შედარების ბოლო ნაწილი იმაში მდგომარეობს, რომ ვერასოდეს დაიკავებთ იმას, რასაც არ შემოივლით კიდით-კიდემდე. როგორც ადრე მოგახსენეთ წინა თავებში, ვერ შეძლებთ იმის მართვას, რასაც არ ფლობთ, რომ ცხოვრებაში სარგებლობა მოგიტანოთ. მოდით, განვიხილოთ!

1. რას ხედავთ?
2. რასაც ხედავთ, უნდა შემოიაროთ.
3. ვერასოდეს შემოივლით იმას, რასაც ვერ ხედავთ.
4. ვერასოდეს დაიპყრობთ იმას, რასაც არ შემოივლით.

შემდეგში, როცა მგზავრობისას სახლებს დაინახავთ, დასვით კითხვა: „როგორ მოხვდა აქ?“ ვიცი, რომ ეს კითხვა, შესაძლოა, სულელურად ჩათვალოთ. და მაინც, სერიოზულად მიუდექით: „როგორ მოხვდა აქ?“ ვიღაცას უნდა დაენახა მისი სურათი, სანამ შენებას დაიწყებდა; შემდეგ სურათიდან ნახაზი შეედგინა. ამ ნახაზით დაეთვალა ფინანსები და დრო - სრული ხარჯთაღრიცხვა, სახლის მშენებლობის ღირებულება. აზრი

იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ ვიღაცას უნდა დაენახა ის, სანამ ააშენებდა. ვიღაცამ დანახული სურათი დახატა, შემდეგ ააგო ის, რაც დახატა. როცა სახლი დასრულდება, ზუსტად ისეთი სახე ექნება, როგორიც ნახაზში იყო.

ნება მომეცით, ისევ გაგიმეოროთ:

> ვიღაცამ დაინახა ის აშენებამდე.
>
> ვიღაცამ დახაზა ის, რაც დაინახა (გეგმა)
>
> ვიღაცას უნდა აეგო ის, რაც დახაზა (გეგმის სისრულეში მოყვანა)

თუმცა ყველაფერი იწყება იმით, თუ „რას ხედავთ?“ ბატონობის კანონი!

თუმცა ყველაფერი იწყება იმით, თუ „რას ხედავთ?“ ბატონობის კანონი!

ისევ მინდა დაგისვათ კითხვა თქვენს ცხოვრებასთან დაკავშირებით: „რას ხედავთ?“ ფაქტობრივად, ერთი წუთით შეჩერდით და რამდენიმე ჩანაწერი გააკეთეთ. სურათიდან უკან დაიხიეთ და საკუთარ თავს ჰკითხეთ: „მართლა ეს მინდა?“ გახსოვდეთ, რომ სურათს თქვენ ქმნით. სრულიად ადვილად შეიძლებოდა, ჩემი 1500 დოლარი 150 000 გამხდარიყო, აქციაზე ფასის აწევის შესახებ რომ მცოდნოდა. არის პიროვნება, რომელმაც იცის ფასები რომ უნდა აიწიოს და ის გიწვევთ საკითხავად ნებისმიერ დროს, როცა დაგჭირდებათ.

რომ. 12:2 დიდებული ადგილია, რომელსაც დრო და დრო ვკითხულობ ხოლმე.

> *და ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ გარდაისახენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება - კეთილი, სასურველი და სრულყოფილი.*

ზოგადად, ეს მონაკვეთი აზროვნების შეცვლისკენ მოგვიწოდებს, რომ არ შევეგუოთ ცხოვრების იმ ნიმუშს, რომელსაც

წარსულში მივდევდით. დედაჩემი თარგებს ყიდულობდა, რომ ჩემი ორი პატარა დისთვის კაბები შეეკერა. იწყებდა კერვას და დამთავრებული არ მოსწონდა. შემდეგ ისევ თავიდან იწყებდა და იგივე თარგს იყენებდა. ისევ არ მოსწონდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენჯერ შეკერავდა კაბას – ყოველ ჯერზე მაინც იმ შედეგს იღებდა, რაც არ მოსწონდა. სხვაგვარი შედეგის მისაღებად, სხვა თარგი უნდა გამოეყენებინა და ეს მიდგომა ყველასთვის ჭეშმარიტია.

შეიძლება თქვათ: „იცით რა, გარი, არც კი მაქვს ცხოვრების რაიმე ნიმუში“. მე კი გიპასუხებთ: „არა, გაქვთ! ეს ის არის, რაზეც მთელი დღის განმავლობაში ფიქრობთ.“ თუ მაინც იტყვით, რომ მთელი დღე არაფერზე ფიქრობთ, ეს თქვენი პრობლემაა.

ვიმეორებ, რომ ბატონობის კანონი თქვენს ხედვას განსაზღვრავს. ეს ის არის, სადაც ცხოვრობთ, მაგრამ არა როგორც ცხოვრობთ. ეს თქვენი ხედვაა, თქვენი ბატონობა, თქვენი მომავალი, რასაც იღებთ და რისთვისაც ემზადებით – და აქ ისმის დიდი კითხვა. ყოველთვის შეგიძლიათ, თქვათ, საით მიემართებით და რისთვის ემზადებით. თუ ადამიანს სურს, გახდეს დიდი პიანისტი, ბევრი ვარჯიში დასჭირდება. თუ ადამიანებს ბიზნესში წარმატების მოპოვება სურთ, ამ საქმის შესწავლას შეუდგებიან. მაშ, მითხარით: რაზე ვარჯიშობთ თავისუფალ დროს? არ მინდა, თავი უხერხულად გაგრძნობინოთ, მაგრამ საჭიროა შეჩერდეთ და ფაქტებს თვალი გაუსწოროთ. აი, ასე მუშაობს ეს.

და ბოლო კითხვაც უნდა დაგისვათ: „სად წარგიტაცებთ ცხოვრება?“ თქვენ იტყვით: „ჰეი, გარი! არავინ არსად არ მიტაცებს!“ მაპატიეთ, რომ არ გეთანხმებით, მაგრამ თქვენ სადღაც მიგათრევენ. ყოველ შემთხვევაში, ბიბლია ასე ამბობს:

> *ნურავინ იტყვის განსაცდელში: ღმერთი მცდისო, რადგან ღმერთი არ იცდება ბოროტით და არც ვინმეს აცდუნებს. არამედ ყოველი ცდუნდება თავისი გულისთქმით, რომელიც წარიტაცებს და აცდუნებს მას. როცა ჩაისახება გულისთქმა, შობს ცოდვას. ჩადენილი ცოდვა კი შობს სიკვდილს.*

– იაკობი 1:13-15

იაკობი გვაფრთხილებს, რომ ბოროტ სურვილებს ჩვენი წათრევა სურთ ცდუნებისა და ცოდვისკენ. ნებისმიერი სურვილი, კარგი თუ ცუდი, მისი აღსრულებისკენ გიბიძგებთ. იაკობი ამბობს, რომ სურვილის არსებობისას ადამიანი ცდუნდება. შეგიძლიათ, კარგი ან ცუდი განიზრახოთ – ორივე მოითხოვს აღსრულებას. როცა გულისთქმა არსებობს და მის ხიბლში მოექცევით, აღსრულების გეგმა ჩასახულია. როცა გეგმა შედგება, იაკობის თანახმად, იბადება მოქმედება, რასაც სურვილის ხორცშესხმის კმაყოფილება მოყვება. დაიმახსოვრეთ ერთი რამ: რასაც გულში ჩაიდებთ და რასაც თქვენი მოჯადოების საშუალებას მისცემთ, ის წაგიყვანთ აღსრულებისკენ. ეს კონცეპცია თქვენს სასარგებლოდაც მუშაობს და თქვენს საწინააღმდეგოდაც – გააჩნია, რა ტიპის სურვილზე ფიქრობთ. რას ხედავთ?

ბატონობის კანონი:

გააფართოვე შენი კარვის ადგილი.

– ესაია 54:2ა

თავი 6

მწარმოებლურობის კანონი

გააფართოვე შენი კარვის ადგილი [ბატონობის კანონი] *და შენი საცხოვრებლის ფარდები დაჭიმე* [მწარმოებლურობის კანონი], *ნუ დაინანებ, დააგრძელე შენი საბელები და შენი პალოები გაამაგრე.*

– ესაია 54:2

ახლა, მწარმოებლურობის კანონზე გადავალთ. სამფლობელოს გაფართოების შემდეგ საგნები შეიცვლება. ამაში ვგულისხმობ შემდეგს: თუ მეტი ტერიტორიის დაპყრობას აპირებთ, ამ ახალი არეალის მართვის უნარი თქვენს მწარმოებლურობაზე იქნება დამოკიდებული. ბატონობის კანონი ლაპარაკობს თუ „სად" ცხოვრობთ. მწარმოებლურობის კანონი გაჩვენებთ, „როგორ" ცხოვრობთ ყოევლდღიურად: თქვენი ჩვევები, რუტინა, როგორ იყენებთ დროს. აქ ღმერთი ამბობს, რომ ადგილი უნდა გამოათავისუფლოთ ზრდისთვის, რომელიც თქვენს ცხოვრებაში უნდა მოიტანოს. თქვენი ამჟამინდელი კარავი და არსებული მწარმოებლურობა მცირეა და ვერ გაწვდება გაზრდილ პასუხისმგებლობას, რომელიც დიდი ტერიტორიის ფლობას მოყვება, ამიტომ, რაღაც უნდა შეიცვალოს.

შენი საცხოვრებლის ფარდები დაჭიმე, ***ნუ დაინანებ***. მომწონს ეს ნაწილი. მას შემდეგ, რაც იფიქრებ, რომ ყველაფერი დაარეგულირე მეტის ფლობისთვის, ღვთის აზრით ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. უკან ნუ დაიხევ და ნუ დაგენანება ზრდისთვის გაცილებით მეტი სივრცის გამოთავისუფლება!

მოდით, ამ კანონს ჩავუღრმავდეთ. მწარმოებლობის კანონი მარტივად ამბობს, რომ მაქსიმალური სიმძლავრის მიღწევისთანავე ჩერდებით. ზრდისთვის მეტი სივრცე აღარ არსებობს. კარავი წარმოადგენს თქვენი ცხოვრების სტილსა და პროცესებს, რომელთაც ყოველი დღისა და პასუხისმგებლობების სამართავად იყენებთ.

ერთ კვლევას გავეცანი, რომლის თანახმადაც, 10-დან 8 თანამშრომელი გადაღლილია.[17] ეს მართალია. ადამიანთა უმრავლესობის დღე მაქსიმალურად დატვირთულია. ამის გამო მათ ოცნება შეწყვიტეს, რასაც ბატონობის პირველ კანონთან მივყავართ. ადამიანები, რომელთა მწარმოებლურობამ მაქსიმალურ ზღვარს მიაღწია, აღარ ოცნებობენ. ისინი თავწახრილი მუშაობენ, ამიტომ ახალი იდეები არც კი იტაცებთ. რატომ? იმიტომ, რომ ძლივს უმკლავდებიან ყოველდღიურ საქმიანობას.

ნება მომეცით, გკითხოთ: „თქვენც გადაიღალეთ? ძრწოლით იღვიძებთ? სრულიად ძალაგამოცლილი ხართ?“ თუ ასეა, მაშინ გაჭედილხართ და მართლაც ამას ვგულისხმობ. თავის დახსნის და ოცნების ხელახლა დაწყების მხოლოდ ერთი გზა არსებობს და ეს თქვენი პროცესების შეცვლა გახლავთ.

საკუთარი მწარმოებლურობის გაზრდის ერთადერთი გზა არსებული პროცესების შეცვლაა.

მეტი თვალსაჩინოებისთვის ერთ მაგალითს მოვიყვან. ვთქვათ 100 კვადრატული ფუტის ფართობის ნაკვეთი გაქვთ, რომელზეც ხორბალი მოგყავთ სახლის საცხობისთვის განკუთვნილი ფქვილის დასამზადებლად. ასეთ მცირე ნიადაგზე ამოსულ თავთავს ნამგლითაც მოერევით და ძველებურად ხელით გალეწავთ.

დავუშვათ, მოსავლიანობის ზრდა და მარცვლეულის 5 აკრზე დათესვა გადაწყვიტეთ. მოსავლის აღების დროს ყანას უტევთ, რამდენიმე საათი გამალებული შრომობთ და როცა მოიხედავთ, ძრწოლა გიპყრობთ, რადგან მთელი ამ ფართობის მხოლოდ მცირე ნაწილი აგიღიათ. ვფიქრობ, ჯერ კიდევ შესაძლებელია დავალების შესრულება, თუ საკმარის დროს გამოყოფთ და თქვენი ცხოვრების ყველა სხვა მოთხოვნას გვერდზე გადადებთ.

17. “8 out of 10 Employees Feel Overwhelmed and Overworked,” http://the undercoverrecruiter.com

მოდით, უფრო შორს წავიდეთ და დავუშვათ, რომ ხორბლის გაყიდვის დაწყება გსურთ და ახლა უკვე 10 000 აკრის დამუშავება გადაწყვიტეთ. მაშ, ახლა რა? უპირველესად, თქვენ ეს იდეა არ გიტაცებთ, რადგან ასეთი შესაძლებლობა ფილტრში გაატარეთ: „არ არსებობს, რომ ხორბლის ამხელა მოსავლის აღება ნამგლის დახმარებით შევძლო!“

ახლა ვხედავთ, რომ ბატონობის კანონიც კი შეიძლება შეაფერხოს მეორე, მწარმოებლურობის კანონმა. ვიმეორებ, რომ ამ კანონის თანახმად, თქვენი შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ ჩერდებით. აი, ასეა საქმე! სულ ეს არის, რის გაკეთებაც შეგიძლიათ. რა იქნება თქვენი პასუხი მწარმოებლურობის მაქსიმალურ ზღვართან დაკავშირებით? პროცესების შეცვლა. უნდა შეცვალოთ კარავში მიმდინარე პროცესები, შეცვალოთ თქვენი ყოველდღიური ცხოვრება, რომ მოსალოდნელ ზრდას ფეხი აუწყოთ. 10 000-აკრიანი ფართობის დასამუშავებლად, აუცილებლად დაგჭირდებათ 1-2 კომბაინი. ამის გარდა, უნდა გყავდეთ პერსონალი, კადრების განყოფილება, შემწეობა ავადმყოფობის დროს, სახელფასო განყოფილება და კიდევ მეტი ტრაქტორი თუ მოწყობილობა. მარტივად რომ ვთქვათ, თქვენი დღის განრიგი საფუძვლიანად შეიცვლება.

ნება მომეცით, სხვა მაგალითი მოვიყვანო! დავუშვათ, კვირაში 4 საათს ანდომებთ ბალახის მოთიბვას ხელის საკრეჭით. კომპანიაში გაყიდვების გაზრდა გადაწყვიტეთ და იცით, რომ მეტი დროის ქონის შემთხვევაში ბიზნესის განვითარებას შეძლებდით. თუმცა ამ მომენტისთვის, დრო არ გაქვთ. რა იქნება გამოსავალი? ასეთი რამდენიმეა. შეგიძლიათ ნულოვანი ბრუნვის სათიბი იყიდოთ ან უფრო უკეთესი, ამ საქმისთვის ვიღაც დაიქირაოთ და თქვენ ფულის გამომუშავებაზე დახარჯოთ დრო. ეს უბრალო მაგალითები ცხოვრების ყველა სფეროში გამოიყენება. ვიმეორებ, პროცესები უნდა შეცვალოთ, რომ მეტი შესაძლებლობა მიიღოთ.

ოჰ, ვიცი, რომ ყველას გვიყვარს სიტყვა *ცვლილება*. თუმცა ვხუმრობ! ადამიანთა უმრავლესობას საერთოდ არ უყვარს ეს, მაგრამ თუ თქვენი ტერიტორიის გაზრდა გსურთ, ცვლილება უნდა შეიყვაროთ. ალბათ, ესაიას 54-ე თავს ზედაპირულად გადახედეთ, მაგრამ იქ არის ერთი სიტყვა, რომელშიც სიღრმისეული ჭეშმარიტება დევს.

შენი საცხოვრებლის ფარდები **დაჭიმე.**

ფარდების დაჭიმვა დიდი ძალისხმევას მოითხოვს. კარვის შიდა მოწყობილობა უნდა გადაადგილდეს და ეს ცხოვრებაშიც ისევე გამოიყენება, როგორც კარვის შემთხვევაში. მოდით, მარტივი მაგალითი მოვიყვანოთ! აიღეთ ახალი ბუშტი და გაბერეთ. თავდაპირველად ეს საკმაოდ ძნელი იქნება. გაბერვის შემდეგ ჰაერი გამოუშვით. დაინახავთ, რომ ბუშტს იგივე ზომა აღარ ექნება. ახლა ის გაცილებით დიდია. თუ კიდევ ჩაბერავთ, აღმოაჩენთ, რომ უფრო ადვილად გამოგდით. მაშ, რა მოუვიდა ბუშტს? ლატექსის წელვადობა ახალ ნიშნულამდე მივიდა. ახლა ბუშტი ბოლოს მიღებულ ზომებს ინარჩუნებს. თუ ამ მაგალითს მწარმოებლურობის კანონს მივუსადაგებთ, დავინახავთ, რომ ბუშტის შესაძლებლობები გვარიანად გავზარდეთ, მაგრამ ამისთვის მისი დაჭიმვა გახდა საჭირო.

იცით რა? უფრო მაღალ მწარმოებლურობამდე დაჭიმვა გჭირდებათ. თავიდან ეს რთული იქნება, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ნორმალური გახდება. ნება მომეცით, მაგალითი ჩემი ცხოვრებიდან მოგიყვანოთ! როგორც იცით, მე და დრენდა ორ სატელევიზიო პროგრამას ვუძღვებით. ეს საქმე ადრე არც ერთს არ გვიკეთებია და საერთოდ, ტელევიზიის წამოწყება გვარიან დაჭიმულობას ქმნიდა ჩვენს ცხოვრებაში. არც ერთს არ გვქონდა გამოცდილება და არ ვიცოდით ეს საქმე როგორ უნდა გვეკეთებინა. არც ასობით ათასი დოლარი მოგვეპოვებოდა ტელემაუწყებლობის დასაწყებად.

თქვენ უფრო მაღალ მწარმოებლურობამდე დაჭიმვა გჭირდებათ. თავიდან ეს რთული იქნება, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ნორმალური გახდება.

თუმცა ერთ დღეს ვიგრძენით, რომ უფალმა სატელევიზიო საქმისთვის ხელის მოკიდება დაგვავალა. ამრიგად, დავიწყეთ კვლევის პროცესი, თუ რა სჭირდებოდა ტელევიზიას. გულწრფელად რომ გითხრათ, რაც უფრო მეტს ვიგებდით, მით მეტად ვაცნობიერებდით ამ საქმეში ჩვენს უმეცრებას. ღმერთს ერთგულად მოჰყავდა ხალხი ჩვენს ცხოვრებაში, რომლებაც ეს საქმე კარგად იცოდნენ. 2007 წელს რწმენით შევძელით ჩვენი ტელევიზიის გამართვა და ოჰაიოს ორ

ადგილობრივ ქსელში მაუწყებლობის დაწყება. ამავდროულად, დავიქირავეთ კომპანია, რომელიც თვეში ერთხელ მოვიდოდა და ოთხ ან ხუთ გადაცემას ჩაწერდა, რადგან ეთერში კვირაში ერთხელ გავდიოდით. მაშინ საეთერო დრო თვეში 9 000 დოლარი ღირდა, რაც საკმაოდ დიდი თანხა იყო. მომდევნო წლის განმავლობაში მეტ სამაუწყებლო ქსელში ჩავერთეთ და საეთერო დროის ყოველთვიურმა გადასახადმა 50 000 დოლარს მიაღწია. უნდა ვაღიარო, რომ ამ დროისთვის ემოციურად თითქმის განადგურებული ვიყავი. ღმერთმა ისევ მიერთგულა და რამდენიმე ეროვნული მასშტაბის მაუწყებლობაზე გავედით. დიახ, ჩემი კომფორტის ზონიდან მეტისმეტად გავიწელე. თანდათან მივეჩვიე სატელევიზიო გადაცემების წარმართვას და ფულიც შემოდიოდა ყოველკვირეული მაუწყებლობის ხარჯების დასაფარად. ერთხელ ყველაფერი შეიცვალა. ეს ჩვეულებრივ ლოცვის შეკრებაზე მოხდა, რომელიც ოთხშაბათ საღამოს იმართებოდა. ლოცვას ჩემი ქალიშვილი ემი უძღვებოდა. მოულოდნელად ის შეჩერდა, შემომხედა და ასეთი რამ მითხრა:

– მოსავალი მეტისმეტად დიდია თქვენთვის. უნდა გაგწელო. მხოლოდ ჩემი სულის დახმარებით მიხვდები, რა უნდა მოხდეს. გადადგამ ნაბიჯს და ნებას მომცემ, ისეთ სირთულეებში გაგიძღვე, რომლებიც შენს წარმოსახვას აღემატება და შეუძლებლის მასშტაბებში გადადის?

ოჰო! ეს ჩემი პირველი როდეო არ ყოფილა. ვიცოდი, რომ ღმერთი ისეთი შესაძლებლობის წინ დამაყენებდა, რომელიც ჩემს ძალებს აღემატებოდა და ახლა მამზადებდა ამასთან შესახვედრად. დავთანხმდებოდი? მოვისურვებდი კიდევ უფრო მეტად გაწელვას? ვიცოდი, როგორი იყო დაჭიმვის ტკივილი, რადგან ბევრჯერ გამოვიცადე. ამის შედეგად მიღებული ჯილდოს შესახებაც ვიცოდი. ამრიგად, იმ საღამოს ვთქვი:

– დიახ, უფალო! რაც არ უნდა იყოს, თანახმა ვარ.

ლოცვის შეხვედრიდან, დაახლოებით, ერთი თვის შემდეგ მაუწყებლობა DaystarTV-დან დაგვირეკეს, სადაც ყოველკვირეული ჩართვა გვქონდა. ეს უზარმაზარი ქრისტიანული სატელევიზიო მაუწყებელი გახლავთ, რომელიც მსოფლიოს ყველა დროის ზონაში გადაიცემა. მათ ყოველდღიური დროის ინტერვალი შემოგვთავაზეს. ვიცოდი, რომ ზოგადად, არ ჰქონდათ ყოველდღიური თავისუფალი საათი და თუ ახლა უარს ვიტყოდი,

შესაძლოა, მეტად არასოდეს გამოჩენილიყო მსგავსი შანსი. ისიც ვიცოდი, რომ ყოველდღიური შრომა ტელეგადაცემების კეთების აქამდე დადგენილ პროცესში რადიკალური ცვლილებების შეტანას მოითხოვდა, არა მარტო პერსაონალისა და მოწყობილობების, არამედ საეთერო დროისთვის საჭირო გადასახადის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

იმ დროისთვის, როგორღაც ვახერხებდით ყოველკვირეული ტრანსლაციის ხარჯის დაფარვას და ვერ ვხედავდი გამოსავალს, საიდან შეიძლებოდა მიმეღო მეტი სახსრები. ჩვენ ისევ ვსარგებლობდით ზემოხსენებული კომპანიის მომსახურებით, რომელიც მოდიოდა, ჩვენს ყოველკვირეულ გადაცემებს იწერდა და რედაქტირებას უკეთებდა. შემდეგ გავაცნობიერე, რომ საჭირო იყო საკუთარი პროდიუსერებისა და რედაქტორების ყოლა, თუნდაც არ გვქონოდა კამერები და ყოველდღიური გამოყენებისთვის საჭირო სხვა მოწყობილობები. შემიძლია ვთქვა, რომ უფალს დავთანხმდი იმ წინასწარმეტყველებაზე, რომელიც ოთხშაბათ საღამოს მივიღე. მან მკითხა, მივცემდი თუ არა შეუძლებლის სფეროში შეყვანის ნებას. კვერი უნდა დამეკრა, რომ ეს მართლაც შეუძლებელი ჩანდა. მოკლედ რომ ვთქვა, ღმერთმა გამოაჩინა დასაწყებად საჭირო ადამიანები და საკმარისი რესურსები, მაგრამ რთული იყო. უნდა ვაღიარო, რომ კარგად დავიჭიმე!

ნება მომეცით, დაგეხმაროთ იმის გააზრებაში, რა მოხდა შემდეგ. კვირაში ერთხელ იხდით საეთერო დროის ყოველკვირეულ გადასახადს. მოულოდნელად გადადიხართ ყოველდღიურზე, სადაც კვირაში ხუთი დღეა. თქვენი ხარჯები ხუთჯერ იზრდება იმასთან შედარებით, რასაც კვირაში ერთხელ იხდიდით და ამასაც გაჭირვებით ახერხებდით. და მაინც, Daystar-ის ხალხი ჩვენს მდგომარეობას აცნობიერებდა და თავდაპირველად, გადასახადის დაგვიანებით გადახდის ნება დაგვრთეს, სანამ ახალ მაყურებლებს მოვიზიდავდით, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ ჩვენს მაუწყებლობას. ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს ყოველდღიური საეთერო დროის შესახებ და დარწმუნებული იყავით, რომ ვერ შევძელით პირველი თვის გადასახადის დაფარვა იმ მედია კომპანიისთვის, რომელიც Daystar-თან ჩვენს კონტრაქტს მართავდა. ამას ყველანი ველოდით და დიდ პრობლემად არ მიგვაჩნდა.

ხუთი თვის შემდეგ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებოდით საეთერო დროის საგადასახადო გრაფიკს. შემდეგ ჩვენი შემსყიდველისგან ელექტრონული წერილი მივიღე, რომ 500 000 დოლარით უკან ვიყავით და მისი ადვოკატები დაინტერესდნენ, რის გაკეთებას ვაპირებდით. ოდესმე თუ გაგისკდათ ბუშტი ზედმეტი წნევის გამო, როცა მის გაბერვას აპირებდით? ზუსტად ასე ვგრძნობდი, რომ გასკდომის პირას ვიყავი. წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა გადამეხადა საეთერო დროის დავალიანება. ამ ამბის ყველაზე ცუდი ასპექტი ის იყო, რომ ჩემს გადაცემას *ფულის საკითხის მოგვარება* ერქვა. ამასთან ჭიდილი მიწევდა და დრენდას ისიც კი ვუთხარი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და მაუწყებლობის დრო უნდა დაგვეთმო. მან მხოლოდ ეს მკითხა:

– ღმერთმა რა თქვა?

ერთ პატარა ლოცვის შეკრებაზე წავედით და არავისთვის გვითქვამს, რა ხდებოდა ჩვენს თავს. იქ მყოფ რამდენიმე ადამიანს ჩემთვის ლოცვის სურვილი გაუჩნდა. ლოცვის დროს ვიგრძენი, რომ მთელი ამ ვითარების სიმძიმე მომშორდა და ყველაფრის სასიკეთოდ დასრულების განცდა დამეუფლა. რამდენიმე დღის შემდეგ სიზმარი ვნახე, სადაც ქვითრების დიდი დასტა ჩანდა. შევძელი ზოგიერთ მათგანზე თანხის ოდენობის და რამდენიმე სახელის დანახვა. გამოღვიძებისას დარწმუნებული ვიყავი, რომ ღმერთი ფულს მოიტანდა. საოცარია, მაგრამ იმ უქმეებზე ეკლესიაში 500 000 დოლარით იმაზე მეტი თანხა შემოვიდა, ვიდრე ჩვეულებრივ ვიღებდით. ასე რომ, მიმდინარე ხარჯებიც დაიფარა და ვალიც.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ჩვენი გადასახადები თვეში ასეულ ათასამდე გაიზარდა, მაგრამ ისე მძინავს, როგორც ჩვილ ბავშვს. რატომ? იმიტომ, რომ ახალ ნორმაში, ახალ მწარმოებლურობაში შევაბიჯე. ამ ყველაფერში ცვლილებებს უზარმაზარი ადგილი უჭირავს და ზოგჯერ საკმაო უხერხულობას გიქმნით. ამის თქმა დანამდვილებით შემიძლია, მაგრამ ამად ღირდა და ახლაც ღირს. მაშ ასე, ნება მომეცით, რამდენიმე რჩევა მოგცეთ!

ნუ მისცემთ მწარმოებლურობის ნაკლებობას ხედვის მასშტაბების კარნახის უფლებას!

დაე, თქვენმა ხედვამ მოიტანოს საჭირო ცვლილებები, რომ მწარმოებლურობა გაზარდოს!

აი, გასაღები, რაც მომდევნო ნაბიჯის გადადგმასა და იმ პროცესების დანახვაში დაგეხმარებათ, რომლებიც უნდა შეიცვალოს. უბრალოდ, ქვემომოყვანილ კითხვას უპასუხეთ.

რა გაწუხებთ საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით?

თქვენი პასუხი განსაზღვრავს, რა სფეროში გაქვთ ნაკლოვანებები ან რომელია თქვენი სუსტი მხარე, რომელსაც სხვა ვინმეს გადასცემდით. დავუშვათ, კვირაში სამ საათს ანდომებთ გაზონის გაკრეჭას. ეს თქვენი დროის საუკეთესოდ გამოყენებაა? როგორც ადრე აღვნიშნე, პროცესების გაუმჯობესება უკეთესი საკრეჭის შეძენით შეგიძლიათ ან ქუჩაში მყოფ რომელიმე ბავშვს გადაუხადეთ ამ საქმის კეთების გასამრჯელო. **დარჩით თქვენს ხაზზე**! გათავისუფლდით, რომ იოცნებოთ და უფრო დიდი ტერიტორია დაიპყროთ. აი, მეორე კითხვა, რომელზეც პასუხი უნდა გასცეთ.

შეესაბამება თუ არა თქვენი ცხოვრების მიმდინარე პროცესები თქვენივე მოლოდინს?

მეტისმეტად ბევრს და ბეჯითად ვშრომობთ, ამიტომ გაჩერების, ოცნებისა და იმ პროცესების მართვის დრო არ გვაქვს, რომელთაც ამჟამად ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში აქვს ადგილი ...

მაგალითად, თუ უზარმაზარი სარეცხი მანქანა მაქვს, რომელსაც მთელი ჩემი ტანსაცმლის გარეცხვა შეუძლია და სამოსი მაინც გაურეცხავია, მაშინ დროის ორგანიზების პრობლემა მქონია. ესეც პროცესია, მაგრამ სხვა ტიპის, რომელზეც მომდევნო თავში ვილაპარაკებთ. იმ შემთხვევაში, თუ ტანსაცმელს კლდისპირა ნაკადულთან ვრეცხავ და სახლში ჭუჭყიანი ტანსაცმლის გორები მიდგას, უნდა გავაცნობიერო, რომ მიმდინარე პროცესები ჩემს მოლოდინს ან საჭიროებას არ შეესაბამება. აუცილებელია მანქანის ყიდვა ან მრეცხავის დაქირავება. ჩვენგან მრავალი ადამიანი ცხოვრობს შეუსრულებელი მიზნებით სავსე ცხოვრებით. ასე იმიტომ კი არ ხდება, რომ საკმარისი გულმოდგინებით არ ვშრომობთ. პირიქით! მეტისმეტად ბევრს და ბეჯითად ვშრომობთ, ამიტომ გაჩერების, ოცნებისა და იმ პროცესების მართვის დრო არ გვაქვს, რომელთაც ამჟამად ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში აქვს ადგილი კარვის შიგნით.

მაგალითად, წავიკითხე სტატია, სადაც გადმოცემული იყო ინფორმაცია, რომ ადამიანთა უმრავლესობა დღეში რამდენიმე საათს ანდომებს ტელევიზორის ყურებას, ინტერნეტის დათვალიერებას და მობილურზე საუბარს. დარწმუნებული ვარ, დღის ბოლოს გსმენიათ ჩვეული ფრაზა: „როგორ გასულა დრო! ნუთუ უკვე უნდა დავიძინოთ?“ ეს კარგი კითხვაა, რომელსაც პასუხი უნდა გასცეთ. მომდევნო თავში ვუპასუხებთ, რადგან მართლა გვჭირდება იმის ცოდნა, სად ქრება დრო. ახლა კი მხოლოდ ის დაიმახსოვრეთ, რომ შეზღუდული მწარმოებლურობის პირობებში არც კი შეეცდებით მასზე პასუხის გაცემას. უბრალოდ, ის იცით, რომ ჩამორჩებით. ამის შემდეგ უფრო სწრაფად სირბილს იწყებთ დაკარგულის დასაწევად ნაცვლად იმისა, რომ გამოარკვიოთ, რაში ფლანგავთ დროს.

მწარმოებლურობის გაზრდის ყველაზე მარტივი მეთოდია ძველმოდური სიის ჩამოწერა. და მაინც, ადამიანთა უმრავლესობას არ შეუძლია იმ საქმეების გაკეთება, რაც სიაში აქვთ მინიშნებული. რატომ? იმიტომ, რომ მათ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები საკმარისი არ არის ამ პრობლემის გადასაჭრელად. მეორე, ისინი ყველაზე მარტივით იწყებენ და რთულსა და მნიშვნელოვანს ვერასოდეს აღწევენ. აი, რაში მდგომარეობს გამოსავალი: ყოველი დღის დასაწყისში ხელი მოკიდეთ ყველაზე რთულ და ნაკლებად საყვარელ საქმეებს და გაოცდებით, თუ რა ბევრის გაკეთებას შეძლებთ და როგორ მოგშორდებათ მუდმივად მოწუწუნე დანაშაულის გრძნობა, რომ გადატვირთული ხართ.

პროცესებს გეგმის შესრულებისკენ მივყავართ და თუ მას ვერ ასრულებთ, ეს არის მანიშნებელი, რომ ისინი უნდა შეიცვალოს. აუცილებლად უნდა გაგაფრთხილოთ დაყოვნებასთან დაკავშირებით. ერთი წამითაც არ შეურიგდეთ მწარმოებლურობის სიმცირეს. ყოველთვის წინასწარ გაიაზრეთ და სულიწმიდას დახმარება და ხელმძღვანელობა სთხოვეთ. ჩვეულებრივ, თქვენი მწარმოებლურობა უცაბედად არ იკლებს, თუმცა ზოგჯერ ასეც შეიძლება მოხდეს, როგორც ჩემს შემთხვევაში იყო. ნესისამებრ, დაინახავთ, რომ ასეთი რამ ახლოვდება. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ წინ არ ვიხედებით და ვერც ვხედავთ მის მოახლოებას. როცა მოულოდნელად დაგვატყდება თავს, გაუთვალისწინებელ ვითარებაში აღმოვჩნდებით.

მახსოვს ის დრო, როცა ჩვენი ეკლესია პაწაწინა იყო, მაგრამ იზრდებოდა. ძალზე დაკავებული ვიყავი საეკლესიო მშენებლობით და ჩემი ბიზნესით. მაშინ სრული დროით აყვანილი ბუხჰალტერი მყავდა, რომელიც ეკლესიის ანგარიშებს აწარმოებდა და დავინახე, რომ ასე დიდხანს ვერ გავუძლებდით. ერთ საღამოს მე და დრენდამ უიმედობაში ერთმანეთს ხელი ჩავჭიდეთ და ლოცვა დავიწყეთ. გვინდოდა, ღმერთს მივეყვანეთ ისეთ ადამიანთან, რომელიც დაგვეხმარებოდა. საღამოს 10 საათი იყო, როცა ვლოცულობდით და ჩემი საწოლის გვერდით ტელეფონმა დარეკა. ეს ეკლესიის ერთ-ერთი ლიდერის ცოლი გახლდათ. აი, რა გვითხრა მან:

– ვლოცულობდი და ვიგრძენი, რომ ღმერთმა თქვენთან დარეკვაზე მიმითითა. უნდა მეკითხა, ფინანსური პრობლემა ხომ არ გქონდათ. ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს და სიამოვნებით დაგეხმარებოდით.

ოჰ, რა ძალიან გაგვიხარდა! ვიცოდით, რომ ეს ქალი ნდობას იმსახურებდა და დეტალური სიზუსტით უდგებოდა ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობას, მაგრამ მისი ბუხჰალტრული გამოცდილების შესახებ არაფერი გვსმენოდა. ის ჩვენი ბუხჰალტერი გახდა და საოცარი საქმე შეასრულა.

სამწუხაროდ, მე და დრენდამ შფოთვასა და წუხილში ამაოდ დავკარგეთ კვირები, როცა დამოუკიდებლად ვცდილობდით ბუხჰალტრული პრობლემების გადაჭრას იმის ნაცვლად, რომ წინასწარ გვეთხოვა ღვთისთვის დახმარება. მახსოვს, იმ ქალმა რომ დაგვირეკა, ასეთი რამ გვითხრა: იცოდა, რომ უკვე გვიანი იყო, მაგრამ ღმერთმა სწორედ ამ დროს დარეკვა სთხოვა. ღმერთმა იცის, რა დავალებებს გვაძლევს და შეუძლია, წინასწარ განავითაროს ჩვენი მწარმოებლურობა, სანამ პრობლემები გამოჩნდება. ასევე, ერთი წამით მინდა ყურადღება მწარმოებლურობის სწორ პოზიციაში დგომაზე გავამახვილო. ვიცი, რომ მწარმოებლურობის პოზიციაში დგომა, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს. და მაინც, დარწმუნებული ვარ, რომ ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ეთანხმება ესაიას სიტყვებს გავრცობისა და უკან არდახევის შესახებ.

ვფიქრობ, ადამიანთა უმრავლესობის მიზნები ნაკლებად მასშტაბიანია ახალ წამოწყებასა თუ დავალებაში. მახსოვს, როგორ ვიჯექი თვითმფრინავში ერთი ახალგაზრდის გვერდით

და ვსაუბრობდით. ვკითხე, რას საქმიანობდა. მან მითხრა, რომ საცხობი ჰქონდა. ვფიქრობდი, რომ მომცრო საცხობი ექნებოდა, როგორიც მრავლად იყო ჩემს ქალაქში. ისინი ქორწილებს აწყობენ და ორცხობილებს ყიდიან. ამის შესახებ ვკითხე. ჭაბუკმა მიპასუხა, რომ ეს ადგილობრივი საცხობია ბოსტონში და სულ რაღაც, ორი წლის წინ გახსნა. დავინტერესდი, როგორ მისდიოდა საქმეები და მისმა პასუხმა გამაოცა. მითხრა, რომ გასულ წელს 20 მილიონზე მეტი გამოიმუშავეს.

– მოიცათ, – ვთქვი მე, – ვფიქრობ, ასე მითხარით, რომ საცხობი ორი წლის წინ გახსენით.

მან დამიდასტურა. შემდეგ ვკითხე, როგორ შეძლო 20 მილიონის გამომუშავება საქმის დაწყების მეორე წელს. ახალგაზრდამ ამიხსნა, რომ მისი საცხობის მთავარი მიზანი არ იყო დაბადების დღის ტორტების და ორცხობილების გაყიდვა. ამის ნაცვლად, ისინი თავიდანვე მსხვილი კორპორაციებზე გავიდნენ. მივხვდი, რომ მან საცხობი საკუთარი ხარჯების დასაფარად კი არ შექმნა, არამედ გასამდიდრებლად! მისი აზროვნების მანერამ ჩემი ყურადღება მიიპყრო და ეს დიდად განსხვავდებოდა სხვა ადამიანების ფიქრებისგან.

ეს ამბავი პირველი კანონის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ეს გახლავთ ბატონობის კანონი, რომელიც მწარმოებლურობის კანონთან ერთად მოქმედებს. მან მწარმოებლურობა დიდ სიმაღლეზე დააყენა, სანამ ბიზნესს დაიწყებდა. იგი გრძნობდა და ელოდა, რომ საცხობი ფართომასშტაბიანი იქნებოდა, ამიტომ ამისთვის საჭირო ყველა მანქანა ადგილზე უნდა ყოფილიყო. ადამიანთა უმრავლესობა ამგვარ აზრს მოძველებული პროცესებით ახშობს და გადატვირთულ და კონკურენტებისგან დამარცხებულ პოზიციაში რჩება. ამიტომ, წინასწარ უნდა განსაზღვროთ თქვენი მწარმოებლურობის პოზიცია, სანამ იმ ადგილამდე მიხვიდოდეთ.

თქვენი პროცესების კვლავწარმოება შესაძლებელი უნდა იყოს. ამჟამად მსახურებაში 100-ზე მეტი თანამშრომელი მყავს ჩემი ფინანსური კომპანიის ჩათვლით. ადრეულ ეტაპზე არაერთხელ გამოვცადე უსიამოვნო შემთხვევები, როცა მუშაკი მიდიოდა და პროცესები ჩერდებოდა იმიტომ, რომ არავინ იცოდა მისი საქმის კეთება. არავინ ფიქრობდა, რომ ჩაეწერა საქმის თანმიმდევრობა მის გასაგრძელებლად, როცა ამა თუ

იმ პოზიციაზე არავინ იქნებოდა. ვიცი, რომ ეს ბრიყვული შეცდომაა, მაგრამ უამრავი პატარა კომპანია თუ ორგანიზაცია ამ მდგომარეობაშია. ვისაც თავის გუნდში მოწესრიგებული არ აქვს საკომუნიკაციო კავშირები, მნიშვნელოვან პროექტებს ცდებიან და მწარმოებლურობის ზღვარზე მოქმედებენ, რითაც არათუ არ იზრდებიან, არამედ იმასაც კარგავენ, რაც აქვთ. ამრიგად, ნება მომეცით, ისევ გავიმეორო"

თქვენი პროცესების გამეორება შესაძლებელი უნდა იყოს!

საბვეი ნამდვილად კარგ სენდვიჩს აკეთებს, მაგრამ ის მხოლოდ სენდვიჩია და ვფიქრობ, ყველა ჩვენგანი გააკეთებდა, საკუთარი პური რომ გამოგვეცხო და მათი ნიმუშისთვის მიგვემსგავსებინა. მიუხედავად ამისა, statista.com-ის თანახმად, ისინი 42 000 ლოკაციას ინარჩუნებენ მთელ მსოფლიოში. ან ავიღოთ მაკდონალდსი, რომელსაც 39 000 მაღაზია აქვს იგივე წყაროზე დაყრდნობით. ან რას იტყვით Uber-ზე, რომელიც mappr.com-ის თანახმად, მსოფლიოს 10 000 ქალაქში ოპერირებდა ბიზნესის დაწყებიდან, სულ რაღაც, 12 წელში? ეს ყველაფერი თავისით ხდება? არა, ყველას შეუძლია ჰამბურგერის დამზადება. ორი ადამიანი, რომლებმაც Uber-ი დააფუძნეს, მხოლოდ სამსახურში მიღწევის უკეთეს გზებს არ ეძებდნენ. მათ მსოფლიოს მასშტაბით ბატონობის აზროვნება ჰქონდათ. და მაინც, ეს კომპანიები ისე რომ გაზრდილიყვნენ, როგორც სინამდვილეში მოხდა, დიდი და კარგად დამუშავებული პროცესები უნდა ჰქონოდათ. დარწმუნებული ვარ, რომ მათ გზადაგზა ხვეწდნენ.

მთელი ცხოვრება გაყიდვებზე ვმუშაობ. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ეკლესიის პასტორი ვარ და ყოველდღიურ ტელეგადაცემებზეც ვმუშაობ, მაინც ვინარჩუნებ ფინანსური მომსახურების კომპანიას. როცა ეს ბიზნესი დავიწყე, მთელი შემოსავალს კლიენტებთან ჩემი პირადი გაყიდვები შეადგენდა. ვიცოდი, რომ შაბათისთვის მთელ კვირას თუ არ დავგეგმავდი, მომდევნო კვირის პროდუქტიულობა სანახევროდ შემცირდებოდა. ალბათ, მიხვდით, რომ მთელ შაბათს ტელეფონთან ვატარებდი შეხვედრების ჩანიშვნაში.

კომპანიაში ასობით გაყიდვების აგენტი გამომიზრდია. მათი უმრავლესობა დიდ იმედებს იძლეოდა ამ საქმეში, მაგრამ წარმატებას რამდენიმემ მიაღწია. მიზანი? ისინი გეგმის შედგენის

ნაცვლად იმედოვნებდნენ. ბევრს არ უყვარდა სატელეფონო ზარების განხორციელება, ამიტომ აყოვნებდნენ და კვირაში კლიენტების მაქსიმალურ რაოდენობას არ აგროვებდნენ. მათ არ ჰქონდათ კარგად დამუშავებული გეგმა, ვისთვის უნდა დაერეკათ ორშაბათ დილიდან. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მომდევნო კვირას მათი სატელეფონო ზარები წარმატებას მოიტანდა. არც იმ თანაფარდობას ანგარიშობდნენ ბიზნესში, თუ რამდენი ზარი უნდა განახორციელო, რომ ერთი კლიენტი შეიმატო. ამრიგად, როცა ორმა ადამიანმა ზედიზედ თქვა „არა“, ამით აღიარეს, რომ გაყიდვები მათი საქმე არ იყო და წავიდნენ. თუ გაიაზრებდნენ, რომ ყოველ ათ ადამიანზე, რომელთაც დაელაპარაკებოდნენ, საშუალოდ, 3 000-დან 5 000 დოლარამდე გამოიმუშავებდნენ, ისვე გააგრძელებდნენ ზარების განხორციელებას და მიხვდებოდნენ, რომ „დიახ“ სადღაც იქვე იყო.

მე და დრენდა ერთმანეთს ოკლაჰომის სკოლაში შევხვდით და ჩვენი ფინანსური მომსახურების ბიზნესი იქ დავიწყეთ. გაყიდვები რთული სასწავლი იყო, რადგან ურთიერთობაში ადვილად ვერ შევდიოდი და თავს ვაიძულებდი, რომ მემუშავა. გარკვეული დროის შემდეგ უხერხულობა მომეხსნა ზარების განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩემი პროდუქტი კარგად შევისწავლე და კლიენტებთან მუშაობაც გამიადვილდა. ერთ დღესაც გარეთ სარბენად ვიყავი, როცა უფალი დამელაპარაკა და უკან, ოჰაიოში დაბრუნებაზე მიმითითა. ამრიგად, მე და დრენდა ოჰაიოში დავბრუნდით, მაგრამ საქმე ისევ რთულად მიდიოდა.

ბიზნესი ნულიდან უნდა დამეწყო და პირველი კლიენტების მოსაძიებლად ზარები განმეხორციელებინა. აღმოვაჩინე, რომ დღეში 90 სატელეფონო ზარიდან, დაახლოებით, 25 ადამიანს რეალურად ველაპარაკებოდი. სხვები სახლში არ იყვნენ და ალბათ, მუშაობდნენ, მაგრამ ასეთებს შეტყობინებას ვუტოვებდი, რომელზეც ზოგიერთები მეხმაურებოდნენ. იმ 25 ადამიანიდან, რომელთაც სინამდვილეში გავესაუბრე, მხოლოდ 6 ან 7 დაინტერესდა და შეხვედრა ჩავნიშნეთ. ამ 7 შეხვედრიდან 3 გაყიდვა განხორციელდა. 3 გაყიდვიდან, ჩვეულებრივ, კვირაში 2,000-დან 5,000 დოლარამდე გამოვიმუშავებდი. მას შემდეგ, რაც რეკომენდაციით გამოგზავნილი ადამიანები

მივიღე, უცნობებთან ზარების განხორციელებას შევეშვი და გამოგზავნილ კლიენტებთან მუშაობაზე გადავედი. აქედან დავიწყე თანამშრომლების აყვანა, სანამ 300 გაყიდვის აგენტი არ შევაგროვე და ჩვენი კომპანია 5 000-დან ნომერ პირველ ოფისად იქცა ქვეყნის მასშტაბით.

მიზეზი, რის გამოც ეს გამოცდილება გაგაცანით, გახლავთ ყოველი დღის მართვის პროცესის საჭიროების ხაზგასმა. დრო ძვირფასია! დღეს, 30 წლის შემდეგ ჩემი კომპანია ისევ მუშაობს გარდა იმისა, რომ ყველაფერი შეიცვალა. ჩვენი პროცესები შეიცვალა. დღეს პროგრამული უზრუნველყოფა გვაქვს, რომელიც ყველაფერს თვალ-ყურს ადევნებს. კლიენტს ოფისში დარეკვა შეუძლია, ხოლო მე შემიძლია ზარის ჩანაწერი კომპიუტერიდან მოვისმინო და ის ინფორმაციაც ვნახო, თუ რაზე ვისაუბრეთ. ვავსებთ ყოველ ფორმას და გაყიდვების მასალებს, რომელთაც ზარის დროს ვიყენებთ მათ მიერ ხელმოწერილი კონტრაქტის ასლებთან ერთად. აღინიშნება, როგორ შესრულდა ეს პროდუქტები მათთვის, რა ცვლილებები შევიტანეთ დროთა განმავლობაში და კიდევ მრავალი სხვა მონაცემი, რაც ჩვენი ბიზნესის კონტროლში გვეხმარება. დღეს ჩემს თანამშრომლებს სახლიდან მუშაობაც შეუძლიათ და წვდომა ყველაფერზე აქვთ. ჩვენს კლიენტებს შეუძლიათ ონლაინ რეჟიმში განაახლონ გეგმები, გამოგვიგზავნონ შეტყობინება ან ხელით განახორციელონ მონაცემთა ცვლილება. მსოფლიო იცვლება და ჩვენც უნდა შევიცვალოთ.

დღეს აღარ მჭირდება კლიენტების მოსაპოვებლად დარეკვა. მეტისმეტად დაკავებული ვარ, რომ ეს ვაკეთო. საქმე დიდებულ ადამიანებს გადავეცი, რომლებიც ბიზნესს ჩემთვის მართავენ. რატომ? იმიტომ, რომ ბევრი სხვა საქმე მაქვს საკეთებელი. მმართველი საბჭოს ყოველწლიური შეხვედრის გარდა ოფისში, დაახლოებით, სამჯერ მივდივარ თვის განმავლობაში. ყოველთვიური ანგარიშების შემოწმებასთან ერთად წვდომა მაქვს ნებისმიერ საჭირო ინფორმაციაზე, რომ ყველაფერი სათანადოდ მუშაობდეს. ხედავთ, რომ პროცესების შეცვლა დამჭირდა მეტი ტერიტორიის ათვისებისთვის? მიუხედავად იმისა, რომ დღეს კლიენტებს პირადად არ ვხვდები, ჩემი კომპანია ისევ იძლევა ასეულ ათასობით წმიდა შემოსავალს წელიწადში. ისევ მიყვარს თუ არა კლიენტებთან მუშაობა? დიახ! ისევ მომწონს თუ არა

ჩემი კომპანიის ხედვა? დიახ! და მაინც, თუ დასახული მიზნების განხორციელება მინდა, ყველაფერს მარტო ვერ გავაკეთებ. ყურადღება მთავარზე უნდა გავამახვილო.

დაიმახსოვრეთ, რომ მწარმოებლურობის კანონი თქვენს ცეცხლს გააღვივებს ან ჩაქრობს. თუ იმეგაცრუებული და გადატვირთული ხართ, ჩანს, რომ დიდხანს დააყოვნეთ პროცესების შეცვლა. როცა მწარმოებლურობას ამოწურავთ, ჩერდებით.

მწარმოებლურობის კანონი თქვენს ცეცხლს გააღვივებს ან ჩაქრობს.

ისე გააკეთეთ, რომ ეს არ მოხდეს. შეიძლება, იკითხოთ: „როგორ გავიგო, რამდენად ვარგისია ჩემი ახლანდელი პროცესები?“ თუ ლიმიტს მიაღწიეთ, ეს შეიძლება დიდი პროცესებიც იყოს, მაგრამ თქვენ მეტად ხართ გაზრდილი. მწარმოებლურობის ლიმიტს მუდმივად უნდა ასწრებდეთ ნაყოფიერების განუწყვეტელი შეფასების მეშვეობით, რაც აჩქარების მესამე კანონთან მიგიყვანთ.

თავი 7

დაუფლების კანონი

გააფართოვე შენი კარვის ადგილი [ბატონობის კანონი] *და შენი საცხოვრებლის ფარდები დაჭიმე* [მწარმოებლურობის კანონი], *ნუ დაინანებ [დიდზე იფიქრე], დააგრძელე შენი საბელები [დაუფლების კანონი] და შენი პალოები გაამაგრე.*

– ესაია 54:2

მოდით, ჩვენს ძირითად მუხლს დავუბრუნდეთ, რომელიც აჩქარების პირველი ოთხი კანონისთვის შევარჩიეთ. მესამე კანონი ეფუძნება ფრაზას „დააგრძელე შენი საბელები". თუ კარავს გაადიდებთ, გადაჭიმული ნაჭრის დიდი ფართობი ქარს მისი ძირს დაცემის მეტ ბერკეტს მისცემს. გამოყენებული საბელები და პალოები კარვის ამჟამინდელ მოცულობას უნდა შეესაბამებოდეს, რადგან ზედაპირის მეტ ფართობს უფრო დიდი ზეწოლა ექნება. მოდით, საბელები განვიხილოთ! ისინი კარავზეა მიმაგრებული, რაზეც ვთქვით, რომ თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებას წარმოადგენს და მიწაზე პალოებით მაგრდება. იმის გამო, რომ კარვის ფართობის ზრდისას მეტი ზეწოლა ხორციელდება, საბელები და პალოები ამ ზეწოლის საპირწონედ უნდა დაგრძელდეს. გადავხედოთ საბელებს! ისინი კარავზეა მიმაგრებული, რომელიც თქვენი ყოველდღიური ცხოვრების სტილია და პალოებით არის ნიადაგში ჩამაგრებული. ნიადაგი, რომელზეც პალოებია დასობილი, ნომერ პირველს უბრუნდება – თქვენი კარვის ადგილს, თქვენს ხედვას და ბატონობას. მიწაში ჩამაგრებული პალოები იჭერს საბელებს,

რომლებიც თავის მხრივ იჭერს კარავს, რომელიც თქვენს ყოველდღიურ პროცესებს წარმოადგენს და თქვენს ხედვას ანუ ნიადაგს ექვემდებარება. ამას როგორ აკეთებენ? მართვის მეშვეობით! შემეძლო მესამე კანონისთვის განკარგვვის კანონიც მეწოდებინა, მაგრამ დაუფლების კანონი ვარჩიე, რადგან ვერ დაეუფლებით იმას, რასაც არ განკარგავთ.

ვერ დაეუფლებით იმას, რასაც არ განკარგავთ! ფაქტობრივად, საბელები გახლავთ ROI – ინვესტიციის სარგებელი ანუ დეტალი, რომელიც აუცილებელია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. განკარგვა ანუ მართვა ფაქტებს მაგიდაზე აწყობს საყოველთაო განხილვისთვის. იმის გამო, რომ საბელები თქვენს ხედვაზეა მიბმული, ისინი კარვის შიგნით პროცესებს ინარჩუნებენ. თქვენი ცხოვრების წესი თქვენივე ხედვას ექვემდებარება. სწორედ ასე უნდა განსაზღვროთ, მიგიყვანენ თუ არა პროცესები დანიშნულების ადგილას.

თუ ბრიტანული მეტროთი იმგზავრებთ, ვაგონების შესასვლელთან დაინახავთ ნიშნებს წარწერით – „ფრთხილად ღიობთან“. თუ ღიობს არ დააკვირდებით, დაშავდებით ან უარესი, მატარებელსა და ბაქანს შორის ჩავარდებით. აქაც იგივე საფრთხე არსებობს. მთელი თქვენი ბიზნესი ან ცხოვრება ნანგრევების გროვად გადაიქცევა, თუ ღიობთან ანუ დეტალებთან ყურადღებით არ იქნებით. თუ ღიობებთან არ იფხიზლებთ, კურსს აცდებით, თუმცა იქამდე გეგონებათ, რომ ყველაფერი კარგად მიდის.

პილოტი ვარ და საკმაოდ სწრაფად ვისწავლე, რომ არჩეულ კურსს არ უნდა გადავუხვიო. ნაცნობი აეროპორტიდან არცთუ დიდ მანძილზე ფრენისას კომპასი არ მჭირდება. ადგილმდებარეობა ნაცნობია. თუ შორ მანძილზე მივფრინავ, ორიენტირი არ მაქვს იმის დასადგენად, კურსს ავცდი თუ არა, ამიტომ კომპასი აუცილებელია. ბევრი ადამიანი იმედოვნებს, რომ სწორი მიმართულებით მიდის, თუმცა სინამდვილეში ასე არ არის.

ჩემს ფინანსურ ბიზნესში პირველი შეხვედრისას კლიენტს ყოველთვის ვთხოვთ ბიუჯეტის შედგენას. თუ მისი დახმარება გვინდა, რომ ვალიდან ამოვიდეს ან ინვესტიციების დაცვას გვთხოვენ, ცხადია უნდა ვიცოდეთ მისი ფინანსური მდგომარეობა. თავდაპირველ ანკეტაში ერთი კითხვა წერია, თუ რა ოდენობა

ითვლება კონტროლირებად თანხად ყოველთვიურად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაინტერესებს, რა თანხით უნდა ვიმუშაო, რომ კლიენტმა მიზნები განახორციელოს და ვალიდან ამოვიდეს. სანამ ვკითხავდე, მანამ ვიცი, რომ ამაზე წარმოდგენაც არ აქვს. თანამედროვე საკრედიტო ბარათების მასიურმა გამოყენებამ საერთო ამოაგდო ბიუჯეტის შედგენა ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრებიდან. სანამ ბარათზე ხელმისაწვდომი ღია კრედიტი აქვთ, ხარჯვას განაგრძობენ. რა თქმა უნდა, ეს პრობლემის ერთი ნაწილია, რაც კლიენტებმა არ იციან, თუმცა მისი ცოდნა კი მართებთ.

ყოველთვის მიკვირს, როცა ადამიანები მეუბნებიან, რომ თვეში, დაახლოებით, 500 დოლარამდე თავისუფალი თანხა რჩებათ, მაგრამ ბიუჯეტის შედგენის შემდეგ კარგა 700 დოლარიც გამოდის ხოლმე. ერთი კლიენტი მყავდა, რომელმაც მითხრა, რომ ზედმეტი 1000 დოლარი აქვს თვეში. რა გაოგნებული იყო, როცა აღმოჩნდა, რომ ყოველთვე ზედმეტ 1700 დოლარს ფლანგავს, რის გამოც მისი საკრედიტო ბარათები ლიმიტი გადაჭარბებული იყო. მიკვირს, ეს როგორ ხდება! დეტალებზე დაკვირვების გარეშე ვერ მიხვდებით, შეძლებთ დასახული მიზნის მიღწევას თუ არა.

თქვენი ცხოვრების გაფართოებული პროცესების დამუშავებას მეტი მმართველობა სჭირდება. როგორც უკვე ვთქვი, თუ 10 000 აკრის ხორბლის ყანის აღებას ნაგლით შეუდგებით, ადამიანები თქვენს უმეცრებაზე გაიცინებენ. მოსავლის ასაღებად ბევრი კომბაინი დაგჭირდებათ. ისევ ვიმეორებ, რომ ბატონობის გაზრდასთან ერთად, სულ უფრო ცხადი ხდება პროცესების შეცვლის აუცილებლობა. ხორბლის მოყვანის და ნამგლით აღების ჰობიდან მასიურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე გადასვლა ყველაფრის შეცვლას მოითხოვს. ამისთვის სახელფასო, კადრების, საკადრო კანონმდებლობის, თანამშრომლებისთვის შეღავათების გაწევის (მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევა) განყოფილებები, საჭირო აღჭურვილობის ტექმომსახურების გრაფიკი და მრავალი სხვა რამ დაგჭირდებათ.

და ისევ ვიტყვი, რომ ვერ დაეუფლებით იმას, რის მართვაც არ შეგიძლიათ. სწორედ ამის თქმას ცდილობდა ღმერთი, როცა წიგნის დასაწყისში ებრ. 11:33-34 მაჩვენა. ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ უფალი დიდ ბიზნესსა და შემო-

სავალს მისცემს მათ, მაგრამ მათი მწარმოებლურობა სასურველ მასშტაბს ვერ გაწვდება.

ერთი ეკლესიის პასტორს ვიცნობ, რომელიც ამას ძალიან კარგად ხვდება. როცა თანამშრომლის ასაყვანად ადამიანებს ინტერვიუსთვის იწვევს, თავიანთი მანქანების ჩვენებას სთხოვს. მან იცის, რომ თუ მანქანაში დიდი უწესრიგობაა, სულ მოკლე ხანში მისი მსახურებაც ასეთ დღეში ჩავარდება. მან იცის, რომ ადამიანი ვერ შეძლებს უფრო მეტის მართვას, თუ არსებულს ვერ უვლის. ახლა წარმოიდგინეთ, რომ პასტორი დგას მოუვლელ ავტომობილთან, რომლის ხალიჩაზე კარტოფილი ფრის ნაჭრებია მიმობნეული სხვა ნაგავთან ერთად, გვერდით კი შეცბუნებული პოტენციური თანამშრომელი უდგას. რას ფიქრობთ, რა გამართლებას მოისმენს მისგან? „ბოდიში, ბოლო წუთს მანქანის დალაგების დრო აღარ მქონდა“. ნუთუ ეს გაამართლებს? არა, მაპატიეთ! კარგი ცდა იყო! არსებობს ავტოსამრეცხაოები და დაწესებულებები, რომლებიც სახლში მოდიან და თქვენს ნაცვლად რეცხავენ და წმენდენ ავტომობილს.

ცხადია, ამ ადამიანს ხედვის პრობლემა აქვს. დავნაძლევდეთ, რომ ერთ დროს მოსწონდა ახალნაყიდი მანქანის მოწესრიგებულობა და სისუფთავე. მტკიცე გადაწყვეტილებით სურდა მისი ამ სახით შენარჩუნება. შემდეგ ცხოვრებამ თავისი ქნა. მისი ყოველდღიური პროცესები ხედვასთან თანხვედრაში ვერ მოვიდა. მაშ, რა მოხდა? მან ხედვა საფრთხის ქვეშ დააყენა და მარტივად დათანხმდა ჭუჭყიანი მანქანის ტარებაზე. როცა პრობლემა შემჩნეულ იქნა, ახალი პროცესი უნდა მოეყვანა მოქმედებაში, რაც მისი აღმოფხვრის გარანტიას მისცემდა. მაგალითად, საკმარისი იქნებოდა გასაკეთებელი საქმეების უბრალო სია, რომელიც მფლობელს შეახსენებდა, რომ ყოველ ოთხშაბათს, სამსახურიდან სახლისკენ მიმავალ გზაზე ავტოსამრეცხაოში შეევლო. შეიძლებოდა სხვა ადამიანის დაქირავება, რომელიც მანქანას მის ნაცვლად მოაწესრიგებდა. საქმე იმაშია, რომ ამ ადამიანმა ხედვაზე უარი თქვა ახლანდელი მწარმოებლურობის დასაზღვრულობიდან გამომდინარე. ამრიგად, განკარგვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს და გვაჩვენებს, რა პროცესების შეცვლა არის საჭირო და იმასაც დაგანახებთ, პირადად თქვენ როდის მოგეთხოვებათ პროცესის დატოვება.

ამაში ვგულისხმობ, რომ სირთულეების ზრდასთან ერთად პროფესიონალის დაქირავება დაგჭირდებათ. ვიცი იმ სავარაუდო თანამშრომლის აზროვნება, რომელიც ჭუჭყიან მანქანას მართავს. ასეთები ფიქრობენ: „ერთ დღესაც მივაღწევ!“ შედარებისთვის, ადამიანები, რომლებმაც ყველა საქმე მოაგვარეს, კითხვას სვამენ: „ვის გადავცე ეს საქმე?“ ვფიქრობ, ყველას გვქონია „ამის გაკეთება მჭირდება“ აზროვნებასთან ჭიდილი. ეს არსებობისთვის ბრძოლის მცირემასშტაბიანი მენტალიტეტიდან მომდინარეობს. ნება მომეცით, ასეთი სახით ვთქვა: თავს ნებას ვერ მისცემთ, რომ ყველა წვრილმანი საქმე აკეთოთ. თქვენი დრო უფრო მეტის ღირსია.

დიახ, ერთ დროს, მეც ვამზადებდი და ვაწარმოებდი საგადასახადო დოკუმენტაციას, მაგრამ ეს არ იყო ჩემი ძლიერი მხარე, ამიტომ ამ საქმის კეთება მაძრწუნებდა. ბოლოს, იმდენი საქმე გამომიჩნდა და ჩემი შემოსავალი იმდენად გართულდა, რომ საამისოდ ცოდნაც აღარ მყოფნიდა. მივხვდი, რომ კარგა ხნის წინ უნდა დამექირავებინა პროფესიონალი მუშაკი და ეს დაყოვნება არაფერში მადგებოდა, პირიქით, ზიანი მოჰქონდა. იგივე ითქმის საშემოსავლო გადასახადზე. რა არეულობა მოაქვს ამ საქმის პირადად კეთებას! მეგონა თანხებს ვზოგავდი, სინამდვილეში კი დავზარალდი კიდეც რამდენიმე ჯარიმის დაკისრების შედეგად. ახლა ერთი კომპანია, თვეში, სულ რაღაც, ას დოლარად აგვარებს ამ საკითხს და ავსებს ყველა სახის სახელფასო დოკუმენტს. ეს სულაც არ იყო რთული!

ჩემი დროის განკარგვა – ჩემის ცხოვრების უზარმაზარი ნაწილია. იმდენ რამ ხდება მსოფლიოში, რომ ჩემით ამას ფეხს ვერ ავუწყობ. ამჟამად ორი პირადი ასისტენტი მყავს, რომლებიც ჩემს კალენდარს მართავენ და ყველანაირ საკითხს ამუშავებენ. როცა შეხვედრას მთხოვენ, მათთან ვუშვებ. წარმოდგენაც არ მაქვს, როდის შემიძლია შეხვედრა. გრაფიკს ისინი ადგენენ. განკარგვა მკარნახობს, თუ სად უნდა გამოვათავისუფლო თავი, რომ კონცენტრირება საერთო სურათზე, ხედვაზე მოვახდინო. ამრიგად, ნება მომეცით, ერთი განცხადება გავაკეთო! საქმის სხვისთვის გადაცემისა და განკარგვის გარეშე მწარმოებლურობა მუდამ ტყვეობაში აღმოჩნდება. ეს მტკიცებულება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უნდა შეჩერდეთ და კიდევ ერთხელ წაიკითხოთ. უმჯობესია, სადმე დააწეროთ, რომ ხშირად შეხე-

დოთ. ამრიგად, ისმის კითხვა: რა უნდა გადასცეთ სხვებს? თქვენ ძაბრის წვრილი ყელი ხართ, ამიტომ გზიდან გადადით და ყველაფრის მარტო კეთებას შეეშვით.

თქვენ ძაბრის წვრილი ყელი ხართ, ამიტომ გზიდან გადადით და ყველაფრის მარტო კეთებას შეეშვით.

დიდი კომპანიის ლიდერი იქნებით თუ საკუთარ ცხოვრებას განკარგავთ, თქვენ უნდა გაუძღვეთ პროცესების ცვლილებას იმის გათვალისწინებით, რომ მწარმოებლურობის მოცემულ დონეზე მოქმედება დასახულ მიზნებთან მიგიყვანთ. განკარგვა მოგაწოდებთ ფაქტებს, რომ ცვლილების ამოქმედება შეძლოთ. განკარგვის მეშვეობით იგებთ თქვენთვის ხელმისაწვდომ დეტალებს – მაგალითად, თქვენი ინვესტიციების სარგებელი მიმდინარე პროცესების ფორნზე, თანამშრომლები, მარკეტინგი და თქვენი ცხოვრების სხვა სფეროები. ისინი გაჩვენებენ, თუ რა უნდა შეცვალოთ. აბაზანის სასწორი ფაქტებს აწონის (კალამბური მიზნად არ მქონია) და გეხმარებათ რაციონში ცვლილებების შეტანასა და სწორი ჩვევების გამომუშავებაში. რა უნდა იყიდოთ? რა უნდა გაყიდოთ? ამ ყველაფერზე პასუხს გცემთ განკარგვა.

რამდენიმე წლის წინ ოჰაიოში ძლიერი ყინულოვანი შტორმი დაფიქსირდა, რომელმაც ელექტროენერგია კვირაზე მეტი ხნით გათიშა. გასამართი სადგურები დაიკეტა, არ იყო სატელეფონო კავშირი და იმ დროს არც შეშა მქონდა მომარაგებული ბუხრის დასანთებად. მხოლოდ ერთ ოთახში იდგა გაზის ბუხარი და ყველამ იქ მოვიყარეთ თავი. ბავშვებმა დაასკვნეს, რომ ეს ყველაზე დიდებული დრო იყო მათ ცხოვრებაში. მთელი კვირის მანძილზე ვთამაშობდით. ჩემთვის კი ეს დიდი კატასტროფა გახლდათ, რომლის თავიდან აცილება შეიძლებოდა. აკრობით ტყე მაქვს, სადაც ბევრი გამხმარი და წაქცეული ხეა. საჭირო იყო მათი დაჩეხვა და ზამთრისთვის მომარაგება.

ამ ამბის შემდეგ რამდენიმე საქმე გავაკეთე. პირველი, ჩემს სახლ-კარს 250-გალონიანი ბენზინის ავზი შევმატე, რომელიც ყოველთვის სავსეა. საწვავს ზაფხულობით ბალახის საკრეჭად ვიყენებ, მაგრამ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას მარაგად ვინახავ. ასევე შევიძინე მთელი სახლისთვის სამყოფი, პროპანის მოზრდილი ელექტროგენერატორი, რომელიც ყველა მიმდინარე

პროცესს მოემსახურება. რა თქმა უნდა, პროპანის ბაკიც სავსე მაქვს. გარდა ამისა, ფარდულში დაპობილი შეშის საკმაო მარაგს ვინახავ და სულ მცირე, ერთი სრულამძრავიანი ავტომობილიც მყავს, რომ ზამთარში გადაადგილება შევძლო. სარდაფში ყოველთვის ვინახავთ ერთი თვის სამყოფი პროდუქტის მარაგს. ნაღდი ფულის გარკვეული რაოდენობაც გვაქვს სახლში. ეს ყველაფერი იმ გრძელ კვირამდეც ხელმისაწვდომი იყო, როცა ამინდის გამო სახლში ჩავიკეტეთ, მაგრამ არ გამითვალისწინებია. სწორედ ამიტომ, განკარგვის კანონი საგნების დანახვაში დაგეხმარებათ, სანამ იქამდე მიაღწევდეთ. გამოვლინდება სუსტი მხარეები, რომლებიც გეგმებს ჩაგიშლით და თქვენს მიზნებს ძირს გამოუთხრის.

ამრიგად, დავუბრუნდეთ საქმეთა ჩამონათვალს, რომელიც ადრე ვახსენე. მიხარია, რომ ამ სიიდან რამდენიმე დავალება კიდეც შეასრულეთ, მაგრამ თავს დაუსვით უმნიშვნელოვანესი კითხვა: „რატომ ვერ შევასრულე ყველა მათგანი?“ შესაძლოა, თქვენც ჩემნაირად იქცევით, როცა ზოგიერთი დავალება სიაში თვეების განმავლობაში შეუსრულებელი მრჩებოდა. ეს სრულიად მიუღებელია. რას მეუბნებოდა ეს ამბავი? ის მეუბნებოდა, რომ ჩემი შესაძლებლობები შეზღუდულია და ყველა დროის საოცარი იდეაც კი ვერ მოიტანდა განსხვავებას ჩემს ცხოვრებაში. სრული ძალისხმევაც ვერ შემაძლებინებდა მის ჩართვას საქმეების სიაში, რადგან არ შესრულდებოდა. უბრალოდ, სია დაგრძელდებოდა. ამრიგად, პროცესების შეცვლა მომიხდა! თქვენ გეცოდინებათ, გაქვთ ან გქონდათ თუ არა იგივე პრობლემა. განკარგვამ, სიამ დამანახა, რომ თავს ვიტყუებდი და ცვლილება აუცილებელი იყო, თუ მართლა მინდოდა ჩემი ხედვის განხორციელება.

ახლა, როცა სიას უყურებთ, ფიქრობთ, რომ ზოგიერთი რამის სხვისთვის დავალება შეიძლებოდა? არსებობს მიმდინარე პროცესების შეცვლის ხერხი, რომ ერთი და იგივე პრობლემას განმეორებით არ აწყდებოდეთ? შესანიშნავი არ იქნებოდა საღამოს ოფისის იმ გრძნობით დატოვება, რომ ყველაფერი შეასრულეთ, რაც გევალებოდათ? ეს შესაძლებელია! უბრალოდ, დაფიქრდით, რა გავლენას მოახდენს თქვენს წარმატებაზე, როცა ყურადღებას *ახალ მიმართულებაზე გადაიტანთ* და არ მოგიწევთ გახსენება, *კიდევ რა დაგრჩათ შესასრულებელი შედგენილი სიიდან*! გავლენა უზარმაზარი იქნებოდა!

გახსოვდეთ, რომ ხედვის ზრდისას პროცესებში მეტი ცვლილების შეტანაა საჭირო და უკეთესად მართვის აუცილებლობაც დიდია. რამდენად მნიშვნელოვანია დაუფლების კანონი?

> *რომლებიც რწმენით ამარცხებდნენ სამეფოებს, **იქმოდნენ** სიმართლეს, აღწევდნენ აღთქმებს.*
>
> – ებრაელთა 11:33ა

არის განსხვავება თქვენს იქ ყოფნის სურვილსა და რეალურად, იქ აღმოჩენას შორის. აი, ფაქტი, რომელიც ზოგიერთს და შესაძლოა, თქვენც დაგეხმარებათ.

ზოგიერთ ადამიანს უყვარს განკარგვა!

როცა განკარგვაზე ვლაპარაკობ, ვიცი, რომ ბევრ ადამიანს ტვინში გარკვეული გადახრა აქვს, ყველას არა, მაგრამ – ბევრს. ამაზე წარმოდგენა მაქვს, რადგან მე თავად არ ვვარგივარ დეტალურ მართვაში. ეს სიცოცხლეს მწოვს ორგანიზმიდან. და მაინც, დამიჯერეთ, რომ ზოგიერთ ადამიანს უყვარს ეს საქმე – მართლა უყვარს! ისინი ამისთვის არიან შექმნილი!

> *და დააყენა ღმერთმა ეკლესიაში, პირველად მოციქულები, მერე წინასწარმეტყველნი, მერე მოძღვრები; შემდეგ ძალნი, განკურნების ნიჭი, შეწევნა, **მართვა** და სხვადასხვა ენები.*
>
> – 1 კორინთელთა 12:28

იცით, რა? ღმერთმა შექმნა ადამიანები, რომლებიც დეტალებს ყურადღებას აქცევენ. მე მათ არ მივეკუთვნები, როგორც გითხარით. გარკვეულ დონეზე მომწონს განკარგვა, მაგრამ არა აუდიტორული სიღრმით.

ჩემს ქალიშვილს მარკეტინგული კომპანია აქვს და ძალების სრულად ამოწურვის ზღვარზეა. მან თქვა, რომ კლიენტებს ვეღარ დაიმატებს, სანამ დხმარებას არ მიიღებს. მან მაჩვენა, რომ 22 თანამშრომელი მის უშუალო დაქვემდებარებაშია. მან იცის, რომ ეს კარგი არ არის და სტრუქტურა და პროცესები

უნდა შეცვალოს. რატომ? გარდა იმისა, რომ უკიდურესად გადაიტვირთა, მას ყველა განყოფილების მართვა უწევს, რაც მის შემოქმედებით მხარეს მთლიანად ანადგურებს. მან მითხრა, რომ შემოქმედებითობა მისი ძლიერი მხარეა და მის კომპანიას ეს ნიჭი ამოძრავებს, თუმცა ახლანდელ მდგომარეობას ერთი სიმპტომი ახასიათებს – გადაღლილობიდან მომდინარე ემოციური გამოფიტვა. ამბობს, რომ სახლში ემოციურად გატანჯული მიდის და მისი მოშურნეობა სუსტდება. მდაა ... მას ვუთხარი, რომ ეს მწარმოებლურობის კანონის მახასიათებელს ჰგავს – საზღვრების ფარგლებში მოქცევას და ემოციური გადაწვა მისი ერთ-ერთი სიმპტომია.

უფრო დიდი მარკეტინგული კომპანიის საქმიანობის გამოკვლევის შემდეგ ჩემმა ქალიშვილმა მათთვის რამდენიმე კითხვის დასმა გადაწყვიტა, თუ როგორ უძღვებოდნენ გარკვეულ საკითხებს. მთლად დარწმუნებული არ იყო, რომ მათგან რჩევას მიიღებდა. შეეძლოთ, სავარაუდო კონკურენტად ჩაეთვალათ. ეს შორი მანძილიდან სროლას ჰგავდა, მაგრამ როგორც თქვა, სასოწარკვეთილი იყო. მითხრა, რომ კომპანიაში დარეკა და მისდა გასაკვირად, გაესაუბრა ქალს, რომელიც სიხარულით პასუხობდა მის კითხვებს. ჩემმა ქალიშვილმა გაიგო, რომ უშუალოდ ამ ქალბატონმა დაამუშავა თავისი კომპანიის მუშაობის სტრუქტურა და დაწერა ყოველი კონკრეტული სამუშაოს აღწერილობა. ამის გაგონებამ ძალიან გაახარა. გარკვეული დროის შემდეგ ჩემს ქალიშვილს აზრმა გაუელვა: „ხომ არ დაეხმარებოდა თანამშრომელთა და სწორი ადმინისტრაციული სტურქტურის პროექტირებაში გარკვეული საზღაურის ფასად?“ ეს მართლაც შორი მანძილიდან სროლას ჰგავდა, მაგრამ მაინც სცადა. რა უცნაურიც არ უნდა ყოფილიყო, ქალმა უთხრა:

– სიამოვნებით! უბრალოდ, მიყვარს განკარგვა!

გარდა ამისა, უთხრა, რომ ამ საქმეს უფასოდ გააკეთებდა. რამდენიმე ახალი კლიენტის აყვანაც გადაწყვიტა, რომ სწორედ იმ მიმართლებით ემუშავა, რაც ჩემმა ქალიშვილმა სთხოვა. გრძნობდა, რომ ეს მისი იდეის კარგი გამოცდა იქნებოდა. ჩემს გოგონას მღელვარებისგან თავგზა აებნა. ამრიგად, გამხნევდით! დახმარება არსებობს.

ნუ გაფლანგავთ დროს საძულველი საქმის კეთებაში! ვინმე დაიქირავეთ ან დაიახლოვეთ, ვისაც ამის უნარი და სიყვარული

ზოგიერთ ადამიანს უყვარს ის, რაც თქვენ გეჯავრებათ!

აქვს. რაც უფრო მეტად ჩაეფლობით მასში, მით მეტად დაკარგავთ სიხარულს და აღტაცებას და მისთვის თავის დანებების სურვილი გაგიჩნდებათ. აჩქარების ამ უკიდურესად მნიშვნელოვან კანონთან დაკავშირებული დასკვნის სახით შეგახსენებთ, რომ ვერასოდეს დაეუფლებით იმას, რასაც ვერ განკარგავთ. დაუფლების კანონი მონაცემებსა და დეტალებს გთავაზობთ, რომ შეაფასოთ დასახულ მიზნებამდე მისაღწევი პროცესები.

გაიხსენეთ, რომ ღიობებთან ფრთხილად უნდა იყოთ!

თავი 8

ზეწოლის კანონი

გააფართოვე შენი კარვის ადგილი [ბატონობის კანონი] *და შენი საცხოვრებლის ფარდები დაჭიმე* [მწარმოებლურობის კანონი], *ნუ დაინანებ [მასშტაბურად იფიქრე], დააგრძელე შენი საბელები [დაუფლების კანონი] და შენი პალოები გაამაგრე.*

– ესაია 54:2

ზეწოლის კანონი ნამდვილად არ იქნება რთული გასაგები, თუ გააზრებული გაქვთ კარვის პალოების დანიშნულება. პალოები საგნებს კონკეტულ ადგილას იჭერენ. საკმაოდ მარტივია. ამ შემთხვევაში ღმერთი გვეუბნება, რომ ჩვენი პალოებით ხედვა – ჩვენი კარვის ადგილი – უნდა დავიჭიროთ, რომ გაზრდილმა ზეწოლამ არ ამოგლიჯოს, რაც აუცილებლად მოყვება გაფართოებული კარვის განკარგვას. გახსოვდეთ, რომ ყოველდღიური პროცესები კარავში მიმდინარეობს. ჩვენი გაზრდილი ხედვა ცხოვრების წესის შეცვლას მოითხოვს, რომელსაც ახალი და უფრო რთული პროცესები მოაქვს. თუ პალოები კარგად არის დამაგრებული, კარავი აღმართულია და მის შიგნით მიმდინარე პროცესები საჭიროებისამებრ ვითარდება ხედვის განსახორციელებლად, რომელიც ბატონობის კანონის თანახმად პალოების ჩასამაგრებელ ნიადაგს წარმოადგენს.

ამრიგად, ნება მომეცით მისი გამოყენების რეალური აზრი სხვა სიტყვებით გამოვხატო! უკვე დავადგინეთ, რომ საბელები განკარგვაზე მიანიშნებს, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურ პროცესებს ხედვას ანუ ნიადაგს უმორჩილებს. მაშ, რატომ მიგვითითებს ღმერთი პალოების გამაგრებაზე? იმიტომ, რომ

კარვის გაფართოება ცვლილებების დადგომაზე ანუ ახალ პროცესებზე მიანიშნებს, რომლებიც გაზრდილ ხედვას მოაქვს. მეტი წონა და ზეწოლა წამოვა, რომ მასზე უარი ვთქვათ ან საფრთხის ქვეშ დავაყენოთ იმ ქაოსის გამო, რასაც ცვლილებები მოიტანს. ცვლილება ყოველთვის დამანგრეველია. აუცილებელია მაგრად მოჭიდება, როცა გემი ირყევა. თუ მაგრად დავდგებით და ხელს არ გავუშვებთ, გემი იმ პორტში შეგვიყვანს, რომელიც კომპასით განვსაზღვრეთ. ზოგჯერ ცვლილებას კლდოვან გზაზე მივყავართ, მაგრამ ის ამად ღირს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის პალოების გამაგრების მნიშვნელობა.

ნუ მისცემთ ზეწოლას ნებას, რომ თქვენი ხედვა რისკის ქვეშ დააყენოს! არ გაუშვათ ხელი!

ღვთის აღთქმები თქვენთვისაა და მისი სიტყვა მარცხს არასოდეს განიცდის. ასე რომ, ჩაეჭიდეთ ხედვას. ზრდა მოდის. უამრავ ადამიანს ვესაუბრე, რომელთაც სინანულის გრძნობა ჰქონდათ. მათ მითხრეს, რომ ნაბიჯი მაშინ უნდა გადაედგათ, როცა უფრო ახალგაზრდები იყვნენ ან ბიზნესი დაეწყოთ, სამოგზაუროდ წასულიყვნენ, სახლი აეშენებინათ. სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. რა თქმა უნდა, უკან მოხედვისას ბევრ რამეს უფრო ნათლად ხედავთ. და მაინც, ღვთის აღთქმასთან ერთად წინ ყურება ყოველთვის სჯობს უკან მოხედვას, თუნდაც უფრო მკაფიო ხედვის უნარით. ამასთან უნდა გაითვალისწინოთ, რომ აღთქმა ყოველთვის ბოლო პუნქტს გიჩვენებთ და არა დასაწყისს. ღმერთი ყოველთვის დასრულებულ დროში ლაპარაკობს და გულისხმობს, რომ მითითებულ მიმართულებაზე ან დავალების შესრულებაში გამარჯვება მიღწეულია. როცა მან აბრაჰამს მრავალი ერის მამა უწოდა, მამამთავარს ბავშვიც კი არ ჰყავდა. ღმერთი ყოველთვის დასკვნით ნაწილზე მიუთითებს და არა აწმყოზე.

ამასთან უნდა გაითვალისწინოთ, რომ აღთქმა ყოველთვის ბოლო პუნქტს გიჩვენებთ და არა დასაწყისს.

მახსოვს, ერთხელ სიზმარში ღმერთმა მაჩვენა, რომ ჩემი ბიზნესი დიდძალ შემოსავალს მოიტანდა. ვგულისხმობ იმაზე ბევრად მეტ ფულს, რაც წლების წინ, სიზმრის ნახვის მომენტისთვის მქონდა. როცა უფალს ვკითხე, როგორ მოხდებოდა ეს, ასე მიპასუხა:

– ორჯერ მოგიწევს კომპანიის რებრენდინგი, რომ იმ დონეს მიაღწიო.

დავიბენი და ასე მივუგე:

– ვერ ვხვდები. რატომ უნდა მოვახდინო რებრენდინგი ორჯერ და არა ერთხელ?

მან მიპასუხა:

– იმიტომ, რომ გარკვეული ცვლილებების გაკეთების საჭიროებას მხოლოდ პირველი რებრენდინგის მერე დაინახავ.

მას იმის თქმა სურდა, რომ ამჟამინდელ მდგომარეობაში შორს გახედვა არ შემეძლო. და მართალიც იყო. კომპანიის პირველი მთავარი რებრენდიგი განვახორციელე და მისი სახელიც კი შევცვალე. ყველაფერი გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც რჩებოდა გაურკვეული საკითხები და პროცესები, ამიტომ საჭირო გახდა რესტრუქტურიზაცია.

არასწორად არ გამიგოთ. ბევრი უფუნქციობა აღმოვფხარით პირველი რებრენდინგისას, მაგრამ ზრდის კვალობაზე ახალი პრობლემები ჩნდებოდა. ჩვენი პროცესები ჩამორჩა. ამრიგად, განვითარების გზაზე აღმოჩენილი სუსტი მხარეების სიას ვაწარმოებდით და თან მეორე რებრენდინგსა და რესტრუქტურიზაციას ვგეგმავდით. იმ დროისთვის ყველა პარტნიორი საკუთარ ლეპტოპში მუშაობდა და თვეში ერთხელ საჭირო იყო ამ ფაილების ატვირთვა, რომ სახლის ოფისს შეენახა. ვიცოდით, რომ ძლიერი და ეროვნული მასშტაბის კომპანიად ჩამოყალიბება ქსელურ კავშირზე დაფუძნებულ პროგრამას საჭიროებდა, რომელიც ყველგან ხელმისაწვდომი იქნებოდა და ყველა საჭირო ფაილს ავტომატურად შეინახავდა. ამით ჩვენს პარტნიორების ხელიდან მნიშვნელოვან როლს ფუნქციას ვიღებდით.

ასევე გვჭირდებოდა კლიენტებთან სალაპარაკო საშუალების მოძიება და მათთვის ანგარიშების მონიტორინგის უკეთესი ონლაინ-გამოცდილების შეთავაზება. გავაცნობიერეთ, რომ სიახლეების ფოსტის გაგზავნის დრო დასრულდა და გამუდმებით ცვალებადი საგადასახადო კანონებისა და სახელმძღვანელო მითითებების კვალობაზე ამ ყველაფრის კლიენტებამდე მიტანის გზაც გვჭირდებოდა. ისიც ვიცოდით, რომ საქაღალდეებით გამოჭედილი კარადების ეპოქა დასრულდა და მონაცემების ციფრული სახით შენახვა იყო საჭირო. ჩვენი

კლიენტების პერსონალური მონაცემების ფორმებისა და ხელმოწერილი კონტრაქტების რეგისტრაციისთვის დაცული და უმჯობესი გზა უნდა მოგვენახა. დღის წესრიგში იდგა კლიენტების ყოველი სატელეფონო ზარის მიდევნების, ჩანაწერების გაკეთების ან ზარისშემდგომი ცვლილებებისა და მითითებების შენახვის აუცილებლობაც. მაშინ ყველა ეს საქმე ხელით კეთდებოდა, მაგრამ ვიცოდით, რომ ჩამოთვლილი ცვლილებების განხორციელების გარეშე სასურველ კომპანიად ვერ ჩამოვყალიბდებოდით.

ამრიგად, კიდევ ერთხელ მოვახდინეთ ორგანიზაციის რებრენდინგი. ეს პირველი განახლებიდან შვიდი წლის შემდეგ მოხდა. გახსოვდეთ, რომ ჩვენი კომპანია 35 წლისაა და ამ დროის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. დავიწყეთ Salesforce-ის პლატფორმის გამოყენება, რამაც ყველა ამ პროცესის ავტომატურად მართვის საშუალება მოგვცა. მეორე რებრენდინგმა შედეგად დავიწყებული შესაძლებლობების ხელახლა აღმოჩენა მოიტანა. ამით წინ წავიწიეთ და დავიკავეთ ტერიტორია, რომელიც ჩვენი ხედვით იყო გათვალისწინებული. იმაზე დიდ წარმატებას მივაღწიეთ, ვიდრე მაშინ ვიმედოვნებდით, როცა ღვთისგან ეს სიტყვა მივიღეთ. თუმცა მე ამ პროცესიდან გამოსვლა მომიხდა.

დაპირება ყოველთვის გაჩვენებს დასასრულს. თუ ვერ აცნობიერებთ ბოლოს, აღთქმისა და ხედვის რაობას, ადვილად დაყრით ფარ-ხმალს და დანებდებით. თუ ამ პალოებს მიწაში ღრმად ჩაასობთ და მიმდინარე პროცესების შედეგად წარმოქმნილი ზეწოლის გამო ხედვის დათმობაზე უარს იტყვით, გარღვევას მოახდენთ. ღმერთი გაჩვენებთ გზას.

როცა საქადაგებლად მომიხმეს, 19 წლის ვიყავი. დაბადების დღე მქონდა და მეგობრის სახლში სტეიკზე დამპატიჟეს. ჩემი მეგობარი ერთადერთი ქრისტიანი იყო. როცა მაგიდას მივუსხედით, მადლიერების ლოცვის წარმართვა შემომთავაზეს, რადგან ქრისტიანი ვიყავი. ლოცვა დავიწყე თუ არა, ჩემზე ცხებულება გადმოვიდა და სრულიად ამავსო. ამან გაოგნებული დამტოვა და ძალიან გამიტაცა. იქ ჯდომისას სულ უფრო ძლიერდებოდა. ბოლოს, ერთი წუთით გასვლა ვითხოვე. უკანა კარით ეზოში გავედი, სადაც ღვთის თანდასწრება კიდევ უფრო გაძლიერდა.

მოულოდნელად, თვალწინ სურათი დამიდგა, სადაც ბიბლიით ხელში ადამიანების ჯგუფს ვუქადაგებდი. დავინახე ოთახი და შევნიშნე, რომ გარეთ ბნელოდა, რადგან ფარდები გაწეული იყო და სიბნელე შევამჩნიე. დავინახე, რომ ადამიანები გასაშლელ სკამებზე ისხდნენ და დაახლოებით, 20-30 კაცი იქნებოდა. შემდეგ ყურისთვის მოსასმენად კი არა, შინაგანად გავიგონე სიტყვები:

– ჩემი სიტყვის საქადაგებლად მოგიწოდებ.

ეს განცხადება სამჯერ მომესმა და ცხებულება გაქრა. როცა სახლში დავბრუნდი და სკამზე დავჯექი, ყველა მომაჩერდა. დაინტერესდნენ, თუ რა მოხდა ეზოში. ასე ვთქვი:

– ვფიქრობ, ახლახანს მომიწოდეს საქადაგებლად.

ეს იყო მეტისმეტად მკაფიო სურათი და განცდა ჩემს მომავალთან დაკავშირებით.

ზოგიერთი იტყოდა: „მერე დაიწყე ქადაგება?“ არა, არ დამიწყია! მაშინ ღმერთი კოლეჯში სწავლისკენ წამიძღვა. შიშით დავასრულე სკოლა. მარტო ერთ კლასელ ბიჭს ჰქონდა ჩემზე ცუდი ნიშნები. ღმერთმა იცოდა, რომ მოწოდების მიუხედავად, მზად არ ვიყავი. მოდით, პატიოსნად ვაღიაროთ! როცა წერა არ გეხერხება და ურთიერთობები გაშინებს, მზად არ ხარ. მოკლედ, კოლეჯში ვისწავლე და დავასრულე საშუალო 2.9 ქულით, რაც ჩემთვის წარმოუდგენელი შედეგი იყო. იმ დროისთვის სწავლა ყველაზე რთულ საქმედ მეჩვენებოდა, რაც კი ოდესმე მიკეთებია ცხოვრებაში და ძალიან გამიხარდა, როცა ბოლოში გავედი.

რაც არ უნდა უცნაური იყოს, კოლეჯის დამთავრების შემდეგ ვიგრძენი, რომ ღმერთი ფინანსებში სამუშაოდ მიწოდებდა, კონკრეტულად, სიცოცხლის დაზღვევისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაში. რაში სჭირდებოდა ეს? მე ხომ მორიდებული ადამიანი ვიყავი, მეტისმეტად მორიდებული. იმდენად მორცხვი გახლდით, რომ ადამიანებთან კონტაქტს ყოველთვის გავურბოდი, თუკი შემეძლო. როცა გაყიდვები დავიწყე, მილიონჯერ მოვკვდი. თავს ვაიძულებდი, რომ ხალხთან დამერეკა და დავლაპარაკებოდი. საქმე თანდათან უკეთესად მიდიოდა და ბოლოს და ბოლოს, ჩემი კომპანიიდან ერთ-ერთი საუკეთესო ოფისი შევქმენი მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებულ 5 000 ოფისს შორის.

სწორედ მაშინ მითხრა ღმერთმა:

– ახლა დატოვე კომპანია და დაიწყე ეკლესია, რომლის პასტორიც იქნები.

იცით, მზად არ ვიყავი მაშინ, როცა ღმერთმა მომიწოდა. მზადების პროცესი უნდა გამევლო. ჩვენი ახალი ეკლესიის პირველ ოფიციალურ მსახურებაზე კათედრიდან სწავლებისას ზუსტად ის სურათი დავინახე, რომელიც მოწოდების დღეს ვიხილე. ხალხი გასაშლელ სკამებზე იჯდა ზუსტად ისეთ ოთახში და გარეთ ბნელოდა. ეს საოცარი დასტური იყო, რომ სწორედ იქ ვიდექი, სადაც ღმერთმა მომიწოდა. ეს 19 წლის ასაკში ხედვის მიღებიდან 21 წლის შემდეგ აღსრულდა.

იცით, ღმერთი დაპირებას ან სურათს გვაძლევს, რომ სწორი მიმართულებით ვიაროთ. ნუ მისცემთ ამ ხედვას წასვლის უფლებას. ღუზასავით ჩაეჭიდეთ მას და თქვენი ცხოვრების გზაზე ლაპარაკის უფლება მიეცით. მაშინ დაინახავთ იმ სურათის რეალობას, რომელიც წინ მიგიძღოდათ. ასევე მინდა გახსოვდეთ ეს ფაქტი, როცა საკუთარ ასპარეზს შეუდგებით!

არსებობს ფინიშის ხაზი!

ცვლილებების განხორციელების რთულ საქმეს თუ შეუდგებით, იქნება მიზანი და საზღაური. მივესალმები თქვენს ცხოვრებაში ზრდისა და აჩქარების ხილვის სურვილს. გაიაზრეთ, რომ პრობლემები იქნება. ცვლილება ადვილი როდია.

ცვლილებების განხორციელების რთულ საქმეს თუ შეუდგებით, იქნება მიზანი და საზღაური.

მთელი ცხოვრება მიყვარდა ველოსიპედის ტარება და რამდენიმეც მყავდა. შვიდი წლის წინ საუკუნის რბოლაში მოვინდომე მონაწილეობის მიღება. საუკუნის რბოლა გახლავთ ერთ დღეში 100 მილის დაფარვა. ვაღიარებ, რომ საკმაოდ სარისკო გადაწყვეტილება იყო. ადრე არასდროს გამივლია ამხელა მანძილი, მაგრამ 60 წლის ვხდებოდი და ვიცოდი, რომ ან ახლა უნდა გამეკეთებინა, ან ამის შემთხვევა აღარ მომეცემოდა. როგორც წიგნის ერთ-ერთ წინა თავში გითხარით, ჩემი ქვეყანა დიდებული ადგილია ველოსიპედით მოგზაურობისთვის. მე და დრენდას როლის ძველი ორმაგი ველოსიპედი გვქონდა, რომელიც ორი ადამიანისთვის იყო გათვალისწინებული. ზოგჯერ მას ერთად ვატარებდით და გარკვეულ მანძილს გავდიოდით.

ამრიგად, დრენდასთან დავიწყე ლაპარაკი, რა კარგი

იქნებოდა საუკუნის რბოლაში მონაწილეობის მიღება ახალი ორადგილიანით, რადგან ეს ჩვენი ძველი ველოსიპედი მეტისმეტად მძიმე იყო ამხელა მანძილის გასავლელად. ჩემდა გასაოცრად, მას ეს იდეა ჭკუაში დაუჯდა. არ ვიყავი დარწმუნებული, რომ გრძელი დისტანციის ველოსიპედით დაძლევას მოინდომებდა. თუმცა დრენდას ყოველთვის მოსწონდა თავგადასავლები, ამიტომ დავიწყეთ საუკუნის დაფინანსებული რბოლის მოძიება, რომელიც მოგვეწონებოდა. დაფინანსებული რბოლა გახლავთ ორგანიზებული მარშრუტი, სადაც მთელ დისტანციაზე არის ჩაყოლებული წყლისა და საკვებისთვის შესაჩერებელი პუნქტები. გარდა ამისა, მოულოდნელი მექანიკური პრობლემების აღმოფხვრასაც გთავაზობენ და საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურებასაც გიწევენ.

ერთხელ კომერციული ავიაკომპანიის რეისის ჟურნალში დრენდამ საუკუნის რბოლის რეკლამა ნახა მსოფლიოში უმშვენიერეს მოგზაურობაზე, რომელიც ველოსიპედით ხორციელდებოდა. მოგზაურობა ტაჰოს ტბის ირგვლივ გაიმართებოდა, კალიფორნიისკენ თრაქის მიმართულებით გადაუხვევდა და ისევ ტაჰოს ტბისკენ მობრუნდებოდა, რომ საჭირო 100-მილიანი კურსი შეედგინა. მეც ვიყავი იმ თვითმფრინავში და ორივემ ვნახეთ ის ლამაზი ფოტოები. ვიფიქრეთ, რომ საუკეთესო მოგზაურობა იქნებოდა და ჩავეწერეთ.

ვიცოდით, რომ იქ მისვლისა და ასპარეზობისთვის უფრო კარგი ორადგილიანი ველოსიპედი უნდა გვეყიდა. როგორც ვთქვი, ჩვენი ძველი, მძიმე ველოსიპედი არ გამოდგებოდა. შევათვალიერეთ და გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე Cannondale-ის დიდებული შავი ალუმინის ორადგილიანი ვიყიდეთ.

ცხადია, ასპარეზობა კალიფორნიაში იმართებოდა და ოჰაიოდან ჩვენი დასასვენებელი მისაბმელით გამგზავრებას ვაპირებდით, რომლის სატვირთო განყოფილებაში ველოსიპედს მოვათავსებდით. სასტუმროში ადგილი დავჯავშნეთ, მისაბმელიანი ავტო გავმართეთ და კალიფორნიისკენ დავიძარით. ერთკვირიანი მგზავრობის შემდეგ, როცა ტაჰოს ტბას მივადექით, გაოცებული დავრჩით. ვერ გავიაზრეთ, რომ ტბა სრულიად გარშემორტყმული იქნებოდა დიდი

მთებით. ვიცოდი, რომ მშვენიერი ფოტოები ვნახეთ და ამას უნდა მივმხვდარიყავი. ახლა კი, ამ მაღლობების შემყურე, ცოტა არ იყოს, ავღელდი, შევძლებდით თუ არა ასპარეზობის დასრულებას. მიუხედავად ამისა, მტკიცე გადაწყვეტილებით ვიყავით სავსე. როცა ჩემი ცოლი რეგისტრაციის რიგში იდგა, მის წინ მდგომმა ახალგაზრდამ ჰკითხა, უფრო მოკლე 75-მილიანი მარშრუტი აირჩია თუ 100-მილიანი. დრენდამ უპასუხა, რომ 100-მილიანზე მიდიოდა ტანდემით (ორადგილიანით). შემდეგ მან ჰკითხა, რამდენად ნავარჯიშები იყო. ჩემმა ცოლმა მიუგო, რომ რამდენჯერმე სახლში დაბრუნდა ველოსიპედით. ახალგაზრდამ უნდობლად გადახედა და უთხრა, რომ გარბენის დასრულებას ვერ შევძლებდით. ეს ჭაბუკი თავგამოდებული ველოსიპედისტი ყოფილა, მაგრამ მაინც 75-მილიანი მარშრუტი აირჩია. ზუსტად ამ დროს კლერკმა, რომელიც ჩანაწერებს აკეთებდა, დრენდას ჰკითხა, თუ რა მარშრუტი აირჩია. ჩემმა ცოლმა იმ ახალგაზრდას გადახედა და თქვა: „ჩვენ 100-მილიანი ავირჩიეთ.“

სტარტი დილის 6:30-ზე ავიღეთ და პირველ 50 მილზე არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია რამდენჯერმე ველოსიპედის რეგულირების საჭიროების გარდა. როგორც იცით, ჩვენს ახალ ველოსიპედზე მხოლოდ ერთხელ ვიჯექით, სანამ აქ მოვიდოდით. ვიცი, ვიცი, რომ მიამიტები ვიყავით. კიდევ ერთი მცირე დეტალი არსებობდა, რომელიც დაგეგმვისას მხედველობიდან გამოგვეპარა. ჩვენი მგზავრობის დიდი ნაწილი 7 000-დან 8 500 ფუტს შორის სიმაღლეზე მიმდინარეობდა. არ გავითვალისწინეთ, რომ ასეთ სიმაღლეზე ჟანგბადის ნაკლებობა იქნებოდა. 50-მილიან ნიშნულთან მივხვდი, როგორ დაიწყო და ისიც ვიცოდი, რომ პრობლემები მქონდა. რამდენჯერმე დასვენებისა და ჭამის შემდეგ თავი უკეთ ვიგრძენი. გზა გავაგრძელეთ. ყველაზე რთული მონაკვეთი ჯერ კიდევ წინ გვედო. ეს გახლდათ 11-მილიანი აღმართი ფინიშის წინ.

86-ე მილზე, როცა იმ 11-მილიანი აღმართის შუა ნაწილს მივადექით, გზის გაგრძელება ველარ შევძელი. ხელისგულები სულ გამითეთრდა მწველ მზეზე გამოდენილი ოფლის მარილით და კუნთებიც აღარ მემორჩილებოდა. გზის პირად ვიჯექი და ასპარეზობის შესაწყვეტად მზად ვიყავი, როცა ერთი ქალი მომიახლოვდა და მითხრა: „ჩანს, მარილი გჭირდებათ“. მან დაინახა, რომ გადაფითრებული ვიყავი და საჭეც მარილის

ფენით იყო დაფარული. ის თავის მანქანასთან მივიდა და ქილით კამიანი კიტრის მწნილი გამოიტანა, რომელიც მარილწყლით იყო სავსე. ქალმა მითხრა, რომ ასეთ ხანგრძლივ მოგზაურობებში ყოველთვის მოაქვს ერთი ქილა. მან ჭურჭელი მომაწოდა და მითხრა, დამელია. ასეც მოვიქეცი. რამდენიმე წუთში ვიგრძენი, რომ სხეულის ენერგია დამიბრუნდა. ავდექი და მთის დალაშქვრა გავაგრძელე.

როცა მთის მწვერვალს მივუახლოვდით, ფინიშამდე ერთი დაღმართი გვაშორებდა. წინ გავიხედე და ფინიშის ხაზი შევნიშნე. იმ დროს იმ ხაზის დანახვაზე მეტად არაფერი გამახარებდა! ვიცოდი, რომ იქ მიღწევისას მექნებოდა საჭმელი, ცხელი შხაპი და კმაყოფილების განცდა, რომ თითქმის შეუძლებელი შევძელით. ასპარეზობაში მონაწილე 300 ადამიანიდან, ჩვენს გარდა მხოლოდ ერთ წყვილს ჰქონდა ორადგილიანი ველოსიპედი. იქ ხალხს გავესაუბრე და მოგვიანებით გავიგე, რომ ტანდემით ასპარეზობა გაცილებით რთული იყო, ვიდრე ერთადგილიანით. როცა ფინიშის ხაზი გადავკვეთეთ, ენა ვერ აღწერს გულში განცდილი მადლიერებისა და შვების გრძნობას, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანეთ.

თქვენი მოგზაურობაც ველოსიპედით ჩვენი ასპარეზობის მსგავსია. თავგადასავლის დაწყებისას ყველაფერი საუცხოო ჩანს, მაგრამ გზაზე ყოველთვის ჩნდება გადასაჭრელი პრობლემა. ჩვენს შემთხვევაში, მგზავრობას გაცილებით გავიადვილებდით, სათანადოდ რომ მოვმზადებულიყავით და მარშრუტი იქამდე გამოგვეკვლია, სანამ საქმეს შევუდგებოდით. ამ ამბის მოყოლის მიზანი ერთია – მინდა ყურადღება დასასრულზე, საზღაურზე გაამახვილოთ, რადგან ღმერთი თქვენს მომავალზე გელაპარაკებათ. გახსოვდეთ, რომ ის ყოველთვის ფინიშზე მიგითითებთ და არა დასაწყისზე. რა კარგი იქნება, როცა იქამდე მიხვალთ. ამრიგად, როცა გზა ძნელად სავალი ხდება, როცა პალოების ამოღებისა და ხედვის მიტოვების ცდუნება გიტევთ, გონებაში ფინიშის ხაზი ნათლად უნდა წარმოიდგინოთ. სწორედ ეს იყო თქვენი მოგზაურობის დაწყების მიზეზი. ამიტომ უნდა დარწმუნდეთ, რომ მას მტკიცედ ეჭიდებით.

ვინაიდან ბიბლია პალოების გამაგრებაზე გველაპარაკება, უნდა ვიცოდეთ, როგორ მოვახერხოთ ეს.

მოდით, აბაკუმის 2:2-ს გადავხედოთ!

იპასუხა უფალმა და მითხრა: ჩაწერე ჩვენება და დაფებზე ამოტვიფრე, რომ იოლად წაიკითხოს მკითხველმა.

ეს ის დროა, როცა ხედვას, დასასრულს უნდა ჩაეჭიდოთ და საკუთარ თავს ჰკითხოთ: „რას უნდა დავუბრუნდე უკან?“

თავდაპირველად, ხედვა უნდა ჩავიწეროთ. ეს არ გახლავთ არჩევითი და იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თქვენს წარმატებას თუ წარუმატებლობას განსაზღვრავს. ზეწოლას აქვს ერთ დროს ნათელი ხედვის გაბუნდოვანების უნარი. როცა მოვლენები გიჟურად ვითარდება, ადამიანთა უმეტესობა უკან იყურება და ეჩვენება, რომ წარმატების არავითარი შანსი არ არსებობს. ეს ის დროა, როცა ხედვას, დასასრულს უნდა ჩაეჭიდოთ და საკუთარ თავს ჰკითხოთ: „რას უნდა დავუბრუნდე უკან?“

მეგობარი მყავს, რომელმაც სამუშაო დაკარგა და თავისი ცხოვრებისთვის პასუხებს ეძებდა. შემდეგ ის ჩვენს მასალებს წააწყდა. თქვა, რომ ყოველდღე საათობით მოუსმენდა და ამან მისი აზროვნება შეცვალა. ახალი კორპორატიული სამუშაოს მოძიების ნაცვლად საკუთარი ტვირთგადამზიდი კომპანიის შექმნა გადაწყვიტა. თავიდან მარტო ის და სატვირთო მანქანა არსებობდა, მაგრამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია და გადასახადების გადახდა შეძლო. ის მოსმენას განაგრძობდა და მისი ხედვაც იზრდებოდა. დაიწყო სატვირთოების შესყიდვა. შემდეგ უფრო მეტი შეიძინა, სანამ მთელი დროით დატვირთულ 18 მანქანამდე არ ავიდა. 5 წელიწადში მისი შემოსავალი თვეში 4 000 დოლარიდან კვირაში 100 000-მდე ავიდა და კიდეც გადააჭარბა. მან მითხრა, რომ საქმე რთული იყო და ტვირთის გადაზიდვის ინდუსტრიაში ბევრი რამის სწავლა მოუხდა. მას ფედერალური კანონები უნდა შეესწავლა და სატვირთოების პარკიც ემართა. მან მითხრა, რომ ზოგჯერ ვეღარ უძლებდა ქაოსს, რადგან კომპანია ძალიან სწრაფად იზრდებოდა. შემდეგ ასე იფიქრა: „რას უნდა დავუბრუნდე უკან, ამიტომ წინ წავალ.“ ხედავთ? მას შეჩერება და წინ გახედვა სჭირდებოდა, რადგან უკან არაფერი იყო ისეთი, რისთვისაც დაბრუნება ღირდა.

ესაიაში ნახსენები პალოების დამაგრება არის თქვენს წინაშე

არსებული აღთქმები და ხედვა. წარსულში არაფერია, რაც ღვთის მიერ თქვენთვის განსაზღვრულ მომავალს გაუტოლდება.

აი, როგორ ხდება პალოების გამაგრება:

1. ჩაიწერეთ ხედვა და აუცილებლად აღნიშნეთ, რატომ მიიღეთ ის. როგორი იქნება ცხოვრება, როცა იქამდე მიხვალთ? რა საზღაური გელოდებათ იქ?

2. ხედვა მარტივი იყოს, როგორც გეგმა. რის გაკეთება დაგჭირდებათ მის მისაღწევად?

3. იარეთ მისკენ ანუ ამოქმედდით. მას შემდეგ, რაც გეგმა ჩამოაყალიბეთ და კარგად შეამოწმეთ, გზა განაგრძეთ.

4. ამ ერთს დავამატებდი: სიფრთხილე გამოიჩინეთ, თუ ვის გაუზიარებთ ხედვას და ვინ იდგება თქვენს გვერდით.

გულისთქმა დაეუფლა მათ შორის მყოფ ბრბოს, მათთან ერთად ისრაელიანებიც მოთქვამდნენ და ამბობდნენ - ვინ გვაჭმევსო ხორცს. გვახსოვს თევზი, რომელსაც უსასყიდლოდ ვჭამდით ეგვიპტეში, აგრეთვე - კიტრი, ნესვი, პრასი, ხახვი და ნიორი. ახლა ჩამოვხმით, რადგან მანნას გარდა არაფერია ჩვენს თვალწინ.

– რიცხვ. 11:4-6

Century Dictionary-ის თანახმად, ბრბო ნიშნავს მოურიდებელი, ხმაურიანი ხალხის აღელვებულ ჯგუფს; არეულ, უსეწრიგოდ შეკრებილ, უმეცარ ხალხს. მათ ეგვიპტეში დაბრუნება სურდათ, სადაც თევზს უფასოდ ჭამდნენ?! ბრმები და უგუნურები იყვნენ? იქ მონობის გარდა არაფერი იყო. ჰეი, გამოიღვიძეთ! შესაძლოა, გიჟური იდეა იყოს და ამის გაგება არ შემიძლია, მაგრამ ადამიანებს ურჩევნიათ, უკან წავიდნენ ნგრევისკენ, ვიდრე ცვლილების ფასი გადაიხადონ და გათავისუფლდნენ.

მახსოვს ერთი გაყიდვების წარმომადგენელი, რომელიც სახლს კარგავდა. მისი დახმარება მინდოდა, ამიტომ პოტენციური

კლიენტების უზარმაზარი სია მივეცი, რომლებიც უკვე იყვნენ კლიენტები, თუმცა თავიანთი პროდუქტის უფრო იაფიანით ჩანაცვლება სჭირდებოდათ, რომელიც ახლახანს გამოვუშვით. რა იოლი საქმეა! ურეკავ კლიენტს და ეუბნები, რომ მისი სადაზღვევო ტარიფის გაიაფება გსურს. გახსოვდეთ, რომ ისინი უკვე იყვნენ ჩვენი კლიენტები. უბრალო ზარის განხორციელება იყო საჭირო, რომელიც მათ გაახარებდა. იცით რა მოხდა? მან ეს არ გააკეთა. თქვა, რომ არ უყვარს ტელეფონზე რეკვა. ნუთუ ეს ხუმრობაა? ის ხომ ჩემი ერთ-ერთი სავაჭრო წარმომადგენელი იყო! მან უკვე იცოდა, როგორ ეკეთებინა ეს საქმე და თვალდახუჭული იმოქმედებდა. ამრიგად, მან არაფერი გააკეთა, როცა მისი სახლი შერიფის აუქციონზე მოხვდა.

სამწუხაროდ, ის არ გახლავთ ერთადერთი გამონაკლისი. არაერთხელ მინახავს იგივე დამოკიდებულება გაყიდვის აგენტებთან. რა საოცარია! ადამიანს შეუძლია დღეში რვა საათი იმუშაოს, მაგრამ შანსს თუ მისცემთ, რომ ხუთჯერ მეტი შემოსავალი ჰქონდეს და თან თავისუფალი იყოს, დღეში ორ საათსაც არ იმუშავებს. ნუთუ ასე კარგია მონობა? არა, რა თქმა უნდა. ზეწოლისას ეს კარგად უნდა გახსოვდეთ. სიბრძნით აირჩიეთ მეგობრები; მსგავსი ჩიტები თავს ერთად იყრიან.

ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა ისურვეთ, რომლებიც თავადაც წინ ისწრაფვიან და თქვენც იგივესკენ გიბიძგებენ. მოერიდენ უარყოფით ადამიანებს, რომელთაც ცხოვრებაზე ცუდი შეხედულება აქვთ.

მიიღეთ მტკიცე გადაწყვეტილება, რომ არც მარჯვნივ გადაუხვიოთ და არც მარცხნივ მას შემდეგ, რაც ღვთის ხმა გაიგონეთ და ცხოვრებისეული დანიშნულება დასახეთ. ჩაეჭიდეთ ღვთის ნათქვამს. მქონია პერიოდები, როცა მეგონა, რომ ზეწოლისგან ჩამოვხმებოდი. წინა თავში გითხარით, რომ ტელევიზიაში ყოველდღიურად მიხდებოდა სიარული და ღვთის ნათქვამთან დაკავშირებით ბრძოლა, როცა პასუხები არ მქონდა. მის აღთქმას მტკიცედ და რყევის გარეშე უნდა ჩავჭიდებოდი.

რადგან არ მოგვცა ჩვენ ღმერთმა სიმხდალის სული, არამედ ძალის, სიყვარულისა და თავშეკავების.

– 2 ტიმ. 1:7

ამის გაკეთება შეგიძლიათ! ღრმად ჩაამაგრეთ პალოები ნიადაგში. მონა არ ხართ! ღვთის სახლეულში ძესა და ასულს წარმოადგენთ! მისადგომელი გაქვთ მთელ მის ქონებასთან. თქვენთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია!

გახსოვდეთ, რომ პალოების ამოვარდნა მთელი კარვის დაცემას იწვევს!

თავი 9

სტრატეგიის კანონი

სტრატეგიის კანონი მეხუთეა აჩქარების კანონთა რიგში. ალბათ, ხვდებით, რამდენად მნიშვნელოვანია ეს კანონი – სუპერ მნიშვნელოვანი!

freedictionary.com-ის თანახმად, სიტყვა *სტრატეგია* განიმარტება როგორც წარმატების გრძელვადიანი გეგმა ან უბრალოდ, გეგმა. ერთ-ერთ თავში აღვნიშნე, რომ სახლის აგებამდე აუცილებელია ნახაზის ქონა. ეს პრინციპი ცხოვრების ყველა სფეროში ჭეშმარიტია. თუკი ბანკში ბიზნესისთვის სესხის აღებაზე განაცხადს შეიტანთ, ბანკირი თქვენი ბიზნეს-გეგმის ნახვას მოინდომებს. ის გეგმას შეაფასებს იმის გამოსარკვევად, აქვს თუ არა აზრი და იმუშავებს თუ არა ის. ბევრი ადამიანი ოცნებობს გარკვეული მიზნის მიღწევაზე, მაგრამ იქამდე მისვლის გეგმა არ აქვთ. გამუდმებით მიწევს ადამიანებთან ლაპარაკი და იმის კითხვა, თუ როგორ აპირებენ გადახდას, მაგრამ წარმოდგენაც კი არ აქვთ. გეგმა არ შეუდგენიათ. რა იქნება გამოსავალი? ჩაიწერეთ:

თუ გეგმა გაქვთ, ესე იგი, ყველაფერი გაქვთ!

რამდენიმე მაგალითს მოვიყვან ჩემი ნათქვამის მნიშვნელობაში გასარკვევად. რას იზამთ, თუ გეტყვით, რომ ჩემი მომდევნო რჩევით მთელი თქვენი ფინანსური პრობლემის გადაწყვეტა შემიძლია; რომ ჩემი ნათქვამი, პირდაპირი მნიშვნელობით, ფინანსური თვალსაზრისით გაგათავისუფლებთ, ამიტომ სასწარაფოდ უნდა მოიტანოთ ქაღალდი და კალამი და ჩაიწეროთ? აი, ისიც: ამ წელში 10,000,000 დოლარს გამოიმუშავებთ სუფთა შემოსავლის სახით. რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, რომლებსაც ეს ყველა პრობლემას არ მოუგვარებს, მაგრამ ამერიკელთა უმრავლესობას მიზნის მიღწევაში დაეხმარება.

როცა კონფერენციებზე ეს მაგალითი მომყავს, სიცილს იწყებენ, თითქოს რაღაც ხუმრობა იყოს, მაგრამ მე არ ვხუმრობ. თუ ისინი წელიწადში ამ რაოდენობის თანხას გამოიმუშავებენ, უმეტესის ცხოვრება საფუძვლიანად შეიცვლება. ჩემს კონფერენციებზე ამის ახსნას რომ ვცდილობ, ხითხითი და სიცილი იწყება, მაგრამ რატომ? იმიტომ იცინიან, რომ ვერ წარმოუდგებიათ, როგორ უნდა გამოიმუშავონ ამხელა თანხა და მათთვის ამაზე ფიქრიც კი სასაცილოა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი სურათის დანახვა არ შეუძლიათ.

თუ გეტყვით, რომ საექსპორტო კომპანია მაქვს და გარკვეული დახმარება ნამდვილად მჭირდება? ჩემი კომპანია უნიკალურ პროდუქცია აწარმოებს და ახლავე მინდა 5,000 ერთეულის გაგზავნა. ამრიგად, კონტრაქტს გაგიფორმებთ, რომ ყუთებში ჩაალაგოთ და გაგზავნოთ. ყოველი ჩალაგებული და გასაგზავნად დაბეჭდილი ყუთისთვის 500 დოლარს გადაგიხდით. იმ ვარაუდით, რომ დღეში 100 ყუთს გაამზადებთ, დღიურად 50,000 დოლარს გადაგიხდით. ჩემი მაგალითი კიდევ უფრო ნათელი რომ იყოს, იგივე პირობებით სამწლიან კონტრაქტს დაგიდებთ. მაშ ასე, კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ თუ გეტყვით, რომ 10,000,000-იან სუფთა შემოსავალს მიიღებთ, იფიქრებთ, რომ ეს საქმე ძნელი სულაც არ ყოფილა, რადგან ამხელა თანხის მიღებას, სულ რაღაც, 200 დღე გაშორებთ. ამ შემთხვევაში ჩაცინება არავის მოუნდება.

აბა, რა განსხვავება იყო დასაწყისში მოხითხითე ხალხსა და იმ ჯგუფს შორის, რომელიც ყუთების ჩალაგებისა და გაგზავნისთვის დავიქირავე? განსხვავება გეგმაში იყო. თუ გაქვს გეგმა, ყველაფერი გაქვს. რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ 10,000,000 დოლარი ერთბაშად არავის მოუცია, მაგრამ რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ რწმუნდებით, რომ კონტრაქტის მიხედვით ხსენებული თანხა თქვენს ხელში იქნება, თუ გეგმას მიყვებით. სწორედ ამიტომ ვთქვი: „თუ გეგმა გაქვთ, ყველაფერი გაქვთ“.

როცა მე და დრენდას ვალები გვახრჩობდა, გამოსავალს ვერ ვხედავდი იმ ფინანსური არეულობიდან, რომელშიც აღმოვჩნდით. შემოსავლების სამსახურმა ჩვენს ქონებას ყადაღა დაადო; კრედიტები გვქონდა ლომბარდებში; 10 საკრედიტო ბარათის ლიმიტი ამოწურული იყო და სამი ფინანსური კომპანიის

ვალი გვქონდა წლიური 28%-ით. ყველასი რაღაც გვემართა, სტომატოლოგის, ქიმწმენდის, მშობლების და მეგობრების ჩათვლით. ვინც არ უნდა დაგესახელებინათ, ყველასი რაღაც გვმართებდა. ხორციელად, არაფრის იმედი აღარ გვქონდა. ჩემი ფინანსური გაყიდვების ბიზნესი კარგად არ მიდიოდა და ფულთან დაკავშირებულ პრობლემებზე პასუხს ვერ ვიღებდი. რაც უფრო მეტს ვიგებდით ცათა სამეფოს შესახებ, მით მეტად ვრწმუნდებოდით, რომ ღმერთი გამოსავალს დაგვანახებდა.

ერთხელ ღმერთმა სიზმარში მაჩვენა, რომ წამოვსულიყავი იმ კომპანიიდან, სადაც ვმუშაობდი და ჩემი საკუთარი შემექმნა. ახლა, დააკვირდით: ჩემი კომპანიაც ადამიანებს ასსწავლიდა, როგორ ამოსულიყვნენ ვალებიდან! ვიცი, სიგიჟედ გეჩვენებათ, არა? ეს რომ მცოდნოდა, საკუთარ თავს კარგა ხნის წინ ვუშველიდი. და მაინც, ღმერთმა სწორედ ამის გაკეთება დამავალა. გაოგნებული ვიყავი და წარმოდგენა არ მქონდა, როგორ შემექმნა საკუთარი კომპანია, რომ აღარაფერი ვთქვა ადამიანების ვალიდან ამოსვლაში დახმარებაზე. ვიღაც მჭირდებოდა, ვინც ამას მასწავლიდა.

ლოცვა დავიწყე და ცხოვრების შემცვლელი გამოცდილება მივიღე სულიწმიდის მეშვეობით, თუ როგორ მოხდებოდა ეს. ჩემი სადაზღვევო ბიზნესიდან ერთმა კლიენტმა დამირეკა. ოჰ, დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა, რომ ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში ვმუშაობდი, სადაც დაზღვევის პაკეტებსა და ფასიან ქაღალდებს ვყიდდი, სანამ ეს ფინანსური ორომტრიალი მიმდინარეობდა. ვიცი, რომ ეს იმ სანტექნიკოსის საქმიანობას ჰგავს, რომლის ონკანს წყალი გასდის, თვითონ კი სხვების პრობლემებს აგვარებს. მართალია, ფინანსური მომსახურების პოზიციაზე წარუმატებლობა მქონდა, წინა ცხრა წლის განმავლობაში საკმაოდ დავაგროვე ზოგადი ცოდნა, რაც დიდად მნიშვნელოვანი იყო იმ საქმისთვის, რომლის ჩვენებაც ღმერთს სურდა.

როცა ჩემს კლიენტსა და მის ცოლთან ერთად მათი სამზარეულოს მაგიდასთან ვისხედით, ჩვეულებრივი პრეზენტაციის პროცესი გავიარეთ. ეს კითხვების დასმის მეშვეობით მოკლე მიმოხილვის შედგენას ითვალისწინებდა, თუ სად იყვნენ ფინანსურად. პასუხებს მონაცემთა ფურცელზე ვიწერდი, რომელიც უმთავრესად განსაზღვრავდა, რა სახის დაზღვევა

უნდა რგებოდათ და ინვესტიციისთვის ალტერნატიული გზების შესწავლასაც მოიცავდა. როცა მათი ვალების ჩამონათვალს განვიხილავდით, ორივე დაღონდა და თავიანთი უიმედო მდგომარეობის აღწერისას ცოლმა ტირილი დაიწყო. ორივე სრული დროით იყო დასაქმებული, მაგრამ თვიდან თვემდე თავი ძლივს გაჰქონდათ.

ახლა, როცა ცხრა წელი ვაი-ვაგლახში გავატარე დრენდასთან ერთად და ღმერთმა ჩვენთვის ცათა სამეფოს კანონების სწავლება დაიწყო, წარმოიდგინეთ, როგორ თანავუგრძნობდი მათ. ისინიც ჩვენსავით ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ მუშაობდა ცათა სამეფო. იმ დროს მეც არ ვიცოდი ბევრი რამ სასუფევლის მოქმედების პრინციპზე გარდა იმისა, როცა ღმერთმა გვაჩვენა. ჩემი ცოდნა მათ გავუზიარე და ისიც ვუამბე, რა საოცარი ამბები გადაგვხდა. ცხადია, შემეძლო მეთქვა, რომ სიცოცხლის დაზღვევა მათ მთავარ პრობლემას არ წარმოადგენდა. გარკვეული დრო დავუთმე მათთვის იმის ახსნას, რაც ღმერთმა მასწავლა ცათა სამეფოს შესახებ, თუმცა მთელი გულით მინდოდა, მათი ვითარებისთვის რეალური ფინანსური გამოსავლის შეთავაზება შემძლებოდა.

იმ საღამოს სამუშაო დღე საქაღალდეების დასტისა და ყურადღებამისაქცევი შეტყობინებების გადარჩევით უნდა დამესრულებინა, რომ მოულოდნელად თავში ერთი აზრი მომივიდა: რა მოხდება, თუ სიცოცხლის დაზღვევის საკითხს შევისწავლი და სრული ფინანსური სურათის წარმოდგენას შევეცდები? იქნებ შესაძლებელი იყოს რამის გაკეთება? იქნებ სადმე თანხა მოვიძიო? ვგულისხმობდი, რომ მეპოვა საკეთებელი საქმის უფრო იაფად კეთების გზები. ჩემი მიზანი მარტივი იყო: ყველა იმ საქმისთვის, რასაც ზემოხსენებული წყვილი აკეთებდა, უფრო იაფი გამოსავალი უნდა მეპოვა და დაზოგილი სახსრები მათი ნაღდი ფულის ნაკადისა და ვალებისკენ მიმემართა. ეს უბრალო შეთავაზებას ჰგავდა, მაგრამ ბევრი ნამდვილად არაფერი ვიცოდი სხვა ფინანსური სფეროების შესახებ სიცოცხლის დაზღვევისა და ფასიანი ქაღალდების გარდა. უნდა გითხრათ, რომ ეს ინტერნეტის გამოგონებამდე ხდებოდა. კვლევა ძველმოდურად უნდა ჩამეტარებინა ტელეფონისა და ყვითელი ფურცლების გამოყენებით.

ამაზე მთელი კვირა ვიმუშავე, რადგან ჩემს კლიენტს ერთი კვირის შემდეგ უნდა შევხვედროდი. გაკვირვებული დავრჩი, რა

ოდენობის თანხის გამოთავისუფლება შეიძლებოდა ერთი თვის მანძილზე, რადგან მართლაც ღრმად გამოვქექე ყველა ფინანსური სფერო. ბოლოსკენ რომ გავედი, დაზოგილმა თანხამ რამდენიმე ასეულ დოლარს მიაღწია. ჩემი ფინანსური კალკულატორის გამოყენებით მათი ვალები დავაჯამე და გამოთავისუფლებული თანხები ყოველთვიური გადასახადებისთვის გამოვიყენე. როცა დაჯამების ღილაკს დავაჭირე, გამაოცა ეკრანზე გამოსახულმა ციფრმა – 6,2 წელი. ეს დრო იყო საჭირო, რომ ჩემს კლიენტს ამჟამინდელი თვიური შემოსავლის პირობებში ყველა ვალი გადაეხადა იპოთეკური კრედიტის ჩათვლით. დიახ, სწორად წაიკითხეთ: მათი შემოსავალი უცვლელი რჩებოდა. ნანახმა გამაოგნა და ვიფიქრე, რომ სადღაც შეცდომა დავუშვი, ამიტომ გაანგარიშებები კიდევ ვაწარმოე, სანამ არ დავრწმუნდი, რომ პასუხი სწორი იყო. ნუთუ ეს შესაძლებელია? ყველამ რატომ არ იცოდა ეს?

სწრაფად დავავლე ხელი სხვა კლიენტების ფაილებს, რომლებიც იქვე მედო და თვალი გადავავლე. იგივე მონაცემები მივიღე. ყველას შეეძლო ვალებისგან თავის დაღწევა 5-7 წლის განმავლობაში იპოთეკური კრედიტის ჩათვლით, იგივე შემოსავლის პირობებში. უკვე ბნელდებოდა, როცა ოფისში მუშაობას მოვრჩი და გაანგარიშებები დავასრულე, მაგრამ სახლისკენ აღტაცებული მივდიოდი. თუ ჩემი კვლევა სწორი იყო, რასაც გაანგარიშებები მოწმობდა, მართლაც დიდ აღმოჩენასთან მქონდა საქმე.

მაინტერესებდა, რა რეაგირებას მოახდენდა ჩემი კლიენტი ასეთ ინფორმაციაზე. მომავალი შეხვედრისთვის ერთ ფურცელზე დაბეჭდილი ციფრების ჩვენება გადავწყვიტე. ჩემი მიზანი იყო მათთვის იმედის ჩასახვა. იქედან სარგებელს არ ვიღებდი. ვიცოდი, რომ სიცოცხლის დაზღვევის გაყიდვა ნაკლებად შესაძლებელი იყო. თუმცა ისინი მოინდომებდნენ იმის მოსმენას, რაც ვიპოვე. მომდევნო კვირას კიდევ ერთხელ გადავხედე გაანგარიშებებს და დავრწმუნდი, რომ მართალი ვიყავი.

როცა კარზე დავრეკე, ნერვულმა მოლოდინმა ამიტანა. სამზარეულოს მაგიდას მივუჯექი და ვუამბე, რა ვუყავი მათ ციფრებს. ნელ-ნელა ვაჩვენებდი დაბეჭდილ მონაცემებს და ვუხსნიდი, როგორ შევძელი თანხების გამოთავისუფლება

საჭირო კომპანიებისა და რიცხვების მითითებით, რომელთა გამოყენებაც შეიძლებოდა ჩემი მეთოდის განსახორციელებლად. მათი აღფრთოვანება თანდათან იზრდებოდა, როცა დაზოგილი თანხა მატებას აგრძელებდა. როცა მივედი დასკვნამდე, რომ 6,2 წელიწადში ვალებისგან სრულიად გათავისუფლდებოდნენ სახლის ჩათვლით და ამჟამინდელი შემოსავლის პირობებში, სიხარულისგან ორივემ ტირილი დაიწყო. სახეზე ცრემლები სდიოდათ და იმეორებდნენ, რა გაოგნება მოჰგვარათ მიღებულმა შედეგებმა. ისინი წამოხტნენ და გადამეხვივნენ. იმ საღამოს დიდი ზეიმი გვქონდა.

მოდით, გულწრფელად ვაღიაროთ! გეტყვით თუ არა შემოსავლების სამსახური, როგორ გადაიხადოთ ნაკლები? გეტყვით თუ არა ბანკირი, როგორ აარიდოთ თავი პროცენტის გადახდას? არა! მთელი სისტემა ისეა აგებული, რომ თქვენი ფინანსები წაიღოს და არა დაიცვას. ვიცოდი, რომ ჩემი აღმოჩენა ყველა ამერიკული ოჯახისთვის უნდა მესწავლებინა! იმ საღამომ ჩემზე დიდი ზეგავლენა მოახდინა და იგივეს გაკეთება მომინდა ყველა კლიენტის დასახმარებლად, რომელთაც შევხვდი. ამრიგად, მოძიებული ინფორმაციით შეიარაღებული და ღვთისგან მიღებული მიზნით მხარდაჭერილი სადაზღვევო კომპანიიდან წამოვედი. მე და დრენდამ ჩვენი კომპანია დავაფუძნეთ, სადაც იმ საქმიანობას ვეწევით, რაც ჩვენს კლიენტს გავუკეთე.

იმ წლებში კომპანიას *Faith-Full Family Finances* (რწმენით სავსე ოჯახური ფინანსები) ვუწოდეთ. სახელი ნათლად მოწმობდა, რაზე იყო საუბარი – თუ სამეფოს პრინციპები იცი და რწმენით მოქმედებ, ფინანსები ყოველთვის მრავლად გექნებათ. გეთანხმებით, რომ სახელწოდება კომპანიისთვის მთლად გამოსადეგი არ იყო და ამას ათგზის გავიმეორებ, მაგრამ მაინც გაამართლა. მოგვიანებით მას *Forward Financial Group* ვუწოდეთ. კომპანიას დღემდე ასე ჰქვია და ახლაც ძლიერდება.

გულწრფელად რომ გითხრათ, ჩვენი ფინანსები ჯერ კიდევ არ იყო ავსებული. ისევ გვქონდა გადასახდელი ვალები, მაგრამ ვიცოდით, რომ სავალი გზა ვიპოვეთ და სიარულს ვაგრძელებდით. როცა ჩვენი ახალი კომპანია დავაფუძნეთ, აღტაცებული ვიყავით და ცოტათი ვღელავდით. ბევრი რამ უნდა გვესწავლა კომპანიის მოწყობასა და მართვაზე, მაგრამ ყველაზე დიდი დაბრკოლება მისი მეშვეობით ფულის კეთება გახლდათ. ჩვენი გამოწვევა

შემდეგში მდგომარეობდა: ვგრძნობდით, რომ არ შეგვეძლო და არც გვინდოდა ადამიანებისგან ფულის აღება ვალებისგან მათი განთავისუფლების საქმეში. ეს დიდი წინაღობა იყო და საკმაოდ დრო დავყავით ლოცვაში, რომ ვერსიები დაგვენახა. არ მინდა დეტალებში ჩაღრმავება, მაგრამ გეტყვით, რომ უფალმა კომპანიის მოწყობის საოცარი სტრატეგია გვაჩვენა. მისი ფუნქციონირება შესაძლებელი იყო კლიენტისგან თანხის აღების გარეშე.

შემდეგ საჭირო გახდა ხელით წარმოებული ხანგრძლივი გამოთვლების დაჩქარება, რომელთაც ჩემს კლიენტებთან ვაწარმოებდი. ვიცოდი, რომ ინდივიდუალური შეკვეთით მომიწევდა კომპიუტერული პროგრამის დამზადება. მაშინ კომპიუტერების თაობაზე არაფერი ვიცოდი და არც არავის ვიცნობდი, ვისაც ამის გაკეთება შეეძლო. ისევ ვიტყვი, რომ ღმერთმა საოცარი შრომა გასწია. სატელეფონო ზარი შემოვიდა ჩვენი სახლიდან შორს მცხოვრები ადამიანისგან, რომელსაც ჩვენს შესახებ სმენოდა. მას, როგორც კლიენტს, სურდა, გაეგო, რას ვაკეთებდით და მოეწონა ჩვენი საქმიანობა. საუბარში აღმოვაჩინე, რომ პროგრამისტი ყოფილა და თავისუფალ დროს, დამატებით, საკუთარ კომპანიასაც ამუშავებდა. ჩვენი საჭირობის გაზიარების შემდეგ ენთუზიაზმით შემპირდა, რომ დაგვეხმარებოდა. ვუთხარი, რომ საქმე ახლახანს დავიწყეთ და სამუშაოს ანაზაღაურებისთვის სახსრები არ გაგვაჩნდა, თუმცა მან დიდი ფასდაკლება შემოგვთავაზა. მას მაინც სურდა ჩვენთან თანამშრომლობა და მითხრა, რომ შეგვეძლო თანხების შემოსვლის შემდეგ გადაგვეხადა. ასეც მოვიქეცით.

ხალხმა შეიყვარა ჩვენი საქმიანობა. ბოლოს და ბოლოს, რატომაც არა? ეს ხომ უფასო იყო და ადამიანებს მოსწონდათ ფულის მოძიება და ვალებიდან ამოსვლა. ბიზნესი დიდ ასპარეზზე გავიდა და ორწელიწადნახევარში ვალებიდან სრულად გავთავისუფლდით. მალე 300-ზე მეტი სავაჭრო წარმომადგენელი გაგვიჩნდა, რომლებიც ჩვენს გეგმას მთელი ქვეყნის მასშტაბით აცნობდნენ ადამიანებს. კომპანია გაიზარდა. სახარებისა და ხალხის მხარდასაჭერად მრავალი წლის მანძილზე შევძელით ასობით ათასი დოლარის გაღება.

„ვალის გადახდის გეგმა“, როგორც მას ვუწოდებდით, დღემდე უფასოა, თუმცა 30 წელი გავიდა. კომპანია წლების

განმავლობაში იზრდებოდა თავისი მისიის შესრულებისას. შემდეგ საპენსიო ანაბრებზე გავამახვილეთ ყურადღება 2001 და რა თქმა უნდა, 2008 წლების კრახისას, როცა მილიონობით ადამიანმა დაკარგა თავისი საპენსიო დანაზოგის 50-80 %-მდე. ჩვენ უსაფრთხო ინვესტირების ვარიანტები გამოვიკვლიეთ და ბიზნესის ეს მხარე 2001 წელს ავამოქმედეთ. სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენს ქვეყანასა და მსოფლიოში ბოლო 21 წლის მანძილზე არსებული ფინანსური ქაოსის პირობებში ცენტიც არ დაკარგულა ჩვენი კლიენტების კუთვნილი 100 მილიონ დოლარზე მეტი თანხიდან, რომელსაც კომპანია განაგებს. რაც შეეხება ვალების გადახდის გეგმას, ის უფასოა და არც ადმინისტრაციულ ან საბროკერო გადასახადს იხდის ვინმე თავდაპირველად არსებული ან ყოველწლიურად შემომატებული საინვესტიციო კლიენტებიდან. თუ მოგბეზრდათ თქვენი საპენსიო თანხებით თამაში, დაუკავშირდით Forward Financial Group-s 1-(800)-815-0818 ნომერზე ან მეტი ინფორმაცია მოიძიეთ ვებგვერდზე: Forwardfinancialgroup.com

იმის ხაზგასმა მსურს, რომ ეს გეგმა ღმერთმა მოგვცა. იმ საღამოს, როცა ჩემი თვალცრემლიანი კლიენტი სკამიდან წამოხტა, მაგიდას შემოურბინა და სიხარულით გადამეხვია, ვიცოდი, რომ ჩემი პასუხი, ჩემი გეგმა ვიპოვე. რა თქმა უნდა, გარკვეულ საკითხებზე უნდა გვემუშავა და ახალი შეგვექმნა, რომ ამ შესაძლებლობას შემოსავალი მოეტანა და გეგმას ჩვენს კლიენტებთან ეფექტურად ემოქმედა. ასევე საჭირო გახდა სხვა ადამიანების დაქირავება და განსწავლა, რომ ოფისის თანამშრომლების მსგავსად ეშრომათ. თუმცა მთელი ამ დროის მანძილზე არასდროს განმიცდია ისეთი მღელვარება, როგორიც იმ პირველ კლიენტთან მქონდა. რატომ? რა თქმა უნდა, იმის გაცნობიერების გამო, რომ ეს იყო ის, რასაც ვეძებდი – ჩემი გეგმა და ჩემი ოჯახის ხსნის გზა.

როგორც კი გეგმა მივიღე, მივხვდი, რომ ბრძოლა დასრულდა. ახლა მხოლოდ მისი მოქმედებაში მოყვანა იყო საჭირო!

განა საოცარი არ არის, რომ სულიწმიდისგან მიღებულმა ერთმა იდეამ ჩვენი ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა? დიახ, ის სისრულეში უნდა მოგვეყვანა, მაგრამ ღმერთმა გვაჩვენა, რა მიმართულებით უნდა გვევლო. რა შეგრძნება მოაქვს, გარი, ვალებისგან განთავისუფლებას? მშვიდობა! მოსვენება!

იფიქრეთ ამაზე! საშინელი ფინანსური უფუნქციობიდან ვალებისგან სრული თავისუფლება მოვიდა; ავტომობილები ნაღდი ფულით შევიძინეთ; სახლი ავაშენეთ და ყველა სხვა საჭიროებისთვის გადახდა შევძელით. ცხრა გრძელი წლის ყოველი დღის ყოველი წუთი უკიდურესი ზეწოლის ქვეშ გავატარე. მოსვენება არ მქონდა. არც კვირის რომელიმე დღე იყო მნიშვნელოვანი და არც დღესასწაული. მშვიდობა დავკარგე. ფინანსური პრობლემები ყველგან თან მდევდა, სადაც არ უნდა წავსულიყავი. ამ მდგომარეობის გამო მუდამ შერცხვენილი და დამდაბლებული ვიყავი. ჩემი სასოწარკვეთის პიკზე შიში განუყრელ თანამგზავრად მექცა, ხოლო პანიკური შეტევები და ანტიდეპრესანტები – ცხოვრების წესად. თუმცა შემდეგ გავთავისუფლდი!

გასაგებია, გარი და მიხარია შენს გამო, მაგრამ მე როგორ მივიღო გეგმა? ჩემი ცხოვრების სტრატეგია? მიხარია, რომ ეს კითხვა დამისვით. ამაზეც გიპასუხებთ. დავიწყებთ ლუკას სახარების მეხუთე თავით.

> *ერთხელ, როცა გენესარეთის ტბასთან იდგა და ხალხი აწყდებოდა მას, რათა ღმერთის სიტყვა მოესმინა, დაინახა ტბასთან მდგომი ორი ნავი და მათგან გადმოსული მებადურები, ბადეებს რომ რეცხავდნენ. ავიდა ერთ ნავზე, რომელიც სიმონისა იყო. სთხოვა, ნაპირს ცოტა გაშორებოდა, ჩაჯდა და ნავიდან ასწავლიდა ხალხს. ლაპარაკი რომ დაამთავრა, უთხრა სიმონს: „შეცურდით ღრმად და ბადეები ჩაუშვით თევზის დასაჭერად“. მიუგო სიმონმა პასუხად: „მოძღვარო, მთელი ღამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ. მაგრამ შენ სიტყვისამებრ ჩავუშვებთ ბადეს“. ასეც მოიქცნენ და იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ. ნიშანი მისცეს მეწილეებს მეორე ნავში, რომ მოსაშველებლად მოსულიყვნენ. მოვიდნენ და ორივე ნავი ისე აავსეს, რომ იძირებოდნენ. ამის მნახველი სიმონ-პეტრე იესოს წინაშე მუხლებზე დაეცა და უთხრა: „გამშორდი, უფალო, რადგან ცოდვილი კაცი ვარ“. რადგან გაოგნებამ შეიპყრო ისიც და ყველა მასთან მყოფიც იმ თევზის სიმრავლის გამო, მათ რომ დაიჭირეს; ასევე დაემართათ იაკობსა და იოანეს,*

ზებედეს ძეებს, სიმონის მეწილეებს. უთხრა იესომ სიმონს: „ნუ გეშინია, ამიერიდან ადამიანებს დაიჭერ“. მიაყენეს ნავები ნაპირს, ყველაფერი მიატოვეს და მას გაჰყვნენ.

– ლუკა 5:1-11

აი, რა მინდა დაინახოთ ამ ისტორიაში. უპირველეს ყოვლისა, ისინი პროფესიონალი მეთევზეები იყვნენ, მაგრამ მთელი ღამის თევზაობა უნაყოფო აღმოჩნდა. თუმცა მოდის იესო, მათ ნავს საქადაგებლად ქირაობს და პეტრეს ეუბნება: *„შეცურდით ღრმად და ბადეები ჩაუშვით თევზის დასაჭერად“.* პეტრე და მისი ორი პარტნიორი, იაკობი და იოანე განაცვიფრა იმდღევანდელმა თევზჭერამ. იმდენი თევზი დაიჭირეს, რომ ორივე ნავი კინაღამ ჩაიძირა.

მოდით, ერთ კითხვას ვუპასუხოთ: როგორ დაიჭირეს თევზი? მთელი ღამე შრომობდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მოულოდნელად, იმდენი თევზი დაიჭირეს, მთელი კარიერის განმავლობაში რომ არ ენახათ. როგორ? აი, პასუხი! იესომ პეტრეს მიუთითა, სად უნდა ეთევზავა! მან თქვა: *„შეცურდით ღრმად და ბადეები ჩაუშვით თევზის დასაჭერად“.* თქვენც შეძლებთ დაჭერას, თუ იესო გეტყვით, სად უნდა ჩაუშვათ ბადე. ნებისმიერს შეეძლება დაჭერა!

თქვენც შეძლებთ დაჭერას, თუ იესო გეტყვით, სად უნდა ჩაუშვათ ბადე!

მომისმინეთ! დასრულდა საკუთარ გეგმებსა და სტრატეგიებზე მინდობის დღეები. ამას შევალიე ცხრა გრძელი და რთული წელი. საკმარისია მხოლოდ ერთი ღვთისგან მოცემული იდეა, ერთი ზეციური სტრატეგია, გეგმა და თქვენი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვლება. შემომხედეთ! სასოწარკვეთილი ვიყავი, სანამ ღმერთმა არ მომცა ის ერთი იდეა, რომლითაც მილიონების მომტანი ბიზნესი დავიწყე. მე არ ვიყავი ასე კარგი. დარწმუნებული ვარ, რომ პეტრეც იგივეს გეტყოდათ იმ საოცარი თევზჭერის დღეს. არც ის გახლდათ ამ დონის მეთევზე. ამრიგად, როცა სტრატეგიის კანონზე ვლაპარაკობ,

საკმარისია მხოლოდ ერთი ღვთისგან მოცემული იდეა, ერთი ზეციური სტრატეგია, გეგმა და თქვენი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვლება.

არ ვგულისხმობ თქვენი შესაძლებლობებით და გონებით მის მოფიქრებას. არა! საჭიროა ზებუნებრივი სტრატეგიის მიღება წმიდა სულისგან. გახსოვთ, რა უთხრა ღმერთმა აბრაჰამს? „მე გაქცევ ...“.

მაშ, როგორ მოვისმინოთ სულიწმდისგან მსგავსი სტრატეგიები? ისე, როგორც პეტრემ გააკეთა ნავზე.

იცი, გარი, იესო აქ არ არის. ნამდვილად კარგი იქნებოდა, რომ ყოფილიყო. მეტყოდა, რა გამეკეთებინა. მართალია, პირადად აქ არ არის, მაგრამ ის მაინც ჩვენთან არის. მან სულიწმიდა გამოგზავნა მის ნაცვლად და თქვენს დასახმარებლად.

> *ხოლო ნუგეშისმცემელი, სულიწმიდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლენს მამა, გასწავლით და გაგახსენებთ ყველაფერს, რაც თქვენთვის მითქვამს.*
>
> – იოან. 14:26

დიახ, იესო ისევ თქვენი მრჩეველი და დამხმარეა სულიწმიდის მეშვეობით. ის დაგელაპარაკებათ და სავალ გზას გაჩვენებთ.

თუ სულიწმიდის სტრატეგიებით და მისით მიღწეული გამარჯვებებით სავსე ცხოვრებას აპირებთ, ჯერ ზეციდან უნდა იშვათ და შემდეგ სულიწმიდით მოინათლოთ. თუ ეს თქვენთვის სრულიად უცხოა, არაფერია! თანდათან ყველაფერში გაგარკვევთ. ჯერ ნება მომეცით, მნიშვნელოვან საკითხს ხაზი გავუსვა: იესომ თქვა, რომ სულიწმიდით ნათლობას არსებითი მნიშვნელობა აქვს და მის გარეშე სახლიდან არ უნდა გახვიდეთ! ეს მე არ მითქვამს, იესომ თქვა საქმ. 1:4-5-ში.

> *იერუსალიმს ნუ გაშორდებით, არამედ დაელოდეთ მამის მიერ აღთქმულს, ჩემგან რომ მოისმინეთ; რადგან იოანე წყლით ნათლავდა, თქვენ კი, არცთუ მრავალი დღის შემდეგ, <u>მოინათლებით სულიწმიდით</u>.*
>
> – საქმ. 1:4ბ-5

თქვენ მიიღებთ ძალას, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი.

– საქმ. 1:8ა

ყურადღება მიაქციეთ იესოს ნათქვამს – „სახლს ნუ დატოვებთ მის გარეშე – ეს მნიშვნელოვანია!“ არსებითად, მან თქვა: „ღვთის საქმეების საკეთებლად, მისი სამეფოსთვის დასამოწმებლად ეს ძალა გჭირდებათ“. მიუხედავად ამისა, დღესაც არის უამრავი ქრისტიანი, რომელსაც ამის შესახებ არ სმენია ან პირადად არ განუცდია სულიწმიდით ნათლობა. ბევრმა ეკლესიაში გაზრდილმა მორწმუნემ არაფერი იცის სულით ნათლობის აუცილებლობის შესახებ. ან ისეთ ეკლესიაში აღიზარდნენ, სადაც ეუბნებიან, რომ სულიწმიდით ნათლობა დღეს აღარ არის საჭირო და სასწაულების დრო დასრულდა.

მეც ასეთ ეკლესიაში გავიზარდე და არაფერი მსმენოდა სულიწმიდით ნათლობის შესახებ. ახლაც უამრავ წერილს ვიღებ მსოფლიოს ყველა კუთხიდან, სადაც ადამიანები მიზიარებენ, რომ ამ ძალმოსილი ჭეშმარიტების შესახებ ჯერაც არაფერი იციან. ბევრ ელექტრონულ წერილში კითხვას მისვამენ დღევანდელობაში ამ ნიჭის ფასეულობის შესახებ. სწორედ ამიტომ გამოვყავი დრო, რომ ფურცელზე გადმომეტანა ჭეშმარიტება სულიწმიდით ნათლობის შესახებ. სულიწმიდით ნათლობის გასაღები დევს თქვენს უნარში, მოისმინოთ წმიდა სულის უნიკალური, ზებუნებრივი სტრატეგიები.

დარწმუნებული ვარ, რომ ბიბლია ნათელია ამ სფეროში და მინდა მას მივცე ლაპარაკის უფლება. ის ყველა თქვენს კითხვას უპასუხებს, მაგრამ ჯერ მინდა გარკვეული ფონი შევქმნა, თუ როგორ აღმოვაჩინე ჭეშმარიტება სულიწმიდით ნათლობის შესახებ.

როცა ახალგაზრდა ვიყავი, ღვთის დიდი წყურვილი მქონდა (ახლაც მაქვს, თუმცა ასაკი მომემატა) და ერთ-ერთი დენომინაციის ეკლესიაში დავდიოდი. კვირა დილით ნორმალური რელიგიური წესრიგი გვქონდა. ალბათ, თქვენც გაგივლიათ მსგავსი პერიოდი. მახსოვს, როგორ ცვლიდა რამდენიმე ჰიმნის შესრულებას სიტყვაზე დაფიქრების წყნარი დრო. ყოველთვის წარმოვთქვამდით საუფლო ლოცვას და შემდეგ პასტორი ქადაგებდა. ამას მოსდევდა დასკვნითი ჰიმნი და კურთხევა. ყველა მსახურება ამ განრიგით ტარდებოდა.

ეკლესია მშვენიერი ხალხისგან შედგებოდა და ღმერთი ნამდვილად უყვარდათ. თუმცა სახარების რეალობა არასოდეს დამინახავს. არც ადამიანების შთამბეჭდავად შეცვლილი ცხოვრება მინახავს და არც სულიწმიდის ძალით განკურნებული ხალხი. ვფიქრობ, შემიძლია ვთქვა რომ ღვთის სამეფოს დიდ გამოვლინებებს არ შევსწრებივარ.

ამრიგად, ვარ ღვთისადმი წყურვილით აღვსილი 18 წლის ყმაწვილი და ბიძაჩემის პიცის მაღაზიას ვუძღვები. ერთ საღამოს ერთი ახალგაზრდა მოვიდა პიცის საყიდლად და სულიერი გამოღვიძების მსახურებაზე დამპატიჟა. ის პატარა მეთოდისტურ ეკლესიაში ტარდებოდა და მოწვეული ევანგელისტი ამბობდა, რომ იესო დღესაც იმ საქმეებს აკეთებდა, რასაც ბიბლიის ეპოქაში ვხედავთ.

ამან ჩემი ყურადღება მიიპყრო. ჩემი რამდენიმე მეგობარი იმ ეკლესიის მსახურებებს ესწრებოდა, ამიტომ გამოღვიძების მსახურებაზე დასწრება გადავწყვიტე. მართალია, იმ საღამოს სულიწმიდით ნათლობაზე არაფერი მომისმენია, მაგრამ ღვთის თანდასწრება დიდად შემეხო.

იქ მყოფმა მეგობრებმა წამახალისეს, რომ მეორე კვირასაც მოვსულიყავი. ასეც მოვიქეცი. შემიყვარდა ის ეკლესია და იქ სიარული დავიწყე.

გამოღვიძებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ქალების ჯგუფს შევხვდი, რომლებიც იგივე ეკლესიის მსახურებებს ესწრებოდნენ და ყოველკვირეულ ბიბლიურ სწავლებას გადიოდნენ. მათ სულიწმიდის ნათლობაზე, სულის ნიჭებსა და ბევრ სხვა რამეზე დაიწყეს ლაპარაკი, რაც არასოდეს მომესმინა. ამ ძალაზე მეტის გაგება მოვინდომე ისე ძლიერ, რომ ქალთა მსახურებაზე დასწრების ნებართვაც კი ვითხოვე. მათი სწავლება დილით იყო და რახან საღამოობით პიცის მაღაზიაში ვმუშაობდი, დასწრება გადავწყვიტე.

იქ მისვლისას აღმოვაჩინე, რომ ერთადერთი და ისიც 18 წლის ყმაწვილი ვიყავი, თუმცა ეს დიდად არ მაღელვებდა. ბიბლიის სწავლებას იმიტომ ვესწრებოდი, რომ ღმერთი მწყუროდა. ბევრი კითხვა დავსვი.

მათ დიდი მოთმინება გამოიჩინეს და წმიდა წერილიდან ადგილები მაჩვენეს. ჩემს საკუთარ ბიბლიაში წავიკითხე, რომ სულიწმიდით ნათლობა დღესაც აქტუალური ყოფილა და

ღვთის ძალაც ისევე მოქმედებს, როგორც იესოს დედამიწაზე ცხოვრებისას იყო. საუკეთესო ნაწილი გახლდათ მათი ნათქვამი, რომ ეს *ყველა* მორწმუნისთვის შესაძლებელია, ვინც ითხოვს.

ბიბლიის შესწავლის შეხვედრებზე რამდენიმეკვირიანი დასწრების შემდეგ მითხრეს, რომ ეროვნული მსახურება *Women's Aglow* ქალაქის მასშტაბის შეხვედრას ატარებდა. ეს ორგანიზაცია მაშინაც და ახლაც ბევრს ასწავლიდა სულიწმიდით ნათლობაზე. ჩვენი ჯგუფის ქალებიც დასწრებას გეგმავდნენ და მათთან ერთად წამოსვლა შემომთავაზეს. მაშინ სხვადასხვა დენომინაციის ადამიანები ერთად იკრიბებოდნენ ნათლობაზე მოსასმენად და მის განსაცდელად, რაც იქამდე მხოლოდ ორმოცდაათიანურ ეკლესიებში ისწავლებოდა. ეს ის დღეები იყო, რომელთაც ადამიანები ხარიზმატულ გამოღვიძებას ეძახიან. ამ პერიოდში სულიწმიდაზე სწავლებამ მთელი დენომინაციები მოიცვა.

როცა *Women's Aglow*-ს შეხვედრაზე მივედი, დავინახე, რომ ასობით ქალი შეკრებილიყო. მე კვლავ უმცირესობაში ვიყავი, მაგრამ უფლის თანდასწრება ძალუმად იგრძნობოდა. იმ დღეს მქადაგებელმა იკითხა, ვინმეს ხომ არ უნდოდა სულიწმიდით ნათლობა. ასეთები მსახურების დასასრულს წინ უნდა გამოსულიყვნენ ლოცვისთვის. ამრიგად, წინ გავედი და ქალბატონებმა ჩემთვის ილოცეს. ამ დროს თანდათან ვივსებოდი და ვგრძნობდი, რომ ღვთის თანდასწრება მატულობდა.

როცა მის ძალას დავემორჩილე, თავად გამაოცა გაგონილმა – სულიწმიდით ვლოცულობდი და ისეთ სიტყვებს წარმოვთქვამდი, რომელთა მნიშვნელობა არ მესმოდა. ამ განცდით გაოგნებულმა კარგა ხანს ვილოცე იმ საღამოს.

ყველა შემხვედრისთვის მინდოდა, მეამბნა, რაც მოხდა! თუმცა ეკლესიის მეგობრებმა დიდი აღფრთოვანება არ გამოხატეს, როცა ამის შესახებ გავუზიარე. ისინი, როგორც წესი, ამტკიცებდნენ, რომ ენები ეშმაკიდან მოდის ან უკვე აღარ არის აქტუალური. მათ გამაფრთხილეს, რომ თავი შორს დამეჭირა ამ იატაკზე მგორავებისგან!

იმ დღეებში ეკლესიები მზად არ იყვნენ სულის ნიჭების მისაღებად და გავრცელებული იყო აზრი, რომ სასწაულები მოციქულების ეპოქასთან ერთად დასრულდა. მე კი მაშინ გავიაზრე, რომ ღვთიური ძალა სულაც არ გადასულა!

Women's Aglow -ში განვითარებულ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე ახალგაზრდებზე პასუხისმგებელ პირად დამაყენეს იმ პატარა მეთოდისტურ ეკლესიაში. ჩემგან ბევრს არაფერს მოითხოვდნენ გარდა იმისა, რომ ყოველ კვირა საღამოს ეკლესიის სარდაფში ახალგაზრდული შეხვედრები უნდა ჩამეტარებინა. ჩვეულებრივ, ვთამაშობდით, ვჭამდით და მოკლე ბიბლიურ სწავლებას გავდიოდით. თავადაც ძალზე ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ დაინახეს ჩემი მოშურნეობა ღვთიური საქმეების მიმართ და რომ მათი დახმარება მსურდა. როგორც წესი, ჯგუფში 15 ბავშვი იყო და იმ საღამოს ქალთა შეკრებაზე განცდილი ნათლობის შესახებ მოყოლა დავაპირე.

მივხვდი, რომ არც მათ სმენოდათ რამე ამგვარ გამოცდილებაზე და არც ამ კონკრეტული ეკლესიის მსახურებებზე გაიგონებდნენ სულიწმიდით ნათლობის ამბავს.

სანამ შემდეგში განვითარებულ მოვლენებზე გიამბობთ, ვფიქრობ, იმ დროისთვის ჩემი გონების სწრაფ განახლებაზე უნდა გაცნობოთ. პასტორის თანხმობა არ მიმიღია, რომ ახალგაზრდებთან ნათლობაზე მელაპარაკა. (ახლა ვხვდები, რომ უნდა მიმეღო). არც ის მომიყოლია, თავად რა გავიარე. სულაც არ ვაპირებდი ჩემი ეკლესიის წინააღმდეგ ამბოხებას და არც პასტორის გვერდის ავლით ვცდილობდი მოქმედებას. უბრალოდ, აღელვებული ვიყავი. მაშინ ნამდვილად ვერ ვხვდებოდი, რა დაპირისპირებები არსებობდა სულიწმიდით ნათლობის საკითხთან დაკავშირებით. არც მიფიქრია, რომ პასტორი ამის წინააღმდეგი იქნებოდა. კვირა საღამოს, მას შემდეგ, რაც სულიწმიდით მოვინათლე, გადავწყვიტე მომხდარის შესახებ ახალგაზრდებისთვის მომეყოლა და წმიდა წერილის ადგილებიც მეჩვენებინა მოციქულთა საქმეების წიგნიდან. ეკლესიის სარდაფში იატაკზე წრიულად ვიჯექით, როცა ჩემი გამოცდილება მათ გავუზიარე და ამის დასამოწმებლად წერილის რამდენიმე ადგილი მოვიყვანე.

იმ საღამოს შეკრებაზე პასტორიც მოვიდა და ჩემს მარცხნივ იჯდა, როცა ვლაპარაკობდი. არ მეგონა, რომ ისიც დაესწრებოდა. ვფიქრობდი, რომ პასტორი გათვითცნობიერებული იქნებოდა იმ საკითხში, რაზეც საუბარს ვაპირებდი ნებისმიერ შემთხვევაში.

მაშ ასე, ახლაგზარდებს ვუამბე, რა შეხვედრას დავესწარი და რა ვნახე. ენებზე ლაპარაკის დეტალებს არ ჩავღრმავებივარ.

ამის ნაცვლად, ყურადღება საქმ. 1:8-ზე გავამახვილე. ამ მუხლში ლაპარაკია, რომ სულიწმიდის გადმოსვლის შემდეგ მივიღებდით ძალას, რათა ღვთის მოწმეები ვყოფილიყავით. შეკრების დასასრულს მართლა არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა და ბავშვებს ვთხოვე, ხელის აწევით დაედასტურებინათ, თუ ვინმეს ნათლობის სურვილი ჰქონდა.

არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა იმ მომენტში. ვგულისხმობ, რომ არასოდეს მენახა, როგორ ემსახურებოდნენ სულიწმიდით ნათლობისას, თუ არ ჩავთვლით ქალთა მსახურებაზე ნანახს. მაშინ ხსენებული საკითხის ირგვლივ მხოლოდ ორი-სამი მუხლი ვიცოდი.

ბოლოს, უბრალოდ ვთქვი:

– თუ გსურთ ამ უსასყიდლო ნიჭის მიღება სულიწმიდისგან, აწიეთ ხელი. შემდეგ თავი დავხაროთ და ვილოცოთ.

სულ ეს იყო, რაც ვთქვი. ხელი არავისთვის მიხლია, არავინ დამირიგებია, თუ როგორ მიეღოთ სულიწმიდა. თავები დავხარეთ და ვილოცეთ. რა თქმა უნდა, თვალებიც დავხუჭეთ, რომ გველოცა ისე, როგორც „კარგ“ ქრისტიანებს შეეფერებოდა.

ამის შემდეგ დავჯექი და ვთქვი: „ამინ“. ბავშვებში რაღაც მღელვარება შევნიშნე. თვალები გავახილე და დავინახე, რომ ზოგიერთი ტიროდა, სხვები კანკალებდნენ და შვიდმა ბავშვმა ენებზე ლაპარაკი დაიწყო. როცა ენებით ლოცულობდნენ, მათ სახეზე უჩვეულო ელვარება შევნიშნე. ისინი ელექტორნათურებივით ანათებდნენ! გაოგნებული დავრჩი!

ჩემმა პასტორმა, რომელსაც ამ მომენტამდე ხმა არ ამოუღია, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა, რომ დაუყოვნებლივ უნდა დამლაპარაკებოდა. მეზობელ ოთახში შევედით. მან თვალი გამოსწორა და თქვა:

– ეს ეშმაკისგანაა. შენ ველარ იქნები ახალგაზრდების ლიდერი. ასეთ რამეს ჩვენთან არ დავუშვებთ.

ჩემთვის გავიფიქრე: „როგორ შეგიძლიათ, თქვათ, რომ ეს ეშმაკისგანაა? ბავშვებს შეხედეთ! ისინი ანათებენ! ხედავთ, რომ ცხებულება მათზეა ფიზიკურის სახით.“ რა თქმა უნდა, მაშინ არც ვიცოდი, რას ნიშნავდა „ცხებულება“. უბრალოდ, ვხედავდი, რომ ისინი ანათებდნენ, მე კი არც ხელი მიხლია მათთვის და არც ის მითქვამს, როგორ ემოქმედათ. იმედი გამიცრუვდა და დავიბენი, როცა პასტორმა ასე მისაყვედურა. აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა.

მომდევნო კვირას ეკლესიაში დავბრუნდი, მაგრამ წინა რიგების ნაცვლად, სადაც ჩვეულებისამებრ ვჯდებოდი, უკან მოვკალათდი. ვიცოდი, რომ პასტორთან უთანხმოება მქონდა ახალგაზრდული მსახურების გამო, ამიტომ გადავწყვიტე, ცოტა ხნით თვალში არავის შევჩხეროდი, სანამ ყველაფერში გავერკვეოდი.

კვირა დილის მსახურებაზე ჩვეული ჩაფიქრების წყნარი დრო დადგა. ეს ჩემს ეკლესიაში ყველაზე საპატივცემულო და მდუმარე დრო იყო. ყველამ თავები დავხარეთ და ეკლესიაში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ნემსის დავარდნის ხმასაც კი გაიგონებდით. ზუსტად ამ დროს ვიგრძენი, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი მომითათუნა. გრძელი სკამის ბოლოში ვიჯექი. ჩანდა, ეს პიროვნება შემოსასვლელში იდგა და იქიდან შეეხო ჩემს მხარს.

თავიდან ელდა მეცა, როცა გავიფიქრე, რომ ამ წყნარი და თავშეკავებული ლოცვის დროს ვიღაც დადიოდა. როცა ზევით ავიხედე, გაოცებულმა ერთ-ერთი ყმაწვილი დავინახე, რომელიც წინა კვირას ახალგაზრდულ შეკრებას ესწრებოდა. ისიც ვიცოდი, რომ იმ საღამოს სულიწმიდით მონათლულთაგანი იყო. მან შემომხედა და მითხრა: „წავიდეთ!“ გავიფიქრე: „წავიდეთ? სად?“

საოცარი ის იყო, რომ ბიჭი მაშინდელივით ანათებდა და მივხვდი, რომ ღმერთი რაღაცის გაკეთებას აპირებდა. და მაინც, დარწმუნებული არ ვიყავი, რომ საამისოდ შესაფერისი დრო ან ადგილი იყო, რადგან პასტორთან უკვე მქონდა პრობლემები. თანაც, არ შეგვეძლო კვირა დილას ეკლესიაში ნებისმიერი რამ გაგვეკეთებინა, რასაც მოვისურვებდით.

მაშინ მან მითხრა:

– დედაჩემისთვის ლოცვას ვაპირებ.

მივხვდი, რაშიც იყო საქმე. დედამისს ვიცნობდი. ის პატარა, გამხდარი ქალი იყო და კარგა ხანია, ავადმყოფობდა. მას ხერხემლის ხუთი მალა დაზიანებული ჰქონდა და ექიმი ერთადერთ იმედს მათ ერთმანეთთან დაკავშირებაში ხედავდა. ეს სერიოზული ოპერაცია გახლდათ, ხოლო ჩემი მეგობარი მისი ერთადერთი შვილი იყო. რა თქმა უნდა, დედის გამო ღელავდა. სულიწმიდით ნათლობის შემდეგ დარწმუნებული იყო, რომ იესო დედამისს განკურნავდა. როცა მან წაყოლა მთხოვა, ვიფიქრე, რომ დედამისთან მისვლა და ხელების დადება სურდა, რომ

მისთვის ჩუმად ელოცა, მაგრამ ამის გაკეთებას სულაც არ აპირებდა. ბიჭი დედასთან მივიდა, სკამიდან პირდაპირ ხელში აიყვანა და წინა რიგებისკენ წავიდა.

მან დედამისი დასვა და ენებზე, რაც შეიძლება, ხმამაღლა ლოცვა დაიწყო. გაიხსენეთ, რომ ეს ხდებოდა „წყნარი“ ლოცვის დროს, რომელსაც წყნარი აღარ ეთქმოდა. გაოგნებული დავრჩი! შემდეგ ჩემსკენ შემობრუნდა და თქვა:

– შენ ახსენი, რა ხდება.

ახლაღა მივხვდი, რატომ წამომიყვანა. მე ერთადერთი ვიყავი, ვინც მას სულიწმიდით ნათლობის შესახებ უამბო და იფიქრა, რომ დედამისის განსაკურნებლად ენებზე ლოცვის შემდეგ მთელ მრევლს მოვუყვებოდი ამის თაობაზე.

ამრიგად, ვიდექი ხალხის წინაშე მქადაგებელივით, ის კი დედამისისთვის ლოცულობდა ენებზე. მართლა არ ვიცოდი, რა უნდა მელაპარაკა, თუ გავითვალისწინებთ, რომ პასტორი მე მომჩერებოდა. უბრალოდ ვუთხარი ხალხს, რომ დედამისი ავადმყოფობდა და ის ენებით ლოცულობდა მის განსაკურნებლად, რაზეც ბიბლიაში ეწერა. იცით, რა მოხდა? დედამისი მეყსეულად განიკურნა იმ დილას ეკლესიაში!

ეს იყო შვილის რწმენა, რომლისთვისაც სულ ერთი იყო, ვინ რას იფიქრებდა მის ლოცვაზე. ის დარწმუნდა, რომ სულიწმიდა ცოცხალი იყო და დედამისის განკურნება შეეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ ქალი მომენტალურად განიკურნა, ეკლესიამ ვერ მიიღო ეს ამბავი. სინამდვილეში, ბევრი მოვიდა ჩემთან შემდეგ და მითხრა:

– წინააღმდეგი არ ვარ, რომ ბიჭმა დედისთვის ილოცა, მაგრამ ამ ენების საკითხთან გამკლავება შეუძლებელია.

გარანტირებულად შემიძლია ვთქვა, რომ ეშმაკი ენებზე ლოცვას ვერ იტანს. იმედი მაქვს, წიგნის დასრულებამდე მიგახვედრებთ, რატომ არის ასე.

შესაძლოა, თქვენც ისეთ ეკლესიაში აღიზარდეთ, სადაც ენებით არ ლოცულობენ და არც სულიწმიდის ნიჭებია გამოყენებული. შესაძლოა, გასწავლიდნენ, რომ ენები დღეისთვის უმოქმედოა და განქარდა. ამ საკითხების განმარტება რთული როდია, რადგან ბიბლია ნათლად ლაპარაკობს მათზე. მოდით, კარგად განვიხილოთ სიტყვა და გამოვარკვიოთ ჭეშმარიტება სულიწმიდით ნათლობის შესახებ. დავუბრუნდეთ მუხლს, რომელიც ამ თავის დასაწყისში წავიკითხეთ.

იერუსალიმს ნუ გაშორდებით, არამედ დაელოდეთ მამის მიერ აღთქმულს, ჩემგან რომ მოისმინეთ; რადგან იოანე წყლით ნათლავდა, თქვენ კი, არცთუ მრავალი დღის შემდეგ, მოინათლებით სულიწმიდით.

– საქმეები 1:4ბ-5

ამ მუხლში რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს ვხედავთ:

1. სულიწმიდით ნათლობა წყლით ნათლობისგან განსხვავდება.
2. იესომ თქვა, რომ ეს უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო. ფაქტობრივად, მან ნათლად გვითხრა, რომ მის გარეშე ვერაფერს ვიზამდით.

გახსოვდეთ, რომ იესომ მოწაფეებს წასვლა და სახარების ერებისთვის მიტანა დაავალა, მაგრამ სულიწმიდით ნათლობის გარეშე ცათა სამეფოს დემონსტრირებას ანუ მის შესახებ დამოწმებას ვერ შეძლებდნენ. ამრიგად, მან თქვა, „დარჩით, სანამ ძალით შეიმოსებოდეთ.“

თქვენ მიიღებთ ძალას, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და დედამიწის კიდემდე“.

– საქმეები 1:8

ძალა! ძალის აღმნიშვნელო ბერძნული სიტყვა გახლავთ *დუნამის* და აქედან გვაქვს მიღებული დინამიტი. ამრიგად, ვნახეთ, რომ ღვთის ძალა მოდის ჩვენზე მისი საქმის საკეთებლად. იესომ მსახურების დასაწყისში ახსენა, რომ ძალა ანუ ცხებულება, რომლითაც ის მოქმედებდა, მამისგან მოდიოდა.

სიტყვებს, მე რომ გეუბნებით, ჩემით კი არ ვამბობ, არამედ ჩემში მყოფი მამა აკეთებს საქმეებს.

– იოანე 14:10ბ

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ძეს თვითონ არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

– იოანე 5:19ბ

ხედავთ? იესოს თავად სჭირდებოდა ღვთის სულით გაძლიერება. სიტყვა *ცხებულება* ნიშნავს „რაღაცისთვის გამოყენებას“. იესომ ცხებულება მდინარე იორდანეზე მიიღო ზეციერი მამისგან, როცა სულიწმიდა გადმოვიდა მასზე მტრედივით.

მხოლოდ მას შემდეგ შეძლო ცათა სამეფოს საქმეების კეთება, რაც ეს ცხებულება მიიღო. თუ იესოს სჭირდებოდა ძალა, მით უმეტეს, ჩვენ! ძალა თვალსაჩინოდ დაუმოწმებს ადამიანებს, რომლებიც ღმერთს არ იცნობენ, რომ იგი რეალურია.

ბიბლია ასევე ამბობს, რომ მიიღებთ ძალას, როცა სულიწმიდა გადმოვა თქვენზე და არა მაშინ, როცა თქვენში მკვიდრდება ზეციდან შობისას.

ბევრი იბნევა, როცა სულიწმიდით ნათლობაზე ვლაპარაკობთ. ისინი ფიქრობენ, რომ უკვე მიიღეს სულიწმიდა, როცა იესო უფლად აღიარეს. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ მათ მართლაც მიიღეს ქრისტე. სულიწმიდამ მათი სულები გააცოცხლა ღვთისთვის და ისინი ერთნი არიან უფალთან.

ჩვენ ცოცხლები ვართ უფლისთვის სულიწმიდის ძალით, როცა ზეციდან შობას ვიღებთ. თუმცა ყურადღება მიაქციეთ, რომ წერილის თანახმად სულიწმიდა ჩვენზე გადმოდის. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია: ზეციდან შობა და ცხებულება ანუ სულიწმიდით ნათლობა ორი სხვადასხვა მოვლენა გახლავთ. ამას უკეთ გავიგებთ, თუ იოან. 20-ს გადავხედავთ.

ხელახლა უთხრა მათ იესომ: „მშვიდობა თქვენდა! როგორც მე მომავლინა მამამ, მეც ისე მიგავლენთ თქვენ“. ეს რომ თქვა, შეუბერა და თქვა: „მიიღეთ სულიწმიდა“.

– იოანე 20:21-22

აქ იესოს ვხედავთ აღდგომის შემდეგ, როცა მოწაფეებს ესალმება, შეუბერავს და ეუბნება, რომ მიიღონ სულიწმიდა. ეს არის მომენტი, როცა ისინი ზეციდან შობას იღებენ და მათი სულები შინაგანად ცოცხლდებიან ღვთის მიმართ. თუმცა იესო მათ მაინც ავალებს სულიწმიდით ნათლობისთვის დალოდებას, რაც მოგვიანებით შედგება. მათ სრულად რომ მიეღოთ სულიწმიდა, როცა იესომ შეუბერა, მაშინ რატომ დაავალა იერუსალიმში დალოდება აღთქმული სულიწმიდის მისაღებად? ეს ორი სხვადასხვა მოვლენა და ორი განსხვავებული ფუნქცია გახლავთ, რომელთაც ერთი და იგივე სული აკეთებს. ისევ მინდა აღვნიშნო, რომ იესო სულიწმიდით მონათლული უნდა ყოფილიყო მსახურების დასაწყებად და შედეგის მისაღწევად. არ არსებობს არც ერთი ჩანაწერი, რომ იესომ სულიწმიდით ნათლობამდე რაიმე სასწაული მოახდინა. ამრავლებდა თუ არა პურს იესო ბავშვობაში, როცა სასადილო მაგიდასთან იჯდა? სასწაულებს ახდენდა მაშინ? გაამრავლა თავისი საბავშვო ულუფა, როცა გაუთავდა, რადგან ძლიერ შიოდა? არა! ის ამას არ აკეთებდა. რატომ არ აკეთებდა? უბრალო და წრფელი პასუხია: არ შეეძლო. მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო სასწაულების ქმნა, რაც სულიწმიდა მიიღო მდინარე იორდანესთან. ხედავთ? იესო დედამიწაზე ადამიანად მოვიდა.

იგი მოვიდა არა როგორც ძე ღვთისა თავისი ძალით და დიდებით, არამედ როგორც ადამიანი, რომელიც ნებისმიერი სხვა ადამიანივით იყო შეზღუდული. მას არ შეეძლო განკურნება და სასწაულების მოხდენა ისევე, როგორც ჩვენ არ შეგვიძლია ამის გაკეთება ჩვენში ან ჩვენგან.

თუმცა ჩვენგან განსხვავებით იესო არ იყო ღვთისთვის მკვდარი, როცა ჩვილად დაიბადა. მისი სული ყოველთვის ცოცხალი იყო ღვთის წინაშე. მას არ სჭირდებოდა ხელახლა შობა, როგორც ჩვენ. და მაინც, აუცილებელი იყო მისი მონათვლა სულიწმიდით, რომ თავისი მსახურება დაეწყო, თუმცა მისი სული ცოცხალი იყო ღვთისთვის და მის ძეს წარმოადგენდა. ჩვენც იგივეს ვაკეთებთ.

მოინათლა რა იესო, მაშინვე ამოვიდა წყლიდან და აჰა, გაიხსნენ ცანი და იხილა მან სული ღმერთისა, მტრედივით ჩამომავალი, მასზე რომ ეშვებოდა. და აჰა, ხმა ციდან

მეტყველი: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“.

– მათე 3:16-17

გაიხსენეთ, რომ იესოს ჩვენთვის მეფეთ მეფე და უფალთ უფალია, მაგრამ ის ამ პოზიციიდან არ მსახურობდა. მხოლოდ მაშინ დაიწყო სასწაულების მოხდენა, როცა მდინარე იორდანესთან მასზე სულიწმიდა გადმოვიდა. თქვენი მსახურება (იმიტომ, რომ ყველა მორწმუნე მოწოდებულია იესოს საქმეების საკეთებლად) ვერ დაიწყება, სანამ სულიწმიდით არ მოინათლებით – თქვენ მისი ძალა გჭირდებათ მიზნის მისაღწევად. ღვთის სულით ლოცვის უნარი გჭირდებათ, რომ იცოდეთ, როგორ იმოქმედოთ.

რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ზეციდან შობის განცდა შესთავაზოთ ადამიანებს და უთხრათ, რას ამბობს ბიბლია გადარჩენის შესახებ. ბევრი ქრისტიანი, რომელიც არ არის სულიწმიდით მონათლული, ეფექტურად უზიარებს სხვებს სახარების კარგ ამბავს, მაგრამ მათ არ აქვთ სამეფოს თვალნათლივ დემონსტრირების ძალა, როგორც ამას იესო აკეთებდა. ეს არის ბევრი სუსტი ქადაგების მიზეზი.

როცა იესო ფარისევლებს დაუპირისპირდა მათი ურწმუნოების თაობაზე, ახსენა მის მიერ მოხდენილი სასწაულები. მან თქვა:

მერწმუნეთ, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემშია. თუ არა და, თვით საქმეებს მაინც ერწმუნეთ.

– იოანე 14:11

ძირითადად, იესო ამბობდა, რომ ყველა არგუმენტი ქარწყლდება სამეფოს დემონსტრირებისას; საკითხი გადაჭრილია. რასაკვირველია, ახლა ყველა მორწმუნეს აქვს სრული და კანონიერი უფლება ყველაფერზე, რისთვის იესომ საზღაური გადაიხადა, განკურნების ჩათვლით. ყოველ მორწმუნეს შეუძლია რწმენით (ზეცასთან თანხმობით) მიიღოს ღვთის ნებისმიერი აღთქმა. ღვთისგან რაიმეს მისაღებად საჭირო არ არის სულიწმიდით ნათლობა. თუმცა ამ ძალის სხვებზე

გადმოსადინებლად, სულიწმიდის ნიჭების გამოსავლენად და ენებზე ლოცვის მეშვეობით ზეციურ საიდუმლოებებში სიარულით გახარებისთვის იმ ცხებულების ძალა უნდა იყოს თქვენზე! შესაძლოა, იკითხოთ: „რატომ უნდა ვილოცო ენებზე?“ ეშმაკი ვერ იტანს მორწმუნეებს, რომლებმაც იციან სულში (ენებით) ლოცვა და მინდა დავრწმუნდე, რომ ხვდებით, რატომაც. პავლეს ნათქვამს, რომ ყველაზე მეტს ლოცულობდა ენებით, რაღაც მიზეზი უნდა ჰქონოდა. 1 კორ. 14-ში მან ერთი განმარტება მოიყვანა, რომელიც უნდა წავიკითხოთ.

> *ენით მოლაპარაკე თავის თავს აშენებს, ხოლო, ვინც წინასწარმეტყველებს ეკლესიას აშენებს.*
>
> – 1 კორინთელთა 14:4

მოდით, მეტად ჩავუღრმავდეთ! რას ნიშნავს აშენება? აშენება ნიშნავს „დარიგებას ან სარგებლობის მოტანას განსაკუთრებით ზნეობრივად ანუ სულიერად“.[18]

დამეთანხმებით, რომ ბევრჯერ გჭირდებათ მითითება, სავალი გზის ცოდნა, ვითარებაში გარკვევა ან სწორი გადაწყვეტილების მიღება. სწორედ ამაში გეხმარებათ ენებით ლოცვა, რომელიც გაშენებთ ან გარიგებთ ცხოვრებისეულ საკითხებში. პავლე ამას ნათლად ხსნის.

> *ვინაიდან ენებით მოლაპარაკე ადამიანებს კი არა, ღმერთს ელაპარაკება და არავის ესმის, რადგან საიდუმლოებებს ლაპარაკობს სულით.*
>
> – 1 კორინთელთა 14:2

კიდევ ვიმეორებ, რომ პავლეს ნათქვამის თანახმად, ჩვენს სულებს აქვთ ისეთ საკითხებზე ლაპარაკის უნარი, რომლებიც არასდროს უნახავთ, გაუგონიათ ან სცოდნიათ, რასაც მოციქული „საიდუმლოებებს“ უწოდებს. ასევე, ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ მუხლში პავლე ჩვენს სულებზე ლაპარაკობს და არა ღვთის

18. http://www.dictionary.reference.com/browse/edified

წმიდა სულზე. როგორ ხვდება ჩვენს სულში უცნობი საკითხები? ეს ადვილი მისახვედრია. ღვთის სულით, რომელიც ახლა ჩვენს სულთან არის გაერთიანებული.

> *რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისაც არავინ იცის, გარდა ღვთის სულისა.*
>
> – 1 კორინთელთა 2:11

როცა ჩვენი სული იღებს აზრებს ღვთისგან, მაშინ ჩვენი გონებაც იღებს იმ აზრებს. როცა გონება ღვთიურს გაიაზრებს, ამას „გამოცხადებას“ ან „გონების განათებას“ ან როგორც პავლე ამბობს, „აშენებას“ ვუწოდებთ. ახლა უკვე ხვდებით, რატომ უხაროდა პავლეს, რომ სხვებზე მეტს ლაპარაკობდა ენებით; მას ყველა ვითარებაში შეეძლო ღვთის ნების ცოდნის სიკეთით სარგებლობა.

სწორედ ამაზე მიუთითებს ის 1 კორ. 2:15-16-ში:

> *ხოლო სულიერი ყოველივეს განსჯის, თავად კი არავისგან განისჯება. ვინ შეიცნო უფლის გონება, რომ განსაჯოს იგი? ჩვენ კი ქრისტეს გონება გვაქვს!*

სულიწმიდით ნათლობა ღვთის საიდუმლო იარაღია!

ჩვენ არ ვართ უბრალო ადამიანური განსჯით შემოფარგლული, არამედ ყველაფრის განსჯა შეგვიძლია. ეს შესანიშნავი სიახლეა! სულში (ენებზე) ლოცვისას იმ საიდუმლოებათა მიღების უნარი გვაქვს, რომლებიც არ ვიცოდით. ამ ცოდნის მეშვეობით სწორი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია ყველა საკითხზე! სულიწმიდით ნათლობა ღვთის საიდუმლო იარაღია! მას შეუძლია თავისი ნების დედამიწაზე ჩამოტვირთვა ისე, რომ ეშმაკი ვერ მიხვდეს, რა ხდება. სინამდვილეში, სულით ლოცვა ეფეს. 6:18ა-ში ნახსენები სულიერი აღჭურვილობის ნაწილია.

> *ყოველგვარი ლოცვით და ვედრებით ილოცეთ ყოველ ჟამს სულით.*

სულიწმიდით ლოცვა ისეთი სტრატეგიების მოპოვების საშუალებას გვაძლევს, რომლებითაც მტერს გვერდს ავუვლით ან წინ წავალთ უნიკალური და უჩვეულო ტაქტიკის მეშვეობით. პავლე ამბობს, რომ ღვთის სული გვიხსნის იმ საკითხებს, რომლებიც უსასყიდლოდ მოგვეცა. ნაგულისხმევი სარგებელი იმაში მდგომარეობს, რომ ქრისტეს გონების მეშვეობით სწორ ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებს ვიღებთ. ვფიქრობ, მოგიწევთ დათანხმება, რომ ეს ძალიან მაგარი რამეა!

(ამ თავის გარკვეული ნაწილი აღებულია ჩემი წიგნიდან „თქვენი ფინანსური რევოლუცია: სტრატეგიის ძალა“. სულიწმიდის მოსმენაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, იფიქრეთ ერთი ეგზემპლიარის შეძენაზე.)

თავი 10

დაუყოვნებლობის კანონი

როცა სახლში ვზივარ, ფანჯრიდან ჩემს უკანა ეზოს გადავყურებ. შესანიშნავ ადგილას ვცხოვრობ ოჰაიოს სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, რომელსაც ლამაზი ფოთლოვანი ტყით დაფარული ოდნავ დაქანებული გორაკები ამშვენებს. ჩემს საკუთრებაში 55 აკრზე მეტი მიწაა, საიდანაც 20 აკრი ტყეს უჭირავს, ხოლო 10-12 აკრი – წყალმარჩხობს, დარჩენილი ნაწილი კი – მინდვრებს. ერთადერთი, რაც აკლია, ტბორია. მართალია, მარჩხობი საკმარისად წყლიანია იმისთვის, რომ შემოდგომით იხვებზე ნადირობა შევძლო, მაგრამ არც იმდენად, რომ თევზმა ზაფხულის სიცხეები გადაიტანოს.

გასულ წელს გადავწყვიტე, კარგი ტბორი მომეწყო. ახლა, როცა უკანა ვერანდაზე ვზივარ, მარჩხობს, ტყეებსა და ახლა უკვე ლამაზ ტბორსაც გადავყურებ. ამით ძალიან აღფრთოვანებული ვარ.

ტბორის მოწყობის რეალური მიზეზი თევზაობის სიყვარულია. ტბორის სიახლოვეს გავიზარდე და სათვალავი არ აქვს იმ საღამოებს, რომლებიც მეგობრებთან ერთად წყლის პირას ლოქოს ჭერაში გამიტარებია.

როცა Now Center – ჩვენი მსახურების სათავო ოფისი ავაშენე, ტბორი პირდაპირ ოფისის უკანა კართან მოვაწყვე, სადაც ჩემი ანკესი მელოდება. წყალში დიდი ცისარტყელისებრი კალმახი მოვამრავლე. მარტივად შემიძლია ოფისიდან გამოძრომა, 40 ფუტის გავლა და ვახშამის დაჭერა. იგივე ვარიანტის მოწყობა სახლშიც განვიზრახე, ამიტომ ჩემი ახალი ტბორი კალმახით, ყვითელი ქორჭილით, ლურჯლაყუჩებიანი მზე-თევზით და ლოქოთი ავავსე. ოჰო, რა დიდებული ნაკრებია!

თვალსაჩინოებისთვის თევზაობის შერჩევას თავისი მიზეზი აქვს, რადგან ასე უფრო კარგად აიხსნება დაუყოვნებლობის კანონის რაობა და მისი მნიშვნელობა თქვენი დავალებისთვის.

წინა კვირას ფლორიდის რამდენიმე ეკლესიაში ვასწავლიდი. ჩემს ერთ მეგობარს სახლი აქვს *გალფ ქოუსთ ბიჩთან* (მექსიკის ყურის მახლობლად) და რამდენიმე დღით დამპატიჟა. ამ შანსზე უარის თქმას არ ვაპირებდი, განსაკუთრებით თუ თევზაობასაც შევძლებდი. ამრიგად, მე და დრენდა იქ დავრჩით რამდენიმე ღამით. სანაპიროზე პირველი დღეს გავედი და სულ რაღაც, ერთ საათში დავიჭირე ექვსი მერლანგი, ორი ლოქო, ერთი ელოპსი და ორი ზვიგენი. ზვიგენები და მერლანგი სადილად მივირთვით. აი, დღევანდელი გაკვეთილი! როცა ვთევზაობ, ნამდვილად ვთევზაობ. ანკესი ხელში მიჭირავს და უმცირეს რხევასაც ვაკვირდები. ყოველთვის ვფხიზლობ. მზად ვარ, თვალის დახამხამებაში ამოვათრიო ანკესი. ამის გამო ბევრ თევზს არ ვუშვებ ხელიდან. ორი თვის წინ ანკესი ამოვიღე და ხელში არ მეჭირა. არ იცით, რა მოხდა? თევზმა ძუა გაიტაცა და ანკესმა პირდაპირ ჰაერში გაიფრიალა, სანამ ოკეანეში ჩაეშვებოდა. მოუმზადებელს წამასწრეს, ამიტომ თევზიც დავკარგე და ანკესიც!

და აი, დაუყოვნებლობის კანონიც: **თევზის დაჭერა გსურთ თუ სატყუარის დაჭრა?** (ფრაზა მიანიშნებს არჩევანის გაკეთებაზე) დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამოთქმა ადრეც გსმენიათ. აქ საუბარია ორი კატეგორიის ადამიანებზე. ერთნი მეტისმეტად ღელავენ სატყუარის მომზადებაზე და აქ მკვეთრად ხაზგასმულია სიტყვა „ღელვა“, ხოლო მეორენი თევზაობას ანიჭებენ უპირატესობას. როცა თევზის დაჭერას ვაპირებ, დაძაბულ მოლოდინში ვარ, რომ ნებისმიერ მომენტში ვიმოქმედო. ისეთ ადამიანებთან ერთადაც მითევზავია, რომლებიც მთელი გულისყურით არ არიან საქმეში ჩართული და ძუის მოძრაობას არ აკვირდებიან. როცა თევზი წამოეგება, ვყვირივარ: „ჰეი, თევზი მოვიდა!“ ისინიც ხელს ავლებენ ანკესებს, მაგრამ უკვე გვიანია, რადგან თევზი გაქრა. ზოგჯერ ამის თქმა მიწევს: „ჩანს, რომ ნემსკავზე სატყუარა უნდა წამოაგო“ ან „ნება მომეცით, დაგეხმაროთ და ძუა იმ ხეს მოვაშოროთ“. ვფიქრობ, ყველას გვინახავს ასეთი ადამიანები. შესაძლოა, ისე გამოიყურებოდეს, რომ თევზაობაზე ვლაპარაკობ, მაგრამ სინამდვილეში ასე არ

გახლავთ. თქვენს თანამშრომლებს ვგულისხმობ, რომლებთანაც დროს ატარებთ და შესაძლოა, თქვენც მოგიაზრეთ. ვლაპარაკობ ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებზე. აი, სიმართლე ამ საკითხის თაობაზე: ადამიანები, რომლებიც უგულისყუროდ მოქმედებენ, ვერც კი ხვდებიან, რა შანსს უშვებენ ხელიდან! კონსულტანტად რომ დაგექირავებინეთ, რაც გააკეთეთ კიდეც ამ წიგნის შეძენით, გარანტიას მოგცემდით, რომ უამრავი შესაძლებლობა გაქვთ ხელდან გაშვებული და ამ კანონის გამოუყენებლობით დიდძალ ფულს დაკარგავთ. რამდენიმე დღის წინ ჩემმა ცოლმა ჰონდას ადგილობრივ დილერს დაურეკა კვადროციკლის შეკეთების თაობაზე. გვითხრეს, რომ მხოლოდ სამი-ოთხი კვირის შემდეგ შეძლებდნენ მის მიღებას. დრენდამ უპასუხა:

– ეს მეტისმეტად გვიანია. ჩემს მეუღლეს ახლის ყიდვაც უნდა, სანამ მან იქნება. არ არსებობს ამ ძველის უფრო ადრე მიღების რამე გზა? უბრალოდ, აკუმულატორის გამოცვლა და ახალი საბურავების დაყენება გვინდა.

– ბოდიშს გიხდით, მაგრამ ეს შეუძლებელია.

ეს მეტისმეტად მტკიცე განაცხადია. შეუძლებელია? ამ საქმეს ერთი საათიც კი არ დასჭირდებოდა. შემდეგ ჩემმა ცოლმა მენეჯერს ასე უთხრა:

– ძალიან ცუდი, რადგან თქვენ გაყიდვის შესაძლებლობა დაკარგეთ. ჩვენს კვადროციკლს ამა და ამ ჰონდას მაღაზიაში წავიყვანთ, თქვენ კი მადლობა დახარჯული დროისთვის.

ამის შემდეგ მომსახურების მენეჯერმა ასე უპასუხა:

– კარგი, ბოდიშს გიხდით.

ნება მომეცით მომსახურების მენეჯერისთვის დრენდას ნათქვამი გადაგითარგმნოთ: „ვიცი, რომ მანქანა თქვენგან ვიყიდეთ, მაგრამ თქვენს მაღაზიაში აღარასოდეს დავბრუნდებით რაიმეს შესაძენად“.

ახლა ვივარაუდოთ, რომ მომსახურების განყოფილება მართლაც გადატვირთულია. ვგულისხმობ, რომ ისინი არასამუშაო დროსაც იყენებენ ყველა კვადროციკლის მომსახურებისთვის. რას იზამდით ჩვენი მსგავსი ზარის დროს? ალბათ, ყველა თანამშრომელს ვკითხავდი, რომელიმე შეძლებდა თუ არა და პატარა ბონუსსაც შევთავაზებდი. ნებისმიერი ცალტვინა მიხვდება, რომ მომსახურების ზარის უარყოფით კლიენტსაც

კარგავს, რომელიც ადრე ენდობოდა. ახლა ის კონკურენტებს მიმართავს და ალბათ, უკან არასოდეს დაბრუნდება.

როცა იმ დილერთან ჩემი კვადროციკლის ყიდვის ამბავზე ვფიქრობდი, გამახსენდა, რომ დიდად არ მომაქციეს ყურადღება. არავინ მოვიდა მოსახმარებლად; ვიღაცის პოვნა მომიხდა, რომ დამხმარებოდა. არ ამიხსნეს კვადროციკლის ყველა ფუნქცია. ფაქტობრივად, ექვსი თვის შემდეგ მივიღეთ პაკეტი ფოსტით, სადაც მანქანის გამოყენების ინსტრუქცია და ხელნაწერი შენიშვნა იდო: „ეს მომსახურების დეპარტამენტში ვიპოვეთ, შევამოწმეთ და თქვენი მანქანის აღმოჩნდა.“ ამ კონკრეტულ მომსახურების მენეჯერთან ჩვენი ურთიერთობის გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია მისი პიროვნების შესახებ რამდენიმე მოსაზრება გაგიზიაროთ. პირველი, ის არ გახლავთ მესაკუთრე! მეორე, ალბათ მეტ ენერგიას ბოულინგის ლიგაში თამაშზე ხარჯავს, ვიდრე სამსახურზე. თუმცა ეს ახალგაზრდა ანომალიური მოვლენა არ გახლავთ; ასეთია ჩვენი კულტურა. ახლა უფრო მეტი პირდაპირობა მმართებს და მინდა იგავი მოვიყვანო, რომელიც იესომ ლუკას სახარების მე-16 თავში გვიამბო. ვიცი, რომ ბევრი დრო დაგვჭირდება, მაგრამ ნამდვილად არსად გეჩქარებათ. უმჯობესია, იესოს ნათქვამზე დავფიქრდეთ.

> *თავის მოწაფეებსაც უთხრა: „იყო ერთი მდიდარი კაცი; ჰყავდა სახლმმართველი, რომელზეც ამბავი მიუტანეს, ქონებას გინიავებსო. დაიბარა და უთხრა: ეს რა გავიგე შენზე? ჩამაბარე შენი მმართველობის ანგარიში, რადგან სახლმმართველი ველარ იქნებიო. მაშინ თქვა სახლმმართველმა თავისთვის: როგორ მოვიქცე? ჩემი ბატონი მმართველობას მართმევს. ბარვა მე არ შემიძლია, მათხოვრობის კი მრცხვენია. ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე, რომ მიმიღონ თავიანთ სახლებში, როცა მმართველობას ჩამომაშორებენ. სათითაოდ დაიბარა თავისი ბატონის მოვალეები; ჰკითხა პირველს: რამდენი გმართებს ჩემი ბატონისა? მიუგო: ასი საწყაო ზეთი. უთხრა: აიღე შენი თამასუქი, ახლავე დაჯექი და ორმოცდაათი დაწერე. შემდეგ სხვას ჰკითხა: შენ რამდენი გმართებს? მან თქვა: ასი საწყაო ხორბალი. უთხრა: აიღე შენი თამასუქი და ოთხმოცი დაწერე. და შეაქო ბატონმა*

უმართლო სახლმმართველი, გონივრულად რომ მოიქცა, რადგან წუთისოფლის შვილები სინათლის შვილებზე მოხერხებულნი არიან თავიანთ თაობაში. მეც გეუბნებით თქვენ: შეიძინეთ მეგობრები უმართლობის მამონით, რომ, როდესაც გაღარიბდებით, მიგიღონ მარადიულ სავანეში. მცირედში ერთგული დიდშიც ერთგულია; და მცირედში უმართლო, დიდშიც უმართლოა. ჰოდა, თუ უმართლო მამონაში არ იქნებით ერთგულნი, ჭეშმარიტს ვინ მოგანდობთ? და თუ სხვისაში არ იქნებით ერთგულნი, თქვენსას ვინ მოგცემთ? არც ერთ მსახურს არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს; ან იმ ერთს შეეთვისოს და მეორე მოიძულოს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც!“

– ლუკა 16:1-13

ოჰო, ოჰო! ეს იგავი ზედგამოჭრილია! ის მენეჯერიც ნაკლებად ზრუნავდა კვადროციკლების მეპატრონის მაღაზიაზე. (მაპატიეთ, რომ იგავის ჩვენს ამბავზე მორგებას ვცდილობ). მას ერთი რამ ადარდებდა: სამუშაო საღამოს 5:00-ზე დაესრულებინა ან უამრავი სხვა მიზეზი შეიძლება, არსებობდეს. მას ეს საქმე ნულიდან რომ დაეწყო, მკაფიო წარმოდგენა ჰქონოდა ზედნადებ ხარჯებზე, რომლებიც მხოლოდ მაღაზიის ფუნქციონირების დაწყებისთვის იყო საჭირო და ამასთან, კარგად გაეცნობიერებინა, რომ უკანასკნელი იქნებოდა ხელფასის ამღებთა რიგში ყოველგვარი სხვა ხარჯების გასტუმრების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, არასოდეს იტყოდა სიტყვას: „შეუძლებელია!“

იგავში იესო ამბობს, რომ უმართლო მენეჯერს მესაკუთრესავით ფიქრის შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ მაინც საკუთარ თავზე ფიქრი ამჯობინა. ის უპატიოსნო თანამშრომელი აღმოჩნდა! არა, ნება მომეცით, სხვაგვარად ვთქვა: ის უპატიოსნო პიროვნება იყო – დაქირავებული. **თუ სხვის საკუთრებაში არ გამოიჩინეთ ერთგულება, ვინ მოგცემთ საკუთარს?** ეს გახლავთ მუდამ ტელეფონზე ჩამოკიდული ადამიანი, რომელიც თევზაობს და უკვირს, როგორ ვერ იჭერს თევზს.

საოცარი იყო წლების მანძილზე იგივე სცენარის განვითარება ჩემს საკუთარ ბიზნესში. დავიქირავე გრაფიკული და

მარკეტინგული საქმის სპეციალისტები, რომელთაც დაუყოვნებ-ლობა არ ახასიათებდათ. გამუდმებით მიხდებოდა მათი შეხსენება, რომ რაღაც გამოექვეყნებინათ ან დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ კონკრეტული ღონისძიება ვებგვერდზე მოხვდებოდა. ზოგჯერ აღმოვაჩენდი, რომ რამდენიმე თვის წინ მომხდარი მოვლენა გვერდზე ისევ ჩანდა. შემდეგ ვიგებდი, რომ მათ საკუთარი ბიზნესი ჰქონდათ „გვერდზე". როცა მათ ვებგვერდს ვათვალიერებდი, ყველაფერი იდეალურად და ლამაზად გამოიყურებოდა და ყველა ბმული მუშაობდა. ან მყავდა მეტისმეტად ზანტი თანამშრომელი და გაოგნებული ვრჩებოდი, როცა დავინახავდი, რა სისწრაფით ასრულებდა საკუთარ საქმეებს.

გულწრფელად რომ ვთქვა, დაუყოვნებლობის და დასაკუთრების ნაკლებობა ქვეყნის ეპიდემიად იქცა. დარწმუნებული ვარ, რომ ამის დანახვა თქვენს საკუთარ ქალაქში, ადგილობრივი სწრაფი კვების ობიექტებშიც შეგიძლიათ. ჩვენთანაც იყო მაკდონალდსი, სადაც დამხმარე პერსონალს სკამები მაგიდებზე უნდა აეკეცა და დაკეტვამდე ერთი საათით ადრე სასადილო ტერიტორიაზე შუქები აენთო. შუქები ენთო იქ სადაც, სალაროები იდგა, მაგრამ დასაჯდომი ადგილები ბნელში რჩებოდა. ყველანი ფიქრობდნენ, რომ რესტორანი უკვე დაიკეტა, რახან სკამები აკეცეს და შუქები ჩააქრეს.

ერთ დღეს იქ შევიარე, როცა შუქები ჩამქრალი იყო, ხოლო სკამები – მაგიდაზე აკეცილი და ვუთხარი:

– უკაცრავად! ვიცი, რომ იკეტებით, მაგრამ ერთ ჭიქა ჩაის ხომ ვერ გამატანთ?

ელდა მეცა, როცა მოლარემ მითხრა:

– ოჰ, რასაკვირველია! კიდევ ერთ საათს არ დავიკეტებით.

მე ვკითხე:

– თქვენი სასადილო განყოფილება ღიაა?

– რა თქმა უნდა, ოღონდ ჯერ სკამები ჩამოიღეთ მაგიდიდან.

ამრიგად, ჩემს კითხვაზე, იყო თუ არა ღია სასადილო, მან მიპასუხა, რომ იყო.

– მაშ, – ვუთხარი მე, – შეგიძლიათ, მითხრათ, რატომ ალაგებთ სკამებს მაგიდაზე და სასადილოში შუქებს რთავთ, თუ დაკეტვამდე კიდევ ერთი საათია დარჩენილი?

– ოჰ, თქვენ მაინც შემოდით. მენეჯერს სურს, ყველანი წავიდეთ ზუსტად დაკეტვის დროს, ამიტომ სკამებს მაგიდაზე ვაწყობთ მოსამზადებლად და იატაკს ვწმინდავთ.

– საინტერესოა! ესე იგი, მენეჯერი დასაკეტად ემზადება, სანამ რესტორანი ჯერ კიდევ ღიაა, ნაცვლად იმისა, რომ ხალხის მისაღებად მოემზადოს, სანამ ის ჯერ კიდევ ღიაა!“ ჩემთვის ეს მოჯამაგირის მიდგომას წააგავს.

ღია ხართ თუ არა?

აი, იესოს სწავლებაზე დაფუძნებული სანდო განაცხადი. არასოდეს დააყენოთ დაქირავებულის აზროვნების მქონე თქვენი თანამშრომლების უფროსად – არასოდეს. ვფიქრობ, უფერულობისკენ ქვეყნის გადახვევაში ერთი კარგი ის არის, რომ დროულად წარდგენის შემთხვევაში მზესავით გაანათებთ ბნელ სამყაროში. რამდენადაც ვიცი, ყველა დამსაქმებელს უჩნდება ისეთი დამხმარის მოძებნის პრობლემა, რომელიც მესაკუთრესავით ფიქრობს. აჩქარების ამ კანონის გათვალისწინება არა მარტო დიდ შემოსავალს მოგიტანთ, არამედ მოულოდნელადაც აგამაღლებთ სხვა თანასწორებზე მეტად, როგორც იოსებმა გააკეთა ციხის წვრთნის შემდეგ ფარაონის წინაშე დამდგარმა. ამის შემდეგ ის მეორე კაცი გახდა მთელ ეგვიპტეში.

ცხოვრებაში არ არსებობს პატარა ან უმნიშვნელო პოზიცია. ღმერთმა იცის, როგორია თქვენი გული და დისციპლინა სიწრფელით და დაუყოვნებლივ სამოქმედოდ. იგი დარწმუნებულია, რომ ადამიანები თქვენს შესახებ გაიგებენ.

ცხოვრებაში არ არსებობს პატარა ან უმნიშვნელო პოზიცია.

შესავალში გიამბეთ, თუ როგორ აღმოვაჩინე ცხრიდან ერთ-ერთი დაუყოვნებლობის კანონი, რომელიც უნდა ამეთვისებინა. როგორც გითხარით, ეკლესიის მწყემსობისა და ყოველდღიური ტელეგადაცემების წაყვანის გარდა ფინანსურ კომპანიასაც ვმართავ, რომელიც ადამიანებს ვალიდან ამოსვლასა და საპენსიო თანხების უსაფრთხო ინვესტირებაში ეხმარება, სადაც ბაზრის ცვალებადობის გამო ძირითადი თანხის დაკარგვის არ შეეშინდებათ.

მოკლე მიმოხილვისთვის გეტყვით, რომ ამ მომწოდებელთან რამდენიმე წელი ვიმუშავე. ისინი ყოველწლიურ კონვენციას

აწყობენ თავიანთი სავაჭრო წარმომადგენლებისთვის, რომლებიც გარკვეულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. მე ყოველთვის მიწევდა დასწრება, რადგან წელიწადში 4,000,000 დოლარს გამოვიმუშავებდი. ყრილობაზე მათ 10 საუკეთესო წარმომადგენელი გამოარჩიეს და 100,000 დოლარის ოდენობის ბონუსით და სხვა რამდენიმე სასიამოვნო უპირატესობით დააჯილდოვეს. მათთან 14 წელი ვთანამშრომლობდი 4,000,000-დოლარიანი მოცულობის შემოსავლით. მე და დრენდა ამ კონკრეტულ წელსაც მოვხვდით კონფერენციაზე ჩვენი 4,000,000-დოლარიანი საშუალო მწარმოებლურობით. არასწორად არ გამიგოთ! თავად კონგრესი ყოველთვის სასიამოვნო იყო და მადლობელი ვიყავი, რომ დაახლოებით, 80 კომპანიაში შევდიოდი, რომლებიც სხვა ასეულობით კომპანიიდან აარჩიეს, რომლებიც იქ არასოდეს მოხვედრილან.

ამ წელს, როცა იქ ვიჯექი და ვიყურებდი, როგორ მიიღო აღიარება და ბონუსი 10-მა საუკეთესო წარმომადგენელმა, მოულოდნელად უფალი დამელაპარაკა და მითხრა:

– მინდა, რომ მათ შორის იყო!

ამ მოკლე ნათქვამმა გამაშეშა.

– უფალო, შენ იცი, რატომ არ ვარ იქ. დაკავებული ვარ მწყემსობით და ყოველდღიური ტელეგადაცემებით. სცენაზე მდგარი ხალხი დღედაღამ ამ საქმიანობას ეწევიან. მე ამის დრო არ მაქვს და აღარც ძალ-ღონე მყოფნის.

შემდეგ ისევ გავიგონე მისი ნათქვამი:

– მინდა, რომ ჩემი მოწმე იყო.

გაზაფხული იდგა და საუკეთესო ათეულში მოსახვედრად 10,000,000 დოლარი უნდა გამომემუშავებინა.

ეს საკითხი დრენდასთან ერთად განვიხილე, ფინანსური თესლი დავთესეთ 10,000,000 დოლარისთვის და საქმეს უკვე გაკეთებული ვუწოდეთ. მიუხედავად ამისა, წარმოდგენა არ გვქონდა, როგორ უნდა გვეწარმოებინა 10,000,000 დოლარზე მეტი გაყიდვები წლის ბოლომდე დარჩენილ დროში, როცა 14 წლის მანძილზე 4,000,000 დოლარს არ ავცილებივართ. თუმცა იმ ცხებულების იმედი გვქონდა და ღმერთს ვენდობოდით, რომ გეგმას მოგვცემდა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ვნახე ძალზე უბრალო სიზმარი. ღმერთმა მითხრა, რა უნდა გამეკეთებინა, რომ პირველ ათეულში შევსულიყავი. რა

უცნაურიც არ უნდა იყოს, ორიოდე სიტყვა თქვა, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რას გულისხმობდა, როგორც კი მოვისმინე. ეს სიტყვები იყო: „გამოიყენე მომენტი!“

გამოიყენე მომენტი!

სიზმრის გამო ვილოცე და გავიაზრე, რის ჩვენება სურდა უფალს. როგორც იცით, ძალზე დაკავებული ვარ, მეტისმეტადაც კი. რახან დრო არ მაქვს არც მე და არც ჩემს თანამშრომლებს, ზოგჯერ ისე სწრაფად ვერ ვპასუხობთ ინფორმაციის მისაღებად ან მომსახურებისთვის შემოსულ ზარებს, როგორც საჭიროა. არავინ ზარმაცობდა; უბრალოდ, სხვა კლიენტების საქმეებით იყვნენ დაკავებული.

ამ თავის თხრობას ვწყვეტ, რომ თქვენი ტესტირება მოვახდინო. იქიდან გამომდინარე, რაც ახლახანს ვთქვი და რაც ამ წიგნიდან გაიგეთ, როგორია თქვენი დიაგნოზი? მართალს ბრძანებთ. დიახ, ეს საშინელი დაავადება შეგვეყარა, რასაც მწარმოებლურობის ზღვარი ჰქვია. და თქვენ ამბობთ, რომ სასიკვდილო შედეგი დადგება თუ სწრაფად არ გადაიჭრა? ექიმო, როგორია თქვენი რეცეპტი? რას მეუბნებით? მხოლოდ ორი პროცესი ძილის წინ ადმინისტრაციიდან მიღებული ახალი მონაცემების გამოყენებით?

მაშ ასე, ცოტა გავიხუმრეთ, მაგრამ ეს საკითხი სახუმარო სულაც არ არის. ეს რეალურია და დიახ, შეიძლება სასიკვდილო აღმოჩნდეს თქვენი ხედვისთვის.

ჩვენი პროცესები უნდა შეცვლილიყო, თუ ნამდვილად გვინდოდა 4,000,000 დოლარიდან 10,000,000 დოლარამდე მოგვეღწია და გადაგვეჭარბებინა წლის დარჩენილ მონაკვეთში. ამიტომ შეკრება დავნიშნე და გამოვაცხადე, რომ ნებისმიერმა კლიენტმა ან პოტენციურმა კლიენტმა, რომელიც კი დაგვირეკავს, ერთ საათში მიიღოს ჩვენგან საპასუხო ზარი ყველაფრის მიუხედავად. მეც იგივე გავაკეთე. ერთი პრობლემა, რომელიც ზოგჯერ სწრაფად რთულდებოდა, იყო წესი, რომ პირისპირ შევხვედროდით 50,000 დოლარზე მეტის გადამხდელ კლიენტებს. ვფიქრობდი, რომ არავინ მოისურვებდა ფულის ჩადებას ისე, რომ ამომწურავი პასუხი არ მიეღო ყველა კითხვაზე რეალური ადამიანისგან, რომელიც მისი ფინანსური მწვრთნელი უნდა გამხდარიყო. კარგია პირადი შეხვედრები, მაგრამ ჩვენ ყველა შტატის ლიცენზია მოვიპოვეთ და ყველგან გვყავს

კლიენტები. ჩვენი წესი წესად რჩება. კლიენტს პირადად უნდა გაესაუბროთ, ვინც კი 50,000 დოლარზე მეტის ინვესტიციას მოინდომებს, თუ თავად არ მოისურვებს ზუმით ან ტელეფონით დაკავშირებას. სხვა შემთხვევაში პირისპირ შესახვედრად მზად ვიყავით ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში. მივხვდი, რას მუბნებოდა ღმერთი – ნებისმიერი მომენტით უნდა გვესარგებლა და ეს ადვილი არ იქნებოდა. მახსოვს, რომ იმ წელს ჩვენი ოჯახი ნიუ იორკიდან რომამდე სამოგზაუროდ გაემართა და ჩემს წესზე დაყრდნობით, ზარებს ვპასუხობდი და შეხვედრებს ვნიშნავდი შუა ატლანტის ოკეანეში. ბევრჯერ ვიღლებოდი და შესაძლებლობების მაქსიმუმს რომ ვაღწევდი, მაშინ მირეკავდა ვიღაც დასავლეთ სანაპიროდან. შეხვედრას საღამოს 9:30-ზე ვნიშნავდი და ოჰაიოდან საღამოს 9:00 საათზე (აღმოსავლეთის სტანდარტული დროით) მივფრინავდი, რომ დროულად მივსულიყავი. შემდეგ იქიდან შუაღამის 3 საათზე მოვფრინავდი დაწითლებული, გამოუძინებელი თვალებით, დილის 7 საათზე ვდგებოდი, ვსაუზმობდი და სამსახურში მივდიოდი. ვისწავლე თვითმფრინავში ძილი. ბევრჯერ წასვლაც არ მინდოდა. უკვე დაღლილი ვიყავი, მაგრამ მყისვე მახსენდებოდა სიტყვები „გამოიყენე მომენტი“ და უკვე გზაში ვიყავი.

წლის ბოლოს ყველაფერი გამოგვივიდა. პირველ ათეულში მოვხვდით, სცენაზე დავდექით და 100,000-დოლარიანი ბონუსიც მივიღეთ. აი, საინტერესო ფაქტი. 10,000,000-დოლარიან მიზანს ერთი შემთხვევის წყალობით მივაღწიეთ. ერთი შემთხვევის! იმ წლის მანძილზე ერთი კლიენტის ზარიც რომ გამომეტოვებინა, არაფერი გამოგვივიდოდა. წამი გამოვიყენეთ და ბიზნესის სხვა სფეროების მაჩვენებლებმაც იმატა. მომდევნო წელს იმ მომწოდებელმა ბონუსის და საუკეთესო ათეულში მოხვედრის მსურველთათვის წარმოების მინიმალური აუცილებელი მოცულობა 12,000,000 დოლარამდე აწია. ამრიგად, მე და დრენდამ თესლი დავთესეთ და ღმერთს ვენდეთ 12,000,000 დოლარის მიღებაში. ეს საქმეც ერთი შემთხვევის წყალობით მოვაგვარეთ. მომდევნო წელსაც იგივე განმეორდა და ასე გაგრძელდა კიდევ ექვის წელი.

მახსოვს, როგორ გამოვიმუშავეთ 12,000,000 დოლარი პირველ წელს. ბუდაპეშტში კონგრესზე დასასწრებად მივფრინავდი. შესანიშნავი ქალაქია! მგზავრობისას ხალხმა კითხვების დასმა დამიწყო:

– როგორ მოახერხე ეს? რამდენი დახარჯეთ მარკეტინგზე?

მე ვპასუხობდი:

– არაფერი. მარკეტინგი აზრადაც არ მოგვსვლია. უბრალოდ, ადამიანიდან ადამიანს გადაეცემოდა.

მათ ამის დაჯერება უჭირდათ. რასაკვირველია, ყოველთვის ვყვებოდი ჩემს ისტორიებს, თუ როგორ შეცვალა ცათა სამეფომ ჩემი ცხოვრება. სცენაზე დგომისას ბევრჯერ დავამოწმე სახარებაზე.

შესავალში ერთი კითხვა დაგიტოვეთ: „როგორ შევძელით 4,000,000 დოლარის მწარმოებლურობიდან 10,000,000-ზე ასვლა ამ მომწოდებელთან?“ ფაქტობრივად, ჩვენს მიერ შემოტანილი ცვლილებები დაგვეხმარა, რომ ყოველ მომწოდებელთან გაგვეზარდა მწარმოებლურობა და საერთო ჯამში ჩვენი საინვესტიციო წარმოება 20,000,000 ამერიკულ დოლარს მიუახლოვდა.

ყველა სიტუაციაში მიზანდასახულობამ და დაუყოვნებლობამ მთლიანად შეცვალა საქმის გაძღოლის სტილი. დიდი ძვრა მოვიდა კომპანიის შიგნით მუშაობაშიც. რეალურად, ყველაზე დიდი ცვლილება ყოველი დღის დაგეგმვასა და წარმართვაში მოხდა. რასაკვირველია, ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა სტრატეგიის კანონის გააზრების გარეშე. ძალიან მჭირდებოდა სულიწმიდისგან ჩვენი მიზნის მისაღწევი სიბრძნისა და შემოქმედებითი იდეების მოსმენა. სწორედ სულიწმიდამ მითხრა, რომ ჩვენი პოტენციალის დონეზე დაბლა ვმოქმედებდით და გვაჩვენა, რა შეგვეცვალა ახალი ტერიტორიების დასამკვიდრებლად.

> *მთელი შენი გულით მიენდე უფალს და შენს გონიერებას ნუ დაეყრდნობი. ყოველ შენს გზაზე შეიცანი უფალი და ის მოგისწორებს ბილიკებს.*

– იგავები 3:5-6

წარმოიდგინეთ, რომ შეკრებილია ადამიანთა დიდი ჯგუფი. შეკრების თავმჯდომარე ასე იტყვის: „მინდა, გამოვიძახო უკანა რიგში მჯდომი ჯენტლმენი, რომელსაც წითელი სვიტერი

აცვია.“ რას ამბობს ამით? „სალაპარაკოდ გიწვევთ, ვაღიარებ თქვენს აწეულ ხელს.“ იგივე ხდება სულიწმიდის შემთხვევაშიც. ნუ დაეყრდნობი საკუთარ გაგებას.

მიეცი მას ლაპარაკის უფლება!

გაყიდვის აგენტები მოლაპარაკე ხალხია და გაყიდვების შეკრებებზე ადამიანი გაერთობა, მაგრამ დაუყოვნებლობის შეგრძნება არსად ჩანს. სისწრაფე არასოდეს არის მოსახერხებელი. ის ყოველთვის წინასწარგანზრახულია. სწორედ ამიტომ ვამბობ: „თევზაობა გინდათ თუ სატყუარის დაჭრა?“ რასაკვირველია, არის სატყუარის დაჭრისა და მომზადების დრო, მაგრამ არა მაშინ, რომ თევზი ანკესს ეტანება. ამ დროს სისწრაფეა საჭირო. სისწრაფე მკაფიო მიზანსა და შესრულების მკაფიო გეგმას მოითხოვს. როცა მეტისმეტად დაკავებული ხართ, ადვილია სხვადასხვა მიმართულებებში გახლართვა. ეს ჩვენი შეცდომა იყო. მთავარი გახლდათ ყურადღების გამახვილება და არა დაკავებულობა. ამ ყველაფერმა ჩვენი პროცესების გადახედვის საჭიროება წამოსწია. როცა ეს გავაკეთეთ, დავინახეთ, რომ ჩვენი შესაძლებლობები ბევრ სფეროში იზღუდებოდა. ჩვენი გაყიდვების აგენტები მეტისმეტად ბევრ საქაღალდე სამუშაოს ასრულებდნენ და მათი მაგიდების გარშემო ბევრი წებოვანი ფურცელი ჩნდებოდა. მათ დიდ ნაწილს ბიზნესის ადმინისტრაციული ნაწილის მოგვარება უხდებოდა და აუცილებელი იყო ცვლილებების შემოტანა, რომლებიც მათ კლიენტებთან ურთიერთობის საშუალებას მისცემდა.

ამჟამად სწრაფად ილტვით რაღაცისკენ თუ სატყუარის დაჭრით ერთოგით?

დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი ადამიანს დაუდგამს თივის ზვინი ზაფხულში. თივა მანამ უნდა დააბინავოთ, სანამ წვიმები დაიწყება, თორემ ნესტი გაუჩნდება და გაფუჭდება. ბიძაჩემს არაერთხელ დაურეკავს თივის დამზადების ჟამს და დახმარება უთხოვია, რომ წვიმების სეზონამდე მოესწრო მისი შეზიდვა. როცა წვიმები ახლოვდებოდა, ყველა სტარტზე იყო. ყველა საქმეს თავს ვანებებდით და თივის დაზვინვაზე ვშრომობდით. მანამ არ ვეშვებოდით, სანამ ბეღელში ადგილს არ მივუჩენდით.

მაშ ასე, ისმის კითხვა, რომელზეც პასუხი უნდა გასცეთ. ამჟამად სწრაფად ილტვით რაღაცისკენ თუ სატყუარის დაჭრით

ერთობით? ამას როგორ განსაზღვრავთ? კარგი! რა დროს უთმობთ ტელევიზორის ყურებას, მობილურზე სქროლვას ან დროის ფუჭად ფლანგვას? მეორე, სწორ საგნებს მისდევთ, რომელთაც თქვენს ცხოვრებაზე უდიდესი ზეგავლენის მოტანა შეუძლიათ? როგორია თქვენი დამოკიდებულება ღმერთთან, ქორწინებასთან, შვილებთან? და როდის ჩაერთვებით დაუყოვნებლივ მკაში სულიწმიდის სიბრძნის სიტყვის მოსმენით? თუ ნელ-ნელა სამომავლოდ გადადებთ? ყურადღებას აქცევთ მწარმოებლურობის კანონს, სადაც განკარგვის მონაცემებს იღებთ, რომ დეტალებს მეტად დააკვირდეთ და თქვენი გადაწყვეტილებები აქტიურად მოიყვანოთ სისრულეში უბრალო რეაქციის ქონის ნაცვლად?

ეს არის აზროვნების სტილი, რომელიც უნდა გქონდეთ; მოსავალი დაუყოვნებლობას მოითხოვს!

პენსილვანიაში საღამოს კონფერენციას ვუძღვებოდი ერთ-ერთ ქრისტიანულ ტელეარხზე. ღონისძიება საღამოს 10:00 საათზე უნდა დასრულებულიყო. ჩემი საკუთრების მოსაზღვრედ სახლი იდგა, რომელიც შერიფის აუქციონზე იყიდებოდა მომდევნო დილის 10:00 საათზე. ამ უძრავ ქონებას გარკვეული ხნის მანძილზე ვაკვირდებოდი, რადგან საერთო საზღვარი გვქონდა და მის შეძენას ვფიქრობდი. მინდოდა, გასაქირავებლად გამომეყენებინა ან მომავალში ჩემი რომელიმე შვილისთვის გადამეცა. მთელი ღამის განმავლობაში მოვდიოდი უკან ოჰაიოში და აუქციონის დაწყებამდე 30 წუთით ადრე ჩამოვედი. სახლი ვიყიდე. ეს არის აზროვნების სტილი, რომელიც უნდა გქონდეთ; მოსავალი დაუყოვნებლობას მოითხოვს! რა თქმა უნდა, მუდამ ასეთ მზადყოფნაში ვერ ვიცხოვრებთ, მაგრამ თევზი ანკესს პირს რომ მოავლებს, ხელები სწრაფად უნდა აამოქმედოთ. ამ ორმა სიტყვამ ასობით ათასი დოლარის შემოსავალი მომიტანა უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე.

გამოიყენე მომენტი!

უბრალო სიტყვებია, მაგრამ მათმა გამოყენებამ ჩემი სამყარო შეცვალა და დარწმუნებული ვარ, თქვენსასაც შეცვლის.

დაუყოვნებლობის კანონი.

თავი 11

მნიშვნელობის კანონი

ეს კანონი არსებითი მნიშვნელობისაა, რომელსაც თქვენი ცხოვრების სრულად გარდაქმნა შეუძლია. მიხარია, რომ ამას გიზიარებთ. აუცილებელი რომ ყოფილიყო დღევანდელი მსჯელობის დასათაურება, ასე ვუწოდებდი: **„დიდი და დაკარგული მნიშვნელობისთვის სიარული.**

უფროსკლასელი ვიყავი, როცა ნადირობა შემიყვარდა. ჩვეულებისამებრ, ჩემს მთავარ ნადავლს კურდღლები და ციყვები შეადგენდა. ირმები მოგვიანებით დაემატა, მაგრამ თავიდან, როცა ძველი თოფი ვიპოვე, კურდღლებსა და ციყვებს ვინადირებდი. ერთხელაც მეგობრის ტყეში ნადირობისას იხვების გუნდმა გადაგვიფრინა. მათ წრე შემოხაზეს და მეგობრის საკუთრების მოსაზღვრე ტბორზე დაეშვნენ. ადრე იხვების მონადირებაზე არ მიფიქრია, მაგრამ როცა ისინი დავინახე, მოულოდნელად ამის სურვილი გამიჩნდა. სახლში წავედი, რამდენიმე სამონადირეო ჟურნალი ამოვიღე და იხვების თაობაზე სტატიები წავიკითხე. მინდოდა, რაღაც მიმართულება მომეძებნა, რადგან აქამდე მსგავსი არაფერი გამიკეთებია.

ვიცოდი, რომ ტბორზე ნადირობისთვის ნებართვის აღება იყო საჭირო. მართალია, ჩემი მეგობარი მეზობლად ცხოვრობდა, მაგრამ არ ვიცოდი, ვინ იყო ტბორის მეპატრონე. იმ ნაკვეთზე გზის მხარეს პატარა თეთრი სახლი იდგა, ამიტომ ერთ საღამოს ჩემს ბიძაშვილთან ერთად მივედით და იქ მცხოვრებ ადამიანებს დაველაპარაკეთ. მათ გვითხრეს, რომ ტბორი არ ეკუთვნოდათ, უბრალოდ, უვლიდნენ და მათთვის პრობლემას არ წარმოადგენდა, თუ იქ ვინადირებდით. ერთი საგნის შესახებ იხვებზე ნადირობის ყველა ისტორიაში მქონ-

და წაკითხული და ეს გახლდათ სატყუარა იხვი. ამრიგად, სპორტული ინვენტარის მაღაზიაში წავედი და მალარდის ექვსი პლასტმასის იხვი შევიძინე. გეგმის თანახმად, მეორე დღეს სკოლის შემდეგ სანადიროდ უნდა წავსულიყავი. მე და ჩემმა მეგობარმა განზრახულის სისრულეში მოსაყვანად ტბორისკენ გავწიეთ, სატყუარები დავსვით და საღამოს ნადირობისთვის მოვემზადეთ. სატყუარების განთავსების შემდეგ მიმდებარე ბალახებში ჩავიმალეთ და ლოდინი გავაგრძელეთ. ერთი საათი ისე გავიდა, რომ არაფერი გამოჩენილა. ტბორის შემდეგ 200 იარდის მანძილზე ნაკადული მოედინებოდა, რომელიც საკუთრებაზე გადიოდა. როცა იხვების გუნდი პირველად დავინაზე ციყვებზე ნადირობისას, ორიოდე იხვმა იმ ნაკადულის გასწვრივ გაიფრინა. იმის გამო, რომ ტბორზე ბევრი არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო, მე და ჩემმა მეგობარმა ნაკადულისკენ გადავინაცვლეთ. გვინდოდა, გვენახა, იყვნენ თუ არა იქ იხვები. სატყუარები დავტოვეთ და ნაკადულს მივუახლოვდით. იქ რამდენიმე ღია მონაკვეთი იყო, რომლებიც იხვებისთვის კარგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არაფერი დაგვხვდა. ტბორთან დაბრუნება და საღამომდე ლოდინი გადავწყვიტეთ. იქითკენ რომ მივდიოდით, საკმაოდ დიდმა გუნდმა ტბორის თავზე წრე დაარტყა და დაეშვა. გადასარევი ამბავი იყო! ტბორის ირგვლივ არსებული მიწის შემაღლებული ბაქანი გვფარავდა და ადგილზე შეუმჩნევლად მივედით. როცა შემაღლებაზე ავძვერი, რომ იქიდან გამესროლა, იხვებით დაფარული წყალი დავინახე. ვიფიქრე, რომ ერთს ვესროდი, სანამ წყალზე ისხდნენ და როცა აფრინდებოდნენ, მეორე გასროლასაც მოვახდენდი.

ერთი სიტყვით, ჩემი თოფი მოვიტანე, მაგრამ იხვები ვერ მხედავდნენ. ის-ის იყო გუნდს გავუსწორდი, რომ მოშორებით ყველაზე მსუქანი იხვი შევნიშნე. ის სხვებზე, დაახლოებით, ორჯერ დიდი იყო. მისი მონადირება გადავწყვიტე. დავუმიზნე და ვესროლე. თოფის ხმაზე იხვები ფრთების ქნევით და კრიახით წამოიშალნენ. გაოგნებული დავრჩი, რადგან ის მსუქანი იხვი, რომელსაც ვესროლე, ადგილიდან არ განძრეულა. ამის ნაცვლად, მეორე გვერდზე გადატრიალდა და ნელ-ნელა ჩაიძირა. მოულოდნელად, გავიაზრე, რომ საკუთარ სატყუარას ვესროლე! შეძრწუნებული ვუყურებდი, როგორ ნელნელა ქრებოდა წყლის ზედაპირიდან. იმიტომ კი არ ვიყავი იმედგაცრუებული, რომ იხვებს ავაცდინე, არამედ იმიტომ, რომ საკუთარი სატყუარა

გავანადგურე. ნამდვილი სულელი ვიყავი! ჩემი მეგობარი მოვიდა და მკითხა, ერთი მაინც თუ ჩამოვაგდე. დაბნეულმა ვაღიარე, რაც გავაკეთე. აი, გაკვეთილი! ეს დიდებული გასროლა იყო, მაგრამ უმნიშვნელო გამოდგა. პლასტმასს ვერ შეჭამ!

სანამ ამ თემას ჩავუღრმავდები, თავდაპირველად, ჩვენი პირობები განვსაზღვროთ. სიტყვა *დიდებული* definitions.net-ის განმარტებით **„სხვასთან შედარებით უჩვეულოს“** ნიშნავს. კოლინზის ლიექსიკონის თანახმად, სიტყვის განსაზღვრება **„მნიშვნელოვანი ეფექტის ქონას“** გულისხმობს.

თავად სიტყვა ეფექტი, მირიამ-უებსტერის ლექსიკონის თანახმად, ნიშნავს: **შედეგების წარმოქმნის ძალა ანუ უნარი: ძალა ანუ ზეგავლენა.**

შესაძლოა, სხვებთან შედარებით გამორჩეული წარმოჩნდეთ და დიდებულად გამოიყურებოდეთ, მაგრამ ახდენთ თუ არა დიდ ზეგავლენას ან იღებთ თუ არა შედეგებს? მაგალითად, იმ სატყუარას დიდებულად, მაგრამ უმნიშვნელოდ ვესროლე, რადგან სასურველი შედეგი ვერც სროლისას და ვერც მის შემდეგ მივიღე.

ნება მომეცით, ასე აგიხსნათ! დავუშვათ, საათს შეკეთებას ვაპირებ. სახრახნისი რომ დამჭირდეს, რა ზომისას ავიღებდი? შეიძლება ორფუთიანი სახრახნისი ავიღო და ვთქვა: „ოჰო! აი, მესმის სახრახნისი!“ თუმცა საათთან არაფერში გამომადგება. ეს დიდებული სახრახნისი უმნიშვნელო იქნებოდა ჩემს ვითარებაში, რადგან იმ დროისთვის საჭირო შედეგს ან ზეგავლენას ვერ მოიტანდა. საქმისთვის პაწაწინა იარაღი უფრო გამომადგებოდა. ეს პატარა, ნამცეცა სახრახნისი დიდებულად ვერ გამოიყურება, მაგრამ სწორედ იმ შედეგებს მოიტანს, რომელიც ჩემთვის საჭიროა.

აი, თქვენთვის განკუთვნილი რამდენიმე კითხვა:

- **დიდებული ცხოვრება გაქვთ თუ მნიშვნელოვანი?**
- **დიდებული თანამშრომლები გყავთ თუ მნიშვნელოვანი?**
- **დიდებული კარიერა შეიქმენით თუ მნიშვნელოვანი?**

ნუ იბრძოლებთ სატყუარისთვის! მნიშვნელოვანს გაჰყევით!

საინტერესოა, რომ ბავშვების უმრავლესობას მსახიობობა, მომღერლობა ან უბრალოდ, დიდების მოპოვება სურს. მოდით, ნუ ავურევთ ერთმანეთში მნიშვნელოვნებასა და სიდიადეს!

ვფიქრობ, ყველანი ვთანხმდებით იმაში, რომ იესო დიდებული წინამძღოლი იყო და მნიშვნელოვანი ცხოვრება ჰქონდა. მოკლედ მიმოვიხილოთ რამდენიმე გაკვეთილი, რომელიც მისი ცხოვრებიდან უნდა დავინახოთ.

> *მზის ჩასვლისას ყველამ, ვისაც ჰყავდა სხვადასხვა სენით დაავადებული, მასთან მიიყვანა; მან **ყოველ მათგანს ხელები დაასხა** და განკურნა. ბევრისგან ეშმაკებიც გამოდიოდნენ, ყვიროდნენ და ამბობდნენ: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმერთისა!“ ის კი რისხავდა და უკრძალავდა ლაპარაკს, რადგან იცოდნენ მათ, რომ ქრისტეა იგი. როცა გათენდა, გამოვიდა იქიდან და წავიდა უდაბურ ადგილას. ხალხმა მოძებნა; მივიდნენ მასთან და აკავებდნენ, რომ არ წასულიყო მათგან. მან თქვა: „სხვა ქალაქებსაც უნდა ვახარო ღმერთის სამეფო, რადგან **ამისთვის ვარ მოვლენილი**“.*
>
> – ლუკა 4:40-43

იესო ასე განაგრძობდა. მას რამდენიმე დიდებული შეკრება ჰქონდა, დემონები ყვირილით გარბოდნენ და ხალხი იკურნებოდა. ამაზე უკეთესი რა შეიძლებოდა მომხდარიყო? გასაკვირი არ არის, რომ ადამიანებს მისი წასვლა არ უნდოდათ. თუმცა იესომ იცოდა, რომ მნიშვნელოვნის კეთება სჯობს დიდებული საქმეების კეთებას. მას შეეძლო იქ დარჩენა და დიდებული შეკრებების ჩატარება, მაგრამ ეს არ იყო მისი დედამიწაზე გამოგზავნის მიზანი. მან იცოდა, რომ მსოფლიოს ყველა სნეულზე ხელდასხმისთვის არ მოსულა. არა, მან კარგად უწყოდა, რომ გაცილებით დიდი მისიით მოვიდა – კაცობრიობის ცოდვების საზღაურის გადასახდელად. ამის შემდეგ კი არმიას გაგზავნიდა ავადმყოფებისთვის ხელდასხმისთვის და ყველა მათგანის განკურნებას იხილავდა.

მაშ ასე, რა მოქმედება მოუტანდა უდიდეს მნიშვნელობას ამ

ვითარებაში? ვიცით, რომ იქ დარჩენა გარკვეულ კარგ შედეგებს გამოიღებდა, რომლებიც თავის მხრივ მნიშვნელოვანი იქნებოდა, მაგრამ რომელი გეგმა იქნებოდა უდიდესი და არსებითი? რა მოიტანს იმ შედეგებს, რაც ღმერთს აქვს მხედველობაში? კარგი, უფრო შორს წავიდეთ! რა იყო იესოსთვის მნიშვნელოვანი? ზუსტად ის, რამაც პაწაწინა სახრახნისს მნიშვნელობა შესძინა. შედეგების მიღების და მიზნის მიღწევის უნარი! **მიზანი!**

მიზნის გარეშე ყველაფერი უმნიშვნელოა.

მიზნის გარეშე ყველაფერი უმნიშვნელოა. ადამიანებს შეუძლიათ, დაინახონ გარეგნული მხარე, ბრწყინვალება, მაგრამ მიზნისა და შედეგების გარეშე ყველაფერი უაზროა, თუნდაც დიდებული იყოს. მიზანი ანათებს და ჩვენს ცხოვრებაში ნამდვილად მნიშვნელოვნის გამორჩევაში გვეხმარება. მიზანი განსაზღვრავს ჩვენს გადაწყვეტილებებს.

ყველას უნდა ჰქონდეს პასუხი კითხვებზე: „რატომ გამგზავნეს?“, „რა არის ჩემი მიზანი?“ მინდა, გადმოგცეთ ერთი რამ, რასაც ცხრა მნიშვნელოვან ინდიკატორს ვუწოდებ. მათი მეშვეობით გაფანტავთ დიდებულების საცდურს და შეინარჩუნებთ იმას, რაც მნიშვნელოვანია.

№1 რას უნდა დაასხათ ხელები?

აღარ გვჭირდება დიდებული იდეები. მთავარია, ვიპოვოთ ღვთიური იდეა ჩვენი ცხოვრებისთვის.

როგორც ჩვენს მიერ შერჩეული მუხლიდან გამოვყავით, იესომ პირადად დაასხა ხელები სნეულებს იმ შეკრებაზე. ყველანი შეზღუდულები ვართ დროით და უნდა გავიაზროთ, რომ ყველაფრის ხელდასხმა არ შეგვიძლია. ყველაფერის მფლობელები ვერ გავხდებით და ყველაფერს ვერ გავაკეთებთ. უამრავი დიადი იდეა და მიზეზი არსებობს, რომლებიც კეთილშობილურია კარგი განზრახვის პირობებში. და მაინც, ხართ თუ არა მოწოდებული ხელდასხმისთვის? აღარ გვჭირდება დიდებული იდეები. მთავარია, ვიპოვოთ ღვთიური იდეა ჩვენი ცხოვრებისთვის. იესო თავს უფლებას არ აძლევდა, რომ მთავარი მისიიდან გადაეხვია. მან იცოდა, რისთვის იყო გამოგზავნილი და სად უნდა დაესხა ხელები. მან იცოდა მნიშვნელოვნების ძალა

და დროს გონივრულად იყენებდა საკუთარი ძალისხმევის სხვა ადამიანებში გასამრავლებლად. მან 12 მოწაფე გაგზავნა მარ. 6:12, 72-ში, ლუკ.10-ში და მთელი ეკლესია წარგზავნა მარკ. 16-ში. ახლა მილიონობით ადამიანს შეუძლია სხვების ხელდასხმა.

ამის გამო, მნიშვნელოვანია შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემა:

რაზე ან ვისზე ასხამთ ხელს, რასაც თქვენი მნიშვნელოვნების გაზრდა შეუძლია? მე და დრენდამ რამდენჯერმე გამოვიცვალეთ საცხოვრებელი ადგილი ერთობლივი ცხოვრების მანძილზე. ამ დღეებში სარდაფში ჩავედით და ყუთების შიგთავსის ძებნაში ისეთებს წავაწყდით, რომლებიც ტალსაში ჩავალაგეთ 25 წლის წინ და მას შემდეგ აღარ გაგვიხსნია. მაშინ ძალზე გულგატეხილები ვიყავით და ყუთების გახსნისას თვალწინ უსარგებლო ნივთების გროვა გადაგვეშალა. ალბათ, იმ დროს ძვირფასად ვთვლიდით. ნანახი ნივთების უმეტესება ნაგვის გარდა არაფერს წარმოადგენდა. მხოლოდ ზოგიერთ მათგანი აღძრავდა გარკვეულ მოგონებებს.

ყველაზე საოცარი ის გახლდათ, რომ ტალსადან გადმოსვლის შემდეგ ორჯერ შევიცვალეთ საცხოვრებელი, სანამ აქ დავფუძნდებოდით. ეს ნიშნავს, რომ ისე გადავათრიეთ ორჯერ ის ყუთები, რომ არასდროს გაგვიხსნია და გვინახავს, იყო თუ არა მათში რამე საჭირო. მაშ, რამდენად ღირებულია ხსენებული ყუთები? არცთუ ძალიან, ვინაიდან ორი სრული გადაბარგებისას დრო ვერ გამოვნახეთ მათ გასახსნელად!

რას დაათრევ, რომლის დატოვებაც გმართებს? რამდენჯერ დაგიდიათ ხელი ერთი და იგივე ნივთებზე? მოიშორეთ ნაგავი და გაწმიდეთ თქვენი ცხოვრება. აი, თქვენი დავალება! შემდეგი კითხვა დაუსვით თავს, როცა მომავალში შესასრულებელ ფუნქციაზე ფიქრობთ.

ეს დიდებული ––––––––––, მაგრამ მნიშვნელობა მოაქვს (დამეხმარება შედეგებისა და ზეგავლენის მოტანაში ჩემს მიზანსა და დავალებასთან დაკავშირებით?), ჩემს მიზანს ემსახურება ან საერთოდ მჭირდება? ცუდი არ არის რამდენიმე საგნის ქონა, რომელიც თქვენი სიამოვნების გარდა არაფერს ემსახურება, მაგრამ ამაშიც ბალანსის დაცვაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, ყოფილხართ სახლებში, სადაც კოლექციებს და უამრავ თაროს ნახავთ რბილი სათამაშოებით, ფაიფურის ცხოველებით ან

კიდევ სხვა საგნებით, რომელთა დასახელებაც შეგიძლიათ. რა განცდა გეუფლებათ, როცა სახლში საგნები გხვდებათ ყოველ კვადრატულ ინჩზე? ეს იმ გრძნობას შეადარეთ, რომელსაც შვებულებაში ყოფნისას განიცდით, როცა პირველად შეაბიჯებთ დაქირავებულ ბინაში ან ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ნომერში. ამ გაწკრიალებულ; ოთახში შესვლა სუფთა ჰაერის ჩაყლაპვას ჰგავს. ეს ისე მიმზიდველი და უსასყიდლოა. იმ წესრიგში შემოქმედებითობა იგრძნობა. იქ სულის სიმშვიდეა. ასეთივე მიმპატიჟებელი გახადეთ თქვენი ოფისი და სახლი!

ერთი წყვილი მოვიდა ჩვენს ეკლესიაში, როცა მსახურება პირველად დავიწყეთ. ისინი ახალდაქორწინებულები იყვნენ. ცოლი ქათმების ფერმაში გაიზარდა და მის ოჯახს ყოველდღიური ერთფეროვანი საქმის შესრულება უწევდა ყოველი ჭამის შემდეგ. ისინი საკვების ნარჩენებს თასში აგროვებდნენ, რომელიც ფანჯრის რაფაზე იდო და შემდეგ წიწილებთან გაჰქონდათ. ქმარმა მითხრა, რომ მათი ქორწინების პირველ თვეს ვერ გაეგო, რატომ ალაგებდა ახალშერთული ცოლი საჭმელს ფანჯრის რაფაზე მდგარ თასში. ერთხელაც ქმარი ამით დაინტერესდა. ცოლმა განუმარტა, რაც წეღან გითხარით. მაშინ ქმარმა უთხრა: „კარგი, ძვირფასო, მაგრამ ჩვენ ხომ წიწილები არ გვყავს!“ რა ტვირთს დაათრევთ თან? ყველაფერი, რაც გაქვთ, თქვენი საკუთრებაა. აუცილებელია მათი დაზეთვა, გარეცხვა, გაპრიალება და შენახვა. თქვენი ხედვა მეტისმეტად მწირი იქნება, თუ სივრცეს უსარგებლო ნივთებისგან არ გამოათავისუფლებთ!

№2 ვინ ხართ? იესომ იცოდა, რას წარმოადგენდა.

რაში მდგომარეობს თქვენი უნიკალურობა? ადამიანთა უმრავლესობამ არ იცის, ვინ არის. რამდენიმე წლის წინ პარიჟში ვიყავი გვიან შემოდგომაზე, როცა გარეთ ქურთუკი უნდა მოგესხათ. მე და დრენდა ქუჩაში მივსეირნობდით, სადაც მაღალი კლასის მაღაზიები იყო განლაგებული. მაღაზიების ვიტრინებში თანამედროვე მოდის ბოლო სიტყვას ვაკვირდე-

არადა, სწორედ თქვენი უნიკალურობა განსაზღვრავს თქვენს ფასეულობას მიზნის აღსრულების საქმეში.

ბოდით და მივხვდით, რომ შავი ახლა ახლებური შავი იყო. ყველაფერი შავად გამოიყურებოდა. იმ დღეს ქუჩები გადავსებული გახლდათ და როცა ასობით ადამიანს ვაკვირდებოდი, მხოლოდ შავ ფერს ვხედავდი. ასეულობით ადამიანიდან ერთ ფერადი ლაქაც კი არ მოჩანდა. ყველას უნდა, დანარჩენებს ჰგავდეს. არადა, სწორედ თქვენი უნიკალურობა განსაზღვრავს თქვენს ფასეულობას მიზნის აღსრულების საქმეში. ეს არ დაივიწყოთ.

№3 იცოდეთ, რომ ღვთისგან მოსმენა გჭირდებათ.

> *განთიადამდე, ჯერ კიდევ ღამიანად ადგა, გავიდა და წავიდა* ***უდაბნო ადგილას*** *და იქ ლოცულობდა.*
>
> – მარკოზი 1:35

იესომ იცოდა, რომ ღმერთთან მოზიარეობაში უნდა ყოფილიყო და ყურადღება თავის დანიშნულებაზე გაემახვილებინა. დიდი წარმატების დროსაც არ ავიწყდებოდა, რომ ღმერთი სჭირდებოდა. გუშინდელ გამარჯვებებსა და სტრატეგიებზე მინდობა შეცდომაა. ამის ბევრი მიზეზი არსებობს, მაგრამ ნება მომეცით, ყურადღება მათგან უდიდესზე გავამახვილო. მოწინააღმდეგე გყავთ, რომელსაც თქვენი ცხოვრების დანგრევა ან უარესი, სიცოცხლის ხელყოფა სურს. ეს არასოდეს დაივიწყოთ!

> *ხოლო სიბრძნეს ვლაპარაკობთ მოწიფულთა შორის, ოღონდ არა სიბრძნეს ამ წუთისოფლისას ან წუთისოფლის მთავრებისას, რომლებიც წარმავალნი არიან, არამედ ვლაპარაკობთ ღვთის სიბრძნეს, იდუმალებაში დაფარულს, რომელიც წინასწარ დაადგინა ღმერთმა საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისთვის. რაც ვერავინ შეიცნო წუთისოფლის მთავართაგან; ვინაიდან, რომ შეეცნოთ, ჯვარს არ აცვამდნენ დიდების უფალს.*
>
> – 1 კორინთელთა 2:6-8

ყურადღება მიაქციეთ, რომ სატანას ღვთიური გეგმა რომ

სცოდნოდა, აუცილებლად შეცვლიდა. გეგმა, რომელიც წარმატებული გამოდგა გუშინ, შესაძლოა, გამოუსადეგარი იყოს დღეს, რადგან სატანამ უკვე აითვისა და მომზადებულია. ყოველთვის დაგჭირდებათ ახალი გამოცხადება ღვთისგან, რომ თქვენს ბრძოლებში გაიმარჯვოთ.

რაღაც დროის წინ ელექტრონული წერილი მივიღე ჩემი ერთ-ერთი პარტნიორისგან. მან მითხრა, რომ სამეფოს კანონების გამოყენება პირველად დაიწყო უძრავი ქონების ბიზნესში. მას უზარმაზარი წარმატება მოჰყვა. თუმცა ახლა, ექვსი თვის შემდეგ ყველა შესაძლო პრობლემას გადააწყდა. პრობლემები გაჩნდა თანამშრომლებთან, გარიგების დასრულებაში და ა.შ. ის დაიბნა. პასუხი მივწერე და ვკითხე: „რის გაკეთებას აპირებ?“ ვიცი, რომ ეს უცნაური პასუხია დახმარების თხოვნაზე, მაგრამ მინდოდა ბურთი მისი მოედნის მხარეს მოხვედრილიყო. მას უნდა გაეაზრებინა, რომ მტრის ახალ სტრატეგიაზე გადავიდა, თუმცა ამ საკითხის მოგვარების ძალაუფლება ჰქონდა. ასეთი გაურკვეველი პასუხით არ დამიტოვებია. განვუმარტე, რომ ახლა მოწინააღმდეგის რადარზე ჩანდა. მისმა წარმატებამ და ცათა სამეფოზე მოწმობამ სიბნელის სამეფო შეაშფოთა და მათ ტაქტიკა შეცვალეს. წმიდა წერილის ამ მონაკვეთით გავამხნევე.

> *ზოგიერთმა მოხეტიალე შემლოცველმა იუდეველმაც იწყო უფალ იესოს სახელის ხსენება ავი სულებით შეპყრობილებზე; ამბობდნენ: გაფიცებთ იესოს, რომელსაც პავლე ქადაგებსო. ამას აკეთებდა ერთი იუდეველი მღვდელმთავრის, სკევას შვიდი ვაჟი. მაგრამ მიუგო ავმა სულმა და უთხრა მათ: „**იესოსაც ვიცნობ და პავლეც ვიცი, თქვენ კი ვინა ხართ?”** დაეძგერა მათ ის კაცი, რომელშიც ავი სული იყო, სძლია და ისე სცემა, რომ შიშვლები და დასახიჩრებულები გამოცვივდნენ იმ სახლიდან.*
>
> – საქმეები 19:13-16

ვუთხარი, რომ მისი სახელის ჯოჯოხეთში აღიარებამ გამახარა. ასეც უნდა ყოფილიყო. კიდევ ერთხელ ვკითხე: „კი, მაგრამ შენ ვინ ხარ?“ მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ მან

იცოდა იმ ძალაუფლების შესახებ, რითაც იმედგაცრუების მტრულ ტაქტიკაზე უნდა გაემარჯვა.

უდიდესი იარაღი, რომელიც გაგვაჩნია, უკვე გაგიზიარეთ სტრატეგიის კანონის თავში და ეს სულიწმიდაა. მოდით, ერთ ცნობილ ბიბლიურ ამბავს გადავხედოთ და ყველაფერს აგიხსნით.

> *აღიმართა ფილისტიმელი, დაიძრა და დავითისკენ წამოვიდა და გაიქცა დავითიც ფილისტიმელთან შესახვედრად. აბგაში ჩაიყო ხელი დავითმა, ამოიღო ქვა, სტყორცნა შურდულით და შიგ შუბლში მოარტყა ფილისტიმელს; ჩაეჭედა ქვა შუბლში და პირქვე დაეცა მიწაზე. იმარჯვა დავითმა ფილისტიმელზე, შურდულითა და ქვით განგმირა და მოკლა იგი; მახვილი კი არ სჭერია დავითს ხელში.*
>
> – 1 სამუელი 17:48-50

ამ ცნობილ ბიბლიურ ისტორიაში დავითი გოლიათს, გიგანტურ კაცსა და ბავშვობიდანვე გაწვრთნილ მეომარს უპირისპირდება. პირდაპირ რომ ვთქვათ, დავითს გამარჯვების შანსი არ ჰქონდა ან იქნებ ჰქონდა? მან მეფე საულის აბჯარი აისხა, რომელიც არ მოერგო. კიდევ ვიმეორებ, რომ დავითს არანაირი შანსი არ ექნებოდა, გოლიათის დამარცხებას მისთვის მოსალოდნელი სტრატეგიით თუ შეეცდებოდა. ამის ნაცვლად, დავითმა სრულიად განსხვავებული ტაქტიკა აირჩია, რომელსაც არავინ ელოდა და ეს გოლიათისთვისაც გასაოცარი აღმოჩნდა.

> *უთხრა ფილისტიმელმა დავითს: „განა ძაღლი ვარ, კეტით რომ გამოდიხარ?"*
>
> – 1 სამუელი 17:43ა

დავითს ხელში თავისი კვერთხი ეჭირა, ხოლო მხარზე მწყემსის აბგა ჰქონდა მოგდებული. დარწმუნებული ვარ, რომ ის შურდულს მალავდა გოლიათთან მიახლოებისას და კვერთხს სატყუარად იყენებდა. გოლიათი დაიბნა. აი, ჭაბუკი მორბის მის წინააღმდეგ მახვილის გარეშე და ხელში მხოლოდ

კეტი უჭირავს? დავითს თავისი გეგმა ჰქონდა. ბიბლია ამბობს, რომ დავითმა ომში ჩაბმის ნაცვლად გოლიათთან მიირბინა. ვფიქრობ, დავითი მოულოდნელობის ფაქტორზე ამყარებდა იმედს. გოლიათის მიმართულებით გაქცევა მოწინააღმდეგეს იმის დროს არ მისცემდა, რომ რეალური საშიშროება, შურდული დაენახა. მაშ, რა იყო დავითის ნამდვილი იარაღი? სულიწმიდის ზებუნებრივი სტრატეგია.

დაე, ღმერთმა გაჩვენოთ, რა უნდა გააკეთოთ! მარტო არასდროს წახვიდეთ; დარწმუნდით, რომ ღვთის მოსასმენად დრო გამოყავით.

აი, ამიტომ გეუბნებით, რომ ღმერთთან დრო უნდა გაატაროთ. შუა წარმატებაშიც კი შეეცდება მტერი ღვთის გეგმის ჩაშლას. ეს საშიში არ გახლავთ და მტერს შიშით ცდუნების საშუალება არ მისცეთ. ის დამარცხდა და თქვენზე არავითარი ძალაუფლება არ აქვს. ჩემმა პარტნიორმა, რომელზეც წელან გიამბეთ, თავის ოფისში რამდენიმე საკითხი ჩაასწორა და დღეს იმაზე მეტად წარმატებულია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. დაე, ღმერთმა გაჩვენოთ, რა უნდა გააკეთოთ! მარტო არასდროს წახვიდეთ; დარწმუნდით, რომ ღვთის მოსასმენად დრო გამოყავით.

№4 მნიშვნელოვანია თუ არა ეს ურთიერთობა ჩემი ცხოვრებისთვის?

ღმერთი ადამიანებს იყენებს და ასევე იქცევა სატანა. ფრთხილი იყავით ურთიერთობებში. ისწავლეთ „არა“-ს თქმა და დაიცავით თქვენი დრო. ნურავის მისცემთ საშუალებას, რომ მისი პასუხი გახდეთ. ყოველთვის იესოზე მიუთითეთ. იმას არ გეუბნებით, რომ ადამიანებს არ გამოადგეთ, მაგრამ ფრთხილად იყავით ისეთებთან, რომლებიც ნახევარ გზაზე არ გეგებებიან და გამუდმებით თავისკენ გექაჩებიან. მტერს უყვარს ადამიანების გამოყენება თქვენს გამოსაფიტად.

როცა ახალგაზრდა პასტორები ვიყავით, ვხვდებოდით, რომ ადამიანებს იქ უნდა დავხმარებოდით, სადაც საჭირო იქნებოდა. ინდივიდუალური შეხვედრები საათების განმავლობაში გრძელდებოდა. ცრუ პასუხისმგებლობას ვიღებდით და გადასახადებსაც ვუხდიდით. ჩვენი გულის მოტივი სწორი იყო, მაგრამ ვერ

ვაცნობიერებდით, რომ მტერი მათ ჩვენთვის ქანცის გასაცლელად იყენებდა. უკვე მსახურებაც გვღლიდა. ერთი და იგივე ხალხისგან განუწყვეტელი ზარები შემოდიოდა, რომლებმაც სიცოცხლე გამოგვწოვეს. გამოუცდელობის გამო ვფიქრობდით, რომ ყველა მათგანის პრობლემა უნდა გადაგვეჭრა. ბოლოს და ბოლოს, უფალმა გვაჩვენა, რომ ეს უნდა შეგვეწყვიტა – არა მათი დახმარება, არამედ მათ მოედანზე თამაში. ერთმა ბრძენმა პასტორმა გვითხრა, რომ ადამიანებს დრო და ფული კი არ უნდა მივცეთ, არამედ კარგი, ჯანსაღი რჩევა, რომელიც ცხოვრებაში გამოადგებათ. მან შეგვახსენა, რომ მსახურებაში ადამიანების ახლო მეგობრობისთვის კი არ ვართ, არამედ მათ დასამწყემსად. ისიც გვითხრა, რომ ჩვენი ერთადერთი ვალია, მათ კარგი მაგალითი ვუჩვენოთ, ცათა სამეფოს შესახებ ვასწავლოთ და ეს სიხარულით ვაკეთოთ. თუ ჩვენ არ გავაკეთებთ ამას სიხარულით, სხვებს რიღასთვის მოვუწოდოთ ღვთისმსახურებისთვის? დათანხმება მოგვიხდა და მსახურებაში ცვლილებები შევიტანეთ დროის სწორად განკარგვისა და ადამიანების პასუხისმგებლობისკენ მოწოდების საქმეში.

№5 რას აკეთებთ?

მე უნდა ——————————————. ისინი ცდილობდნენ, რომ იესო მათ ქალაქში უფრო მეტხანს დაეტოვებინათ, მაგრამ „მან თქვა: „სხვა ქალაქებსაც უნდა ვახარო ღმერთის სამეფო, რადგან ამისთვის ვარ მოვლენილი“ (ლუკ. 4:43).

დიდებული საქმეების კეთება მნიშვნელოვან საქმეებს ვერ ჩაანაცვლებს. რას აკეთებთ ამჟამად ისეთს, რასაც არ უნდა აკეთებდეთ და რას არ აკეთებთ, რასაც უნდა აკეთებდეთ?

„არა“-ს თქმას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, როცა იცით, რა არის თქვენი „კი“!

№ 6 სად უნდა აკეთოთ ის? სად არის თქვენი ტერიტორია, თქვენი ნიშა ან დავალება?

ყურადღება მიაქციეთ, რომ იესომ იცოდა, სად იყო მისი შემოსავლელი სხვა ქალაქები და რისთვის იყო გამოგზავნილი. იესოს შეეძლო თავისი წინსვლის შეფასება, რადგან იცოდა, სად მიდიოდა.

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავიმეორო. ზრდის შეფასებას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, როცა იცით, სად მიდიხართ. ამით ისევ ვუბრუნდებით ჩვენს პირველ ოთხ კანონს, მაგრამ თუ არ იცით, სად მიდიხართ, როგორ მიხვდებით, რომ უკვე მიაღწიეთ დანიშნულების პუნქტს ან საერთოდ მიხვალთ იქამდე თუ არა?

№ 7ეს იყო ჩემი წარმოგზავნის მიზანი.

რაში მდგომარეობს თქვენი მიზანი, თქვენი მიზეზი, თქვენი ლაშქრობა? ფულის კეთება საშინელი მიზეზია. ერთ წუთს გაქვთ და მეორე წუთს – აღარ. არა, თქვენ ნათელი მიზანი უნდა გქონდეთ, რომელიც ფულზე დიდია! მხოლოდ პირად ლაშქრობას შეუძლია დილაადრიან თქვენი აყენება. ჩემთვის და დრენდასთვის არავის უთქვამს, რომ ეკლესიაში უნდა გამოვჩენილიყავით, გვექადაგა ან ვინმესთვის გვეამბნა ცათა სამეფოს შესახებ. ეს ჩვენი სამუშაო კი არ არის. ეს ჩვენი პიროვნებების გამოძახილია. როცა თქვენი საკეთებელი საქმე ჰობად გექცევათ, მაშინ სწორ გზას ადგახართ.

№ 8 ვისთვის გსურთ თქმა? რის თქმა გსურთ მათთვის?

აქ საკვანძო სიტყვა გახლავთ *სურვილი*. ვისკენ გაქვთ მიზიდულობა? რა დავალება ან მისია გიტაცებთ? როცა თქვენი ვალდებულება მისაღწევ მიზნად გადაიქცევა, სწორი მიმართულებით მიდიხართ. რასაკვირველია, ყოველ დავალებაშია რაღაც ისეთი, რაც არ გვსიამოვნებს. ზოგადი მანიშნებელია ის, რომ დავალება გიზიდავთ და მისი მიმართ ენთუზიაზმი გამოძრავებთ. რეალურად, დავალების შესრულება ენერგიით გავსებთ და აღტაცებული ხართ თქვენი მომავლით.

თქვენი მომავალი დღევანდელზე დიდი უნდა იყოს, თუ არა და, ზეწოლის დროს შეჩერდებით.

№ 9 ისე იცხოვრეთ, თითქოს შვებულებამდე ერთი კვირა დაგრჩათ.

იცით, ალბათ, როგორ წერთ შვებულების წინ მოსაგვარებელი საქმეების უზარმაზარ სიას? როგორ დგებით ადრე და წვებით გვიან? ენერგიული და საქმეზე ფოკუსირებული ხართ. საოცარია, რამდენი რამ მოასწარით იმ კვირაში. წინ საზღაური გიდევთ – შვებულება, რომელიც ინტენსიურობის სხვაგვარ დონეზე მუშაობისთვის აღგძრავთ. იპოვეთ ცხოვრების მიზანი, რომელიც თქვენში ყოველი დღის ამნაირად გატარების სურვილს წარმოშობს.

№ 10 არ შეწყვიტოთ!

ვფიქრობ, ეს თავისთავად მეტყველია. შეწყვეტა გამოსავალი არ არის. თუ საქმისთვის თავის დანებება გადაწყვიტეთ, შეჩერდით და შვებულება აიღეთ. დასვენებულ გონებაზე გაცილებით ადვილია ვითარების ნათლად დანახვა.

და ბოლოს, გახსოვდეთ, რომ აქ იმყოფებით არა დიდებული, არამედ მნიშვნელოვანი საქმეების საკეთებლად. თუ მნიშვნელოვანი ხართ, დიდებულიც გახდებით!

თავი 12

ხელგაშლილობის კანონი[19]

ერთ საღამოს ჩვენი ოჯახი საყვარელ ადგილობრივ რესტორანში სადილობდა. მიმტანი ახალგაზრდა ქალბატონი გახლდათ, რომელსაც შესამჩნევად ეტყობოდა ორსულობა. როცა ანგარიშის გადახდა დავაპირე, მოულოდნელად ვიგრძენი, რომ მისთვის 22-25 %-ის ნაცვლად, როგორც ჩვეულებრივ მომსახურებისთვის ვაძლევდი, კიდევ 100 დოლარი უნდა დამემატებინა. მან ხელმოწერილი ვიზა ბარათის ფურცელი ისე აიღო, რომ ზედ არ დაუხედავს და სამზარეულოსკენ გაემართა.

ის მალევე დაბრუნდა უკან და სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა. ქალი მადლობის გადასახდელად მოვიდა. მან გვიამბო, რომ ახლა ფინანსურ შეჭირვებას განიცდიდა და აინტერესებდა, როგორ შეეძლო ამისგან თავის დაღწევა. წასვლამდე ქრისტეს შესახებ გაზიარებისა და მისთვის ლოცვის საშუალება მოგვეცა.

ხელგაშლილობის გარდა არაფერი გაგვიკეთებია მისი გულის კარის გასაღებად და მოსამსახურებლად.

> *თუ უგულებელყოფ მისი სახიერების, მოთმინებისა და სულგრძელობის სიმდიდრეს და ვერ შეგიგნია, რომ ღვთის სახიერებას **მონანიებისკენ** მიჰყავხარ?*
>
> – რომ. 2:4

19. Excerpt taken from my book Your Financial Revolution: The Power of Generosity

მეფე იაკობის თარგმანში 2:4 მუხლი ამბობს, რომ ღვთიური სიკეთე მონანიებისთვის განგვაწყობს.

რათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი, რომელსაც თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსაც და უმართლოებსაც.

– მათე 5:45

ღმერთი კარგი და ხელგაშლილია! მისი შვილები ვართ და ჩვენი ახალი ბუნება ქრისტეში გულუხვობასაც მოიცავს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ღმერთი კარგი და ხელგაშლილია! უხვად გაღებისას ღვთის გულს ადამიანებს ვუზიარებთ. ეს გვალვიან დღეს ცივი წყლით დარწყულებას ჰგავს და ხელგაშლილობას სიღარიბის უდაბნოში მყოფი ქვეყნიერებისთვის იმედიანი შვება მოაქვს.

უსასყიდლოდ გაღების ზეგავლენა ნათლად ჩანს პავლეს მითითებაში, რომელიც კორინთოს ეკლესიისთვის დაიწერა:

ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს, რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს. ვინაიდან ამ საქმის მსახურება არა მარტო ავსებს წმიდანთა ნაკლებობას, არამედ ღვთისადმი მადლიერებასაც ამრავლებს;

რადგან ხედავენ რა ამ მსახურებას, ღმერთს ადიდებენ თქვენს მიერ ქრისტეს სახარების მორჩილებისა და აღიარების გამო, აგრეთვე ხელგაშლილობისა და იმ წრფელი მოზიარეობის გამო, რასაც არა მხოლოდ მათდამი, არამედ ყველას მიმართ ავლენთ. <u>თქვენთვის ლოცულობენ და თქვენკენ მოილტვიან ისინი ღვთის იმ მადლის გამო, რაც აღმატებულად არის თქვენში. და მადლობა ღმერთს მისი ენითაღუწერელი საჩუქრისთვის.</u>

– 2 კორინთელთა 9:10-15

თქვენი გულუხვობა ადამიანებს ღვთის მიმართ ქებისა და მადლიერების გამოსახატავად აღძრავს!

ყურადღება მიაქციეთ პავლეს ნათქვამს, რომ ხელგაშლილობა ღვთის მიმართ თქვენი *მსახურებაა*. სიტყვა მსახურების განმარტება ასეთია: *სამუშაოს ან მოვალეობების შესრულება ზემდგომისთვის ან როგორც მომსახურე პირის მიერ.*[20] ეს გახლავთ თქვენი მოვალეობის ნაწილი აქ, ქვეყნიერებაზე ღვთის სახელით, რომ მისი გული და მზრუნველობა ხალხს დაანახოთ. შედეგი ნათელია – ეს ადამიანთა გულებს ეხება და ქრისტეს მისაღებად ხსნის. ვფიქრობ, ყველას გაგვახსენდება, როცა ვინმე დასახმარებლად მოსულა და რამდენს ნიშნავდა ეს ჩვენთვის.

ხელგაშლილობა ადამიანებს თქვენსა და ღვთის გულს აჩვენებს!

ხელგაშლილობა მეტად ძლიერია. ის სიტყვებს აღემატება და პირდაპირ გულამდე აღწევს. საოცარია, რა ადვილად გვამახსოვრდება სხვისგან მიღებული ქება ან საჩუქარი. ზოგჯერ ღმერთი ჩვენთვის უცნობ ადამიანებს იყენებს, რომ გაგვამხნევოს და ჩვენამდე მოვიდეს.

ხელგაშლილობა მეტად ძლიერია. ის სიტყვებს აღემატება და პირდაპირ გულამდე აღწევს.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ის დღე, როცა მე და დრენდა მეგობრებთან ერთად ხოხბებზე სანადიროდ წავედით. მაშინ ახალდაქორწინებულები ვიყავით და ტალსაში ვცხოვრობდით. კანზასში ჩავედით და დიდებული ნადირობა გავმართეთ. უკანა გზაზე ჩემი მეგობრის ავტომობილის ძრავი აფეთქდა. უდაბურ ადგილას ვიყავით მტვრიანი ტრასის პირას და სახლამდე კიდევ საათების გზა გვქონდა დარჩენილი. კანზასში ოდესმე თუ ყოფილხართ, გეცოდინებათ, რა უნაყოფო ადგილია. უკვე ღამდებოდა და ერთადერთი სინათლე მოვლანდეთ სადღაც შორს. ფერმერის სახლამდე ავტოსტოპით მივედით და ჩვენი მდგომარეობა ავუხსენით. განცვიფრებამ მომიცვა, როცა მან საპასუხოდ გვითხრა: „კარგი, ამ საღამოს სახლში წაგიყვანთ. თქვენს მანქანას ტრაილერზე დავდებ და სახლამდე დროულად მიხვალთ, რომ ორშაბათს სამუშაოზე არ დაგაგვიანდეთ.“ დილით დრენდას ახალი სამსახური უნდა დაეწყო რესტორანში ნახევარ განაკვეთზე და ძალზე მოწყენილი იყო. შესაძლოა, დარეკვა და იმის თქმა დასჭირვებოდა, რომ ვერ მივიდოდა.

20. https://www.thefreedictionary.com/service

საოცარია, რომ ადამიანმა, რომელიც ადრე არასოდეს გვენახა, ხუთი საათი გვატარა ტალსამდე და შემდეგ უკან, სახლში დაბრუნდა დილამდე ჩასასვლელად. ამისთვის მთელი ღამე უნდა ევლო. არასოდეს დამავიწყდება ეს უანგარო სიკეთე. მან საწვავის ფულიც კი არ აიღო. როცა გამახსენდება, მადლიერების გრძნობა მომიცავს ხოლმე მისი ამ ნიჭის გამო.

როცა ადამიანები თქვენზე იფიქრებენ, მადლობა უნდა უძღვნან ღმერთს თქვენი ხელგაშლილობის გამო.

ყველაზე ძლიერი პრინციპები, რომლებიც ოდესმე მისწავლია, შემდეგ მონაკვეთში ვიპოვე, სადაც პავლე გაცემის მითითებებს იძლევა.

> *ვინაიდან ამ საქმის მსახურება არა მარტო ავსებს წმიდანთა ნაკლებობას, არამედ ღვთისადმი მადლიერებასაც ამრავლებს; რადგან ხედავენ რა ამ მსახურებას, ღმერთს ადიდებენ თქვენს მიერ ქრისტეს სახარების მორჩილებისა და აღიარების გამო, აგრეთვე ხელგაშლილობისა და იმ წრფელი მოზიარეობის გამო, რასაც არა მხოლოდ მათდამი, არამედ ყველას მიმართ ავლენთ. თქვენთვის ლოცულობენ და თქვენკენ მოილტვიან ისინი ღვთის <u>იმ მადლის გამო, რაც აღმატებულად არის თქვენში.</u> და მადლობა ღმერთს მისი ენითაღუწერელი საჩუქრისთვის.*
>
> – 2 კორინთელთა 9:12-15

აღმატებული ნიშნავს: დიდ ოდენობას ან უკეთეს ხარისხს; მოჭარბებულს, მომეტებულს ან ზებუნებრივს: <u>*გადაჭარბებული დიდებულების სტრუქტურას*</u>. [21]

რა შეიძლება მოგეცეთ მოჭარბებით? რა შეიძლება იყოს ზებუნებრივი და გარდამეტებული სიდიადის მქონე თქვენს ცხოვრებაში? ღვთის მადლი! ახლა მადლის განსაზღვრებას გადავხედოთ.

მადლი: დაუმსახურებელი კეთილგანწყობა ღვთისგან.

ეს გახლავთ მადლის სტადარტული განმარტება. ნება მომეცით, უფრო ვრცელი განმარტება შემოგთავაზოთ.

21. Dictionary.com

„ზოგადი ქრისტიანული მოძღვრება მადლის შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ მადლი (კეთილგანწყობა) ღვთის დაუმსახურებელი საჩუქარია კაცობრიობის მიმართ, რომელიც მისი ძის წარმოგზავნით, ჯვარცმით და შედეგად, საუკუნო ხსნის მოტანით უბოძა.“[22]

თუმცა ეს განსაზღვრება სრულად არ მოიცავს ამ ტერმინის ყველა ბიბლიურ მნიშვნელობას. მაგალითად, ლუკ. 2:40 (მეფე იაკობის ვერსია): *„ყრმა კი იზრდებოდა და სულით მტკიცდებოდა, სიბრძნით ივსებოდა და ღვთის მადლი იყო მასზე.“* მოყვანილ მონაკვეთში მადლის მნიშვნელობად დაუმსახურებელი კეთილგანწყობა ვერ ჩაითვლება, რადგან უცოდველ ქრისტეს ეს არ სჭირდებოდა.

ჯეიმს რაილის თანახმად: „მადლი არის ღვთის გამაძლიერებელი თანდასწრება, რომ ჩამოყალიბდეთ ღვთის განზრახვის შესაბამის პიროვნებად და აკეთოთ ის, რის საკეთებლადაც მოგიწოდათ.“ ალტერნატიულ ვარიანტად შემოგთავაზებთ ბილ გოტარდის განმარტებას: „მადლი იძლევა სურვილსა და ძალას ღვთისგან, რომ შევასრულოთ მისი ნება.“ ორივე განსაზღვრება ბიბლიური მადლის მნიშვნელობის კარგ აღწერას გვაწვდის.[23]

ამრიგად, ვხედავთ, რომ პავლე ზემომოყვანილ მონაკვეთში ლაპარაკობს მადლზე, როგორც წარმატების მიღწევისთვის საჭირო ძალაზე! მადლის ნიჭი სიხარულით იყო მიღებული, რადგან ადამიანების საჭიროებებს აკმაყოფილებდა. პავლე თავის მსჯელობას (ზემოთ, მონაკვეთში 2 კორინთელთა წერილიდან) ასე ასრულებს: **„მადლობა ღმერთს მისი ენითაღუწერელი საჩუქრისთვის!“**

აქ არის ძალა, რომელიც ფინანსური ბორკილებისგან გაგათავისუფლებთ და ეს ღვთის მადლია. ფინანსური წარმატების ძალა ყველა მორწმუნისთვის არსებობს. თუმცა აქ ერთი საკითხია გასარკვევი. <u>შეიძლება, ბევრი დრო დავხარჯოთ პავლეს რჩევის განხილვაზე გაცემასთან დაკავშირებით, მაგრამ თუ არ გავითავისებთ მადლს, როგორც წარმატებისთვის ღვთის ძალით გაძლიერებას, ავცდებით მკას, რომელიც ღმერთს ჩვენთვის ჰქონდა განსაზღვრული.</u> მაშინ ჩვენი მოქმედება დაემსგავსება თესვას დიდი ხეების ჩრდილქვეშ, სადაც არც მზის სხივი აღწევს და არც სასურველი შედეგის მიღების ძალა არსებობს.

22. http://en.wikipedia.org/wiki/divine_grace
23. http://en.wikipedia.org/wiki/divine_grace

მე და დრენდა ბიბლიურ ისტორიებს ვკითხულობდით, სადაც ღვთის ძალა ჩნდებოდა და სრულიად ცვლიდა მდგომარეობას ადამიანთა სასიკეთოდ. უნდა ვაღიარო, რომ ჩვენს ეკლესიაში იშვიათად თუ მოგვისმენია ამგვარი ამბები, როცა სულიერად ვიზრდებოდით. არავინ ლაპარაკობდა, როგორ უნდა ჩაგვერთო ვითარებებში ღვთიური ძალა. მხოლოდ სულის გადარჩენის მომცველი ქადაგებებით შემოიფარგლებოდნენ. ახლა ვაცნობიერებ, რომ გადარჩენა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. თუმცა ახლახანს აღვნიშნე, რომ იგივე მადლი მჭირდება ჩემი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ფუნქციონირებისთვის. მაშინ არ ვიცოდი, ეს როგორ ამემოქმედებინა. ჩემი უმეცრების გამო გულგატეხილები, ავადმყოფები და დეპრესიულები ვიყავით. გადარჩენის შესახებ ვიცოდით — უკვე გვქონდა საუკუნო ხსნა — მაგრამ წარმოდგენა არ გვქონდა ან ვერ ვხვდებოდით, როგორ ჩამოგვეტანა ზეცა ჩვენს ცხოვრებაში და ღვთის ძალა წარმოგვეჩინა.

სწორედ ეს მითხრა უფალმა იმ დღეს, როცა ცათა სამეფოს შესახებ დამელაპარაკა: „*ამ არეულობაში იმიტომ აღმოჩნდი, რომ არ იცი, როგორ მოქმედებს ჩემი სამეფო*!“

სხვა სიტყვებით, ის ამბობდა, რომ არ ვიცოდი, როგორ გამომეთავისუფლებინა მეფის ძალაუფლება აქ, დედამიწაზე. არასოდეს მიცდია ამის გაგება ან საერთოდ შემეძლო თუ არა. ნება მომეცით, აღვნიშნო: ვერასოდეს გათავისუფლდებით, თუ არ გექნებათ ფინანსური თავისუფლება.

როგორც მე და დრენდა ვიმეორებთ წლების მანძილზე, ვერასოდეს აღმოაჩენთ თქვენი ცხოვრების სულიერ დანიშნულებას, სანამ ფულის საკითხს არ გადაწყვეტთ.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი რამ – გათავისუფლება შეგიძლიათ! არა მარტო საკუთარი თავისთვის უნდა გათავისუფლდეთ ფინანსური ბორკილებისგან, არამედ ადამიანებისთვის, რომლებმაც ღვთის სამეფო მოქმედებაში უნდა დაინახონ. ეს ისე მიიზიდავს მათ, როგორც მწიფე ხილით დახუნძლული ხე. ადამიანები პასუხებს ეძებენ; ისინი რეალური საქმისკენ ილტვიან. მათ ნამდვილი სამეფოს ხილვა სურთ და არა რელიგიის.

მრავალი თვალსაჩინოებიდან ერთი მაგალითი გამოირჩევა და ნათლად აჩვენებს ბევრი ამერიკელის ცხოვრების წესს. ერთმა

ქალბატონმა მასთან შეხვედრა მთხოვა, რადგან ვალებისგან გათავისუფლებაში დახმარება სჭირდებოდა. მას მე და ერთი ჩემი დამხმარე შევხვდით. გაოგნებული ვიჯექი, როცა თავისი მდგომარეობა ამიხსნა. მას 32 სხვადასხვა საკრედიტო ბარათი ჰქონდა და ყველა მათგანის თანხის ლიმიტი ამოწურული იყო. ამ ქალბატონმა წარმატებით გამოიმწყვდია თავი ციხეში და ახლა იქედან თავის დაღწევის საშუალებას მთხოვდა. ჩემი აზრით, პასუხი მარტივი იყო: *უნდა შეეწყვიტა საკრედიტო ბარათების გამოყენება*. ვურჩიე, ბარათებზე უარი ეთქვა და მხოლოდ შემოსავლის ფარგლებში ეცხოვრა. ასევე ვურჩიე სადებეტო ბარათზე გადასვლა. ამის გაგონებაზე ქალი ცრემლებად დაიღვარა და შოკისმომგვრელი კითხვა დასვა: „აბა, ფეხსაცმელები რით ვიყიდო?“ ვიფიქრე, ყური ხომ არ მატყუებდა. ფეხსაცმელები უფრო ადარდებდა, როცა საკვებისთვისაც კი არ ჰქონდა საკმარისი ფული?

შეიძლება იფიქროთ, რომ ამ ქალის შემთხვევა ანომალიის კატეგორიას მიეკუთვნებოდა და ასეც იყო საკრედიტო ბარათების რაოდენობის მიხედვით, მაგრამ არა ფინანსურ ციხეში თავის დატყვევების თვალსაზრისით. გადახედეთ ამერიკის ბოლოდროინდელ სტატისტიკას:

- ადამიანთა 56 %-ს 1000 დოლარის დანაზოგიც კი არ აქვს ბანკში.[24]
- 40 %-ს არ შეუძლია მოულოდნელი 400-დოლარიანი გადასახადის გადახდა.[25]

მეგობარო! ამერიკა იმ მდგომარეობაშია, რაც ღმერთმა მითხრა; მისი მოქალაქეები მონები არიან. იფიქრეთ, რას აკეთებს მონა! ის საკუთარი თავისთვის არ მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ შრომობს და სარგებელი მოაქვს, მოგება მისი პატრონის ჯიბეში მიდის ყოველთვიურად. მას მხოლოდ მცირე რამ რჩება ოჯახისთვის მეორე თვემდე თავის გასატანად. მონა ცხოვრობს სახლში, რომელიც მას არ ეკუთვნის (ვგულისხმობ იპოთეკას) და ატარებს მანქანას, რომელიც მისი არ არის, რომ გადაიხადოს

24. Carmen Reinicke, “56% of Americans Can’t Cover a $1,000 Emergency Expense with Savings,” www.cnbc.com, January 19, 2022
25. Soo Youn, “40% of Americans Don’t Have $400 in the Bank for Emergency Expenses: Federal Reserve,” www.abc.go.com, May 24, 2019

სახლისთვის, რომელიც მის საკუთრებას არ წარმოადგენს. მათ საკრედიტო ბარათით ნაყიდი ტანსაცმელი აცვიათ, რომ სამუშაოზე წავიდნენ და გადაიხადონ მანქანისა და სახლისთვის, რომლებიც მათ არ ეკუთვნით. ისინი ჯერ კიდევ ფარავენ სტუდენტურ სესხს. ალბათ, მიხვდით, რის თქმაც მინდა.

> *მდიდარი ღარიბზე ბატონობს, მსესხებელი კი გამსესხებელს ემონება.*
>
> – იგავები 22:7

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამერიკელების 80 %-ს არ მოსწონს თავისი სამუშაო, ხოლო 33 %-ს სძულს კიდეც.[26] მაშ, რატომ მუშაობენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე? იმიტომ, რომ მონები არიან და მონებს არჩევანის თავისუფლება არ აქვთ! მაშ, არსებობს მონობიდან თავის დაღწევის გზა? დიახ! არ გჯერათ? ნება მომეცით, გაჩვენოთ.

> *ვინაიდან ამ საქმის მსახურება არა მარტო ავსებს წმიდანთა ნაკლებობას, არამედ ღვთისადმი მადლიერებასაც ამრავლებს; რადგან ხედავენ რა ამ მსახურებას, ღმერთს ადიდებენ თქვენს მიერ ქრისტეს სახარების მორჩილებისა და აღიარების გამო, აგრეთვე ხელგაშლილობისა და იმ წრფელი მოზიარეობის გამო, რასაც არა მხოლოდ მათდამი, არამედ ყველას მიმართ ავლენთ. თქვენთვის ლოცულობენ და თქვენკენ მოილტვიან ისინი ღვთის იმ <u>მადლის გამო, რაც აღმატებულად არის თქვენში</u>. და მადლობა ღმერთს მისი ენითაღუწერელი საჩუქრისთვის.*
>
> – 2 კორინთელთა 9:12-15

მოდით, არ მოვაშოროთ თვალი ამ პასუხს – ღვთის მადლს, წარმატების მიღწევისთვის აუცილებელ ძალას!

ასევე უნდა გახსოვდეთ, რომ მტერს თქვენი ვალებში ჩატოვება სურს ისე, რომ გამოსავალს ვერასოდეს მიაგნოთ. სწორედ ამის გამო არსებობს ამერიკაში 1.2 მილიარდი აქტიური

26. Ken Keis, Ph.D., "Why Do People Hate Teir Jobs?" Linkedin.com, October 6, 2014.

საკრედიტო ბარათი. სწორედ იგივე მიზეზის გამო ეგზავნებათ ადამიანებს ყოველწლიურად 7-8 მილიარდი საკრედიტო ბარათის *შემოთავაზება*.[27] ვიღაცას სურს, რომ ვალებში იყოთ და ეს არ გახლავთ მხოლოდ ბანკები ან სხვა მოვაჭრეები, რომლებიც ხვეწნით გთავაზობენ თავიანთი ბარათების გამოცდას. სატანამ იცის, რომ ვალებში ყოფნისას ვერასოდეს შეასრულებთ თქვენს სულიერ დანიშნულებას, რაც დიდ არეულობას მოიტანდა მის სამეფოში.

ამრიგად, ნება მომეცით, ერთი წუთით მიმოვიხილო. ეს თავი ხელგაშლილობაზეა, არა? კეთილი, დიახ და არა. დიახ, ვაპირებთ გულუხვობის ყველა სიკეთესა და ხელგაშლილობაზე ცოტაოდენი ვილაპარაკოთ, მაგრამ გაცემა, როგორც ასეთი, პასუხი არ გახლავთ, თუ არ გეცოდინებათ, როგორ გამოიყენოთ მადლი, რომელიც ღვთის ძალაა. ნება მომეცით, ხელახლა განვაცხადო: გაღების ფორმულა, თავისთავად, როგორც ფორმულა, გასაღები არ არის. ეს მხოლოდ ნაწილია და მე და თქვენ ის ზებუნებრივი, არაჩვეულებრივი გაძლიერება გვჭირდება წარმატების მისაღწევად, რომელსაც მადლი ეწოდება.

დასტინი და კენდალი მიხვდნენ, რაზე ვლაპარაკობ. ისინი ახალგაზრდა წყვილს წარმოადგენენ, რომელთაც ღვთის მადლის საჭიროება ვერ გააცნობიერეს, სანამ სრულ ქაოსში არ აღმოჩნდნენ. მათ ახალი ბიზნეს-იდეა აიტაცეს და ამ მიმართულებით მოქმედება გადაწყვიტეს. საფასური? $150,000 და სულ ვალით. ბიზნესის შესყიდვის პირველივე თვეს ისინი საშემოსავლო სამსახურმა შეამოწმა და 53,000 დოლარით დაბეგრა. დასტინის ნაამბობით, ვალი ისე გაიზარდა 200,000 დოლარამდე, რომ თავის დაღწევის საშუალება არ ჰქონდათ. თან ხსენებული ბიზნესი ყიდვამდეც ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა. დასტინი სხვა ვარიანტების ძიებას შეუდგა.

გარკვეული დროის მანძილზე მოკვლევის შემდეგ 30,000 დოლარის საკრედიტო შემოთავაზება იპოვა, რომელიც დაუმტკიცეს და ეს იდეა ცოლთან მიიტანა განსახილველად. მან არ იცოდა, რომ კენდალი ჩემს წიგნს, *თქვენი ფინანსური რევოლუცია: მოსვენების ძალა*, სწავლობდა და ამაზე ფიქრობდა, სადაც ასევე ლაპარაკია ღვთის მადლით ტკბობაზე. მაშ ასე, როცა დასტინი მასთან მივიდა მორიგი სესხის აღების იდეით,

27. Bianca Peter, “Number of Credit Cards and Credit Card Holders,” https://www. wallethub.com, July 15, 2020

ქალი იმედგაცრუებული დარჩა, რადგან ვალის აღების ნაცვლად ქმრის ღვთისკენ მოტრიალებას მოელოდა. კენდალმა დასტინთან დალაპარაკება გადაწყვიტა მის შესაგულიანებლად, რომ ღმერთს მინდობოდა. საბედნიეროდ, ქმარი ცოლის სიბრძნეს დაეთანხმა. ლოცვისას სულიწმიდის ხმა გაიგონეს, რომელიც მათ თესლის დათესვაზე დაელაპარაკა. რასაკვირველია, იმ დროისთვის არ ჰქონდათ ფულის ის ოდენობა, რომელიც ღმერთმა აჩვენა გასაცემად, ამიტომ მომდევნო 28 დღეს მხოლოდ იმისთვის იშრომეს, რომ ეს თანხა გამოემუშავებინათ. შედეგი? მათმა ბიზნესმა განვითარება დაიწყო.

ერთი წლის მანძილზე შეძლეს $175,000 ვალის გადახდა და დასტინმა მითხრა, რომ იმ წელს თორმეტჯერ მეტი თანხა გამოიმუშავა, ვიდრე ცხოვრების განმავლობაში ოდესმე მოუხერხებია! კენდალი და დასტინი მიხვდნენ, რომ ღვთის სამეფო ყოველთვის მუშაობს!

პასუხი: მადლი

ვისაუბრეთ, თუ რა ზეგავლენას ახდენს ხელგაშლილობა ადამიანებზე სულიერად – როგორ დრეკს მათ გულებს და მადლიერებით ავსებს თქვენსა და ღვთის მიმართ. ასევე მოვიყვანეთ პავლეს ნათქვამი, რომ უხვად გაცემის უნარი ჩვენს ცხოვრებაში ღვთის მადლის მოქმედების შედეგია.

> *თქვენთვის ლოცულობენ და თქვენკენ მოილტვიან ისინი ღვთის იმ მადლის გამო, რაც აღმატებულად არის თქვენში. და მადლობა ღმერთს მისი ენითაღუწერელი საჩუქრისთვის.*
>
> – 2 კორინთელთა 9:14-15

ვილაპარაკეთ პავლეს მიერ გამოკვეთილ სიტყვაზე — *აღმატებული*, როცა ის წარმატების მისაღწევად ღვთისგან მიღებულ მადლს აღწერს. აღმოვაჩინეთ, რომ მადლი რაიმეს შესასრულებლად საჭირო ზებუნებრივი ძალაა. პავლე ამბობს, რომ ღვთიური მადლით გაძლიერება საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში გვეხმარება და მას ენითაღუწერელ საჩუქარს უწოდებს! ვფიქრობ, ნებისმიერმა უნდა აღიაროს, რომ ცხოვრებაში წინსვლას უსათუოდ შეძლებს, როცა თავად

ღმერთი აპირებს მის დახმარებას. მთელი იმ სიდიადის გასაცნობიერებლად, რის გაკეთებაც ღმერთს სურს თქვენს ცხოვრებაში და რა კოლოსალური ძალა არსებობს თქვენთვის გამოსაყენებლად, ცოტა უკან დავიხიოთ და მეექვსე მუხლიდან წავიკითხოთ.

> *იმასაც გეტყვით, რომ ვინც ძუნწად თესავს, ის ძუნწად მოიმკის, ხოლო ვინც უხვად თესავს, ის უხვად მოიმკის. თითოეულმა გაიღოს ისე, როგორც გულით განეწყო, არც მწუხარებითა და არც ძალდატანებით; ვინაიდან ღმერთს სიხარულით გამცემი უყვარს; ღმერთს კი ძალუძს სიუხვე მოგცეთ ყოველგვარ მადლში, რათა ყველაფერში ყოველივეს საკმარისად მქონენი, უხვნი იყოთ ყოველ კეთილი საქმისთვის. როგორც სწერია: გაფლანგა, ღარიბებს დაურიგა; მისი სიმართლე რჩება უკუნისამდე!*
>
> *ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს, რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს.*
>
> – 2 კორინთელთა 9:6-11

აი, ახლა კი მართლაც საინტერესო რამეები იწყება! ვხედავთ, რომ აქაც იგივე სიტყვა *მადლია* გამოყენებული, თუმცა პავლე განსაზღვრება *ყოველგვარს* ამატებს. პავლე ნათლად ლაპარაკობს გაცემასა და მიღებაზე და ხაზს უსვამს, რომ გაცემის შემდეგ ღვთის ყოველგვარი მადლი სამკალის მისაღებად მოქმედებს. ღვთის ყოველგვარი მადლი ყველაფერს მოიცავს — ღვთის ძალას, სიბრძნეს, კეთილგანწყობას და შინაგან მიგნებას, რომლებიც ახლა თქვენთვის ხელმისაწვდომია იმ თესლიდან მოსავლის მისაღებად. თქვენი არ ვიცი და მე კი ამაზე ფიქრს აღტაცებაში მოვყავარ!

თუმცა ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ სამკალი თავისით მოვა.

ძალზე მდიდარმა ფერმერმა მარცვლეულის დასათესად და მოსავლის მისაღებად მთელი თავისი აღჭურვილობა რომ შემოგთავაზოთ, რომელიც მილიონობით დოლარი ღირს,

...ღვთის ყოველგვარი უნარი დათესვის შემდეგ მოსავლის მიღებაში გეხმარებათ და მეორე, ამის გამო უსაზღვრო მომავალი გელით!

მაგრამ მიწათმოქმედების არაფერი გაგეგებოდეთ, სარგებელი არ გექნებათ. ღმერთმა მთელი თავისი ძალა ჩვენთვის მისაწვდომი გახადა, მაგრამ ჩვენი წილი საქმე მაინც უნდა შევასრულოთ ისე, როგორც ფერმერმა იცის ბევრი რამ მიწათმოქმედებაზე და მხოლოდ თესლის მიწაში ჩათესვით არ შემოიფარგლება. ახლა იმას მინდა მიხვდეთ, რომ ღვთის ყოველგვარი უნარი დათესვის შემდეგ მოსავლის მიღებაში გეხმარებათ და მეორე, ამის გამო უსაზღვრო მომავალი გელით!

ახლა ერთი ნაბიჯით წინ უნდა წავიწიოთ და ხსენებული მონაკვეთის აშკარა გამოცხადებაზე ვისაუბროთ, რაც არის ფულის ქონის უპირველესი დანიშნულება.

> *ღმერთს კი ძალუძს სიუხვე მოგცეთ ყოველგვარ მადლში, რათა ყველაფერში ყოველივეს საკმარისად მქონენი, უხვნი იყოთ ყოველი კეთილი საქმისთვის.*

ვხედავთ, რომ პირველ რიგში, ღმერთი ახსენებს თქვენი ყველა საჭიროების დაკმაყოფილებას. აქ მხოლოდ ფული არ იგულისხმება. იგი ლაპარაკობს *ყველაფერზე* ნებისმიერ დროს! მე ყოველთვის ასე ვამბობ: „თქვენ ღვთის საქმეზე ზრუნავთ, ხოლო ღმერთი — თქვენსაზე.“ მაშ ასე, ყველაფერში ყოველ დროს! ეს ჩემთვის ნიშნავს, რომ არასოდეს დარჩებით მის გარეშე, რაც არ უნდა მოუვიდეს ქვეყნის ეკონომიკას. როცა ღმერთი ამბობს, რომ თქვენი საჭიროებები დაკმაყოფილებული იქნება, იგი არ გულისხმობს როგორღაც თავის გატანას.

> *მრავალ ერს ასესხებ შენ და თავად კი არ ისესხებ. თავად გაქცევს უფალი და არა კუდად, მაღლა იქნები და არა ქვემოთ, თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის მცნებებს, რომელთაც გამცნებ დღეს რომ დაიცვა და აღასრულო.*

– მეორე რჯული 28:12ბ-13

როცა ღმერთი ყველა თქვენი საჭიროების დაკმაყოფილებაზე ლაპარაკობს, სრულ ფინანსურ თავისუფლებას გულისხმობს ყოველგვარი ვალის გარეშე, როცა თქვენს დავალებას შინაგანი ენთუზიაზმით ასრულებთ და მიწის სიუხვისგან იკვებებით. ეს ასევე ნიშნავს სრულ ჯანმრთელობას და სრულყოფილ მშვიდობას.

მეორე, თქვენი საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ გადარჩენისთვის ბრძოლა აღარ გჭირდებათ.

რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს.

საბოლოო შედეგი იქნება ადამიანების გულების ღვთისკენ მოტრიალება. ეს შეიძლება ნიშნავდეს სხვა ადამიანთა საჭიროების დაკმაყოფილებას ან ღვთიური საქმისთვის გაღებას ამქვეყნიურ სამყაროში. ორივე შემთხვევაში ჩანს, რომ ხალხის გულები ღვთისკენ ისწრაფვის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ნება მომეცით, ერთი არასწორი მოსაზრება გავაბათილო, რასაც ხშირად ვისმენ. ერთხელ ერთმა კაცმა მითხრა, რომ მეტი ფული არ სჭირდებოდა, ისედაც საკმარისი ჰქონდა. ასეთები მთლიანად აცდნენ ფულის პირველ რიგში ქონის აზრს. თუ ფულს მხოლოდ პირადი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის გამოვიმუშავებთ, ვფიქრობ, დადგება დრო, როცა მეტი ფულის შოვნის მამოძრავებელი ძალა შემცირდება. ღმერთს გაცილებით მეტი ფული სჭირდება! ნება მიბოძეთ, გაგიმეოროთ:

ღმერთს გაცილებით მეტი ფული სჭირდება!

ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

ღმერთს კი ძალუძს სიუხვე მოგცეთ ყოველგვარ მადლში, რათა ყველაფერში ყოველივეს საკმარისად მქონენი, უხვნი იყოთ ყოველი კეთილი საქმისთვის.

ყოველი კეთილი საქმე გაქვთ მათში მონაწილეობის მისაღებად. ყოველი კეთილი საქმე გახლავთ მეფის გამო გაკეთებული საქმე. ფაქტობრივად, ძალზე კონკრეტული საშრომია ეფესელთა მე-4 თავის თანახმად.

ხოლო ყოველ ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტეს საჩუქრის ზომისამებრ.

– ეფესელთა 4:7

და მან მოგვცა ერთნი მოციქულებად, მეორენი წინასწარმეტყველებად, ზოგნი მახარებლებად, ზოგნი კი მწყემსებად და მასწავლებლებად, რათა აღჭურვონ წმიდანები <u>მსახურების საქმისთვის</u>.

– ეფესელთა 4:11-12ა

იცით, ადამიანთა უმრავლესობის მიზანია ფინანსური თავისუფლება, რადგან დაიღალნენ გააფთრებული კონკურენციის მანკიერ წრეზე სირბილით. ისინი მშვიდობას ეძებენ. მათი დიდი უმრავლესობა უკმაყოფილოა სამსახურით, სადაც მუშაობენ, ამიტომ თავისუფლებას ეძებენ, რომ აკეთონ ის, რაც *სურთ* და არ იშრომონ *იძულებით*.

აი, განაცხადი, რომელიც რელიგიურ ადამიანებს აგიჟებს:

რათა ყველაფერში გამდიდრდეთ.

– 2 კორინთელთა 9:11

დიახ, ასეა ნათქვამი. ყველაფერში უნდა გამდიდრდეთ! თავად სიტყვა *სიმდიდრის* მნიშვნელობა სუბიექტურია და ხშირად, გაუგებრობას იწვევს ჩვენს კულტურაში. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ ერთი მილიარდის მფლობელი უფრო ბედნიერია თუ 100 000 დოლარის პატრონი.

არა, რა თქმა უნდა, სიმდიდრეში იგულისხმება, რომ ყველა ჩვენი საჭიროება დაკმაყოფილებულია და მიწის დოვლათს ვჭამთ, მაგრამ ეს ასევე გახლავთ შვილიშვილებთან თამაში, ცოლთან ხელჩაკიდებული ყოფნა და მრავალი სხვა საოცარი რამ ცხოვრებაში. მე და დრენდას ხუთი შვილიშვილი გვყავს. მათ ღმერთი უყვართ და ამა თუ იმ გზებით მსახურებაში ჩართული არიან. ჩვენ ყველანი ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობთ და

გულწრფელად რომ ვთქვა, გვიყვარს დროის ერთად გატარება. ამას ვეძახი სიმდიდრეს!

იცით, რელიგიური ადამიანები ბევრი ფულის ქონას სიხარბეს ეძახიან. თუმცა ღმერთთან ერთად ადამიანთა ბიზნესში ჩართული ხალხისთვის ფული ბევრი არასოდეს არის. ყოველთვის მოიძებნება ახალი დავალებები და ასათვისებელი ტერიტორიები.

თუმცა ღმერთთან ერთად ადამიანთა ბიზნესში ჩართული ხალხისთვის ფული ბევრი არასოდეს არის.

კვლავ ვიმეორებ, ღმერთს სურს, რომ საკმარისად იყოთ უზრუნველყოფილი მისი საქმის მსოფლიოში გასავრცელებლად. მას უნდა, რომ ხელგაშლილები იყოთ მისთვის, დაეხმაროთ ადამიანებს და დააფინანსოთ მისი დავალებები. შეწყვიტეთ ყველაფერი! თუ აპირებთ უხვად გაცემას ყოველ შესაძლო შემთხვევაში, გარკვეული თანხა უნდა გქონდეთ. ვგულისხმობ, რომ ასეთი შემთხვევები შეიძლება *ყოველდღე* ან *დღეში რამდენჯერმე შეგხვდეთ*. მოდით, ვიყოთ გულწრფელები – ამის გასაკეთებლად თვიდან თვემდე თავის გატანა საკმარისი არ არის. გაცილებით მეტი ფული უნდა გქონდეთ, ვიდრე გადასახადების გადახდას სჭირდება! ვფიქრობ, ამაში ყველა დამეთანხმება. მოდით, გადავიდეთ იმ პუნქტზე, სადაც თეორია პრაქტიკად უნდა იქცეს.

რაში მდგომარეობს გაცემის შიში? მარტივად აღებული, ეს არის შიში, რომ სახსრები საკუთარი თავისთვისაც არ გეყოფათ, არა? *მე ეს თანხა მჭირდება*, იფიქრებთ თქვენ და მართლაც გჭირდებათ. იცით რა? თანხა ღმერთსაც სჭირდება. საიდან მოიტანს იგი მისი პროგრამისთვის საჭირო დაფინანსებას? რასაკვირველია, ეს თანხა თქვენგან, ჩემგან და სხვა თანამორწმუნეებისგან უნდა შემოვიდეს. სატანის მომხრეები არ დააფინანსებენ ღვთიურ საქმეებს. ღმერთი არ მოგთხოვთ თქვენი თანხის გაცემას სანაცვლო დაპირების გარეშე, რომ ამ ინვესტიციით მოგებას ნახავთ. ასე არ არის? თუმცა ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის სთხოვთ.

მორწმუნეთა უმრავლესობის აზრით, ღვთისგან სანაცვლოს მიღების რწმენა არასწორია. ისინი ფიქრობენ, რომ ღვთისთვის გაცემა და მისგან რაღაცის მიღების მოლოდინი სიხარბეს

ეფუძნება და ღვთის თაყვანისცემის წმინდა აქტს აკნინებს. გჯერათ, რომ მიწათმოქმედი უსაფუძვლოდ ელოდება კარგი მოსავლის და მოგების მიღებას მისთვის და მისი ოჯახისთვის? რა თქმა უნდა, არა. ის უბრალოდ იყენებს კანონებს, რომელიც ღმერთმა მისცა. ღმერთს ახარებს, როცა წარმატებული ვართ. მან მოგვცა თესვა-მკის კანონი, რომ სარგებელი მიგვეღო. იესომ ამ საკითხს ერთი იგავი მიუძღვნა. ეს გახლავთ ამბავი, რომელიც უხსოვარი დროიდან ისწავლება საკვირაო სკოლებში. თუმცა მასწავლებლები რაღაც მიზეზით ყოველთვის უგულებელყოფენ იგავის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს.

მოდით, გადავიდეთ ლუკ. 10 თავზე და წავიკითხოთ იგავი კეთილ სამარიელზე.

აჰა, ერთი რჯულისმცოდნე წამოდგა და გამოსაცდელად ჰკითხა: "მოძღვარო, რა უნდა გავაკეთო?"

იესომ უთხრა: "რჯულში როგორ წერია? შენ როგორ კითხულობ?"

მან უპასუხა: "შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი გონებით; და მოყვასი შენი, როგორც თავი შენი".

უთხრა მას იესომ: „სწორად მიპასუხე. ასე მოიქეცი და იცოცხლებ".

მაგრამ მას თავის გამართლება უნდოდა და ჰკითხა იესოს: "ვინ არის ჩემი მოყვასი?"

მიუგო იესომ და უთხრა მას: „ერთი კაცი იერუსალიმიდან იერიხოს მიდიოდა; თავს დაესხნენ ყაჩაღები, რომლებმაც ტანსაცმელი გახადეს, დაჭრეს და წავიდნენ; ის კი ნახევრადმკვდარი მიატოვეს. შემთხვევით ერთმა მღვდელმა ჩამოიარა გზაზე, დაინახა იგი და გვერდი აუქცია. ლევიანმაც ჩაიარა იმ ადგილას, დაინახა და მანაც გვერდი აუქცია. მერე ვიღაც სამარიელმა გამოიარა, დაინახა და შეებრალა. მივიდა, ზეთითა და ღვინით მობანა ჭრილობები, შეუხვია, შესვა თავის პირუტყვზე, მიიყვანა სასტუმროში და უპატრონა. მეორე დღეს, სანამ წავიდოდა, ორი დინარი ამოიღო, მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა: იზრუნე მასზე და, თუ

ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები, გადაგიხდიო.

როგორ ფიქრობ, იმ სამიდან რომელი იყო ყაჩაღების ხელში ჩავარდნილის მოყვასი?“

უპასუხა: „რომელმაც წყალობა უყო მას“.

მაშინ უთხრა იესომ: „წადი და შენც ასევე მოიქეცი”.

– ლუკა 10:25-37

ვფიქრობ, ყველა ჩვენგანმა იცის ეს ამბავი და მისი დედააზრი, „რას იზამდა ღმერთი, იმ გზაზე რომ მიდიოდეს და ნაცემი კაცი დაინახაოს?“ დარწმუნებული ვართ, რომ უპატრონოდ არ მიატოვებდა. საკვირაო სკოლის კლასების უმრავლესობა უნდა ასწავლიდეს, რომ ღმერთს გულით სურს ხალხზე ზრუნვა და ამას მთელი ასი პროცენტით ვეთანხმები. იესოს საყვედურის სრულად გააზრებისთვის უნდა იცოდეთ, რომ იუდეველებს სამარიელები სძულდათ და მათ უწმიდურებად მიიჩნევდნენ. შესაბამისად, თავიანთ თავს ღვთის თვალში უფრო წმიდებად და მართლებად თვლიდნენ. ამრიგად, იესოს იგავი, უმთავრესად, მის ღვთისმოსაობას შეეხებოდა. თუმცა არასოდეს მომისმენია და როცა ამას ვამბობ, ვგულისხმობ, რომ საკვირაო სკოლაში არასოდეს უსწავლებიათ ამბის ის ნაწილი, რომელიც ორი ვერცხლის მონეტას ეხება.

შესვა თავის პირუტყვზე, მიიყვანა სასტუმროში და უპატრონა. მეორე დღეს, სანამ წავიდოდა, ორი დინარი ამოიღო, მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა: იზრუნე მასზე და, თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები, გადაგიხდიო.

– ლუკა 10:34ბ-35

იესო ასწავლის, რომ ამ ანალოგიაში სატანისგან, ამ მძარცველისგან ნაცემ და აბუჩად აგდებულ კაცობრიობას ვხედავთ. ვხვდებით, რომ ზეთი და ღვინო წინასწარმეტყველურად წარმოადგენს სულიწმიდას და აღთქმის სისხლს, რომელსაც იესო ყველა მასთან მისულს აძლევს. მათი გამოყენების შემდეგ იესო

კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს და დაჭრილი ადამიანი უსაფრთხო ადგილას, სასტუმროში მიჰყავს. მან იცის, რომ გამოჯანსაღებას დრო სჭირდება და იქ ტოვებს ყველა ხარჯის გადახდით. სასტუმრო ადგილობრივი ეკლესიაა. სწორედ აქ მოჰყავს იესოს ცხოვრების გზაზე ნაპოვნი ნაცემი და მომაკვდავი ადამიანები. ისინი ზეციდან შობას იღებენ, აღთქმის სისხლით ცოდვებისგან იწმინდებიან და სულიწმიდის ძალით ცოცხლდებიან, თუმცა მაინც რჩებათ ქვეყნიერების დაწყევლილი სისტემის ლაქა. მათ განკურნებისა და ცხოვრების სრულიად ახალი გზის შესწავლისთვის დრო სჭირდებათ. ასეთებს იესო ადგილობრივ ეკლესიაში ათავსებს და სასტუმროს პატრონს, ეკლესიის პასტორს სთხოვს, რომ მათ წინსვლას თვალყური ადევნოს.

ეკლესიაში იგივე დამოკიდებულებას ვხედავთ, რაც რჯულის მოძღვარს ჰქონდა. ადამიანებს არ სურთ სასტუმროს დახმარების საქმეში ჩართვა. პასტორები დიდ დროს ხარჯავენ ხალხის ხვეწნაში, რომ მზრუნველობის გაწევასა თუ პატარა ჯგუფის გაძღოლაში დაეხმარონ. ისე ჩანს, რომ ადამიანები უკვე დაკავებული არიან საკუთარი საქმეების კეთებით და ეძნელებათ მიძღვნა. რახან ადამიანებს მოხალისეობა არ სურთ, რელიგია ხალხში დანაშაულის გრძნობას აღძრავს: „ღვთის წინაშე ვალდებული ხართ, რომ იზრუნოთ ამაზე ან იმაზე. ბოლოს და ბოლოს, შეხედეთ, რამდენი რამ გააკეთა ღმერთმა თქვენთვის.“ ამას ვეთანხმები. ყოველთვის მოწადინებული და მადლიერებით სავსე უნდა ვიყოთ ღვთის მიმართ. არც სხვების დახმარების სურვილი უნდა გაგვიქრეს. თუმცა ღმერთი ასე არ მოქმედებს: „თქვენ ჩემი სისტემისა გმართებთ!“

იგი ამბობს: „აჰა, ორი დინარი ... იზრუნე მასზე და, *თუ ზედმეტი ხარჯი* მოგივა, რომ დავბრუნდები, გადაგიხდი.“ როცა იესო ამბობს: „რომ დავბრუნდები, გადაგიხდი“, არ გულისხმობს მეორედ მოსვლას, არამედ ბიზნესმენის უკანა გზაზე დაბრუნებას სასტუმროს გავლით. აქ მოცემული გვაქვს წინასწარმეტყველური პარალელი. იესო იმ მომენტში სასტუმროს მეპატრონისთვის საჭირო ფინანსურ დახმარებაზე ლაპარაკობდა.

ახლა შეიძლება, ვთქვათ: „დიდებულია! ღმერთი სასტუმროს ხარჯების გასტუმრებას აპირებს იმ ადამიანზე ზრუნვის გამო“; და მაინც, ეს ნაკლებად ეფექტურია ადამიანთა მოტივირების

საქმეში და გეტყვით, რატომაც. თუ 200 ადამიანის დაპურებას გთხოვთ და იმ საკვების ღირებულების ანაზღაურებასაც ვაპირებ, შესაძლოა, გაგიხარდეთ ან ძალიანაც არ აღფრთოვანდეთ. ალბათ, ჩემდამი ერთგულების ან ღვთისადმი მოვალეობის გრძნობის გამო დამთანხმდებით, რაც ზოგჯერ საჭიროა. რაც შეეხება მთელ ცხოვრებას, თუ ამას გამუდმებით და რეგულარულად მოგთხოვთ, არ მოგეწონებათ.

ვფიქრობ, მიზეზი, რის გამოც პასტორებს ხალხის ხვეწნა უხდებათ დახმარებაში მონაწილეობის მისაღებად, არის მათი განუსწავლელობა, რომ ღმერთი ხელგაშლილობისთვის სამაგიეროს მიაგებს. უფალს სურს, ვიცოდეთ, რომ ეს ოჯახური ბიზნესია და აქედან სარგებლის მიღების იმედი უნდა გქონდეთ. პავლე ამის შესახებ კორინთელთა ეკლესიას წერს.

> *რომელ ჯარისკაცს უომია ოდესმე საკუთარი ხარჯით? ვინ რგავს ვაზს და მის ნაყოფს კი არ ჭამს? ვინ მწყემსავს სამწყსოს და სამწყსოდან რძეს არ სვამს? განა ადამიანურად ვლაპარაკობ ასე? განა რჯულიც ამასვე არ ამბობს? რადგან დაწერილია მოსეს რჯულში: პირს ნუ აუკრავ მლეწავ ხარს. განა ხარებზე ზრუნავს ღმერთი? თუ ყველა ჩვენთაგანისთვის ამბობს ამას? დიახაც, ჩვენთვის წერია, რადგან მხვნელმა იმედით უნდა ხნას და ლეწვისას, მლეწავსაც უნდა ჰქონდეს თავისი წილის მიღების იმედი.*
>
> – 1 კორინთელთა 9:7-10

დამეთანხმებით, რომ საკუთარი საქმისთვის მშრომელი ადამიანი გაწეული ძალისხმევის შედეგებს ელოდება. მით უფრო მეტად არ უნდა იყოთ მოტივირებული და ენთუზიაზმით სავსე, როცა ღვთის საქმეზეა საუბარი? აი, რის გააზრებას გვთხოვს ღმერთი: ეს ოჯახური ბიზნესია. მას არ უნდა, რომ შიშის გამო ვემსახუროთ. ასე, ადამიანი ვალდებულების დამოკიდებულებით იშრომებს. მას სურს, რომ მსახურება მის მიმართ აღძრული გულიდან და საზღაურის მოლოდინიდან მოდიოდეს.

იესომ სასტუმროს მეპატრონე ხსენებული ამბისთვის მეტად მნიშვნელოვანი მიზეზის გამო შეარჩია. ჩვენთვის გასაგებია, რომ იგი ბიზნესს აწარმოებს. მან ყოველდღიურ გადასახადში

ჩართი ზედნადები და მომსახურე პერსონალის ხარჯები. თუმცა სასტუმროს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების გარდა მას მოგებაც უნდა დარჩეს. დიახ, *მოგება*. ყოველთვის, როცა სასტუმროს მფლობელი სტუმარს ერთი ღამით დარჩენის საფასურს ახდევინებს, მას მოგება რჩება. ამის გამო მას სრულიად გასნხვავებული ხედვა აქვს მასთან მოყვანილი ნაცემი კაცის მიმართ. მისი მოვლა ერთი ცენტიც არ დაუჯდება. მეპატრონე ხვდება, რომ ყოველი ღამე, რომელსაც ნაცემი იქ გაატარებს, მისთვის მოგების მომტანია და მოგზაური ბიზნესმენის ღია ჩეკის წიგნაკს ის აღტაცებაში მოჰყავს. ადვილად წარმომიდგენია მისი საუბარი მოგზაურ ბიზნესმენთან, რომელიც წასვლას აპირებს: „თუ კიდევ იპოვით ვინმეს გზაზე, ჩვენთან მოიყვანეთ. ყველას მივხედავ, ვისაც დახმარება დასჭირდება და თუ ოთახები არ მეყოფა, დავამატებ!“

როგორც ხედავთ, ნაამბობში ბევრად მეტი ჩანს, ვიდრე ჩვენთვის აქამდე იყო ცნობილი იესოს ნამოქმედარიდან. იგი შეეცადა რელიგიური აზროვნების შესწორებას, რომელიც რჯულის მცოდნეს ჰქონდა ღვთის მიმართ და ასევე გამოკვეთა აზრი, რომ ხალხზე მზრუნველობა არაფერი გვიჯდება. პირიქით, ამას საზღაური მოსდევს.

სატანა ღვთის ერისგან მისი სიკეთის დამალვას ცდილობს, რომ ადამიანებმა ვერ შეძლონ უფლის მთელი გულით სამსახური.

ყოველთვის ვნაღვლიანდები, როცა ადამიანების ნათქვამს ვისმენ, თითქოს ღმერთი ცუდს უკეთებს კარგ ადამიანებს ან ვხედავ, როგორ ემსახურებიან მას რელიგიური მოვალეობის გრძნობით, თუმცა შეეძლოთ ცხოვრებით დამტკბარიყვნენ. სატანა ღვთის ერისგან მისი სიკეთის დამალვას ცდილობს, რომ ადამიანებმა ვერ შეძლონ უფლის მთელი გულით სამსახური. ადამიანთა უმრავლესობისთვის ეკლესია მათ კალენდარზე აღნიშნული კიდევ ერთი ღონისძიებაა. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ თავად წარმოადგენენ ეკლესიას, სასტუმროს, სადაც ღმერთი ადამიანებს გამოსაჯანსაღებლად გზავნის. სამწუხაროდ, ისინი არ იცნობენ ღვთის გულს, რომ ადამიანებამდე სასუფევლის მიტანისთვის უფალი მათ ყოველგვარ ხარჯს აანაზღაურებს. ის ყოველთვის მეტს გვაძლევს, ვიდრე ჩვენ ვთესავთ. ყოველთვის!

მახსოვს, წლების წინ დრენდას ძმასთან ერთად ვიჯექი და ერთ მნიშვნელოვან საკითხზე ვმსჯელობდით – ღმერთი კარგია და დამაჯილდოებელი. მან მოგვცა სამეფო, რომელიც ჩვენს ყოველ საჭიროებას აკმაყოფილებს. სამეფოს ასეთი გაგება ახალი იყო ჯონისა და მისი მეუღლის, ქენდისთვის, რადგან ტრადიციული ეკლესიიდან იყვნენ. ეს ცოლ-ქმარი ჯორჯიის შტატში მასწავლებლად მუშაობდა.

სკოლასთან ერთად ჯონი შეთავსებით ჩემს ფინანსურ კომპანიაშიც – ფორვარდ ფაინენშლ გრუპში – იყო დასაქმებული. კომპანიაში მუშაობის პირველ წელს უფრო მეტად იქ იყო დაკავებული, ვიდრე სკოლაში, ამიტომ გადაწყვიტა მასწავლებლობისთვის თავი დაენებებინა და მთლიანად ბიზნესის მიმართულებით ეშრომა.

თავდაპირველად, ჯონი შესანიშნავად მუშაობდა, მაგრამ მოგვიანებით შევნიშნე, რომ მისმა აქტიურობამ იკლო. მივხვდი, რომ ამ ტემპით დიდხანს ვერ გაძლებდა. საშობაოდ მე და დრენდამ ჯორჯიაში წასვლა გადავწყვიტეთ. ჯონთან გარკვეული დროის მანძილზე დარჩენა მქონდა განზრახული, რომ დამედგინა ზოგიერთი მიზეზი, რის გამოც ნაყოფიერად ვერ შრომობდა იქ, სადაც სრული დროით იყო დასაქმებული. სანამ მას დავურეკავდი, აქეთ შემეხმიანა და მასთან შემოვლა მთხოვა ბიზნესზე სალაპარაკოდ. რასაკვირველია, სწორედ ამისთვის ვიყავი მომზადებული. შემეძლო მეთქვა, რომ ჯონი და ქენდი შეშინებული იყვნენ. მათ უკვე ჰქონდათ მიმდინარე თვის 5,000-დოლარიანი საგადასახადო დავალიანება და არც მომავალი თვის 5,000 დოლარის გადახდის საშუალება ჩანდა.

როცა ჯონისთან სალაპარაკოდ დავჯექი, მისი პირველი სიტყვები ასეთი გახლდათ: „უბრალოდ, ეს არ მოქმედებს!“ ვიცოდი, რომ სამეფოს გაგება სრულიად ახალი იყო ჯონისა და ქენდისთვის და მივხვდი, რომ მათი განსწავლა მომიხდებოდა ამ საკითხის სულიერ დონეზე მოსაგვარებლად. მე ხომ ვიცოდი, რომ სამეფო ყოველთვის გამართულად მუშაობს! ამრიგად, ორი საათი დავყავი მათთან. სამეფოს კანონებს ვუხსნიდი და ვასწავლიდი, როგორ გამოეთავისუფლებინათ რწმენა. ლაპარაკისას ვიგრძენი, რომ შიში მიდიოდა და რწმენა იმატებდა.

ვიცოდი, რომ ჯონი მზად იყო მომდევნო ნაბიჯის გადასადგმელად.

– ჯონი, – ვუთხარი მე, – თესლი უნდა დათესო ღმერთთან და ირწმუნო, რომ საჭირო თანხას მიიღებ.

ჯონი და ქენდი შეთანხმდნენ, მაგრამ ფული არ ჰქონდათ. ისე მოხდა, რომ სახლის ოფისიდან ჯონის ხელფასი წამოვიღე 160 დოლარის ოდენობით. ვიცოდი, რომ ამ თანხის გამოყენება შეეძლოთ, მაგრამ ვურჩიე, დახარჯვის ნაცვლად დაეთესათ. ორივემ ვუწყოდით, რომ 160 დოლარი ვერ უშველიდა არსებულ 5,000-დოლარიან ვალს ან მომავალ 5,000-დოლარიან გადასახადს. ისინი დათანხმდნენ.

ის-ის იყო ლოცვა უნდა დაგვეწყო და რწმენა ერთად უნდა გამოგვეთავისუფლებინა, რომ ჯონის ვკითხე:

– რა თანხის მიღების რწმენა გაქვს?

როგორც კი ეს სიტყვები მოსწყდა ჩემს ბაგეებს, სულიწმიდამ შემაჩერა და მითხრა, რომ მისთვის პასუხის გაცემის საშუალება არ მიმეცა და ვიცოდი რატომაც. ჯონი აუცილებლად იტყოდა, „მწამს, რომ 5 000 დოლარს მივიღებ“, რადგან სწორედ ეს თანხა სჭირდებოდა. ამის ნაცვლად, სულიწმიდამ მითხრა:

– ჰკითხე მას, 12,000 დოლარის 30 დღეში მიღება საკმარისი თუ იქნება.

ასეც მოვიქეცი. შევაჩერე, რომ არაფერი ეთქვა და ვკითხე, საკმარისი იქნებოდა თუ არა 12,000 დოლარის მიღება 30 დღეში. დავინახე, როგორ გაუფართოვდა თვალები, როცა უფლის მიერ დასახელებული რაოდენობა გაიგონა. ვიცოდი, რომ ჯონის ცხოვრებაში არ ჰქონდა ნაშოვნი თვეში 12,000 დოლარი. იგი ერთი წუთით ჩამოჯდა და თქვა, რომ შეეძლო ეს ერწმუნა. ქენდისაც იგივე კითხვა დავუსვი და ისიც დათანხმდა. ხელები ჩავჭიდეთ, იმ ქვითარს დავადეთ და 30 დღეში 12,000 დოლარის მიღების რწმენა გამოვათავისუფლეთ.

სამი კვირის შემდეგ ჯონიმ დამირეკა. ბიჭოს, როგორ იყო აღტაცებული! გასულ სამ კვირაში ბიზნესისთვის საჭირო მასალები საკმარისად ეწერა ისე, რომ 2,000 დოლარის ნაცვლად 17,000 დოლარი ეკუთვნოდა. ახლა ის უკვე ნამდვილი მორწმუნე იყო.

სამწუხაროდ, ორი თვის შემდეგ, როცა ჯონი წვიმიან საღამოს შეხვედრიდან სახლში ბრუნდებოდა, გზაზე მანქანის მართვის კონტროლი დაკარგა. მისი ავტომობილი სრულიად გამოუსადეგარი გახდა, მაგრამ თვითონ გადარჩა, რაც

თავისთავად, ღვთის ჩარევის შედეგი იყო. ავარიის შემდეგ ჯონიმ ვეღარ შეძლო მუშაობის გაგრძელება. ამ დროის განმავლობაში მან სახლის გამოსყიდვის უფლება დაკარგა და შერიფის აუქციონზე გაიტანეს გასაყიდად. მას სახლის დასახსნელად 10,000 დოლარი სჭირდებოდა.

თუმცა ისე მოხდა, რომ ამ დროისთვის ჯონიმ და ქენდიმ ოჰაიოში გადმოსვლა მოისურვეს ცათა სამეფოს სწავლებასთან დასაახლოვებლად, რამაც ასე შეცვალა მათი ცხოვრება. ამრიგად, მათ სახლის გაყიდვა გადაწყვიტეს, თუმცა იცოდნენ, რომ ერთ თვეში შერიფის აუქციონი დაიწყებოდა. დრო გადიოდა, მაგრამ ნამდვილი კლიენტები არ გამოჩენილან. საჯარო გაყიდვამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, როცა ერთი კაცი მოვიდა სახლის საყიდლად, მაგრამ მას მოთხოვნა ჰქონდა. კლიენტს სურდა გაეგო, შეინარჩუნებდა თუ არა ჯონი სახლს 30 დღის განმავლობაში იმ პირობით, რომ 10,000 დოლარს ახლა გადაუხდიდა, ხოლო დარჩენილ თანხას – გარკვეული საქმეების მოგვარების შემდეგ, საიდანაც შემოსავლის მიღებას გეგმავდა.

ჯონი გაოგნებული დარჩა. მან იცოდა, რომ შერიფის აუქციონიდან სახლის გამოსახსნელად ნაღდი ფულით მყიდველი იყო საჭირო, რადგან საჯარო ვაჭრობა რამდენიმე დღეში გაიმართებოდა. მყიდველს სურდა ჯონისთვის 10,000 დოლარის ჩეკი ადგილზევე გამოეწერა და მოგვიანებით, დარჩენილი თანხა მიეცა. ეს ზუსტად ის ოდენობა იყო, რაც მას სჭირდებოდა. ჯონიმ იცოდა, რომ ეს ღვთისგან იყო. აიღო 10,000 დოლარის ჩეკი და სახლის დავალიანება გადაიხადა. ოჰ, დამავიწყდა მეთქვა, რომ ეს 10 000 დოლარი გამოცხადებულ თანხას აღემატებოდა.

ამრიგად, ჯონი და ქენდი ოჰაიოში გადმოვიდნენ და ნაქირავებ სახლში დასახლდნენ. ისინი ჩაერთნენ Faith Life-ად წოდებული ეკლესიის საქმიანობაში და ჯონი ფინანსურ ბიზნესში უფრო მეტი შემართებით გადაეშვა. ახლა მათ ახალი პრობლემა გამოუჩნდათ. მხოლოდ ერთი მანქანა ჰყავდათ და ჯონის ის აუცილებლად სჭირდებოდა, რადგან კვირის მანძილზე უამრავ კლიენტს ხვდებოდა. მათ უკვე იცოდნენ, რა უნდა ექნათ. ჯონიმ და ქენდიმ თესლი დათესეს ახალი მანქანისთვის და ლოცვისას ირწმუნეს, რომ მიიღებდნენ მარკოზის 11:24-ის თანახმად. შემდეგ ყველაზე უჩვეულო რამ მოხდა.

ჯონის ბავშვობის მეგობარმა დაურეკა ...

– ჯონი, რამე გადაგიხადე იმ ველოსიპედის გამო, მეექვსე კლასში რომ მომეცი? – ჰკითხა მან.

– არა, – უპასუხა ჯონიმ.

შემდეგ მეგობარმა უთხრა:

– კეთილი. ახლა მინდა გადაგიხადო. ერთ BMW-ს გიყიდი.

ბავშვობაში ორი ბიჭი ხშირად ლაპარაკობდა ავტომობილების შესახებ. მეგობარმა იცოდა, რომ ჯონის ყოველთვის მოსწონდა BMW-ს მარკის მანქანები. ის სიტყვის ერთგული გამოდგა და ჯონის მანქანის შესაძენი თანხა გადმოურიცხა. თანხის მიღების შემდეგ მან გაიაზრა, რომ მზარდი ოჯახისთვის BMW-ს ავტომობილი არცთუ შესაფერისი იყო. ჯონიმ და ქენდიმ გადაწყვიტეს, რომ ცოლი საოჯახო სპორტულ უნივერსალს (SUV) შეიძენდა, ხოლო ქმარი ბიზნეს-მოგზაურობებისთვის პატარა ავტომობილს იყიდდა, რადგან ქენდის პატარა მანქანა, რომელსაც ისინი აქამდე იყენებდნენ, ძალიან დაძველდა და პრობლემები ჰქონდა. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი. მახსოვს ის საღამო, როცა ჯონიმ დამირეკა. იგი თავის ახალ სპორტულ მანქანაში იჯდა საგზაო ნაწილზე და იქვე ქენდის ახალი უნივერსალი ეყენა. აცრემლებული მეუბნებოდა, თუ რა გაოგნებული დარჩა, როცა ცხოვრებაში პირველად და ერთდროულად შეიძინა ორი მანქანა.

ერთ დღეს მან ოფისში შემომიარა და მითხრა, რომ დაიღალა ნაქირავებ სახლში ცხოვრებით. მას და ქენდის ფერმა უნდოდათ მიწის ნაკვეთით და ასეთს ეძებდნენ. მაშ ასე, ვიცოდი, რომ ჯონის კრედიტი საამისოდ არ გამოდგებოდა წინანდელი ავარიის გამო და ვურჩიე, უფრო დიდი ხნით დაექირავებინა სახლი. ამ დროის განმავლობაში მისი საკრედიტო ლიმიტი გაიზრდებოდა. ჩანდა, რომ ჯონიმ დიდი ყურადღება არ მიაქცია ჩემს ნათქვამს. შემდეგ მითხრა, რომ ერთი გასაყიდი ფერმა ნახა ჩემი ქუჩის დაბლა და მისი ყიდვის შესაძლებლობის შემოწმება სურდა. იმ დროს იპოთეკური კომპანია მქონდა და რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ჯონისთვის მისი ყიდვის არანაირი გზა არ არსებობდა. ისიც ვიცოდი, რომ ამხელა შენაძენისთვის პირველადი შენატანის ფულიც არ ჰქონდა.

გაოგნებული დავრჩი, როცა ერთი კვირის შემდეგ ჩემს ოფისში მოვიდა ყურებამდე გაღიმებული და მითხრა, რომ ფერმა მისი იყო. ამის გაგონებაზე მივხვდი, რომ ეს ამბავი

კარგად უნდა მომესმინა. რასაკვირველია, ჯონიმ და ქენდიმ ფინანსური თესლი დათესეს ღვთის საქმეში, როგორც ისწავლეს და რწმენით ელოდნენ ლოცვის შედეგს. შემდეგ მან ამიხსნა, რა მოხდა. ის ბანკში მივიდა იმის გასარკვევად, შეეძლო თუ არა შეძენა. მენეჯერმა მისი საკრედიტო ისტორია ნახა, გვერდით დაუჯდა და უთხრა:

– ჯონი, კრედიტის საკითხი გაინტერესებდათ. სამწუხაროდ, ვერაფრის ყიდვას ვერ შეძლებთ. თუმცა მენეჯერმა რაღაც უცნაური უთხრა. მან საკრედიტო ფაილი გევრდზე გასწია და თქვა:

– და მაინც, მომეწონეთ. ნება მომეცით, ვნახო, რა შემიძლია გავაკეთო!

გრძელი ამბავი რომ შევამოკლოთ, ბანკმა 100 %-ით დაფარა მისი შენაძენი. ოთხი თვის ვადა მისცეს, სანამ წინანდელი კრედიტის გადახდის ვადა არ ამოიწურებოდა, რომ შემდეგ ეს ახალი კრედიტი შესულიყო ძალაში; მისი მანქანის ავზი გაზის საწვავით აავსეს, გადაიხადეს საკუთრების დარჩენილი გადასახადი და დასასრულს, ჯონის ხელზე მისცეს 5,000 დოლარის ჩეკი, რომ მესერის ბეტონის კედელზე არსებული ბზარი ამოევსო. გაშეშებული ვიჯექი და ვუსმენდი, როგორ მიყვებოდა ჯონი სამეფოს ამბავს. „საოცარია!“ – ერთადერთი, ამის თქმა მოვახერხე.

ერთი თვის შემდეგ ჯონიმ მითხრა, რომ თესლი დათესა ფორდის ფირმის ტრაქტორისთვის. მან გადაწყვიტა, რომ თავისი ახალი ფერმისთვის ეს მანქანა სჭირდებოდა და ძალზე განსაკუთრებული თესლი დათესა ფორდის ფირმის დიზელის ტრაქტორისთვის. გავიმეორებ, რომ ჯონი ჩემთან მუშაობდა. ტრაქტორების ფასების გათვალისწინებით ვიცოდი, რომ მას ამხელა თანხა არ ჰქონდა. დარწმუნებული იყავით, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ გზაზე გავიხედე და დავინახე, როგორ მიჰყავს ჯონის სახლისკენ ფორდის ფირმის დიზელის ცისფერი ტრაქტორი. როცა ვკითხე, სად და როგორ იშოვა ტრაქტორი, მითხრა, რომ ეკლესიაში შემთხვევით ერთი ქალი მასთან მივიდა და ჰკითხა, ვინმეს ტრაქტორი ხომ არ უნდოდა. მათი ოჯახი მშობლების ფერმის გაყიდვას აპირებდა და იმ ტრაქტორის თავიდან მოშორებას ცდილობდნენ. ჯონიმ უთხრა, რომ თავად იყო დაინტერესებული მისი შეძენით. ერთი სიტყვით, ქალმა

დააიმედა, რომ საფასურზე არ ენაღვლა და მაშინ გადაეხადა, როცა შეძლებდა. მათ არ ეჩქარებოდათ. ამრიგად, ჯონმა თავისი ტრაქტორი მიიღო.

მისი წარმატებები გრძელდებოდა. მომდევნო თვეს $72,000-ის გამომუშავება შეძლო, სულ რაღაც, ერთ თვეში. ჯონის რომ ჰკითხოთ, როგორ მოხდა ეს, გეტყვით, რომ ღვთის საქმეში გულუხვობის გამოჩენით და ცათა სამეფოს კანონების ცოდნით მოხდა.

ჯერ კიდევ მახსოვს, როგორ ვიჯექით ჯონისა და ქენდისთან ერთად ჯორჯიის სახლში, როცა მეტისმეტად შეწუხებული იყვნენ წინა თვის გადაუხდელი 5,000 დოლარის გამო და შობას ისე ხვდებოდნენ, რომ მომავალი თვის იმდენივე თანხის გადახდის საშუალებაც არ უჩანდათ. დასახმარებლად საჭირო იყო მათთვის ღმერთი დამენახებინა გარემოებების ბურუსში. დავიწყე იმის ჩვენებით, თუ რას ამბობს 2 კორინთელთა 9:10-11 მუხლები:

> *ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს, რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს.*
>
> – 2 კორინთელთა 9:10-11

პავლე ამბობს, რომ ღმერთი არა მარტო თესლით უზრუნველყოფთ ხელგაშლილობის გამოსაჩენად, არამედ პურსაც გაძლევთ ოჯახის საჭიროებებისთვის. პურში იგულისხმება ყველაფერი, რაც პირადად გჭირდებათ ცხოვრებაში. ის გაზრდის თქვენს უნარს, რომ უფრო მეტი გაიღოთ. ეს ნიშნავს, რომ ზრდას აქვს ადგილი. კიდევ ვიმეორებ, რა სახის შიში მოდის გაცემისას? რომ თავად არ გეყოფა სახსრები.

ყურადღება მიაქციეთ, რას ამბობს ღმერთი. ის აძლევს თესლს მთესველს და პურს – საჭმელად.

ახლა ისმის ძალზე მნიშვნელოვანი კითხვა. თქვენს ხელთ არსებული რესურსი თესლია თუ პური? იცით რა? ეს თქვენი გადასაწყვეტია – ის ხომ თქვენი თესლია.

დედაჩემის მამა, ჩემი ბაბუა, მთელი ცხოვრება ფერმერი იყო. მახსოვს პატარაობაში როგორ ვთამაშობდი მისი თესლების ფურგონში. იცით, ყოველ წელს მოსავლის აღების დროს, ბაბუა ბეღელში მდგარ ფურგონს თესლით ავსებდა. მომდევნო წელს მარცვლეულის მოსავლის მისაღებად საჭირო მცენარეთა თესლები სწორედ იქ ინახებოდა. ზამთრის თვეებში ბაბუა უყურებდა ხოლმე იმ დიდ ფურგონს, რომელიც სავსე იყო სოიოს მარცვლებით და იცოდა, რომ ჰქონდა მათი გაყიდვის ან გაზაფხულისთვის დასათესად შენახვის არჩევანი დიდი მოსავლის მისაღებად. არჩევანის არსებობის მიუხედავად, დანამდვილებით იცოდა თესვა-მკის კანონები და მათ მიანდო თავისი ცხოვრება.

ჯონისა და ქენდის იგივე გადაწყვეტილების მიღება მოუწიათ, როცა ხელში 160 დოლარის ჩეკი ეჭირათ. მათ ნამდვილად შეეძლოთ ამ თანხის გამოყენება მიმდინარე საჭიროებისთვის, მაგრამ ამის ნაცვლად ამჯობინეს, გულუხვობა გამოეჩინათ ღვთის საქმეში უფრო დიდი მოსავლის მიღების იმედით და ხანგრძლივი პერსპექტივით. და მათი გადაწყვეტილება სწორი იყო.

> *ზოგი ხელგაშლილია, მაგრამ გამუდმებით ემატება, ზოგი ხელმოჭერილია, მაგრამ მაინც უჭირს.*

– იგავები 11:24

ამ თავის დასრულებამდე კიდევ ერთი იგავის მოყვანა მინდა მათეს სახარების 25-ე თავიდან.

> *„ვინაიდან ეს ისე მოხდება, კაცმა რომ გამგზავრებამდე მოუხმო თავის მონებს და თავისი ქონება ჩააბარა. ერთს ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს - ორი და სხვას - ერთი; თითოეულს მისი შეძლების მიხედვით, და წავიდა. ხუთი ტალანტის მიმღები მაშინვე წავიდა, იშრომა და დამატებით ხუთი მოიგო. ორის მიმღებმაც ორი სხვა მოიგო, ხოლო ერთის მიმღები წავიდა, ამოთხარა მიწა და დაფლა თავისი ბატონის ვერცხლი. კარგა ხნის შემდეგ მოვიდა იმ მონების ბატონი და ანგარიში მოჰკითხა მათ. მივიდა ხუთი*

ტალანტის მიმღები, სხვა ხუთი ტალანტიც მიუტანა და უთხრა: ბატონო, ხუთი ტალანტი რომ ჩამაბარე, აჰა სხვა ხუთი ტალანტიც მოვიგე. უთხრა მას მისმა ბატონმა: კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, მრავალზე დაგაყენებ. შედი შენი ბატონის სიხარულში. მივიდა ორი ტალანტის მიმღები და უთხრა: ბატონო, ორი ტალანტი რომ ჩამაბარე, აჰა, სხვა ორი ტალანტიც მოვიგე. უთხრა მას ბატონმა: კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, მრავალზე დაგაყენებ; შედი შენი ბატონის სიხარულში. მივიდა ისიც, რომელმაც ერთი ტალანტი მიიღო და უთხრა: ბატონო, ვიცოდი, რომ მკაცრი კაცი ხარ - იმკი, სადაც არ დაგითესავს, და კრეფ, სადაც არ დაგიბნევია. შემეშინდა, წავედი და მიწაში დავფალი შენი ტალანტი. აჰა, შენი შენვე გქონდეს. მაშინ მიუგო ბატონმა პასუხად: ბოროტო და უქნარა მონავ! იცოდი, რომ ვიმკი, სადაც არ დამითესავს, და ვკრეფ, სადაც არ დამიბნევია; ამიტომ ჩემი ვერცხლი ვაჭრებისთვის უნდა მიგეცა და დაბრუნებისას სარგებლითურთ მივიღებდი ჩემსას. ამიტომ წაართვით მაგას ტალანტი და მიეცით ათი ტალანტის მქონეს. ვინაიდან ყოველ მქონებელს მიეცემა და ჭარბად ექნება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს. ეს უსარგებლო მონა კი გადააგდეთ გარესკნელის ბნელში. იქ იქნება ტირილი და კბილთა ღრჭენა“.

– მათე 25:14-30

ეს ამბავი ჩვენთვის ნაცნობია. ბატონი ქალაქიდან მიდის და სამ მსახურს ტოვებს პასუხისმგებელ პირებად. ერთს ოქროს ხუთ ტომარას უტოვებს, მეორეს – ორს, ხოლოს მესამეს – ერთს. პირველი ორი მაშინვე შეუდგა შრომას და დატოვებული ტალანტები გაორმაგა. ბატონი მათ აქებს გაწეული შრომისთვის. თუმცა ამჯერად მესამე მსახურზე გავამახვილოთ ყურადღება. დავაკვირდეთ, რას ეუბნება ბატონს, როცა ეს უკანასკნელი მათგან ანგარიშს იბარებს, რა უყო მან ბატონის ოქროს.

მივიდა ისიც, რომელმაც ერთი ტალანტი მიიღო და უთხრა: „ბატონო, ვიცოდი, რომ მკაცრი კაცი ხარ - იმკი,

სადაც არ დაგითესავს, და კრეფ, სადაც არ დაგიბნევია. შემეშინდა, წავედი და მიწაში დავფალი შენი ტალანტი. აჰა, შენი შენვე გქონდეს“.

კარგად დააკვირდით პირველ წინადადებას: *„ბატონო, ვიცოდი, რომ მკაცრი კაცი ხარ - იმკი, სადაც არ დაგითესავს, და კრეფ, სადაც არ დაგიბნევია.“* ამით რის თქმა სურს მას? გეტყვით, ზუსტად რას ამბობს მსახური. „ვინ გადაიხდის თესლის ფულს? თუ იქ იმკი, სადაც არ დაგითესავს, ეს იგი, სხვამ უნდა დათესოს“. ბატონი ამას არ ეკითხებოდა, რადგან მან თესლის საყიდელი ფული მისცა, თუმცა მსახურს იგი მკაცრ ზედამხედველად მიაჩნდა. მისი დამოკიდებულება ასეთი იყო: „აქ ჩემთვის სასარგებლოს ვერაფერს ვხედავ, ამიტომ დაინტერესებულიც არ ვარ“.

ბატონზე არასწორი შეხედულების გამო მის საქმეში მონაწილეობის მიღება არ სურს. ის უკმაყოფილების ნამდვილი მიზეზის დაფარვას ცდილობს და ამბობს, რომ ფულის შენახვა მისი დაკარგვის შიშმა აიძულა და დაცვის მიზნით დამარხა. ბატონი მის ტყუილს ააშკარავებს და ეუბნება, რომ ბატონის ინტერესების გათვალისწინება თუ სურდა, სულ მცირე, ბანკის ანგარიშზე მაინც უნდა განეთავსებინა თანხა მოგების მისაღებად. არა, იმ მსახურს ოქრის დაკარგვა დიდად არ ადარდებდა მას უფრო ის საფასური აღელვებდა, რაც საქმეში ჩართვის შემთხვევაში უნდა გაეღო.

მას ბატონზე დამახინჯებული და ბოროტი წარმოდგენა ჰქონდა. დამახინჯებული იმიტომ იყო, რომ სინამდვილეში, ამის საპირისპირო იყო ჭეშმარიტება. ბატონი სულაც არ იყო მკაცრი ზედამხედველი. სხვა ორმა მონამ დაწინაურება მიიღო და მისი ქონებით გაიხარა, როცა ბატონის თანხები წარმატებით განკარგა. მესამე მსახურმა ბატონზე არასწორი წარმოდგენის გამო უარი თქვა მონაწილეობის მიღებაზე.

და ეს სწორედ ის არის, რასაც რელიგია გვასწავლის – ღმერთი მკაცრი ზედამხედველია და მასთან თანამშრომლობას მოგება არ მოაქვს. ამიტომ, რა აზრი აქვს მის საქმეში ჩართვას? ღმერთზე ასეთი შეხედულება სრულიად დამახინჯებული და არასწორია. მისთვის უსამართლოს წოდება ბოროტებაა. ღმერთი სწორედ რომ საწინააღმდეგო ბუნებისაა. ის კეთილი და უხვად დამაჯილდოებელია.

ახლა ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება, რაც ამ ამბავში ჩანს. კარგად დავაკვირდეთ, რას უშვება ბატონი ბოროტი მონისთვის გამორთმეულ ოქროს.

> *ამიტომ წაართვით მაგას ტალანტი და მიეცით ათი ტალანტის მქონეს. ვინაიდან ყოველ მქონებელს მიეცემა და ჭარბად ექნება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს. ეს უსარგებლო მონა კი გადააგდეთ გარესკნელის ბნელში. იქ იქნება ტირილი და კბილთა ღრჭენა.*

ღმერთი თავის დიდებულ იდეებსა და დავალებებს იმ შვილებს აძლევს, რომლებსაც გონებაში მისთვის სარგებლობის მოტანა უდევთ და ჯერ პატარ-პატარა საქმეებში დაუმტკიცეს ერთგულება და რწმენა.

სწორად წავიკითხე? ბატონმა უსარგებლო მონას ერთი ტომარა ოქრო წაართვა და მისცა ათი ტომრის და არა ოთხი ტომრის მქონეს? დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს სწორი პოლიტიკა იყო, მაგრამ ზუსტად ეს გააკეთა. *ყურადღებით დააკვირდით!*

ღმერთი თავის დიდებულ იდეებსა და დავალებებს იმ შვილებს აძლევს, რომლებსაც გონებაში მისთვის სარგებლობის მოტანა უდევთ და ჯერ პატარ-პატარა საქმეებში დაუმტკიცეს ერთგულება და რწმენა.

ღმერთი უგუნური როდია. იგი იქ დააბანდებს თავის თანხას, სადაც მაქსიმალურ მოგებას ნახავს.

გთხოვთ, დაფიქრდეთ ჩემს ნათქვამზე: „ღმერთი იქ დააბანდებს თავის თანხას, სადაც მაქსიმალურ მოგებას ნახავს!“

ახლა უნდა ითქვას, რომ ღმერთს აქვს არა ფულის კეთების, არამედ ადამიანთა ბიზნესი. თუ მას ერთგულად და გულმოდგინებით ვემსახურებით, დაგვაწინაურებს და კეთილგანწყობით გვიბოძებს თავის სიკეთეებს. დიახ, ღმერთს გარკვეული გაგებით გამორჩეულები ჰყავს, რომლებსაც სხვადასხვა დავალებებს ანდობს. ვინც მას ერთგულება დაუმტკიცა, ღვთის ნდობა მოიპოვა, რომ უფრო დიდი და მეტი საზღაურის მომტანი საქმეებს აკეთონ მისთვის.

ყურადღება მიაქციეთ ორი წარმატებული მსახურის დამოკიდებულებას. ისინი საქმეში მყისვე ჩაერთნენ და ბატონის ფული აამოქმედეს! რატომ მყისვე? იმიტომ, რომ კარგად იცოდნენ რასთან ჰქონდათ საქმე – ეს იყო *შესაძლებლობა* და არა მონობის ტვირთი. ღვთის ერში ბევრი ფიქრობს, რომ მისი საქმე მძიმე და მოსაწყენია; რომ ეს შესასრულებელი მოვალეობაა და არა შესაძლებლობა, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს.

როცა მე და დრენდა Now Center-ის კამპუსს ვაშენებდით, გადაწყვეტილება უნდა მიგვეღო. დაახლოებით, 500 ადამიანისგან შემდგარი ეკლესია გვქონდა, როცა გადავწყვიტეთ, რომ მუდმივი და უფრო დიდი სახლი აგვეშენებინა მორწმუნეთა მზარდი რაოდენობის გათვალისწინებით. დავგეგმეთ, რომ მაქსიმალურად დიდი თანხები მოგვეზიდა 6 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტისთვის. იმ დროს ეს ჩვენთვის წარმოუდგენელი თანხა იყო. გეგმის თანახმად, ძირითად ინფრასტრუქტურას 4.2 მილიონი დოლარი უნდა დათმობოდა, ხოლო დარჩენილი 2 მილიონი – აღჭურვილობასა და სისტემებს.

ეს არ იყო ჩვენი პირველი გამოცდილება, როცა ღვთიური პროექტების მხარდასაჭერად ხელგაშლილობის გამოჩენა მოგვიხდა, მაგრამ იმ დრომდე განხორციელებულთაგან უდიდესი გახლდათ. იმ მსახურთა მსგავსად, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ ღვთის სიკეთეში, მაშინვე მოვინდომეთ თანხების მოზიდვის საქმეში მონაწილეობა და გვინდოდა იმ დონის შესაწირი გაგვეღო, რომელიც რწმენასა და მორჩილებას მოითხოვდა, ჩვენი გულდაჯერებულობით, ღვთის მიერ ნათქვამის მიმართ. იმ დღეს, როცა მთელმა თემმა განაცხადა, რის გაღებას აპირებდნენ პროექტის განსახორციელებლად, მე და დრენდამ 200 000 დოლარის გაღების პირობა დავდეთ. იმ დროისთვის ამხელა თანხა არ გვქონდა, მაგრამ გვქონდა საწყისი 20 000 დოლარი, რომლის დათესვაც გვინდოდა დარჩენილი ბალანსის შესავსებად. ადრინდელი შემთხვევებიდან ვიცოდით, რომ ღმერთი გვაჩვენებდა სად და როგორ მიგვეღო საჭირო თანხა ისე, რომ ჩვენთვისაც საკმარისი დაგვრჩენოდა. დათესვის შემდეგ დავიწყეთ სულით ლოცვა იმ მიმართულებისა და მითითებების მოლოდინში, თუ საიდან და როგორ უნდა მიგვეღო დარჩენილი თანხა. გარემოებების ასახსნელად, თუ როგორ მოვიდა ჩვენამდე ხსენებული ფინანსები, საჭიროა

გითხრათ, რომ ფინანსურ კომპანიას ვფლობთ 30 წელზე მეტია. ის სხვადასხვა მომწოდებლებისა და პროფესიონალების დახმარებით მუშაობს, როგორც ადრე გითხარით. ყველაზე დიდ მომწოდებლებს ყოველწლიური კონვენციები და შეხვედრები აქვთ თავიანთ კლიენტებთან.

იმ კონკრეტულ წელს ერთმა მომწოდებელმა მე და დრენდა ლონდონში, ინგლისში მიგვიწვია ყრილობაზე. ლონდონის ცენტრის ერთ მშვენიერ სასტუმროში გავჩერდით. მართლაც საუცხოო იყო, როგორც ლონდონში იტყვიან. ერთი სიტყვით, კომპანიას ღონისძიება ქალაქის მეორე ბოლოში ჰქონდა და ვიცე-პრეზიდენტმა მე და დრენდას იქამდე კებით მისვლა შემოგვთავაზა, რაც სიხარულით მივიღეთ. მგზავრობისას ვიცე-პრეზიდენტმა მადლობა გადაგვიხადა ყველა იმ საქმისთვის, რომელსაც მას ვუგზავნიდით და ახალი საბონუსე პროგრამის შესახებ გვიამბო, რომლის წამოწყებას იმ წელს აპირებდნენ. ამ ქალბატონმა აგვიხსნა, როგორ მუშაობდა ის და როგორი იყო საბონუსე სტრუქტურა, რომლითაც ხელშემწყობებს დააჯილდოვებდნენ მათი პროდუქციის რეკომენდაციისთვის.

აღტაცებული ვუსმენდი მას, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენს ბიზნესს საკმარისი შესაძლებლობა ჰქონდა, რომ მის მიერ წარმოდგენილ საბონუსე სისტემაში მონაწილეობა მიეღო. ამის შემდეგ მეტი დეტალების შეტყობა მოვინდომე, მაგრამ მან მკვეთრად გამოგვიცხადა, რომ ჩვენი კომპანია ვერ მიიღებდა მონაწილეობას საბონუსე პროგრამაში მის კომპანიასთან ჩვენი ურთიერთობის სტრუქტურიდან გამომდინარე. ნათქვამის დაჯერება შეუძლებელი იყო. რატომ წამოიწყო ამ ყველაფრის მოყოლა და დიდებული გეგმის გამხელა, თუ ბოლო წუთს გამომაცლიდა ხელიდან? ვერც იმას ვხვდებოდი, რა სტრუქტურით იყო აგებული მის კომპანიასთან ჩვენი თანამშრომლობა, რის გამოც ბონუსის მიღება გვეკრძალებოდა. კითხვები კიდევ დავუსვი, მაგრამ მან არც ერთზე არ გამცა ამომწურავი პასუხი. ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცოდი, ეს იყო ჩემი გამორიცხვა საბონუსე სისტემიდან. ეს მან ნათლად გაგვაგებინა.

ერთი წელი გავიდა. ჩვენი პროდუქცია იმ წელს კარგი იყო და გადავწყვიტე ვიცე-პრეზიდენტისთვის დამერეკა და ბონუსის შესახებ ისევ მეკითხა. მას ვერ დავუკავშირდი და

ჩემი სათქმელი ასისტენტს შეტყობინების სახით დავუტოვე. მეორე დღეს ასისტენტმა დამირეკა და მკაცრი ტონით მითხრა, რომ ვიცე-პრეზიდენტმა გასულ წელს ყველაფერი ამიხსნა და დასამატებელი არაფერი ჰქონდა.

კეთილი, – ვიფიქრე მე, – *ხომ ვცადე მაინც.*

ამრიგად, დავიწყე ლოცვა, სად უნდა მეშოვა დარჩენილი 180 000 დოლარი. გავიგონე, როგორ მეუბნებოდა სულიწმიდა, რომ ისევ დამერეკა ვიცე-პრეზიდენტთან და ბონუსის შესახებ მეკითხა. მინდა გითხრათ, რომ მისი ნათქვამი აღტაცებით არ მიმიღია. გასული ორი წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, უკვე ვიცოდი მისი პოზიცია. ქალბატონმა მკაფიოდ გამოხატა თავისი აზრი. გადავწყვიტე, ელ. ფოსტით დავკავშირებოდი, ასე ვთქვათ, ფონის მოსასინჯად. შვიდი დღის შემდეგ მისი წერილი მივიღე, სადაც ჩემდა გასახარად ნათქვამი იყო, რომ დაფიქრდა და ჩვენი კომპანიისთვის ბონუსის მიცემა გადაწყვიტა. საოცარია, რომ ბონუსი ზუსტად 200,000 დოლარს შეადგენდა! ახლა იწყება ამ ამბის საუკეთესო ნაწილი. კონტრაქტის ცვლილება 14 წელს მოიცავდა და იქიდან მოყოლებული, ყოველწლიური 200,000 დოლარი გვერიცხებოდა. ხედავთ?! ღმერთი საზღაურს მიაგებს! და ღვთის დავალებებში ხელგაშლილობის გამოჩენას მოგება მოაქვს.

ხუთი წელი გავიდა და გადავწყვიტეთ, რომ ეკლესიას მეტი თანხის მოზიდვა სჭირდებოდა რამდენიმე საქმის დასასრულებლად და ზოგიერთი მოწყობილობის საყიდლად. ისევ უნდა გადაგვეწყვიტა, რა თანხა დაგვეთესა ამ პროექტების განსახორციელებლად. 500,000 დოლარზე შევთანხმდით. ოჰო! ეს ხომ დიდი ფული იყო, მაგრამ ვიგრძენით, რომ შეგვეძლო ღვთის ნდობა მას შემდეგ, რაც წინა 200,000 დოლართან დაკავშირებით გააკეთა. დავთესეთ იმდენი, რამდენიც შეგვეძლო და ეს 50,000 დოლარს შეადგენდა. ისევ ვერწმუნეთ სულიწმიდას, რომ ეჩვენებინა, სად და როგორ მიგვეღო დარჩენილი 450,000 დოლარი. ვფიქრობ, დაახლოებით, ექვსი კვირა გავიდა და შეტყობინება მივიღე, რომ მოსალოდნელი იყო რამდენიმე საკონტრაქტო ცვლილება, თუ როგორ გადაუხდიდნენ ჩვენს კომპანიას. ცვლილებების დაანგარიშების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში, დაახლოებით, $ 630,000-ით მეტს გადაგვიხდიდნენ, ვიდრე იქამდე. საკმაოდ შთამბეჭდავია,

თუ თქვენს მის საქმეებზე ფიქრობთ, ის თქვენსაზე იფიქრებს.

არა? კეთილი, კიდევ იცით რა? ხელშეკრულების ცვლილებები, რომლებიც ახლა ხორციელდებოდა, კიდევ 11 წელი იქნებოდა ძალაში და ყოველ მომდევნო წელს გვექნებოდა ხსენებული მატება. ღმერთი მოგების ღმერთია. ის კეთილი და დამაჯილდოებელია.

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავიმეორო. თუ მის საქმეებზე ფიქრობთ, ის თქვენსაზე იფიქრებს!

თავი 13

დღესასწაულის კანონი

ჩანს, თანამედროვე ადამიანების უმეტესობას არაფერი აქვს სადღესასწაულო, რადგან ყოველი მომდევნო დღე წინას ჰგავს. ეს ძალიან ცუდია, რადგან ცხოვრება ყოველ ცისმარე დღეს საზეიმო საღამოს უნდა ჰგავდეს ღვთის სიკეთის გამო. თუმცა ჩემთვის გასაგებია. როცა ადამიანები არსებობისთვის იბრძვიან, საქმე სადღესასწაულოდ არ აქვთ. და მაინც, ზეიმი თქვენი პასუხის ნაწილია, გასაღებია, რომელიც სატუსაღოს კარს აღებს. ნება მომეცით, ჩვენი საუბარი კითხვის დასმით დავიწყო.

რას დღესასწაულობთ?

დღესასწაული უნდა იყოს ყველა თქვენი საქმისა და საკეთებელი გეგმის ნაწილი.

დავუბრუნდეთ ამასწინანდელ მსჯელობას, როცა მოგზაურობებსა და ბონუსებზე გელაპარაკებოდით, რომლებიც ჩემს ფინანსურ კომპანიას მომწოდებლებმა შესთავაზეს. ეს მოგზაურობები საოცარ, ყოველმხრივ დაფინანსებულ და ფუფუნებით მოწყობილ ნომრებს მოიცავდა. ზოგიერთი მათგანი მსოფლიოს ეგზოტიკურ და ულამაზეს ადგილებში იყო. იცით თუ არა, რომ ეს მოგზაურობები კომპანიებს ასეულობით ათასი დოლარი უჯდებათ? მაშ, რატომ იქცევიან ასე? რასაკვირველია, მათ აქვთ პროდუქტები, რომლითაც ბაზარზე გასვლას ცდილობენ, თუმცა იგივეს გაკეთება ონლაინ-გვერდით ან სატელევიზიო რეკლამის მეშვეობითაც შეუძლიათ. და მაინც, გამოცდილებიდან გააცნობიერეს, რომ ადამიანებს დახმარება სჭირდებათ იმის გააზრებაში, თუ როგორ მუშაობენ ეს პროდუქტები და ამის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება კომპანიის ინტერესებში შედის.

კვლევისას აღმოაჩინეს, რომ რეალურ ადამიანთან საუბარი ამ ინფორმაციის მომხმარებლამდე მიტანის ყველაზე შედეგიანი მეთოდია. ამრიგად, კომპანიები ამ მიზნით გაყიდვის აგენტებს ქირაობენ. ასობით ფინანსური პროდუქტი არსებობს. მაშ, როგორ შთააგონებენ გაყიდვის აგენტებს, რომ სხვებს მათი კონკრეტული პროდუქტი შესთავაზონ? ამის გაკეთების მრავალი გზა არსებობს.

კონკურენტუნარიანი პროდუქტის არსებობა, რომელიც ყველაზე უკეთ აკმაყოფილებს მომხმარებლის ინტერესებს, ვიდრე სხვა ანალოგი, რა თქმა უნდა, ამის კეთების ერთ-ერთი გზაა. აგენტებისთვის გადახდილი საკომისიოები, რომლებიც სხვებზე უკეთ ასრულებენ თავის საქმეს, შთაგონების კარგი საშუალება გახლავთ. თუმცა კომპანიებს შორის სასტიკი კონკურენციაა და ბევრ შესანიშნავ კომპანიას აქვს კარგი პროდუქტი და არც ერთი არ იქნებოდა ურიგო კლიენტებისთვის. მაშ, როგორ შთააგონებთ გაყიდვების აგენტებს, რომ თქვენი პროდუქტი აირჩიოს მომხმარებლისთვის შესათავაზებლად? სწორედ აქ თამაშობს თავის როლს წამახალისებელი მოგზაურობა.

გაყიდვის აგენტები, რომლებიც ფინანსურ პროდუქტზე მუშაობენ, არ არიან ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტით მიბმული ერთ რომელიმე კომპანიაზე, რაც ნიშნავს, რომ თავისუფლად შეუძლიათ ნებისმიერი კომპანიის ან პროდუქტის არჩევა და კლიენტებისთვის შეთავაზება. დავუშვათ, ერთი და იგივე ხარისხისა და სარგებლიანობის და ერთნაირი ღირებულების მქონე რამდენიმე კარგი პროდუქტი არსებობს. ვივარაუდოთ, რომ ამ კომპანიების უმეტესობას არ აქვს წამახალისებელი მოგზაურობის შეთავაზება ერთის გარდა. ვთქვათ, ეს ერთი კომპანია აწყობს მოგზაურობას ბორა-ბორაზე თავისი გაყიდვის აგენტებისთვის, რომლებიც მისთვის გარკვეული ოდენობის პროდუქტს ყიდიან. თუ სხვა ყველა მონაცემი ერთნაირი აქვთ ღირებულებისა და კლიენტისთვის შესათავაზებელი ფასის ჩათვლით, რომელ კომპანიას აირჩევთ თქვენი მომხმხარებლისთვის? ვფიქრობ, პასუხი ცხადია. ამრიგად, სხვა კომპანიებსაც კარგი პროდუქტ აქვთ და არც ფასია თქვენს მიერ არჩეულისგან განსხვავებული, მაგრამ მათ საქმეში ვერ გაიმარჯვეს. რატომ?

მოდით, გავაანალიზოთ, როგორ შეიძლება ერთმა წამახალისებელმა კომპანიამ ბიზნესი მიიღოს. კომპანიას, რომელიც

თავის პროდუქტს წახალისების პროგრამით ყიდის, კარგად ესმის ადამიანური ბუნება. მათ მიზანი დაისახეს და ჯილდოც განსაზღვრეს. გთხოვთ, ეს ჩაიწეროთ!

დაისახეთ მიზანი და დაადგინეთ საზღაური.

ახლა სიტყვა საზღაური ჩავანაცვლოთ სიტყვით დღესასწაული. რატომ? იმიტომ, რომ სიტყვა დღესასწაული უფრო მეტი აღტაცების მომცველია და დეტალურად გამოსახავს, რის გადმოცემაც თქვენთვის მინდა.

დაისახეთ მიზანი და დაადგინეთ დღესასწაული.

ფაქტია, რომ გაყიდვების აგენტების უმრავლესობა ისეთ მიზანს დაისახავს, რომელიც მათ საზღაურის მიღების საშუალებას მისცემს. მთელი ცხოვრება გაყიდვებზე ვმუშაობ და ყოველთვის ვცდილობდი გაყიდვების ისეთი დონის მიღწევაც, რომელიც ამ საოცარ მოგზაურობებში მონაწილეობის ან ბონუსების მიღების შესაძლებლობას მოიცავდა. ვინაიდან მთელი წლის მანძილზე ვშრომობდი, დასასრულისთვის მოგზაურობის ადგილზე წარმოვიდგენდი საკუთარ თავს. ვფიქრობდი, რა საოცარი იქნებოდა იქ ყოფნა. ასეთი მიზანი აქტიურობის ახალ დონეზე მოქმედებისკენ მიბიძგებდა ჩემი ჩვეული კომფორტული ტემპისგან განსხვავებით. როცა ბოლოს იმ კომპანიის კონფერენციაზე აღმოვჩნდი და მოგზაურობის უფლება და საბონუსე ჩეკი მოვიპოვე, საოცარი გრძნობა დამეუფლა. კმაყოფილება არა მარტო მოგზაურობის შესაძლებლობამ მომგვარა, არამედ იმ ფინანსურ წელში მიღწეულმა წარმატებამაც.

წამახალისებელი მოგზაურობის უზრუნველმყოფელი კომპანია გონივრულად მოიქცა. ისინი არ ელოდებოდნენ, როდის მივაღწევდი მოგზაურობის უფლებისთვის საჭირო დონეს, რომ შემდეგ ეამბნათ ამ შესაძლებლობაზე: „თქვენ ამ წელს შესანიშნავად იშრომეთ. ახლა ბორა-ბორას საგზურით გაჯილდოებთ.“ არა, ისინი ასე არ იქცეოდნენ. ამის შესახებ საკვალიფიკაციო წლის დაწყებამდე სამი ან ოთხი თვით ადრე გეუბნებიან დეტალურ ინფორმაციასთან ერთად, თუ როგორ მოხვდეთ დაჯილდოებულთა სიაში. რატომ? იმიტომ, რომ ასე თქვენს სტრატეგიას და საჭირო პროცესებს შეასწორებთ მისაღწევი მიზნის შესაბამისად.

ჩემი ამბავი მოგიყევით, თუ როგორ მიმიყვანა ღმერთმა გაყიდვების სფეროში კოლეჯის დასრულების შემდეგ და რა

ძნელი იყო ეს ჩემთვის. ისეთი მორიდებული ვიყავი! საარსებო საშუალების მოპოვების მიზნით სატელეფონო ზარების განხორციელება და ხალხთან დალაპარაკება ჩემი კომფორტის ზონას მთლიანად მაცილებდა. მიუხედავად იმისა, რომ დარეკვა არ მიყვარდა, ფინანსური საქმიანობა როგორც ბიზნესი, ძალიან მომწონდა. ხალისით ვიძიებდი ინფორმაცის ფინანსურ პროდუქტებზე, ეკონომიკასა და კარვის მსახურებაზე ხალხის დასახმარებლად. თუმცა ეს რთული იყო; ყოველდღე მინდოდა თავის დანებება. ალბათ, ასე ფიქრობთ: „თუ გაყიდვებს ვერ იტანდი, როგორ ჩაერთე ამ საქმიანობაში?“

კოლეჯში სწავლისა და მისი დასრულების შემდეგაც საბითუმო მაღაზიაში ვმუშაობდი, რომელიც შტორების ან მინი-ჟალუზების მაგვარი ფანჯრის საფარველებით და იატაკის დასაგები მასალით ვაჭრობდა. მე დამმონტაჟებელი ვიყავი. ერთხელ, როცა შეკვეთისთვის დასაყენებელ მასალას ვამზადებდი, მეპატრონის სადაზღვევო აგენტი მოვიდა, რომ მას დაზღვევის გარკვეულ საკითხებზე დალაპარაკებოდა. არ შემეძლო, მათი საუბრისთვის ყური არ დამეგდო და აღფრთოვანებული დავრჩი.

ძალიან მალე ერთმა უცნობმა დამირეკა და მითხრა, რომ ფინანსურ სფეროში მომუშავე ახალი კომპანიისთვის აგენტებს ეძებდა. ჩემი მონაცემები იმ ადამიანმა მიაწოდა, ვინც იცოდა, რომ სიახლეს ვეძებდი. კაცმა მითხრა, რომ შეხვედრას ამა და ამ მისამართზე ამა და ამ დღეს მართავდა და მეტი ინფორმაციის მისაღებად იქ უნდა მივსულიყავი. მაინტერესებდა, ამიტომ შეხვედრაზე წავედი. იქ გაგებულმა აღტაცება მომგვარა. ჩემს შინაგანში რაღაც ამბობდა: „დიახ, მინდა ამის გაკეთება. დაიმახსოვრეთ, რომ ღმერთმა მისი სიტყვის საქადაგებლად მომიწოდა. ამისთვის რა უნდა მომეხერხებინა? იმ დროს, როცა ეს ამბები ხდებოდა, დრენდას ცოლობა ვთხოვე. ავტომობილით ორივე ჯორჯიისკენ გავემართეთ, საიდანაც ის იყო.

მის ოჯახს უკვე ვიცნობდი – ერთხელ ტალსაში ჩამოვიდნენ, მაგრამ ჯორჯიაში პირველად მივდიოდი და მინდოდა მამამისისთვის ქალიშვილის ხელი მეთხოვა. იქ ყოფნისას მის მშობლიურ ეკლესიაში მისვლასაც ვაპირებდი. ვაღიარებ, რომ შეფიქრიანებული ვიყავი ფინანსურ ბიზნესში მუშაობის შემოთავაზების გამო. ჩემში რაღაცას ძალიან უნდოდა ამ საქმის კეთება, თუმცა ჩემს ბუნებას საერთოდ არ შეეფერებოდა. კვირა

დილის მსახურების შემდეგ ერთი უცნობი ქალი მოგვიახლოვდა, რომელსაც დრენდა, რა თქმა უნდა, იცნობდა და მითხრა: „სამუშაოს შემოთავაზებაზე ფიქრობ. უფალმა მაჩვენა, რომ ამ პოზიციას 10 ქულით აფასებს.“ ამის შემდეგ ჩამოთვალა ყველაფერი, რის გაკეთებაც მომიწევდა ახალ სამუშაოზე. მან მითხრა: „უნდა დათანხმდე და უფალიც შენთანაა იქ.“

ამრიგად, შემოთავაზებული სამუშაო მივიღე და ჩემი წვრთნა დაიწყო. ეს სიგიჟე იყო! ამ სფეროს შესწავლისა და მუშაობის დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ ძალზე მორცხვი ვიყავი და კლიენტებთან დალაპარაკებისაც კი მეშინოდა. ჩემთვის ამ საქმის კეთება ნამდვილ ბრძოლას უტოლდებოდა. ზემოხსენებულ ეკლესიაში მიღებულმა წინასწარმეტყველურმა სიტყვამ დამიდასტურა, რომ საქმეში ღმერთი იყო ჩართული. ვიცოდი, რომ ამ მიმართულებით უნდა მევლო, მაგრამ ჩემს გონებაში ამას აზრი არ ჰქონდა.

მე და დრენდა დაქორწინებული ვიყავით და მხოლოდ საკომისიოების იმედად ვცხოვრობდით. ეს მართლაც ბრძოლა იყო. გაყიდვების კომპანიაში მუშაობის პირველ წელს წამახალისებელი მოგზაურობა შემოგვთავაზეს *ბოკა რეიტონ რიზორტში*, რომელიც ბოკა რეიტონში, ფლორიდის შტატში მდებარეობდა. ჩემს ყურადღებას ეს პირობაც არ იქცევდა. არასდროს მიმოგზაურია და კურორტებზე არასოდეს ვყოფილვარ. ბიზნესში სრულიად ახალბედა ვიყავი და ვფიქრობდი, რომ მოგზაურობას ახლოსაც არ გავეკარებოდი. თანხმობაზე ადრე უარის თქმის ჩვევამ ეს ამბავი მიუწვდომელ შესაძლებლობად ჩათვალა. გარდა ამისა, ისედაც ბევრი პრობლემა და სტრესი ავიკიდე ქანცის გაწყვეტამდე შრომით, რომ გადასახადებისთვის საკმარისი ფული მეშოვა.

თუმცა დრენდას ცხოვრებაზე სრულიად განსხვავებული შეხედულება ჰქონდა. ის კლასის პრეზიდენტი იყო და 500 მოსწავლეს ხელმძღვანელობდა სკოლის ბოლო ოთხ წელს. მისი საშუალო შეფასება ოთხ ქულას უტოლდებოდა და გამოსაშვები კლასის მომხსენებელიც გახლდათ. ის სასკოლო გაზეთის ყოველწლიურ რედაქტორობასაც ითავსებდა. ჩვენ სრულიად საპირისპირო ხასიათის ადამიანებს წარმოვადგენდით, როცა იმ დროს საქმე ხელმძღვანელობასა და ამბიციებზე მიდგა.

დრენდამ მოგზაურობის სარეკლამო ვიდეო ნახა, ძალიან აღელდა და განაცხადა: „ჩვენ მივდივართ!“ არ დავეთანხმე და

ვთქვი, რომ წარმოების დონე მეტისმეტად მაღალი იყო ასეთი მოგზაურობის უფლების მოსაპოვებლად. ამან დრენდაზე გავლენა ვერ მოახდინა. მაიძულებდა, ყოველდღე მეყურებინა კომპანიის პრომო-ვიდეოსთვის და სამუშაო მაგიდაზე მოგზაურობის ამსახველი ბროშურაც დამიდო. თავდაპირველად, ვიდეომ არ დამაინტერესა, მაგრამ ჩემი ცოლის ენთუზიაზმმა ამ საკითხზე დამაფიქრა.

გამოვითვალე, რამდენი უნდა მემუშავა, რომ კონკურსამდე დარჩენილი დროისთვის საგზური მოგვეპოვებინა. მაინც ვფიქრობდი, რომ ეს შეუძლებელი იყო, თუმცა არც გამოვრიცხავდი. ბოლო ორი თვეც მოახლოვდა და გეგმას ჩამოვრჩებოდით, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, არც იმდენად, როგორც ვვარაუდობდი. როცა ვითარებაზე ვმსჯელობდით, დრენდამ მითხრა, რომ ლიცენზიას მიიღებდა ჩემს დასახმარებლად. ლიცენზიის მისაღებად ტესტირების პერიოდი კონკურსის ბოლო თვეს დაემთხვა. დრენდა გავიდა და რამდენიმე ნაცნობ ოჯახს შეხვდა, რომ საქმეები შეედგინა. ჩემ ნაშრომთან ერთად ეს მიზანს გვაახლოვებდა. კონკურსის წინა საღამოს მხოლოდ ორი საქმე გვაკლდა პირობების დასაკმაყოფილებლად. საღამოს კლიენტს უნდა შევხვედროდი, ისევე როგორც, დრენდა. ამის შემდეგ *Federal Express*-ის ოფისში უნდა მივსულიყავით და ღამით დოკუმენტები გაგვეფორმებინა. ისინი მომდევნო დღეს სახლის ოფისში უნდა ყოფილიყო, რომ კონკურსისთვის ჩაეთვალათ. Federal Express-ის ოფისი საღამოს 11 საათზე იკეტებოდა. სულ რამდენიმე წუთით მივასწარი და ვიმედოვნებდი, რომ დრენდა იქ დამხვდებოდა, მაგრამ არავინ იყო. ეს მობილური ტელეფონების გამოჩენამდე მოხდა, ასე რომ, მასთან დაკავშირების საშუალება არ მქონდა. ვიცოდი, რომ შეხვედრა საღამოს 7 საათზე ჰქონდა და უკვე კარგა ხნის წინ უნდა დაესრულებინა.

11 საათი ხდებოდა და დაკეტვის დრო დადგა. ავღელდი არა მარტო საქმის მოსწრებაზე, არამედ დრენდას გამოც. რეგისტრატურის აგენტმა მითხრა, რომ ოფისს ზუსტად 11 საათზე დაკეტავდა – ყველა პაკეტი აეროპორტში დროულად უნდა მიეტანა. 11-ს ორი წუთი აკლდა, როცა დრენდა პარკინგის ტერიტორიაზე შემოფრინდა და შენობაში ზუსტად დაკეტვის წინ შემოვარდა. ფორმები სასწრაფოდ მოვაგროვეთ და რეგისტრაციის აგენტს გადავეცით. აღტაცებული ვიყავით

და ადგილობრივ რესტორანში, რომელიც გვიან იკეტებოდა, კოკა-კოლა დავლიეთ. რატომ მხოლოდ ორი კოლა? იმიტომ, რომ მეტის ფული არ გვქონდა. თუმცა ᲩᲕᲔᲜ ᲔᲡ ᲨᲔᲕᲫᲔᲚᲘᲗ! იმ საოცარ და ყოველმხრივ დაფინანსებულ კურორტზე დასვენების უფლება მოვიპოვეთ. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა სასტუმროში დასვენება მეღირსა და ქათქათა სუფრით დამშვენებულ მაგიდასთან ვვახშმობდი. საერთოდაც, იქ ბევრი რამ პირველად იყო.

ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲐᲮᲝᲗ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ.

ჩემი ცხოვრება სრულიად შეიცვალა. იმ მოგზაურობამ ჩემი მსოფ–ლმხედველობა შეცვალა. სწორედ ამიტომ ვთქვი ზემოთ, რომ სიტყვა საზღაურს დღესასწაულით ვცვლიდი. ეს მართლაც ზეიმი იყო და არ ჰგავდა არაფერს, რაც აქამდე მქონდა ნანახი. როგორ მივედით იქამდე? რასაკვირველია, ჩვენში ღმერთი შრომობდა, მაგრამ შინაგანი სტიმული – დაპირებული დღესასწაული – გვიბიძგებდა, რომ გადაგველახა ყველაფერი, რაც კი ადრე გვიკეთებია. ოჰ, როგორ მინდა, რომ დღესასწაულის სიხარული გამოსცადოთ, რომელიც იმ კვირას განვიცადე. იცით რა? დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც შეგიძლიათ! მაშ, დაიმახსოვრეთ, რომ დასახოთ მიზანი და დაადგინოთ დღესასწაულის დღე. და მაინც, კომპანიების უმრავლესობა ასე არ მუშაობს. ისინი მხოლოდ იმ ბონუსებს იძლევიან, რომლებიც წლების ნამსახურობას უკავშირდება.

რა სტიმულს იძლევა ასეთი ქმედება? გინდათ იზეიმოთ, რომ თანამშრომელი გარკვეული დროის მანძილზე თქვენთან იყო? იმიტომ დაიქირავეთ, რომ დრო დრო და ძალისხმევა არ დაიშუროს საქმისთვის? თუ იმიტომ დაიქირავეთ, რომ მიზნისთვის მიეღწია? დაიმახსოვრეთ, რომ მკაფიოდ გამოკვეთილი მიზნის ზეიმი უნდა გსურდეთ, რომელიც დაადასტურებს ამ ადამიანის პირველ რიგში დაქირავების მართებულობას. ნუთუ მთელი ძალისხმევით შრომა გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს? დარწმუნებული ვარ, უკვე მიხვდით, რომ სწორედ საწინააღმდეგო ხდება. ზოგიერთი კომპანია დაწინაურებას იმ შემთხვევაში სთავაზობს თანამშრომელს, თუ ეს უკანასკნელი კარგად გამოიჩენს თავს წლის განმავლობაში და ეს მშვენიერია. მათი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ არ

აწასებენ ჯილდოს გაზომვადი მახასიათებლების საფუძველზე და არც მკაფიოდ განსაზღვრული დღესასწაული აქვთ, თუ თანამშრომელი დავალებას დადგენილ ვადებში შეასრულებს. რასაკვირველია, ამ ყველაფრის გაცნობა რეალური დროის ათვლამდე უნდა მოხდეს და არა დასასრულს ან შუაში.

კიდევ ვხედავ, რომ სხვა კომპანიები ავტომატურ დაწინაურებას მიმართავენ აშშ-ს მთავრობის მხრიდან საცხოვრებელი მინიმუმის შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ეს თანამშრომლებს შეგინარჩუნებთ, მაგრამ მათ მოტივაციას ვერ აამაღლებს. მას არანაირი სტიმული არ ექნება, თუ გამუდმებით გადასახადებისთვის თავის გართმევაზე ფიქრობს. დაუსახეთ მიზანი თქვენს გუნდს და შემდეგ დიდი დღესასწაული მოაწყვეთ. ჩვენი ეკლესიის ფუნქციონირების საწყის სტადიაზე 500 ადამიანი გვყავდა და ვთქვით, რომ ჰავაიზე წავიდოდით, როგორც კი 1600 გავხდებოდით. მათ ეს მიზანი დავუსახეთ და ასეც მოვიქეცით. როცა 1600 გავხდით, ყველა საშტატო თანამშომელი ერთი კვირით ჰავაიზე წავიყვანეთ. საოცარი მოგზაურობა გამოგვივიდა. თუმცა უკან რომ ვიყურები, უმჯობესი იქნებოდა უფრო ადვილად მისაწვდომი მიზნები და ნაკლებად მასშტაბური დღესასწაულები დაგვეგეგმა. 500-სა და 1600-ს შორის დიდი სხვაობა იყო დროის იმ პერიოდისთვის, რომელიც დავსახეთ და მრავალმა უარი თქვა მიზნის მიღწევაზე.

... პატარა მიზნები დიდ გამარჯვებებად გარდაიქმნება.

მიზნის დასახვა ხელოვნებაა – საკმაოდ დიდი სტიმულის მიცემა, მაგრამ არც იმდენის, რომ გუნდმა მიუღწევლად ჩათვალოს. გახსოვდეთ, რომ პატარა მიზნები დიდ გამარჯვებებად გარდაიქმნება. როცა გაყიდვებზე მუშაობა დავიწყე, ჩვენს ოფისს დიდი სტენდი ჰქონდა, სადაც ყველა აგენტი იყო გამოსახული. მათი სახელების გასწვრივ ნახავდით ერთი კვირის განმავლობაში მიღწეულ შედეგებს. ჩვენი შეკრებები ყოველთვის წამახალისებელი იყო. იქ მოკლემკლავიან მაისურებს ვურიგებდით თვის მანძილზე გამორჩეულ თანამშრომლებს. არ დაიჯერებთ, როგორ იბრძოდნენ ამ მაისურებისთვის გაყიდვის აგენტები! იქ გავიგე, რომ ადამიანთა უმრავლესობისთვის აღიარება მეტს ნიშნავს, ვიდრე ფული. ასევე აღმოვაჩინე, რომ ადამიანებში ძლიერია კონკურენციის წყურვილი; მათ გამარჯვება სწადიათ. მათ, უბრალოდ, სჭირდებათ ნათელი გზა ამის

გასაკეთებლად. ᲡᲐᲖᲦᲐᲣᲠᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ!

ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ბრძოლა ჯილდოვდება და დღესასწაული სადღაც ახლოა.

მართალია, კარგად მესმის, რატომ მიმართავს კომპანიების უმრავლესობა სახელფასო სისტემით გადახდას, მე მაინც დაბეჯითებით გთხოვთ, რომ გადახედოთ შრომის ანაზღაურების საკუთარ სისტემას. ღმერთმა შემოქმედებით ადამიანებად შეგვქმნა და წარმოსახვის უნარი მოგვცა. გაცილებით უკეთესად ვმოქმედებთ, როცა წინ განუსაზღვრელი მომავალი გვაქვს. თუ თქვენს ხალხს მიზნების აღსასრულებლად მიმართავთ, მათ წარმოსახვასა და შემოქმედებით უნარებს გააააქტიურებთ. აღმოაჩენთ, რომ მთელი ამ დროის მანძილზე ნაძიები პასუხები ხალხში ყოფილა, თუმცა ტუმბო თქვენ უნდა მიმართოთ მათ ამოსაქაჩად. რა სტიმული უნდა ჰქონდეს დაქირავებულ თანამშრომელს, რომ ხელფასის ზღვარს გასცდეს? ნუთუ ეს შიშზე დაფუძნებული პროგრამა უნდა იყოს? თუ არ აწარმოებთ, ხვალ აქ აღარ იქნებით? ან ასე: „ჰეი, თქვენ აკეთებთ ამას და ჩვენ გაჯილდოვებთ ამით“? ხელფასი თავისთავად არ არის მოტივაციის მიმნიჭებელი ფაქტორი. იფიქრეთ ამაზე! თანამშრომრომელმა იცის, რომ ჩვეულ ხელფასს მაინც მიიღებს საქმეში თავით გადაშვების გარეშე. ბოლოს მაინც იფიქრებს, რომ აუცილებელი არ არის მეტისმეტი მონდომება; ეს ხომ არ შეცვლის მათ ხელფასს!

ნელა იმუშავებენ თუ სწრაფად, განსხვავება არ იქნება. ასეთი სისტემა არ მუშაობს! დამსაქმებელი ფიქრობს: „კარგი! ამ ადამიანს ხელფასს გავუზრდი! ეს მეტი გულმოდგინებით შრომის ხალისს მისცემს და მეტ პასუხისმგებლობას აიღებს.“ არასწორია. აქ ჯერ კიდევ არ ჩანს სტიმულაციის სისტემა. როგორც კი ადამიანები გარკვეულ პოზიციებზე აღმოჩნდებიან, თავიანთ შრომას მმართველობის დონეს უთანაბრებენ და ამ ადგილზე აზროვნებაში მიმდინარე პროცესების თანახმად იქცევიან. აზროვნებაში კი გადამუშავებდა ის ინფორმაცია, რის გაკეთებასაც ავალებენ მათი სამუშაო აღწერილობის მიეხედვით.

ალბათ, არ გინდათ, რომ თქვენი ხალხი ინფორმაციის გადამუშავების აზროვნებით შრომობდეს!

თქვენთვის უმჯობესია, რომ ხალხი დამსაქმებლის აზროვნებით მუშაობდეს. დამსაქმებელი არ ოცნებობს საქმის წამოწყებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ სამუშაო ჰქონდეს. არა, ისინი ბიზნესს დაუსაზღვრელი მომავლის იმედად იწყებენ. ისინი დიდი მონდომებით შრომობენ და დროს ხარჯავენ საკუთარი საქმის დასაწყებად, რადგან მოტივირებული არიან თავისუფლებისა და წარმატების საზღაურით. გარდა ამისა, ადამიანი, რომელიც საკუთარ ბიზნესს იწყებს, იოლ ცხოვრებას არ ეძებს. ეს კარგად ვიცი, რადგან თავადაც იმაზე მეტს ვმუშაობ, ვიდრე დაქირავებულის პოზიციაზე ვიმუშავებდი. რატომ? იმიტომ, რომ ხედვა და საქმისადმი ენთუზიაზმი მამოძრავებს. ჩემი მომავალი საათებს არ მითვლის, რომ მთელი ძალისხმევა მივახარჯო; ეს არის საქმე, რის კეთებაც მსიამოვნებს. ეს ჩემი პიროვნების გამოძახილია და მე ის მიყვარს.

დამსაქმებლები ჩივიან, რომ ძნელია ისეთი ადამიანების პოვნა, რომლებიც თავიანთ საშრომ ადგილას მესაკუთრის აზროვნებით იმოქმედებენ. ყველას დაქირავებულის დამოკიდებულება აქვს. ვეთანხმები და მიზეზი, რის გამოც თქვენი ხალხი „დაქირავებულივით“ იქცევა, ის გახლავთ, რომ „დაქირავებულის“ ხელფასს უხდით. ისევ ვიმეორებ, რომ არ ვლაპარაკობ თანხის ოდენობაზე, რომელსაც მათ უხდით. აქ საუბარია გადახდის წესზე. ჩვეულებისამებრ, მათ ხელფასს უხდიან კომპანიის აგებაში საკუთრებაზე უფლებისა და მოგებაში მონაწილეობის გარეშე. რამდენად წამახალისებელია ასეთი მიდგომა?

აი, სამწუხარო ამბავი: იმის გამო, რომ მათ მიერ ნაშენებიდან მოგებას არ უზიარებთ, სცენის მიღმა მოქმედებენ და თქვენს ზურგს უკან გეგმავენ თავისუფლებისთვის გაქცევას. შემოქმედებითობა, რომელიც დიდი ხანია მიშვებული იყო, ახლა გამოყენებული იქნა საათების ფიქრის შემდეგ, თუ როგორ აეგოთ თავიანთი და არა თქვენი ბიზნესი. საბოლოოდ, ისინი წავლენ. ცუდი ის არის, რომ გონებრივად უკვე წასულები არიან, თუმცა ჯერ კიდევ თქვენთან მუშაობენ. ამრიგად, თუ გინდათ ააგოთ რაღაც ისეთი, რაც გაძლებს, მიეცით ხალხს თქვენი სიხარულის გაზიარების უფლება, რომ იდღესასწაულონ შენება. მიეცით რაღაც მათთვის სასარგებლო და დამაჯილდოებელი თავიანთი

შრომისა და ხედვისთვის. დასახეთ მიზნები და დაადგინეთ დღესასწაული – საზღაური. და ბოლოს: დაჩვრეტილ ბუშტს ჰაერით ვერ გაბერავთ, რაც არ უნდა ეცადოთ. ნება მომეცით, ერთ-ერთი ჩემთვის უსაყვარლესი მონაკვეთი გაგიზიაროთ წმიდა წერილიდან და შემდეგ აგიხსნით, რას ვგულისხმობდი.

> *აკურთხე, სულო ჩემო, უფალი და მთელო შიგნეულობავ ჩემო - მისი წმიდა სახელი. აკურთხე, სულო ჩემო, უფალი და არ დაივიწყო მთელი მისი სიკეთე; ის არის შემნდობი ყველა შენი ბრალისა, მკურნალი ყველა შენი სნეულებისა. საფლავისგან დამხსნელი შენი სიცოცხლისა, წყალობისა და სიკეთის გვირგვინის დამდგმელი; სიკეთით აღმვსები შენი სიცოცხლისა, არწივივით განმაახლებელი შენი სიჭაბუკისა.*

– ფსალმუნი 103:1-5

ყურადღება მიაქციეთ, რომ დაკმყოფილებული სურვილი ძალებს გაგიახლებთ. ერთადერთი არ ხართ გუნდში, ვისაც სურვილები აქვს. კორპორაციის ელექტრონული ტაბელის უჯრაში მათი სახელების ჩაწერის ნაცვლად კომპენსაციის სისტემის მოწყობა, რომელიც თანამშრომლებს გაკეთებული საქმისთვის აჯილდოებს, სრულიად გამოაცოცხლებს თქვენს გუნდსა და მომავალს. ცუდი არ არის ადამიანისთვის ხელფასის გადახდა, თუ მას საბონუსე სისტემას, მოგების განაწილებას ან ანაზღაურების ისეთ მეთოდს სთავაზობთ, რომელიც არა მხოლოდ გაკეთებული, არამედ გასაკეთებელი საქმის საფუძველზეც აჯილდოებს. მას ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი მიზნებისა და საზღაურის დეტალური სტრუქტურა საქმეში ჩართული პირებისთვის. ზეიმის დროის ქონა ჩვენსა და მათ ძალებს განაახლებს! ეს თქვენსა და თქვენს გუნდს იგივეს გამეორების სურვილს აღუძრავს. ისინი იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ჯილდო გასაღებ ფასად ღირს. დაჯილდოების გარეშე შრომა, სწორედ რომ საწინააღმდეგო ეფექტს გამოიღებს. ეს კარგად ჩანს ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მაგალითზე. გადახედეთ ვენესუელას, რომელიც თავის დროზე სამხრეთ ამერიკის ყველაზე მდიდარი ერი იყო. გასაკვირია, რომ ვენესუელას ყველაზე დიდი ნავთობის საბადოები აქვს, რაც კი

მსოფლიოში ცნობილია, საუდის არაბეთზე მეტი, მაგრამ ქვეყანა გაბანკროტებულია. ნება მომეცით, ამას წინათ წაკითხული სტატიიდან ამონარიდი მოვიყვანო, რომელიც ნათლად აჩვენებს, თუ რა ხდება მაშინ, როცა ქვეყანაში კატორღული შრომის საფასურად ყოველგვარ ჯილდოს აუქმებენ.

როცა უგო ჩავესი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს, პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო სექტორის ნაციონალიზაციას შეუდგა. ამით ის სიღარიბის შემცირებას და თანასწორობის დამკვიდრებას ცდილობდა – მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა. 1999 წლიდან 2016 წლამდე მისმა რეჟიმმა კანონიერ მფოლებელებს 6 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა წაართვა.

ნაციონალიზაციამ წარმოება გაანადგურა, რადგან არც ერთ მთავრობას არ შეუძლია ათასობით საწარმოს მართვა ან განზრახვის დამტკიცება, რომ მათ ეფექტურ მუშაობას უზრუნველყოფს. ამის ნაცვლად, მთავრობის ჩინოვნიკები აწყდებიან ამომრჩეველთათვის სიამოვნების მინიჭების სტიმულს. ამისთვის პროდუქტებს უფრო დაბალ ფასად ყიდიან და იმაზე მეტ მუშაკებს ქირაობენ, ვიდრე საჭიროა, მაშინაც კი, როცა ეს მცდარი საწარმოო გადაწყვეტილებაა. როგორც ეკონომიკის თეორია გვკარნახობდა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის ზრდის კვალობაზე კვების პროდუქტების წარმოება ვენესუელაში 75 %-ით დაეცა ორი ათეული წლის მანძილზე, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 33 %-ით გაიზარდა. ასეთი გახლდათ უკმარისობისა და ეკონომიკური კატასტროფის რეცეპტი.

სოფლის მეურნეობის შემდეგ მთავრობამ ელექტროენერგიის, წყლის, ნავთობის, ბანკების, სუპერმარკეტების, მშენებლობისა და სხვა მნიშვნელოვანი სექტორების ნაციონალიზაციაც მოახდინა. ყველა ამ სფეროში მთავრობამ სახელფასო ფონდი გაზარდა და პროდუქცია დაბალ ფასში გაყიდა, რამაც ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგიის დღეობით გამორთვა, წყალმომარაგების შეფერხება, ნავთობის მოპოვების ვარდნა და სახელმწიფო საწარმოების გაკოტრება გამოიწვია.[28]

28. Daniel Di Martino, "How Socialism Destroyed Venezuela," https://economics21. org, March 21, 2019

საზღაურის გარეშე წარმოებული შრომა არათუ ხელს არ უწყობს პროდუქტიულობას, პირიქით, აბრკოლებს. ღმერთმა ეს იცის. მან სწორედ ასე შეგვქმნა – არა მარტო ვიშრომოთ, არამედ ჩვენი შრომის ნაყოფით ვისიამოვნოთ. იესოც აცნობიერებდა მიზნის დასახვისა და დღესასწაულის დადგენის პრინციპს.

> *მიეცით და თქვენც მოგეცემათ: კარგი საწყაო, დატკეპნილი, გატენილი და პირთამდე სავსე მოგეცემათ თქვენსავე კალთაში. რადგან რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმითივე მოგეწყვებათ თქვენ“.*

– ლუკა 6:38

ყურადღება მიაქციეთ, რამდენად დიდი დრო ეძღვნება გაღების შედეგების ახსნას. ღმერთს შეეძლო მარტივად ეთქვა: „მე ვარ ღმერთი. გაეცი!“ არა, ასე არ ხდება. მაშინ ადამიანები განაწყენდებოდნენ და იგი არაფრით იქნებოდა სოციალისტურ მთავრობებზე უკეთესი, რომელთაც ახლა მსოფლიოში ვხედავთ. ღმერთი სასტიკი მმართველი გახდებოდა.

პავლე კარგად აცნობიერებდა ამ პრინციპს.

> *იმასაც გეტყვით, რომ ვინც ძუნწად თესავს, ის ძუნწად მოიმკის, ხოლო ვინც უხვად თესავს, ის უხვად მოიმკის თითოეულმა გაიღოს ისე, როგორც გულით განეწყო, არც მწუხარებითა და არც ძალდატანებით; ვინაიდან ღმერთს სიხარულით გამცემი უყვარს; ღმერთს კი ძალუძს სიუხვე მოგცეთ ყოველგვარ მადლში, რათა ყველაფერში ყოველივეს საკმარისად მქონენი, უხვნი იყოთ ყოველი კეთილი საქმისთვის. როგორც სწერია: გაფლანგა, ღარიბებს დაურიგა; მისი სიმართლე რჩება უკუნისამდე ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს, რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს.*

– 2 კორინთელთა 9:6-11

ისევ ვხედავთ, რომ მიზანი მკაფიოდ არის გადმოცემული საზღაურსა და დღესასწაულთან ერთად, რომლებიც ასევე ნათლად ჩანს. აქაც მეტი დრო და დეტალური ახსნა ეთმობა ჯილდოსა და ზეიმის განმარტებას, ვიდრე თავად გაცემის მითითებას. თუ ღმერთი ამ სისტემას ჩვენ მიმართ იყენებს, მაშინ მეტ წარმატებას მივაღწევდით, იგივე სისტემა დაქვემდებარებული ხალხის მიმართ რომ გამოგვეყენებინა, რაც სახის საქმიანობასაც არ უნდა ვეწეოდეთ. ვიმეორებ, რომ თავდაპირველად ვსახავთ მიზანს და მეორე, ვადგენთ დღესასწაულს, თუ რა იქნება დროულად მიღწეული მიზნის საზღაური. შემოქმედებითი მიდგომის გამოჩენა თანამშრომლების საქმეა მისიის აღსრულების საქმეში. ნუ მისცემთ თავს უფლებას, რომ მათი პროცესების მართვაში ჩაერიოთ. ისინი გაგაკვირვებენ არა მარტო თქვენ, არამედ საკუთარ თავსაც.

გითხარით, რომ აგიხსნიდით, რას ვგულისხმობდი ნაჩვრეტებიანი საჰაერო ბუშტის გაბერვაში. ეს შეუძლებელია. ვთქვი, რომ ეს შეუძლებელია, არა? სამწუხაროდ, სწორედ ასე იქცევა ხელმძღვანელების უმეტესობა. იმის ნაცვლად, რომ ნახვრეტები ამოქოლონ, მთელი ძალით იღწვიან და მეტ ფინანსებს დებენ იმის იმედით, რომ ყველაფერი საუკეთესოდ იქნება. რასაკვირველია, ისინი შემდეგ ხვდებიან, რომ ეს არასწორია. ამრიგად, შეჩერდით და სისტემა შეაკეთეთ. ახალი ხალხის მოყვანა ან მეტი ფულის დახარჯვა საჰაერო ბუშტს ვერ გადაარჩენს. ხალხი და ფული ისევე დაიკარგება სისტემის დისფუნქციის გამო, როგორც მათი წინამორბედები დაიკარგნენ. ამის გამოსწორება შეგიძლიათ; ღმერთი დაგეხმარებათ.

დღესასწაულის კანონი ასეთია – ყევლას უყვარს ზეიმები!

დასკვნა

ვიმედოვნებ, წიგნის წაკითხვით ისიამოვნეთ, მაგრამ ერთი რამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია: ვიმედოვნებ, განხილულთაგან რამდენიმე საკითხი გულზე მოგხვდათ, გამხნევდით და ეს საკუთარი ცხოვრებისა და მწარმოებლურობის აჩქარებაში დაგეხმარათ. როგორც წიგნის დასაწყისში ვთქვი, აჩქარების სხვა კანონებიც არსებობს, რომელთა აღწერაც უპრიანი იქნებოდა. თუმცა აქ მხოლოდ ისინი მოვიყვანე, რომლებიც სიზმარში ვიხილე და სულიწმიდამ მათი შესწავლისა და გამოყენების აუცილებლობაში დამარწმუნა ჩემი ცხოვრებისთვის უფლის მიერ დასახული მიზნების განსახორციელებლად.

დასასრულს, მინდა ხაზი გავუსვა ორ კანონს, რომლებიც ამ წიგნში ნახსენებ ნებისმიერ სხვა კანონზე მაღლა დგას. ესენია:

> *უპასუხა: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და უდიდესი მცნება. და მეორე, ამის მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ამ ორ მცნებაზე ჰკიდია მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი“.*
>
> – მათე 22:37-40

რწმენის დანართი

რა არის რწმენა?

რწმენა არის სიტყვა, რომელსაც ქრისტიანები ძალზე ზოგადი მნიშვნელობით იყენებენ. დარწმუნებული ვარ, რომ თუ უმრავლესობამ არა, ბევრმა არც კი იცის, რა არის რწმენა; რისთვის არის საჭირო; როგორ გამოიცნონ, რომ რწმენაში დგანან და როგორ უნდა მოიპოვონ ის. თუ რწმენა ქალის განსაკურნებლად ამოქმედდა მათ. 9:20-22-ში, როგორც იესომ თქვა, მაშინ ის დიდი გულისყურით უნდა გამოვიკვლიოთ! რწმენის განსაზღვრებას რომ. 4:18-21-ში ვხედავთ. ოჰ, ალბათ ახლა ფიქრობთ: „არა, გარი! ებრ. 11:1-შია რწმენის განმარტება“.

> *რწმენა არის მტკიცედ დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ.*
>
> – ებრაელთა 11:1

დიახ, ასეთია ტრადიციული პასუხი, მაგრამ თუ წერილს გამოიკვლევთ, ნახავთ, რომ ებრ. 1:11 რწმენის სარგებელზე გველაპარაკება და არა თავად რწმენაზე. დარწმუნებული ვარ, რომ რომაელთა წერილიდან ჩვენს მიერ მოყვანილი ადგილი მეტად მკაფიო სურათს დაგვანახებს, თუ რაში მდგომარეობს რწმენა სინამდვილეში.

> *რომელიც უიმედობაში ერწმუნა იმედით, რათა გამხდარიყო მრავალი ერის მამა, როგორც ნათქვამია: „ასე იქნება შენი თესლი“. არ შესუსტებია რწმენა, როცა ხედავდა, რომ მისი სხეული, თითქმის ასი წლისა, უკვე ჩაკვდა, ხოლო სარას საშო მკვდარი იყო. და არ*

დაეჭვებულა ღვთის აღთქმაში ურწმუნობით, არამედ განმტკიცდა რწმენით და დიდება უძღვნა ღმერთს. და გულდაჯერებული იყო, რომ ის, ვინც აღუთქვა, შესრულებასაც შეძლებდა.

– რომაელთა 4:18-21

მოდით, წერილის ზოგადი ფონი წარმოვიდგინოთ: აბრაჰამსა და სარას შვილის ყოლა არ შეეძლოთ. არ ვგულისხმობ, რომ ჩასახვის პრობლემა ჰქონდათ და მცდელობა კიდევ უნდა გაეგრძელებინათ. არა, ისინი უკვე 100 წელს მიღწეულები იყვნენ და ყველაფერი დამთავრებული იყო. მათი სხეულები შვილოსნობას ვეღარ შეძლებდნენ; ეს გამორიცხული გახლდათ! და მაინც, ღმერთი აბრაჰამს შვილს დაპირდა, თუმცა ბუნებრივად ამის იმედი არ უნდა ჰქონოდა. ბიბლიის თანახმად, აბრაჰამი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ღმერთს ნათქვამის შესრულების ძალა შესწევდა მაშინაც კი, როცა ფიზიკური ფაქტები სულ სხვას ეუბნებოდნენ.

რწმენა არის მტკიცედ დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ.
_ ებრაელთა 11:1

მაშ, ასეთია რწმენის განსაზღვრება: „სრულად დარწმუნება ღვთის ძალაში, რომ მას დაპირებულის შესრულება შეუძლია.“ ამ აზრს სხვაგვარად გამოვთქვამ: ზეცასთან შეთანხმება არა მარტო გონებით, არამედ მთელი არსებით, როცა გულში მტკიცედ გვჯერა, რომ ღმერთი დაპირებულს აღასრულებს, თუნდაც ფიზიკური გარემოებები სულ სხვა რამეზე მიუთითებდეს.

რწმენის ჩვენეული განმარტება ასეთი იქნება:

რწმენა არის ღვთის ნათქვამში მტკიცე დარწმუნება! ეს არის ჩვენი გულისა და გონების თანხმობა ზეცასთან, როცა გული სრულად დაჯერებული, გაბედული და მოსვენებულია.

რისთვის არის საჭირო რწმენა?

რატომ არ კურნავს ღმერთი ყველას საავადმყოფოში, როცა მოესურვება? რატომ არ მოუღებს ბოლოს ომებს? რატომ არ

გზავნის ანგელოზებს სახარების საქადაგებლად? დარწმუნებული ვარ, რომ ეს კითხვები ადრეც გსმენიათ. პასუხად გეტყვით, რომ მას არ შეუძლია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ღმერთს ამის გაკეთების ძალა არ შესწევს. მას არ აქვს იურისდიქცია ანუ ძალაუფლება. „გარი, ამბობთ, რომ ღმერთს არ შეუძლია გააკეთოს ის, რაც მას სურს?“ ვიცი, ახლა ეს თქვენთვის მართლაც უცნაურად ჟღერს, მაგრამ გადახედეთ ბიბლიას და იხილეთ ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე.

> *სადღაც ვიღაცამ დაამოწმა და თქვა: „რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი? ანდა ძე კაცისა, რომ მოინახულებ ხოლმე მას? ოდნავ დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე; დიდებითა და პატივით დააგვირგვინე და დაადგინე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე. და ყოველივე მის ფერხთა ქვეშ დაუქვემდებარე“. ხოლო, რაკი ყოველივე მას დაუქვემდებარა, არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი. მაგრამ ახლა ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ, რომ ყოველივე მას ემორჩილებოდეს.*
>
> – ებრაელთა 2:6-8

წერილიდან ვხედავთ, რომ ღმერთმა ადამიანს მისცა სრული ძალაუფლება მთელ დედამიწაზე, როცა მასზე დაასახლა. არაფერი დარჩენილა, რაც მას არ ემორჩილებოდა. იგი ქვეყნიერებას აბსოლუტური იურისდიქციითა და ძალაუფლებით განაგებდა. ამგვარ მმართველობას ზურგს უმაგრებდა მისი დამყენებელი ხელისუფლება. არსებითად, ადამიანი ღვთის სამეფოს მიერ გადაცემული ძალაუფლებით მართავდა. მას ამ ხელისუფლების გვირგვინი ედგა, რომელიც ღვთის დიდებას, ცხებულებას და პატივდებულ პოზიციას განასახიერებდა.

ამ სურათის უკეთესად წარმოდგენისთვის ქვეყნიერ მეფეზე იფიქრეთ. მართალია, ის ჩვეულებრივი ადამიანია და ფიზიკურ არსებობაში არანაირი რეალური ძალაუფლება არ გააჩნია, მაინც გვირგვინს ატარებს და არა მარტო საკუთარ თავს, არამედ მთელ მის სამეფოსა და ხელისუფლებას წარმოადგენს. მისი სიტყვა ავტორიტეტულია, რადგან ზურგს უმაგრებს სამეფოსა და ხელისუფლების ყოველგვარი ძალაუფლება და ბუნებრივი რესურსები.

წარმოიდგინეთ საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი შერიფი, რომელსაც უზარმაზარი ტრაილერის გაჩერება მხოლოდ ერთი ბრძანებით შეუძლია: „შეჩერდით კანონის სახელით!“ დიახ, ეს სატვირთო მანქანა ადამიანზე დიდია და ეს უკანასკნელი მას ვერც კი გაუტოლდება, მაგრამ მანქანა მაინც ჩერდება. კაცის გამო კი არ წყვეტს მოძრაობას, არამედ იმ სამკერდე ნიშნის გამო, რომელსაც შერიფი ატარებს და ამით სახელმწიფოს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ხელისუფლება გაცილებით დიდია, ვიდრე სამკერდე ნიშნის მქონე კაცი. მართალია სატვირთოს მძღოლს ადამიანის არ ეშინია, მაგრამ ეშინია ხელისუფლების, რომელსაც პოლიციელი წარმოადგენს და მას შეჩერებას აიძულებს.

იგივე ჭეშმარიტია ცათა სამეფოს შემთხვევაშიც. ადამი ყველაფერს მართავდა, რაც მიწიერ სამეფოში იყო შექმნილი. ღვთის ძალა და ბატონობა დიდებისა და პატივის გვირგვინით იყო წარმოდგენილი და ადამიანს იმის დარწმუნებას აძლევდა, რომ მისი სიტყვები ღვთის სამეფოს ძალაუფლების მომცველი იყო.

სწორედ ამიტომ სურს ღმერთს სულით ავსებული ადამიანების გამოყენება, რომ თავისი ნება ადამიანთა ცხოვრებაში განახორციელოს.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ადამმა დაკარგა დედამიწაზე მართვის უფლება ღვთის ხელისუფლების წინააღმდეგ ღალატის ჩადენით და დიდების გვირგვინსაც გამოეთხოვა. ქვეყნიური სამყარო გაფუჭდა და შეიცვალა. მასში სიკვდილმა დაისადგურა, ხოლო სატანას ადამიანთა საქმეებზე ზეგავლენის მოხდენის და ძალაუფლების გამოყენების კანონიერი უფლება მიეცა. უკიდურესად მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ადამიანი ძველებურად ქვეყნიერი სამეფოს კანონიერი მმართველია, მაგრამ ახლა მას სულიერი მართვის უნარი აღარ შესწევს. დაცემულობის მიუხედავად, ის მაინც დედამიწაზე პასუხიმგებლად ითვლება.

მას ზურგს აღარ უმაგრებს ღვთიური ხელისუფლება. მას აღარ აქვს ღვთის ძალითა და დიდებით მართვის უნარი. მან საპატიო ადგილი დაკარგა, თუმცა მიწიერ სამყაროში ერთადერთ კანონიერ კარს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ სურს ღმერთს სულით ავსებული ადამიანების გამოყენება, რომ თავისი ნება ადამიანთა ცხოვრებაში განახორციელოს.

ზუსტად ასევე იყენებს სატანა დემონისგან ამოძრავებულ ადამიანებს, რომ მიწიერ სამყაროზე გავლენა მოახდინოს კაცობრიობაზე თავისი გეგმების განსახორციელებლად. დედამიწაზე ადამიანის იურისდიქციის პრინციპის ცოდნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ცათა სამეფოს კანონების გასაგებად და როცა მას კარგად ჩაწვდებით, ბევრ კითხვას უპასუხებთ, რომელიც მომავალში გაგიჩნდებათ, თუ რატომ ხდება სულიერ სამყაროში ესა თუ ის მოვლენა და არ ხდება სხვა.

შეგიძლიათ, თქვათ: „მე ვფიქრობდი, რომ ღმერთი სრულად ფლობდა დედამიწას და მის სისავსეს!“ დიახ, ასეა! ვიმედოვნებ, ეს მაგალითი დაგეხმარებათ ჩემი ნათქვამის გაგებაში. თუ იჯარით მოგეცით სახლი, რომელიც ჩემი საკუთრებაა, კანონიერად ვთქვი უარი მასში შესვლასა და გასვლაზე, როცა მომინდება. არენდის კონტრაქტის უმრავლესობაში არის პუნქტი, რომ მეპატრონეს მხოლოდ მაშინ შეუძლია გაქირავებულ შენობაში შესვლა, როცა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას გადაწყვეტილებაა მისაღები ან რემონტია ჩასატარებელი და ისიც წინასწარი შეტყობინების საფუძველზე. თუ სახლში შესვლას შეთანხმების ფარგლების დარღვევით შევეცდები, უკანონო შეჭრაში ჩამეთვლება იმის მიუხედავად, რომ სახლის მეპატრონე ვარ. თუ იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს დავარღვევ, კანონის თანახმად შენობის განთავისუფლება მომიწევს, თუნდაც ჩემს საკუთრებაში იყოს. ეს აჩვენებს, რომ სატანა ადამიანის მეშვეობით უნდა შესულიყო, რომ მიწიერ სამეფოსთან მისადგომელი ჰქონოდა. მხოლოდ ადამს ჰქონდა გასაღები! სატანას კარის მეშვეობით შესვლა მოუხდა და ეს კარი ადამი გახლდათ! თუ სატანა სხვა გზით შესვლას შეეცდებოდა, მას კანონიერად გამოაგდებდნენ.

აიყვანა იგი მაღალ მთაზე და ერთ წამში უჩვენა ქვეყნიერების ყველა სამეფო. უთხრა მას ეშმაკმა: „შენ მოგცემ მთელ ამ ხელმწიფებას და მის დიდებას, რადგან მე მაქვს მოცემული და, ვისაც მინდა, იმას ვაძლევ. თუ თაყვანს მცემ, შენი იქნება ყოველივე!“

– ლუკა 4:5-7

აქ ხედავთ, რომ სატანას პრეტენზია აქვს კაცთა სამეფოების ხელმწიფებასა და დიდებაზე (სიმდიდრეზე), რომელიც მას მიეცა. ვინ მისცა მას ძალაუფლება? ვისაც ჰქონდა ანუ ადამმა! ამრიგად, ღმერთს არ შეეძლო კაცობრიობის საქმეებში ჩარევა კანონიერი შესასვლელის გვერდის ავლით. ასე რომ მოიქცეს, სატანა მას უპატიოსნო თამაშში დაადანაშაულებდა. არა, ღმერთი იგივე კარიდან უნდა შესულიყო, რომელიც სატანამ გამოიყენა დედამიწაზე თავისი ხელმწიფებისა და ძალაუფლების მოსატანად და ეს ადამიანი გახლდათ. არსებობდა ასეთი ადამიანი?

> *უთხრა უფალმა აბრამს: „წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც გაჩვენებ. დიდ ერად გაქცევ, გაკურთხებ, განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები. ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს; და იკურთხება შენში დედამიწის ყველა ტომი“.*
>
> – დაბადება 12:1-3

აბრაჰამს ჩვენი რწმენის მამა ეწოდა, რადგან მან გაუხსნა ღმერთს მიწიერი სამეფოს კარი, საიდანაც კურთხევა დედამიწის ყველა ერზე მოვიდოდა. რასაკვირველია, ერების კურთხევაში იესო ქრისტე იგულისხმება, რომელიც მოგვიანებით ღვთიური მმართველობის გზას შექმნიდა, რომ ღმერთს კიდევ ერთხელ მისცემოდა მიწიერ სამყაროში რეალურად ჩარევის უფლება აბრაჰამის რწმენის მეშვეობით.

აბრაჰამის რწმენამ ზეცას კანონიერი შესასვლელი გაუხსნა, რომელიც ღმერთმა სამუდამოდ ღიად დატოვა აბრაჰამსა და მის თესლთან ანუ შთამომავლობასთან კანონიერი შეთანხმების (აღთქმის) მეშვეობით.

ამრიგად, რწმენა – მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა – ქრისტეს სიტყვისაგან.
– რომაელთა 10:17

ნება მომეცით, ჩემი ნათქვამის პარაფრაზირება მოვახდინო. ზეციური მმართველობა მიწიერ სამყაროში მისადგომელს მხოლოდ დედამიწაზე მცხოვრები მამაკაცისა და ქალის საშუალებით ჰპოვებს იმიტომ, რომ მათ ეკუთვნით

კანონიერი ძალაუფლება. ამ კანონიერების მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ეს მამაკაცი და ქალი გულში სრულად ირწმუნებს ღვთის ნათქვამს (რწმენა). იგივე აზრის გამოხატვის კიდევ ერთი ხერხი ასეთია: ზეცას კანონიერი ზეგავლენის მოხდენა მიწიერი სამყაროს მხოლოდ იმ მამაკაცზე ან ქალზე შეუძლია, რომელსაც ღვთის ბატონობისა და ძალაუფლების ქვეშ ყოფნის სურვილი აქვს და შესაბამის არჩევანს აკეთებს. ეს იგივე პრინციპია, რომელსაც სატანამ მიმართა, რათა დედამიწაზე მისადგომელი ადამის მეშვეობით მოეპოვებინა. მან ადამი დაარწმუნა, რომ ღვთის ნდობა არ ივარგებდა და კაცის გული ღმერთთან შეთანხმების პოზიციიდან გამოიყვანა. ამიტომ ადამმა სატანის დაჯერება გადაწყვიტა და ღვთის ძალაუფლება უარყო.

ღმერთმა იგივე პრინციპი გამოიყენა, რომ მიწიერ სამეფოში მისი მმართველობა და ძალაუფლება აბრაჰამის მეშვეობით დაებრუნებინა. აბრაჰამი უფალს ერწმუნა და მისი თანხმობა სიმართლედ შეფასდა, რაც ნიშნავდა, რომ იქ ადგილი ჰქონდა სწორედ იმ კანონიერ შეთანხმებას. ორმხრივმა შეთანხმებამ ღვთისა და აბრაჰამის მხრიდან უზენაესს იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულების (აღთქმის) დადების საშუალება მისცა, რაც დედამიწის საქმეებში ზეცის ჩარევას უზრუნველყოფდა. უმნიშვნელოვანესია, აღინიშნოს, რომ აღთქმა ზეგავლენას ახდენს მხოლოდ აბრაჰამსა და მის შთამომავლობაზე. აღთქმის ნიშნად მამამთავრის მემკვიდრეების წინადაცვეთა იქცა. წინადაცვეთისას მამაკაცის ჩუჩას ჭრიდნენ.

როცა მამაკაცმა თავისი თესლი ქალში ჩათესა, ეს წინადაცვეთილი ასოს გავლით მოხდა. ამით სატანას, დედას და მამას უცხადებდნენ, რომ ეს ბავშვი ზეცის წინაშე იდგა, როგორც ღვთისა და აბრაჰამს შორის დადებული კანონიერი შეთანხმების მემკვიდრე. როგორც ადრე წავიკითხეთ, ყველა მამაკაცსა და ქალს, რომლებიც აღთქმაში იყვნენ, მაინც სჭირდებოდათ ერთი მოთხოვნის შესრულება – მათი გულები სრულად უნდა დათანხმებოდა ღვთის ნათქვამს, რომ რეალურად ესარგებლათ აბრაჰამისეული აღთქმის უპირატესობით. არსებითად, აღთქმამ კაბელი მათ სახლამდე მოიყვანა, მაგრამ გამოსაყენებლად აუცილებელი იყო ჩამრთველის გადართვა, რაც ღვთის სიტყვის დაჯერებით და შესაბამისი მოქმედებით ხდებოდა.

მაშა ასე, ახლა უკვე ვიცით, რა არის რწმენა და რატომ არის საჭირო მისი გამოყენება კანონიერების დასაცავად. ამის შემდეგ მნიშვნელოვანი ხდება რწმენის მიღების გზა და იმის გარკვევა, ვართ თუ არა რწმენაში.

როგორ უნდა მივიღოთ რწმენა?

აი, გასაღები: რწმენის მისაღებად ვერ ილოცებთ. გაგიკვირდათ? ასეც ვფიქრობდი.

> *ამრიგად, რწმენა - მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა - ქრისტეს სიტყვისაგან.*

– რომაელთა 10:17

როგორ მოდის რწმენა ღვთის სიტყვის მოსმენით? და ეს ყველაფერია? რა პროცესია საჭირო? მხოლოდ ღვთის სიტყვის მოსმენა საკმარისია, რომ ადამიანის სულში რწმენა განვითარდეს? იმის გასარკვევად, თუ როგორ მოდის რწმენა და რას გვეუბნება რომ. 10:17, გადავხედოთ მარკოზის სახარების მე-4 თავს. ბიბლია რომ ზევით აიქნიოთ, დავარდნისას მარკოზის მე-4 თავზე გადაიშლება! აი, ასე მნიშვნელოვანია ხსენებული მონაკვეთი! მარკ. 4:13-ში იესომ თქვა, რომ ვერც ერთ სხვა ბიბლიურ იგავს ვერ გაიგებთ ამ თავში მოყვანილი სწავლების გააზრების გარეშე. ვიტყოდი, რომ ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს!

რატომ არის საჭირო ამ თავის ხაზგასმა? იმიტომ, რომ აქ ლაპარაკია ზეცის დედამიწაზე ზემოქმედების გზებზე, თუ როგორ იძენს კანონიერ სახეს და სად ხდება ეს. ამ თავის გააზრებაზე მნიშვნელოვანი თქვენს ცხოვრებაში არაფერია. „როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო?“ - იკითხავთ თქვენ. წაიკითხეთ მარკოზის მე-4 თავი! აქ იესო სამ იგავს გვიამბობს, თუ როგორ წარმოიშობა რწმენა ადამიანის სულში, რაც უკვე იცით, რომ ზეცის დედამიწაზე კანონიერად შემოსვლის წინაპირობაა. ხსენებულ თავში მოყვანილია სამი იგავი – მთესველზე, თესლის მიმომბნევ კაცზე და მდოგვის მარცვალზე.

მოდით, ჯერ მეორე ამბიდან დავიწყოთ, რომელსაც იესო მარკოზის მე-4 თავში გვიყვება. ეს გახლავთ იგავი კაცზე, რომელიც თესლს აბნევს.

და თქვა: „ღმერთის სამეფო ჰგავს კაცს, რომელიც თესლს აგდებს მიწაში. ღამით სძინავს, დღისით დგება, მაგრამ არ იცის, როგორ აღმოცენდება და იზრდება თესლი. რადგან მიწას თვითონ გამოაქვს ნაყოფი: ჯერ ჯეჯილი, შემდეგ თავთავი, მერე კი სავსე მარცვალი თავთავში. რაჟამს მომწიფდება ნაყოფი, მაშინვე წარგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ“.

– მარკოზი 4:26-29

სანამ მონაკვეთის განხილვას შევუდგებოდეთ, ტერმინები განვსაზღვროთ. რა თესლზე ლაპარაკობს იესო და რას წარმოადგენს ნიადაგი? სინამდვილეში, იესო ამ ტერმინებს წინა, მთესველის იგავში განმარტავს. თესლი ღვთის სიტყვაა, ხოლო ნიადაგი – ადამიანის გული ან სული. ამ იგავისა და იესოს მიერ მოყვანილი ორი სიტყვის განმარტების თანახმად უფალი ამბობს, რომ კაცი ღვთის სიტყვას თავის გულში აბნევს. შემდეგ ნიადაგი ანუ გული იწყებს რწმენის წარმოშობას (ზეცასთან თანხმობას) მიწიერ სამყაროში.

სანამ გავაგრძელებდე, მნიშვნელოვანია, დაიხსომოთ, თუ რა არის რწმენის განმარტება: მამაკაცისა თუ ქალის გულში მტკიცე დარწმუნება ზეცის ნათქვამის მიმართ. განსახილველი მონაკვეთი ამბობს, რომ კაცმა არ იცის, როგორ მიმდინარეობს პროცესი გულში, მაგრამ ჩათესილი სიტყვა ზრდას იწყებს და თავად წარმოქმნის ზეცასთან თანხმობას. ეს ხდება მისი ძილისა თუ სიფხიზლის დროს. ამას მნიშშვნელობა არ აქვს. პროცესი გრძელდება. თუ ადამიანი ღვთის სიტყვას გულში ინახავს, მისი გული თანდათან ზეცის ნათქვამთან თანხმობაში მოდის და რწმენა წარმოიშობა.

მარკოზიდან მოყვანილი მონაკვეთი გვეუბნება, რომ ამ პროცესის გავლის შემდეგ გულში თანხმობა მოდის. იგავის თანახმად, გული ჯერ სიტყვას იღებს და რწმენის ფორმირება იწყება. იესო ამ ფაზას ჯეჯილს უწოდებს, რომელიც იზრდება და ბოლოს თავთავს გამოიღებს. თუმცა ამ გვიანდელ ეტაპზეც არ ჩანს ნაყოფები, არ არის შეთანხმება და არც რაიმე ცვლილება მიწიერ სამყაროში. შემდეგ იესო ამბობს, რომ პროცესი გრძელდება, თავთავი მწიფდება და მასში სავსე მარცვალი

ჩნდება. როცა ეს მომენტი დგება და თავთავში სავსე მარცვალია, მოდის შეთანხმება და რწმენა. ეს კი მამაკაცსა და ქალს მიწიერ სფეროში იმის მომკის საშუალებას აძლევს, რაც ზეცამ მათ გულში ჩათესა. ახლა ყურადღებით დაუკვირდით! ვნახოთ, რა მოხდა სინამდვილეში! ზეცამ ღვთის სიტყვა მიწიერ სამყაროში ჩათესა მამაკაცის ან ქალის გულში, სადაც თანხმობა უნდა წარმოიშვას. ამ მომენტისთვის ადამიანი ჯერ კიდევ არ ეთანხმება ზეცას, მაგრამ პროცესი დაწყებულია და საბოლოოდ, გულს თავისთავად მოიყვანს იმ სიტყვასთან თანხმობის მდგომარეობაში, რაც ჩაითესა. იესო ამ პროცესს თვალსაჩინო მაგალითით აჩვენებს. მიწათმოქმედი თესლს მიწაში ყრის და მცენარის ზრდის ფაზებთან შედარებით იესო წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ გამოიყურება რწმენა. ფიზიკურ სამყაროში, როცა თესლი თავთავში მომწიფდება, ზუსტად ისეთივე იქნება, როგორიც მიწაში ჩაყარეს. ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გავიმეორო.

როცა თავთავში არსებული თესლი სრულად მომწიფდება,ზუსტად ისეთივე იქნება, როგორიც მიწაში დათესილი თესლი.

დარგეთ სიმინდის მარცვალი და დამწიფებულ ტაროში ზუსტად ისეთივე მარცვლებს მიიღებთ, როგორიც დათესეთ. ისინი ერთნაირები არიან, ერთნაირად გამოიყურებიან და ერთნაირი გემო აქვთ. მათ შორის განსხვავებას ვერ დაინახავთ; ისინი იდენტურები არიან. ნება მომეცით, იესოს ნათქვამის პარაფრაზირება მოვახდინო. როცა სიტყვას ვისმენთ (რომ. 10:17), ამით ჩვენს სულიერ ადამიანში, გულში ღვთის სიტყვა ითესება. თუ ამ სიტყვას შევინახავთ, ის მომწიფდება და ამ ეტაპზე ჩვენს გულში (მიწიერ სამეფოში) არსებული სურათი ზეცის ნათქვამის შესაბამისი იქნება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ზეციურ აღთქმას საკუთარ გულში დათესავთ, ის დაუყოვნებლივ და თავისთავად წარმოქმნის ღვთის ნათქვამის ნდობას. საბოლოოდ, თქვენი გული სრულიად დარწმუნდება ზეციურ სიტყვაში და თანხმობაც მოვა. მაგალითად, თუ სნეულებით იტანჯებით, თქვენი სხეულის მდგომარეობა გეუბნებათ, რომ ავად ხართ. როცა დათესავთ ღვთის სიტყვას, რომელიც გეუბნებათ, რომ ღმერთმა იესოს ღვაწლის მეშვეობით გადაიხადა თქვენი განკურნების საფასური, თქვენი გული თანდათანობით რწმუნდება, რომ განკურნებული

ხართ. როცა იგივე სიტყვა მომწიფდება, განკურნებაში დაჯერებულობა თქვენს რწმენასა და ნათქვამში გამოვლინდება. ახლა ღვთის ნათქვამის უბრალო ციტირებას კი არ ახდენთ, არამედ მტკიცედ ხართ დარწმუნებული. როცა ამბობთ, „განკურნებული ვარ", ეს არ იქნება ცარიელი ფორმულა; ეს იქნება **თქვენი** რწმენის გამოვლინება და ფაქტობრივი ცოდნა. ახლა რეალობას ზეცის ნათქვამის თანახმად აღიქვამთ. სწორედ ამიტომ ამბობს ებრაელთა 11:1:

> *მტკიცედ დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ.*

როცა რწმენა არსებობს, სახეზეა ზეცის ნათქვამის ზებუნებრივი დაჯერებულობა, თუმცა ამ პროცესში კიდევ ერთი ნაბიჯია გადასადგმელი. ადამიანმა ნამგალი უნდა მოიქნიოს მოსავლის ასაღებად, რომ გულის მტკიცე დარწმუნება მისი რეალური არსებობის სამყაროში გამოვლინდეს.

> *რაჟამს მომწიფდება ნაყოფი, მაშინვე **წარგზავნის ნამგალს**, რადგან მოაწია მკამ.*

– მარკოზი 4:29

ყურადღება მიაქციეთ ერთ რამეს: მართალია გული ზეცასთან თანხმობაშია და ზეცის რეალობა მამაკაცისა და ქალისთვისაც რეალობად იქცა, ფიზიკურ სფეროში არანაირი ცვლილება არ მომხდარა. ვინაიდან ადამიანს ეკუთვნის დედამიწის იურისდიქცია, სწორედ მან უნდა გამოათავისუფლოს ეს ძალაუფლება მიწიერ სამყაროში. ღმერთს არ შეუძლია ამის გაკეთება ადამიანის გარეშე. ამას ნაცნობი წერილის მეშვეობით დაგანახებთ, რომელზეც ადრე ვისაუბრეთ.

> *ვინაიდან გულით სწამთ **სიმართლე**, ხოლო ბაგით **აღიარებენ** გადასარჩენად.*

– რომაელთა 10:10

ადამიანი გულით იჯერებს, წარმოქმნის რწმენას და მართლდება. გამართლება იურიდიული ტერმინია და კანონის აღსრულებას ნიშნავს. ამიტომ, როცა კაცის გული ზეცას უთანხმდება და მისი ნათქვამი მტკიცედ სჯერა, გამართლებას იღებს. ახლა ზეცისთვის კანონიერია მის ცხოვრებაში დინება, რაც ამქვეყნიურ სამეფოში ხდება. თუმცა მხოლოდ გამართლება არ ათავისუფლებს ღვთის ძალას. როგორც სახლში არსებული ელექტროენერგიის გამოყენება დამოკიდებულია ელექტროსადგურიდან დენის მიღებაზე, ასევე საჭიროა კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა – ჩამრთველის გატკაცუნება, რომ კვების წყაროდან დენი წამოვიდეს და შუქი აინთოს. რატომ? იმიტომ, რომ რომაელთა 10:10-ის თანახმად გამართლების შემდეგ კიდევ ერთი ნაბიჯია გადასადგმელი.

ზეცისა და მიწის წინაშე გამართლებულმა მამაკაცმა და ქალმა შეთანხმების მიხედვით უნდა აღიაროს ან იმოქმედოს, რომ მიწიერ სამყაროში ღვთის ძალა და ცხებულება გამოთავისუფლდეს. გთხოვთ, არაერთხელ გადაიკითხოთ ეს ადგილი, რომ სრულად გაიაზროთ ჩემი ნათქვამი. აი, როგორ მუშაობს ეს! ასე მოიპოვებს ზეცა კანონიერი ქმედების უფლებას მიწიერ სამეფოში – გული გახლავთ ზეცის ზემოქმედების ადგილი დედამიწაზე, ხოლო ჩვენი სიტყვა და მოქმედება ჩამრთველია, რომელიც ზეცის ძალას გამოათავისუფლებს. გთხოვთ, ყურადღებით დააკვირდეთ მუხლის მეორე ნაწილს: სწორედ ჩვენ უნდა გამოვათავისუფლოთ ზეცის ძალაუფლება დედამიწაზე.

ზეციური კონცეფცია, რომელიც მამაკაცსა და ქალს ელოდება, რომ პირველ რიგში, უზრუნველყოს კანონიერი საფუძველი და მეორე, იურისდიქცია მიწიერ სამყაროში, კარგად ჩანს იესოს სწავლებიდან მათ. 16:19-სა და მათ. 18:18-ში.

> *მოგცემ ცათა სამეფოს გასაღებს და, რასაც შეკრავ დედამიწაზე, შეკრული იქნება ზეცაშიც, ხოლო რასაც გახსნი დედამიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც.*
>
> – მათე 16:19

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც დედამიწაზე შეკრავთ, ზეცაშიც შეკრული იქნება. ხოლო რასაც გახსნით დედამიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც.

– მათე 18:18

მათ. 16:19-ში იესო ამბობს, რომ ეკლესიას ცათა სამეფოს გასაღებს (ძალაუფლებას) მისცემს დედამიწაზე. ის ამბობს, რომ ზეცა მხარს დაუჭერს დედამიწაზე ნებისმიერი საკითხის შეკვრის და გახსნის გადაწყვეტილებას. ისევ დაფიქრდით პოლიციის ოფიცერზე. მას აქვს ძალაუფლება, მაგრამ მთავრობას აქვს ძალა. პოლიციის ჩინოვნიკს აქვს გასაღები ანუ მთავრობის ძალაუფლება, ვინაიდან ფიცი დადო, რომ ყოფილიყო ხელისუფლების უფლებამოსილი პირი. მის ნათქვამს მხარს უჭერს მთავრობა. გახსოვდეთ, რომ მხოლოდ მამაკაცსა და ქალს აქვთ კანონიერი იურისდიქცია აქ და შესაბამისად, მხოლოდ მათ შეუძლიათ ზეცას მისცენ კანონიერი ჩარევის უფლება.

ასე მოიპოვებს ზეცა კანონიერი ქმედების უფლებას მიწიერ სამეფოში _ გული გახლავთ ზეცის ზემოქმედების ადგილი დედამიწაზე, ხოლო ჩვენი სიტყვა და მოქმედება ჩამრთველია, რომელიც ზეცის ძალას გამოათავისუფლებს.

კიდევ არსებობს ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც რწმენის შესახებ უნდა იცოდეთ. ნება მომეცით, ერთი წუთით გავიხსენო მარკოზის მე-4 თავი.

*რადგან **<u>მიწას თვითონ გამოაქვს ნაყოფი</u>**: ჯერ ჯეჯილი, შემდეგ თავთავი, მერე კი სავსე მარცვალი თავთავში.*

– მარკოზი 4:28

გახსოვდეთ, რომ იესომ ხსენებულ იგავში ნიადაგის რაობა განმარტა და ეს გახლავთ ადამიანის გული ანუ სული, როგორც ადრე აღვნიშნეთ. ყურადღება მიაქციეთ, სად წარმოიშობა

რწმენა. ეს გასაკვირია? რწმენა არ არის ზეცის პროდუქტი, როგორც ბევრი ადამიანი ფიქრობს. ის აქ, დედამიწაზე იქმნება და ჩვენი გულის ნაყოფია. არ შეგიძლიათ რწმენისთვის ილოცოთ ან ღვთისგან გამოითხოვოთ. ზეცას რწმენა არ სჭირდება. ზეცაში შეთანხმება არ დაგვჭირდება. არა, ეს მხოლოდ აქ, დედამიწაზეა საჭირო და მხოლოდ დედამიწაზე მცხოვრები მამაკაცებისა და ქალების გულში წარმოიშობა. როგორც მარკოზის მე-4 თავის იგავი გვასწავლის, მისი მიღების მხოლოდ ერთი გზა არსებობს – სიტყვა გულში უნდა ჩავიმარხოთ და ადგილი მივცეთ შეთანხმების პროცესს. მაშ ასე, რა უნდა გავაკეთო, თუ რწმენა მჭირდება? ღვთის სიტყვა ჩემს გულში უნდა მიმოვფანტო და იქამდე ვზარდო, სანამ რწმენა არ გაჩნდება. ეს ერთადერთი გზა გახლავთ. სანამ მარკოზის მე-4 თავის განხილვას მოვრჩებოდეთ, მინდა, კიდევ ერთხელ ვისაუბრო აქ ნახსენებ ნამგალზე.

> *რაჟამს მომწიფდება ნაყოფი, მაშინვე წარგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ.*
>
> – მარკოზი 4:29

ვფიქრობ, საეკლესიო სამყაროს დიდმა ნაწილმა არ იცის ნამგლის გამოყენება ანუ მორწმუნეებს არ ასწავლეს საჭირო მოსავლის აღება. ზოგადად, ეკლესია გაწვრთნეს გაღებაში, მაგრამ ხალხმა არ იცის, როგორ დაამუშაოს მიწა და მიიღოს მოსავალი. იესო ამ მუხლში კონკრეტულად აღნიშნავს, რომ რწმენის მოსავლის ასაღებად ნამგალი უნდა მოვიქნიოთ. რწმენის მარცვლის გამოღების დიდებული სამუშაოც რომ ჩავატაროთ, მოსავალი არ გვექნება, თუ ნამგალი არ მოვიქნიეთ. გულწრფელად რომ გითხრათ, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, სანამ უფალმა არ მასწავლა, როგორ მოქმედებს ცათა სამეფო. ნება მომეცით, რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო, თუ როგორ გამოიყურება ეს.

ატლანტის ერთ-ერთ ეკლესიაში ქადაგებისთვის მიმიწვიეს. ოთხშაბათ საღამოს მსახურება გახლდათ. დიდი ეკლესია არ იყო, მაგრამ მე კმაყოფილი ვიყავი. ძალიან მიყვარდა ხალხისთვის სამეფოს შესახებ სწავლება. როცა ეკლესიაში მივედი, უცნაურად მომეჩვენა, რომ კარები დაკეტილი იყო და სულიერი

არ ჭაჭანებდა. მსახურების დაწყებას სულ რაღაც ათი წუთი აკლდა. ზურგსუკან სატვირთო მანქანის გრუხუნი შემომესმა; ისე ჩანდა, რომ მაყუჩი საერთოდ არ ჰქონდა. როცა გავიხედე, ძველი, კარგად ნახმარი და დანგრეული პიკაპი მოვლანდე, რომელიც ეკლესიის უკან ხეივანში მოიზლაზნებოდა. მსგავსი არაფერი მენახა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ შუა ატლანტაში ვიყავით. სანამ ველოდებოდი, შენობის უკანა მხრიდან მამაკაცი გამოვიდოდა და საკუთარი თავი ეკლესიის პასტორად წარმომიდგინა. მან დაგვიანებისთვის ბოდიში მომიხადა. თურმე ძველი მანქანა არ დაიქოქა. მას ბორცვიდან დაშვება მოუხდა. ცოტა სიჩქარე რომ აკრიფა, გადაბმულობის ქურო მიაშველა, რადგან სტარტერი არ ამუშავდა. მან მითხრა რომ ბევრჯერ მანქანას ვერც ასე ამუშავებს და ეკლესიამდე ხუთი მილის გავლა ფეხით უწევს.

მან ეკლესიაზე საუბარი დაიწყო და ამიხსნა, რომ პასტორობის მიუხედავად, ეკლესიის მთავარი ფუნქცია ქალაქის მოსახლეობის გამოკვება გახლდათ. მხოლოდ ამ ერთი პუნქტიდან თვეში 10,000 ულუფა გადიოდა.

პასტორის საუბრისას თანდათან გავლიზიანდი. ჩემს წინაშე იყო ღვთის კაცი, რომელიც თვეში 10,000 ადამიანს კვებავს და ერთი წესიერი მანქანაც კი არ ჰყავს? მის მიერ გამოკვებილ ადამიანთა უმრავლესობას ღმერთზე წარმოდგენას, შესაძლოა, ეს ერთადერთი კაცი უქმნიდა. მათ რომ დაენახათ, როგორ გადის ქვეითად ეკლესიამდე დარჩენილ ხუთ მილს 38-გრადუსიან სიცხეში, რა რწმენა ექნებოდათ, რომ ღმერთს მათი დახმარება შეუძლია? ამის მოგვარება შემეძლო. სახლში საკმაოდ ახალი მანქანა მყავდა 20 000 მილის გარბენით, რომლის ჩუქებასაც ვფიქრობდი. პასტორს ჩემი გეგმა გავაცანი და ვუთხარი, რომ ერთ-ერთ თანამშრომელს მანქანით გამოვგზავნიდი ატლანტაში. რასაკვირველია, ის აღფრთოვანებული დარჩა. ის საღამო მისთვის და პატარა ეკლესიისთვის ღვთის სამეფოს შესახებ სწავლებაში გავატარე – თუ როგორ ფუნქციონირებდა ის ფინანსების საკითხში.

როცა სახლში დავბრუნდი, განკარგულება გავეცი, რომ მანქანა ატლანტაში წაეყვანათ. როცა ჩემი თანამშრომელი მანქანის წასაყვანად მოვიდა, ვიცოდი, რომ ზეცაში სულიერ გადარიცხვას ვასრულებდი. ვიცოდი, რომ ღვთის სამეფოსთვის

მანქანის გაშვებით ღმერთს ვენდობოდი, რომ ახალ მანქანას მივიღებდი, ვინაიდან მეც მჭირდებოდა. ავტომობილების დიდი მოყვარული არ ვარ. ზოგიერთები არიან, ოღონდ მე არა. ავტომობილი ჩემთვის ერთ-ერთი სამუშაო იარაღია. რა თქმა უნდა, მომწონს კარგი მანქანა, მაგრამ მას იქამდე ვატარებ, სანამ ნამდვილად შესაცვლელი არ გახდება.

როცა თანამშრომელი მის წასაყვანად მოვიდა, გარაჟში ჩავედი, მანქანას ხელები დავასხი და ვთქვი: „ზეციერო მამა, ამ მანქანას შენი მსახურებისთვის. ვათავისუფლებ და ვიცი, რომ სამაგიეროდ მივიღებ ...“. შევყოყმანდი. ვიცოდი, რა მნიშვნელოვანი იყო ცათა სამეფოში სათხოვრის დაკონკრეტება. უბრალოდ, სიტყვა „მანქანის“ თქმა არ გამოვიდოდა. კონკრეტულად უნდა დამესახელებინა და ამისთვის საჭირო იყო, მე და დრენდა მის მახასიათებლებზე შევთანხმებულიყავით. შუა წინადადებაზე გავჩერდი, რადგან ვერ მოვიფიქრე, რომელი მანქანა მინდოდა. ამრიგად, ისევ თავიდან დავიწყე: „უფალო, დღეს ამ ავტომობილს შენი მსახურებისთვის ვათავისუფლებ და დარწმუნებული ვარ, რომ დათესილით ნამდვილად კარგ მანქანას მივიღებ. მოდელსა და ტიპზე მაშინ დაგელაპარაკები, როცა კარგად მოვიფიქრებ.“ სულ ეს იყო; მანქანა გავუშვი. მაშინ მართლაც არ მაფიქრდებოდა, რა მანქანა მერჩივნა; ვერც ერთზე ვამბობდი: „დიახ, სწორედ ეს ავტომობილი მინდა.“

რამდენიმე თვე გავიდა. რასაკვირველია, დრენდა მეთანხმებოდა მანქანის გაცემაში და ჩემსავით, მასაც ვერ მოეფიქრებინა, რა ერჩივნა. მომდევნო ორი თვის განმავლობაში ავტომობილებს განვიხილავდით და ერთ დღეს მან თქვა: „იცი, ვფიქრობ ძალიან გამიხარდებოდა კაბრიოლეტის ქონა.“ ვუთხარი, რომ ამაში დავეთანხმებოდი და სახალისოდაც კი მეჩვენებოდა, თუმცა როგორი კაბრიოლეტი გვინდოდა? ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რანაირი უნდა ყოფილიყო.

ერთ დღეს, როცა ავტომობილით გამოვედით სასადილოდ, ჩემმა ცოლმა მოულოდნელად დაიძახა:

– ის არის!

– რა ხდება? — ვიკითხე მე.

– ის არის! – მიპასუხა მან და რესტორნის პარკინგის გასწვრივ მიმითითა, სადაც, ის-ის იყო, შევედით.

– რა ხდება? – ვკითხე დრენდას.

– აი, ის მანქანა მინდა!

პარკინგის მოედნის იქეთ ელეგანტური კაბრიოლეტი დავინახე.

– მოდი, ვნახოთ, რანაირია! – ვთქვი მე.

ავტომობილს მივუახლოვდით და მის უკან გავაჩერეთ. გასაკვირი არ იყო, რომ ძალიან მოგვეწონა. ეს გახლდათ BMW 645 Ci – კარგი და ამასთან ერთად, ძვირიანი მანქანა. მართალი გითხრათ, ეს ავტომობილი რომ დავინახე, ჩემთვის გავიფიქრე: „კარგი, უფალო! გვითხარი, რა ვქნათ!“ დარწმუნებული ვიყავი, რომ ახალ BMW-ში 115 000 დოლარის გადამხდელი არ ვიყავი, თუმცა ისიც ვიცოდი, რომ უფალს საოცრებების გაკეთება შეეძლო. მე და დრენდას არავისთვის გვითქვამს ნანახი მანქანის შესახებ და არავისთან გვიხსენებია, რომ ავტომობილის შეძენა გვსურდა.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ დრენდას ძმამ დაგვირეკა და გვითხრა:

– დრენდას მანქანა ვიპოვე!

– რას ნიშნავს, მანქანა იპოვე? – ვკითხე მე.

მან ასე მითხრა:

– გასაყიდი მანქანა ვნახე და მოულოდნელად გამიჩნდა გრძნობა, რომ ის დრენდასი უნდა ყოფილიყო; ეს აუცილებლად უნდა მეთქვა თქვენთვის.

– რა მანქანაა? – ვკითხე მე.

– 645 Ci BMW და იდეალურად გამოიყურება. ნამდვილად იდეალურია! რამდენიმე წლისაა და გარბენი დიდი არ აქვს. ნაკაწრებიც არ შემინიშნავს. გარდა ამისა, მის მფლობელსაც იცნობთ.

– მართლა? — ვკითხე მე.

– დიახ. მითხრა, რომ ამის თაობაზე უნდა დაურეკოთ.

როცა დრენდას ძმამ ავტომობილის ტიპი და მოდელი მითხრა და ზუსტად ის მანქანა აღმოჩნდა, რომელიც მე და დრენდას რამდენიმე კვირის წინ მოგვეწონა, მივხვდი, რომ ღმერთს რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული.

მეპატრონეს დავურეკე. მართლაც ჩემი ნაცნობი გამოდგა და ცოტაოდენი მანქანის თაობაზე ვისაუბრეთ. მან ავტომობილის მდგომარეობა აღმიწერა. შემდეგ ასეთი სიტყვები მითხრა:

– იცით, მთელი ამ დროის მანძილზე, რაც ტელეფონით ვლაპარაკობთ, არ მშორდება გრძნობა, რომ ეს დრენდას მანქანაა.

მისთვის არც კი მითქვამს, რომ დრენდასთვის მანქანას ვეძებდი.

მამაკაცმა საუბარი განაგრძო და მითხრა:

– გეტყვით, რის გაკეთებას ვაპირებ. 28,000 დოლარად გავყიდი.

ყურებს არ დავუჯერე.

ეს ავტომობილი გაცილებით ძვირი ღირდა.

როცა დრენდას ყველაფერი ვუამბე, აღტაცებული დარჩა. იმ მანქანისთვის ნაღდი ფული გადავიხადეთ და ახლაც გვყავს. მშვენივრად მუშაობს და ასევე გამოიყურება. ნაკაწრები დღემდე არ აქვს. ბევრი ვატარეთ თავგადახდილი, როცა ხმამაღალი სტერეო მუსიკით და მზის სხივებით ვტკბებოდით დამღლელ დღეებში.

ჩვენი საყვარელი მგზავრობა გახლდათ ამ საოცარი კაბრიოლეტით კოლორადოს მთებში სიარული, როცა საბარგულში საბანაკო მოწყობილობა გველაგა. ჩვენი ქალიშვილი კირსტენი თან გვახლდა. მახსოვს, ღამით როგორ მივქროდით თავგადახდილი კაბრიოლეტით კანზასის გავლით I-70 შარაგზაზე. კირსტენს უკანა სავარძელში ეძინა, სანამ ჩვენ მივდიოდით. თავს ზემოთ ვარსკვლავები კაშკაშებდა, ხოლო გზა ცარიელი იყო; მარტო ერთ-ორი სატვირთო თუ ჩაგვიქროლებდა. ეს ერთ-ერთი იყო იმ იდეალური ღამეებიდან, როცა ღამის ჰაერი სწორ კონდიციას ინარჩუნებდა და ქვეყანაზე ცხოვრება მშვენიერი გახლდათ. მომდევნო ორ კვირაში კლდოვანი მთები გავიარეთ და დავრწმუნდი, რა მშვენივრად აუდიოდა ჩვენი მანქანა ამ გზას. ამის აღსაწერად მხოლოდ ერთი სიტყვა არსებობს – გასაოცრად! აქ ისმის მილიონი დოლარად ღირებული კითხვა. როგორ აღმოჩნდა მანქანა ჩვენს ხელში? რატომ თქვა დრენდამ სწორედ ამ ავტომობილზე: „ეს არის?“ ვიცი, რომ ის ცათა სამეფომ შემოიყვანა ჩვენს ცხოვრებაში. ვიცოდი, რომ პასტორთან მანქანის დათესვით სულიერი კანონი ავამოქმედე. მახსოვს, როგორ ვთქვი, რომ მანქანას ველოდებოდი და არა ყველგანმავალს, არა ჯიპს, არამედ ჩვეულებრივ ავტომობილს. მახსოვს, რომ კარგი მანქანა ვითხოვე. და მაინც, საჭირო იყო,

რომ მე და დრენდას ნამგალი მოგვექნია. ის ჩვენს ცხოვრებაში მანამ არ გამოჩნდებოდა, სანამ არ ვიტყოდით: „ეს არის!“ მიუხედავად იმისა, რომ მანქანის გამოთავისუფლებისას მწამდა, ნამგალი არ მოგვიქნევია, სანამ დრენდამ არ თქვა: „ეს არის!“

ეს პრინციპი უფრო მეტად გამოკვეთა კიდევ ერთმა შემთხვევამ. როგორც გითხარით, ნადირობა მიყვარს. მე ძალიან კარგი სანადირო ადგილების მქონე ქვეყანაში ვცხოვრობ და კურთხეული ვარ საკუთარი მიწის ფლობით, რომელიც ნადირობისთვის გამოსადეგია. 55 აკრის ფართობიდან 20 აკრი ფოთლოვან ტყეს უჭირავს და 10-12 აკრი – წყალმარჩხ ადგილებს. ყოველ წელს დიდი წარმატებით ვნადირობ ირმებსა და ციყვებზე. ირგვლივ ყოველთვის დაფრინავენ იხვები და ბატები, მაგრამ მათზე ნადირობა დიდად არ მხიბლავდა. მთელი ამ წლების მანძილზე ბიჭებთან ერთად მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ მოვინადირე ბატი ვახშმისთვის. იხვებზე ისე არასოდეს გვინადირია, როგორც წესი და რიგია.

რამდენიმე წლის წინ დავაკვირდი, როგორ გადაიფრინა ჭაობზე ათეულობით იხვმა და გავიფიქრე, რომ მათზე ნადირობა ღირდა. ოჰ, ეს მართლაც საოცარი იყო! ანკესზე წამოვეგე. იხვებზე ნადირობის იმ საშემოდგომო სეზონზე გავიგე, რომ ამას სერიოზული პრაქტიკა სჭირდებოდა. რამდენიმეს ჩამოგდება მოვახერხე და აღმოვაჩინე, რომ საჭმელად გემრიელი იყო. შევნიშნე, რომ იხვები მეტწილად სასროლ მანძილს იქეთ ან მის განაპირას ფრინავდნენ. კურდღლებზე თუ ირმებზე სანადიროდ ჩემს გლუვლულიან რემინგტონის 11-87 მოდელის უნივერსალურ თოფს ვიყენებდი. არასწორად არ გამიგოთ. ეს კარგი იარაღია და ძალიან მიყვარს. თუმცა გავიგე, რომ ახალი მოდელის თოფები გამოჩნდა, რომლებიც სწორედ იხვებზე ნადირობისთვის იყო გამოსადეგი. კამუფლაჟირებული იარაღი სპეციალურად იყო გამოჭედილი 3.5 დიუიმის ტყვიის, სახელად მაგნუმისთვის, რომელიც გრძელ მანძილზე სროლას შესანიშნავად აუდიოდა. იხვებზე ნადირობის მომდევნო სეზონის დაწყებამდე მისი გამოცდა გადავწყვიტე.

იხვებზე ნადირობის სეზონი ჯერ კიდევ იანვარში დასრულდა და კაბელას მაღაზიაში შევიარე, რომ თოფების განყოფილებაში ის ახალი იარაღი დამეთვალიერებინა. იხვებზე სანადირო თოფის მთელი სექცია ჰქონიათ. რამდენიმე მათგანს

დავაკვირდი და ერთი მომეწონა, თუმცა 2000 დოლარი ღირდა. იხვების სეზონის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე თვე რჩებოდა. ჩემთვის ვიფიქრე, რომ *დაველოდებოდი*. წამოსვლისას რაღაც უცნაური მოვიმოქმედე. ვერც გავაცნობიერე, რას ვაკეთებდი. დაუფიქრებლად გავიშვირე ხელი სასურველი თოფისკენ და წარმოვთქვი: „ეს თოფი მექნება იესოს სახელით!“ კიდევ ვიმეორებ, რომ ამაზე ბევრი არ მიფიქრია; უბრალოდ, გამოვაცხადე, რომ ის თოფი მექნებოდა. გულში იხვებზე სანადირო თოფის მკაფიო სურათი წარმომიდგა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ბიზნეს-კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისთვის მომიწვიეს. იქ რაღაც მოხდა, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო. სიტყვის დასრულების შემდეგ კომპანიის მფლობელი მომიახლოვდა და მითხრა, რომ საჩუქრის გადმოცემა სურდათ პატივისცემის ნიშნად. მან თქვა: „ვიცოდით, რომ ნადირობა გიყვართ, ამიტომ ეს თოფი გიყიდეთ.“ გაოგნებული დავრჩი, როცა სრულიად ახალი, ბენელის მარკის ნახევრადავტომატური იხვებზე სანადირო თოფი გადმომცეს – ზუსტად ის, რომელიც მაღაზიაში ვნახე და რომლისკენაც თითი გავიშვირე! ხედავთ? როგორ გამოჩნდა ზუსტად ისეთი იარაღი? წლების მანძილზე ათობით თოფი გამიჩუქებია, მაგრამ ნამგალი არასოდეს მომიქნევია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თოფები რწმენით და ხელგაშლილობით დავთესე, მაგრამ ნამგალი არ გამომიყენებია. არასოდეს მითქვამს: „უფალო, ეს არის ის! სწორედ ის მინდა!“ როგორც კი ეს სიტყვები წარმოვთქვი, მოსავალიც გამოჩნდა.

თოფის ამბავი ერთ მეგობარ თანამსახურს გავუზიარე. მან მითხრა:

– დიახ, ვფიქრობ, ღმერთი ზოგჯერ ასეთ რამეს აკეთებს. მან განსაკუთრებული პატარა საჩუქრით გაკურთხა, რომ ეთქვა, როგორ უყვარხარ.

როცა მის ნათქვამზე დავფიქრდი, მივხვდი: „არა, ეს არასწორია. დიახ, ღმერთს ვუყვარვარ, მაგრამ მას მხოლოდ ჩემი გაკვირვება არ ჰქონდა გადაწყვეტილი იმ საჩუქრის მეშვეობით.“ ავტომობილი და თოფი იმიტომ არ გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში, რომ ღმერთს სიყვარულის დამტკიცება სურდა. ეს მან მაშინ გააკეთა, როცა იესო გამოგზავნა და თავისი სასუფეველი მომცა!

...ღმერთს სიყვარულის დამტკიცება სურდა. ეს მან მაშინ გააკეთა, როცა იესო გამოგზავნა და თავისი სასუფეველი მოიცა!

წლების მანძილზე ვამბობდი, რომ ეკლესიამ საკმაოდ დიდი საქმე გააკეთა გაღების სწავლებით, მაგრამ ადამიანები საერთოდ არ გაარკვია მოსავლის აღების საკითხში. მაშ, ახლა შეგიძლიათ ზემომოყვანილი ისტორიებიდან თქვათ, თუ რაში მდგომარეობს ნამგლის მოქნევა? ვიმედოვნებ, რომ ეს უკვე ცხადია! ნამგალი ჩვენი სიტყვებია!

სიკვდილ-სიცოცხლე ენის ხელშია და მისი მოყვარულნი შეჭამენ მის ნაყოფს.

– იგავები 18:21

იყო დრო, როცა ეკლესია ბევრს ლაპარაკობდა სიტყვის აღიარებაზე. მომისმენია ადამიანებისთვის და ალბათ, თქვენც გაგიგიათ, რომ წარმოთქვამენ სიტყვას, შემდეგ ჩუმად არიან და ამბობენ: „ჩემს აღიარებას უნდა გავუფრთხილდე!“ თითქოს კეთილშობილურად ჟღერს და ვეთანხმები, რომ სიტყვა გულში უნდა შეინახოთ. მაგრამ აღიარების გაფრთხილებას საერთო არაფერი აქვს ნამგლის მოქნევასთან. „რა? ახლახანს არ თქვი, რომ ნამგლის მოქნევა ჩვენი სიტყვებია?“ დიახ, ასეა, მაგრამ სწორი სიტყვების შემცველი ფორმულის წარმოთქმაში დახელოვნება თავისთავად გაღების სწავლების გასაღები როდია.

ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ ვინც ამ მთას ეტყვის, აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, გულში კი არ შეეჭვდება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, ექნება მას.

– მარკოზი 11:23

ისევ ვიმეორებ, რომ მარკ. მე-4 თავის ნამგალი თქვენი სიტყვებია! იმ დროისთვის, როცა მარკ. მე-4 თავში ნამგალს

ახსენებენ, უკვე აღწერილია რწმენის პროცესი და მისი მიღების გზა. მასში ნათქვამია, რომ ნაყოფის მომწიფებისთანავე ნამგალია გამოსაყენებელი, რადგან მკის ჟამი დადგა. მოსავალი იმიტომ მოიწიეთ, რომ რწმენაში იდექით და ზეცას გულში ეთანხმებოდით. ზემოხსენებული მუხლი მარკ. 11-დან იგივე პრინციპს ადასტურებს. თქვენს გულს ღვთის სიტყვის სწამს, როცა აღიარებთ და ზეცის ძალაუფლებას ათავისუფლებთ. ყურადღება მიაქციეთ ფრაზას, „ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, ექნება მას.“ რწმენის გამოცდა იმაში მდგომარეობს, რომ თქვენი ნათქვამის გჯეროდეთ. უბრალო ლაპარაკი და ღვთის სიტყვის აღიარება თავისთავად, რწმენა როდია. თუ თქვენი გული ზეცას არ ეთანხმება, შეგიძლიათ, გალურჯებამდე აღიაროთ, მაგრამ არაფერი მოხდება. მაშ, რა უნდა აკონტროლოთ, თქვენი აღიარება თუ გული?

> *კეთილ კაცს თავისი გულის კეთილი საუნჯიდან სიკეთე გამოაქვს, ბოროტ კაცს კი თავისი გულის ბოროტი საუნჯიდან ბოროტება გამოაქვს; რადგან გულის სისავსიდან მეტყველებს მისი პირი.*
>
> – ლუკ. 6:45

> *ყველაფერზე მეტად დაიცავი შენი გული, რადგან მისგან მოედინებიან სიცოცხლის წყაროები. მოიცილე მზაკვრობა ბაგიდან და უკუღმართი საუბარი განიშორე.*
>
> – იგავები 4:23-24

ნათლად ვხედავთ, რომ ჩვენი ნათქვამი გულიდან და ჩვენი რწმენიდან მომდინარეობს. მარკ. 4-ში აღწერილ პროცესს თუ გავყვებით, მივხვდებით, როგორ შევცვალოთ გულში არსებული შეხედულებები და ზეცასა და რწმენასთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ. ამის შემდეგ, როცა რწმენის სისრულეში დაჯერებული ვიქნებით, ნამგალს მოვიქნევთ სიტყვებით და მოქმედებით. მიხვდით? დიდებულია! ახლა კი წინ წავიდეთ.

როცა რწმენაზე მსჯელობას გავაგრძელებთ, ერთი კითხვა მინდა წამოვწიო, რომელსაც პასუხი უნდა გასცეთ.

როგორ გავიგო, რომ ნამდვილ რწმენაში ვარ?

ეს მნიშვნელოვანი კითხვაა და მას პასუხი **უნდა** გასცეთ, რადგან შეუძლებელია რწმენის ლოცვით ილოცოთ, თუ ჯერ რწმენაში არ დგახართ. ბევრი გზა არსებობს იმის გასარკვევად, დგახართ თუ არა რწმენაში. ამის ბევრი სიმპტომი ჩნდება და უნდა მოძებნოთ. თუ რწმენაში არ ხართ, უამრავ, შიშით ამოძრავებულ გადაწყვეტილებას მიიღებთ. შიშზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები ყოველთვის დედამიწის წყევლის სიტემაში მოგაქცევთ და დაკარგავთ ყველაფერს, რაც ღმერთს თქვენთვის სურს.

ამრიგად, რა არის რწმენაში ყოფნის ნიშანი? პირველი ადვილი დასანახია; გადახედეთ რწმენის განმარტებას და გააცნობიერეთ, რომ გულში სრული დაჯერების არსებობა ნამდვილი გასაღებია. ხშირ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ სრულად დარწმუნებული ვართ, მაგრამ ღვთის სიტყვას მხოლოდ გონებით ვეთანხმებით და არა გულით. აუცილებლად დაგჭირდებათ ამ ორ მდგომარეობას შორის განსხვავების დანახვა. სრულად დარწმუნების დროსაც უნდა გქონდეთ ღვთის სიტყვისადმი გონების თანხმობა, მაგრამ გულში დაჯერებულობას სიმშვიდე და მოლოდინი მოაქვს.

რწმენა არის მტკიცედ დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ.

– ებრაელთა 11:1

თუ გაქვთ დაჯერება, რომ რაღაცას ფლობთ, ნუთუ აუცილებელია ხელახლა დარწმუნება, რომ ის ნამდვილად თქვენია? რასაკვირველია, არა! ისევ ვიტყვი, რომ რწმენაში ყოფნისას გაქვთ ცოდნა, მშვიდობა და გაბედულება, რომ ფლობთ იმას, რასაც ღვთის სიტყვა გეუბნებათ, თუმცა რეალურ სამყაროში, შესაძლოა, ჯერ არ ჩანდეს. ბევრი ადამიანი ამ გაცნობიერებას შემდეგნაირად გამოხატავს: „ვიცოდი, ვიცოდი, ნამდვილად ვიცოდი, რომ ეს მქონდა“. ეს ცოდნა შიგნიდან მოდის და გარემოებების კარნახი აქ არაფერ შუაშია. იგი

ღრმად არის შინაგან კაცში ანუ თქვენს გულში. შიში გაქრა და შემაწუხებელი აზრები აღარ ბომბავს თქვენს გონებას; იცით, რომ ეს უკვე მომხდარია.

რწმენაში ყოფნის კიდევ ერთი ასპექტი სიხარული და მოლოდინის გრძნობა გახლავთ. თქვენი პასუხი ადგილზეა. უკვე გაქვთ! რწმენა უფრო მეტია, ვიდრე სიმშვიდის გრძნობა ან დაჯერებულობა, თუმცა ესენიც გექნებათ. ასევე უნდა შეგეძლოთ თქვენი პოზიციის სულიერად დაცვა. როცა ამას ვამბობ, წარმოიდგინეთ სასამართლო დარბაზში დგომა, როცა ადვოკატი ჯვარედინ დაკითხვას გიწყობთ. რატომ გწამთ ის, რაც გწამთ თქვენს ვითარებასთან დაკავშირებით? როგორ დაიცავთ თქვენს პოზიციას? აქ მხოლოდ ერთი პასუხია – ღვთის სიტყვა.

მაგალითად, ვიღაც რომ მოვიდეს თქვენს სახლში და გითხრათ: „ეი, შენ, წადი ჩემი სახლიდან!“, ასე ეტყოდით: „ოჰ, მაპატიეთ, ერთი დღე გვადროვეთ და აუცილებლად წავალთ“? არა, ასე არ მოიქცეოდით; ალბათ, გულიანად გაიცინებდით. მომხდურს რომ დაეჟინა: „არა, ეს ჩემი სახლია და აქედან აიბარგეთ, თორემ ერთმანეთს სასამართლოში შევხვდებით!“ თქვენი პასუხი ასეთი იქნებოდა: „სიხარულით შეგხვდებით სასამართლოში!“ მოსმენისას მშვიდად აჩვენებდით მოსამართლეს თქვენს მოქმედებას. ის ყურადღებით შეგხედავდათ და მეორე პირს შემაწუხებელი ქმედებისთვის დააპატიმრებდა მთელი სასამართლო ხარჯების დაკისრებასთან ერთად. თქვენი დაჯერებულობა შეგრძნებებსა და ემოციებს კი არ დაეყრდნობოდა, არამედ კანონს და ფაქტს, რომ სახლის კანონიერი მფლობელი ხართ.

რწმენა არის მტკიცედ დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ.
_ ებრაელთა 11:1

როცა საქმე რწმენაში ყოფნაზე მიდგება, ერთი რამ აღმოვაჩინე: ბევრი ადამიანი, რომელსაც ვერ გაუგია, რა არის რწმენა, ადვილად ურევს მას მოქმედებებში ნაცვლად იმისა, რომ რწმენის ერთადერთ წყაროს, ღვთის სიტყვას დაეყრდნოს. ადვილია მოქმედების ან სამოქმედო ფორმულის ღვთის სიტყვაში არევა, რომელსაც ცათა სამეფოს რეალური ძალა გააჩნია და მტკიცედ დაჯერებული გულიდან მომდინარეობს. მაგალითად, თუ ცათა სამეფოში თანხა დათესეთ და ჩაგეძიებით, თუ რატომ გწამთ გაცემულის

საფუძველზე მიღებისა, თქვენი პასუხი ასეთი არ უნდა იყოს: „იმიტომ, რომ ამა და ამ დღეს გარკვეული თანხა გავიღე.“ ასეთი აღიარება მხოლოდ მოქმედებას, ფორმულას ეფუძნება და დაჯერებულობის ღუზა არ გააჩნია. რწმენა მხოლოდ ღვთის სიტყვიდან უნდა მოდიოდეს.

შეუძლებელია იმ ადამიანთა რაოდენობის დასახელება, რომლებთანაც მილოცია და მიკითხავს, თუ რატომ სწამთ, ისინი კი უსიტყვოდ მომჩერებოდნენ. როცა ვეკითხები, მათ რწმენას, ღმერთთან მათ თანხმობას ვეძებ. მინდა გავიგონო, როგორ ამბობენ: „ვიცი, რომ მივიღებ, რადგან ღმერთმა ბიბლიის ამა და ამ წიგნის ამა და ამ მუხლის თანხმად აღთქმა მოგვცა და ეს მე მეკუთვნის“. უმეტეს შემთხვევაში, მათ არ შეუძლიათ წერილის კონკრეტული ადგილის მოყვანა. ისინი არ არიან სიტყვას ჩაჭიდებული და იოტისოდენა წარმოდგენაც არ აქვთ, საით მიდის მათი გემი.

გახსოვდეთ, რომ რწმენა მაშინ წარმოიქმნება, როცა ღვთის ნება იცით. რატომ? იმიტომ, რომ რწმენა მხოლოდ მაშინ იარსებებს, როცა თქვენი გული ღვთის ნებას დაეთანხმება. ვთვლი, რომ ბევრ ადამიანს ჰგონია, თითქოს რწმენაში დგას, სინამდვილეში კი არ არიან. კიდევ ვიმეორებ, რომ მათი გონება ეთანხმება ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებას და სიკეთეს, მაგრამ რწმენა გულის სრული დაჯერებისას წარმოიშობა. ბევრი ადამიანის შემთხვევაში, მათი გონება ღვთის სიტყვას ეთანხმება, მაგრამ გულში ფორიაქი აქვთ.

აი, ჩემი ნათქვამის კარგი თვალსაჩინოება! ჩემი აზრით, ის გამოკვეთს, რომ ბევრნი არ არიან რწმენაში, თუმცა ფიქრობენ, რომ არიან. რა მოხდება, თუ გეტყვით, რომ ჩემი ამასწინანდელი აღმოჩენის თანახმად, ცა ცისფერი არ ყოფილა, როგორც ადამიანები ამტკიცებდნენ და სინამდვილეში, ეს ცისფერი ყვითელია? სხვა სიტყვებით, გეუბნებით, რომ წლების მანძილზე არასწორად გვასწავლიდნენ ფერების თაობაზე და ეს ცისფერი, რეალურად, ყვითელია. რას იზამდით? ელდა გეცემათ და სასწრაფოდ მობილურს დასტაცებთ ხელს დაწყებითების მასწავლებელთან დასარეკად და მის დასადანაშაულებლად, რომ ფერები არასწორად გასწავლათ და ცხოვრება დაგიმახინჯათ? არ მგონია. არც ემოციური რეაქცია გექნებათ და არც დრამატული სცენის მოწმე გავხდებით. უბრალოდ, ჩათვლით, რომ მე

გონებაში ყველაფერი მწყობრში არ მაქვს, ჩემს კომენტარს ირაციონალურს უწოდებთ და თქვენს საქმეებს მიხედავთ. რატომ? იმიტომ, რომ მტკიცედ ხართ დაჯერებული ცისფერი ფერის რაობაში!

ახლა ჩემი მაგალითი რწმენაზე საუბარს შევადაროთ. რა მოხდება, თუ სრულად ხართ დარწმუნებული, რაც ღმერთმა თქვა განკურნების შესახებ, ხოლო ექიმი გიმტკიცებთ, რომ სიმსივნით გარდაიცვლებით? ალბათ, ამ ექიმს შეხედავდით და იფიქრებდით, რომ გონებაზე ვერ არის, რადგან დარწმუნებული ხართ მისი პროგნოზის შეუძლებლობაში. რატომ? იმიტომ, რომ მტკიცედ ხართ დარწმუნებული განკურნებაში, რომლისთვისაც იესომ გადაიხადა. ხედავთ? რა თქმა უნდა, ბევრი ადამიანი ლოცულობს, მაგრამ კარგად გამოკვლევის შემდეგ აღმოვაჩენ, რომ მათ რწმენის კი არა, იმედის ლოცვები აქვთ და სრულიად არ არიან დაჯერებული შედეგებში. ჩემო მეგობარო! სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ საკუთარი თავი ღვთის სიტყვაზე ვაშენოთ. უნდა ვიცოდეთ, რაში მდგომარეობს ღვთის ნება, რომ მის ნათქვამს ვერწმუნოთ და უარვყოთ ის, რაც მის ნებას არ წარმოადგენს. ნება მომეცით, ცხოვრებისეული მაგალითი მოგიყვანოთ, სადაც თვალსაჩინოდ ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია იმით კვება, რასაც ღმერთი სიცოცხლეზე ამბობს.

ბიზნესის გაძღოლის რამდენიმე მძიმე კვირის შემდეგ გადავიღალე (ეს მანამ იყო, სანამ ეკლესიის პასტორი გავხდებოდი). ჩემი გრაფიკი გადავსებული იყო გაყიდვებთან დაკავშირებული ზარებით და საკომისიოებზე ცხოვრების ფინანსური ზეწოლაც თავის საქმეს აკეთებდა. კბილის ექიმთან მისვლას ვაპირებდი დასაბჟენად. ყველაფერი კარგად იყო, სანამ სტომატოლოგმა ნოვოკაინის შეყვანა არ დაიწყო. ნემსი ჩამასო თუ არა, მოულოდნელი დარტყმა ვიგრძენი და ყბა მომენტალურად გამიბუჟდა იმის ნაცვლად, რომ თანდათან მომკიდებოდა. გამიკვირდა და ექიმს ვუთხარი, რაც მოხდა. მან მითხრა:

– ვფიქრობ, ნერვში მოვხვდი.

სწრაფად ვიკითხე:

– ეს ნორმალურია?

მან ასე მიპასუხა:

– როგორც წესი, იკურნება.

რა? ნუთუ სწორად გავიგონე?

– ექიმო, რას გულისხმობთ? გამონაკლისიც არსებობს?

მან მითხრა:

– შემთხვევათა 80-85 %-ში სრულად იკურნება მუდმივი უარყოფითი ეფექტის გარეშე.

რა? მოულოდნელად შიშმა ამიტანა. რა მოხდება? განიკურნება? ჩემი გონება საშინელმა აზრებმა მოიცვა. იმ ვიზიტის შემდეგ სახე სრულიად გამიხევდა. სხვა დროს გაბუჟება თანდათან გადიოდა. სტომატოლოგის შემდეგ კლიენტთან შესახვედრად მივემართებოდი ერთი საათის სავალ მანძილზე. საკმარისი დრო მქონდა ახლახანს მომხდარზე დასაფიქრებლად. შეხვედრამდე დარჩენილი დრო ტანჯვაში გავატარე. არაფერი მტკიოდა, მაგრამ მშვიდობა არ მქონდა და თავში შიშისმომგვრელი აზრები მიტრიალებდა.

იმ დღეს, მოგვიანებით, სახლისკენ მომავალ გზაზე მეგობარს შევუარე. სახე ისევ გაბუჟებული მქონდა. თითქოს ვიღაცისგან ნუგეშიანი დარწმუნება მჭირდებოდა, რომ ეს გამივლიდა. ყურადღება მიაქციეთ ჩემს შეცდომას. ღვთის სიტყვას კი არ მივმართე, არამედ ადამიანს, რომელსაც ძლიერი მორწმუნე არც კი ეთქმოდა, რომ გავემხნევებინე. ამ ადამიანს მომხდარის შესახებ ვუამბე და ველოდებოდი საპასუხო წინადადებას: „ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებ, გარი; აუცილებლად განიკურნება!“ აი, რა მოვისმინე ამის ნაცვლად:

– ო, არა! ერთ ჩემს მეგობარსაც იგივე შეემთხვა და ველარ განიკურნა, სამუდამოდ პარალიზებული დარჩა.

გაგონილის არ მჯეროდა! გონება შიშისაგან ზღვარზე იყო. ისე მოვიქეცი, თითქოს დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და მეგობარს მადლობა გადავუხადე დათმობილი დროისთვის. სასოწარკვეთილი მეორე მეგობართან წავედი და იგივე კითხვაზე იგივე გამაოგნებელი პასუხი მოვისმინე:

– ო, არა! – თქვა მან, – ერთი ჩემი მეგობარი ველარ გამოკეთდა ასეთი შემთხვევის შემდეგ და სახე სამუდამოდ დაუმახინჯდა.

ამის შემდეგ მთლად მომეღო ბოლო. ვიცოდი, რომ ღმერთი მკურნალია (ჩემი აზრით), მაგრამ შიშისგან გათავისუფლებას

ვერ ვახერხებდი. ჩემს გულში ნამდვილად არ იყო მტკიცე დარწმუნება. იმ ღამით აგონიაში ვიყავი! გონება შიშს შეეპყრო, ხოლო სახე ისევე გახევებული მქონდა, როგორც სტომატოლოგის კაბინეტში. როცა დაძინება დავაპირე, მარჯვენა ყურთან მცირე ტკივილი ვიგრძენი. იქნებ? ადრე მამა ბელის დამბლას ებრძოდა ერთი-ორი წელი და მითხრა, რომ ეს ყველაფერი ყურის ქვემოთ ტკივილით დაიწყო. ბელის დამბლა მაშინ იწყება, როცა სახის კუნთების მაკონტროლებელი და ყურის ქვეშა პატარა ძვლოვან ღრუში გამავალი ნერვი იჭყლიტება ინფექციის ან ანთებითი პროცესის შედეგად.

ვიწექი და დაძინებას ვცდილობდი, მაგრამ გონებაში მხოლოდ ეს სიტყვები მიტრიალებდა: „ბელის დამბლა დაგემართება მამაშენივით“. დილას რომ გავიღვიძე, სახეზე იყო ამ დაავადების სრული სურათი! არა მარტო ყბა, არამედ სახის მთელი მარჯვენა ნახევარი გამიშეშდა და თვალის დახუჭვას და პირის მოკუმვას ვეღარ ვახერხებდი. ფორიაქმა შემიპყრო.

ადგილობრივ ექიმთან მივედი ჩემი ეჭვების დასადასტურებლად. გასინჯვის შემდეგ შემომხედა და მითხრა, რომ მართლაც განვითარებულა ბელის სრულმასშტაბიანი დამბლის სურათი. შემდეგ ვკითხე:

– ამის შემდეგ რა იქნება?

ექიმმა მიპასუხა:

– შემთხვევების 80-85 %-ში იკურნება მუდმივი დამბლის გარეშე.

მან ნამდვილად ის თქვა, რაც ვიფიქრე, რომ თქვა?

იმ მომენტში გავაცნობიერე, რომ პრობლემები მქონდა. ვიცოდი, რომ ეშმაკი ამით არ გაჩერდებოდა და არც მინდოდა იმაზე ფიქრი, შემდეგში რა მოხდებოდა. საკმარისი წარმოდგენა მქონდა სულიერ ბრძოლაზე, რომ არასწორი მიმართულებით სვლა დამეფიქსირებინა. გახსოვდეთ, რომ ეს იქამდე დიდი ხნით ადრე მოხდა, სანამ ასეთ საკითხებზე ბევრ რამეს გავიგებდი. თუმცა იმდენი მაინც მესმოდა, რომ მცირეოდენი წარმატების ან გამარჯვების მისაღწევად ამას სულიერად უნდა გავმკლავებოდი. მივხვდი, რომ ეს დემონური გეგმა იყო – უნდოდა მაშინ გამოვეჭირე, როცა დაღლილი ვიყავი და საფრთხეს არ ველოდებოდი.

გავაცნობიერე, რომ ჩემი ერთადერთი იმედი ღვთის სიტყვა იყო. შინაგანად გონების მტანჯველი შიშის დაძლევის არანაირი უნარი არ გამაჩნდა, ამიტომ 3X5-ზე ბარათები გავაკეთე განკურნების მუხლებით და მთელ სახლში მოვფინე. უფლის წინაშე მოვინანიე და გულში რწმენის განვითარების პროცესი დავიწყე. ვიცოდი, რომ ღვთის სიტყვა უნდა ჩამეთესა, რომ რწმენა მომწიფებულიყო, ამიტომ დღის განმავლობაში ღვთის სიტყვას ვუღრმავდებოდი.

თავიდან არაფერი მომხდარა. სახე გაშეშებული მქონდა და გამუდმებით შიშის სულს ვებრძოდი. დაახლოებით, ერთი კვირის შემდეგ, როცა ჩემს სახეს ჯერ კიდევ არ ეტყობოდა რაიმე ცვლილება, რაღაც დაიწყო!

იმ პროცესის მსგავსად, რომელიც მარკ. 4:26-28-შია აღწერილი, სიტყვა გულში ჩავთესე და რწმენა ჩაისახა, გამოიღო ყლორტი, ჯეჯილი, თავთავი და სავსე მარცვალი თავთავში. მთელი ამ პროცესის მანძილზე არ არსებობდა თანხმობა და შესაბამისად – არც რწმენა. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილება არ დამინახავს და არ ვიცოდი, პროცესი როგორ მიმდინარეობდა, ყველაფერი შეიცვალა მარკოზის მე-4 თავის თანახმად.

ცვლილებები, რომელზეც ვლაპარაკობ, ფიზიკურ სამყაროში არ იყო გამოვლენილი. ეს ჯერ ჩვენს გულებში ხდება. თუ სიტყვაზე ვდგავართ, ის თანდათან ცვლის გულის რწმენის სისტემას და ურწმუნოებას თავისთავად გარდაქმნის ზეცის თანხმობად.

ამ შემთხვევაში ღვთის სიტყვაზე ვიდექი, რადგან ვიცოდი, რომ ეს იყო ჩემი ერთადერთი პასუხი. ერთხელ, როცა სახლში დავდიოდი მასში მიმოფანტული 3X5-ზე ბარათების გასწვრივ, ერთმა მათგანმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომელიც ასჯერ მაინც მინახავს. ამჯერად, როცა შევხედე, გონება გამინათდა! მოულოდნელად ცხებულება გადმოვიდა, შიში მეყსეულად გაქრა და ვიცოდი, რომ განკურნებული ვიყავი. დიახ, ჩემი სახე ჯერ კიდევ გაშეშებული იყო. ცვლილება არ ჩანდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ განვიკურნე. რამდენიმე საათის შემდეგ სახემ ჩვეული გამომეტყველება მიიღო და გაშეშება სრულიად გაქრა. მადლობა ღმერთს! სიტყვა მოქმედია!

მართალია, ჩემს სულიერ ცხოვრებას დასუსტების საშუალება მივეცი უგულებელყოფისა და მოჭარბებული საქმეების გამო,

ბოლოს მივხვდი შეცდომას და ეს უგუნურება მოვინანიე. ეს დიდი ხნის წინ იყო, როცა პირველად მივხვდი, თუ როგორ მუშაობს რწმენა და მაშინ დიდი გამოცდილება არ მქონდა ამ სფეროში. როცა უკან ვიხედები და ვიხსენებ, განსაცდელში მყოფი როგორ ვეკითხებოდი ადამიანებს ჩემი მომავლის ამბავს იმის ნაცვლად, რომ რწმენით მიმემართა ღვთის სიტყვისთვის და ვხვდები, რა სისულელეს ჩავდიოდი. როგორც კი გავაცნობიერე რეალობა, ღვთის სიტყვას დარწმუნებით მივმართე. სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობას ამ პროცესის არაფერი ესმის, ვინაიდან მათთვის რწმენა და მისი მოპოვების გზები არასოდეს უსწავლებიათ. რახან პროცესის შესახებ არაფერი იციან, ზეწოლის დროს სიტყვას ხელს უშვებენ და ასკვნიან, რომ ის არ მუშაობს.

გაიაზრეთ სატანის კონტრშეტევა.

ქრისტინი ეკლესიაში ისე მოვიდა, რომ ღმერთზე არაფერი იცოდა. ის ზეციდან იშვა ჩვენს ერთ-ერთ კვირა დილის მსახურებაზე და მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ეკლესიაში ცათა სამეფოს საორიენტაციო გაკვეთილს ვატარებთ. ქრისტინს წლობით ჰქონდა სმენის პრობლემა. ქალი 40 წელი აპარატს ატარებდა და უკვე დაკარგული ჰქონდა სმენის 50 %-ზე მეტი. დედამისი ყრუ იყო და მისი ძმაც სმენის პრობლემით იტანჯებოდა. როცა ქრისტინმა მოისმინა, რომ მას, როგორც მორწმუნეს, განკურნების კანონიერი უფლება ჰქონდა, აღფრთოვანებული დარჩა!

ჩემმა მეუღლემ, დრენდამ ქალს ხელები დაასხა და სასმენელის გახსნაზე ილოცა. განკურნება მყისიერად მოხდა და მან სრულყოფილად გაიგონა. ქრისტინმა ყვირილი, ტირილი და ღვთის განდიდება დაიწყო. როცა ის დრენდასთან ერთად მოვიდა და ეს შესანიშნავი ამბავი მახარა, სატანის კონტრშეტევის შესახებ მისი გაფრთხილების სურვილი გამიჩნდა. დრენდას ვთხოვე, რომ ქრისტინისთვის მითითებები მიეცა. იმ შემთხვევაში, თუ სიმპტომები კვლავ გამოჩნდებოდა, გაბედულად წინ უნდა აღდგომოდა და განეცხადებინა მიღებული განკურნება, რათა სატანას უკან დაეხია. მეორე დილას გამოცდა მოვიდა. ყურმა ისევ დაკარგა კარგი სმენადობის უნარი. ის ზუსტად ისე მოიქცა, როგორც დავარიგეთ და თქვა: „არა, სატანა! ამას არ მივიღებ.

განკურნებული ვარ და და ეს იესოს სახელით მოხდა!“ ჰოპ! სმენა ისევ გაეხსნა და მას შემდეგ ასე რჩება.

დაიმახსოვრეთ, რომ სატანა კონტრშეტევას განახორციელებს და ტერიტორიის დაპყრობას შეეცდება. ნუ მისცემთ მას ამის გაკეთების უფლებას. იდექით ღვთის სიტყვაზე! ამ დანართში გარკვეული დრო დავუთმე საბაზისო ინფორმაციის გადმოცემას, თუ რა არის რწმენა და როგორ მუშაობს ის; როგორ მივხვდეთ, რომ რწმენაში ვართ ან როგორ მივიღოთ. ჩვენს ცხოვრებაში ცათა სამეფომ რომ იმოქმედოს, ეს უნდა იცოდეთ. გაიხსენეთ, რა უთხრა იესომ ქალს, რომელმაც განკურნება მიიღო მათ. 9:20-22-ში – „*შენმა რწმენამ განგკურნა*“. თქვენ შემთხვევაშიც ასე მოხდება: რწმენით ანუ გულში ზეცის ნებისადმი სრული და მტკიცე დაჯერებით, ხოლო შემდეგ ნამგლის მოქნევით ნებისმიერ პრობლემას ანუ საჭიროებას უპასუხებთ, რასაც არ უნდა შეხვდეთ ცხოვრებაში.[29]

29. The teaching in the Faith Appendix was taken from my *Your Financial Revolution: The Power of Allegiance* book.

ჩემი ყველა მასალის ხილვა შეგიძლიათ ვებგვერდზე: garykeesee.com

თუ ჩემს კომპანიაზე ინფორმაციის მიღება გსურთ, მიმართეთ Forward Financial Group-ს ვებგვერდზე forwardfinancialgroup.com, ან დაგვირეკეთ ნომერზე 1-(800)-815-0818.

თუ გაინტერესებთ ინფორმაცია საპენსიო თანხების დაცული ინვესტირების შესახებ, რომ საბაზრო რყევების გამო მისი საწყისი ოდენობის შემცირების რისკი აიცილოთ ან თქვენი საპენსიო შემოსავალი მაქსიმალურად გაიზარდოს, ისევ Forward Financial Group-ს მიმართეთ.

თუ თქვენს ეკლესიაში Financial Revolution-ის ერთ-ერთი კონფერენციის მასპინძლობით ხართ დაინტერესებული, ინფორმაციისთვის ჩვენს ოფისს მიმართეთ.

ისევ შეგახსენებთ ჩვენი ოფისის ნომერს: 1-(800)-815-0818.

Gary and Drenda Keesee Ministries
P.O. Box 779
New Albany, Ohio 43054

დაინახე შესაძლებლობა

ნუ დატოვებ ოცნებებს მაგიდაზე უპასუხოდ

მზად იყავი აღმოსაჩენად, თუ როგორ უნდა დააჩქარო საკუთარი წარმატება და განახორციელო ოცნებები!

იცით, რომ ამერიკელთა 80 %-ს თავისი სამუშაო არ უყვარს? მაშ, რატომ დგებიან ყოველ დილით და ამ საძულველი საქმის საკეთებლად მიდიან? გადასახადების გადახდის აუცილებლობამ მათი ხედვა ჩაანაცვლა. ვალებმა დაიპყრო მათი თავისუფლება და ოცნებებზე ხელი ააღებინა.

დაუსრულებელი საქმე: აჩქარების ცხრა კანონი ყველაფერს წინა პლანზე წამოწევს და თქვენი აზროვნების – ფიქრის პროცესის შეცვლის ნაბიჯებს გადაგადგმევინებთ, რომ **შესაძლებლობა** და **სისწრაფე** მოიპოვოთ. არ დაგჭირდებათ არც ერთი ოცნების, ზეგავლენის ან ღვთისგან დადგენილი დანიშნულების დაუსრულებელი სახით დატოვება.

ამ ყველაფერთან ერთად, პრაქტიკული მიგნებების, სხვადასხვა ისტორიებისა და წმიდა წერილის მონაკვეთების დახმარებით გარი ქისი მარტივი ნაბიჯებით წაგიძღვებათ არსებობისთვის ბრძოლის აზროვნებიდან წარმატების მიღწევის მდგომარეობამდე.

გარი და მისი მეუღლე დრენდა ვალებისა და უფუნქციობის გამო ნაშვილებ ბავშვებს წარმოადგენდნენ. შიშმა ისე მოიცვა გარის ცხოვრება, რომ ანტიდეპრესანტების გარეშე ვეღარ ძლებდა და ყოველ დილით ლოგინიდან წამოდგომაც უჭირდა. შემდეგ, როცა წინამდებარე წიგნში აღწერილი ნაბიჯები გადადგა, გამუდმებული ჭიდილის მდგომარეობიდან გამარჯვებამდე მივიდა.

30-წლიანი გამოცდილების შემდეგ გარი უამრავ ადამიანს დაეხმარა ღვთისგან მოცემული ოცნებებისა და მიზნების განხორციელებაში. მას თქვენი დახმარებაც სურს ცხოვრებისეული გამარჯვების მოპოვებასა და ახალი ტერიტორიების დაუფლებაში. მას სურს დარწმუნდეს, რომ უკან დაუსრულებელი საქმეები არ დაგრჩებათ.

მოემზადეთ აჩქარების გამოსაცდელად!

გარი ქისი გახლავთ მწერალი, მქადაგებელი, მეწარმე, ფინანსური ექსპერტი და პასტორი, რომელსაც დაშურებით სწადია ადამიანთა დახმარება ცხოვრებისეული გამარჯვების მოსაპოვებლად, განსაკუთრებით, რწმენის, ოჯახისა და ფინანასების საკითხებში. გარიმ და მისმა მეუღლე დრენდამ რამდენიმე წარმატებული ბიზნეს-საქმიანობა განახორციელეს და Faith Life Now-ს დამფუძნებლები არიან, რომელიც ორ სატელევიზიო პროგრამას – ფულის საკითხის მოგვარება და დრენდა – უძღვება, საერთაშორისო კონფერენციებს მართავს და პრაქტიკულ რესურსებს ქმნის. ქისები ასევე მწყემსავენ Faith Life ეკლესიას კოლუმბუსის მახლობლად, ოჰაიოს შტატში.

FaithLifeNow.com | 1-(888)-391-LIFE
P.O: Box 779, New Albany, OH 43054